



2015/9

ყველთვიური ლიტერატურული –  
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბალათერ არაბული**  
**სოსო გოლიაძე**

რედაქტორთა ჯგუფი  
**ანდრო ბუაჩიძე**  
**თამარ გელიტაშვილი**  
**ელზა მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი

**ქეთევან მერკვილაძე**  
**ნანა ყანდაშვილი**

გრაფიკული ილუსტრაციები  
**მარიამ გოგილიძისა**

გარეკანის პირველ და მეოთხე  
გვერდებზე –

**ირაკლი ფარჯიანის**  
ნამუშევრის ილუსტრაცია;

მეორე და მესამე გვერდებზე –  
**ირაკლი ფარჯიანი**

სახელოსნოში.

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1

ტელ.: 2-98-36-43

ciskari1852@gmail.com

<https://www.facebook.com/ciskari1852>

სარედაქციო საბჭო

**ანდრო ბედუკაძე**  
თავმჯდომარე

**ვანო ამირხანაშვილი**

**ნაირა ბუბიევი**

**ლევან ბრეგაძე**

**დავით თედორაძე**

**ზვიად კვარაცხელია**

**ესმა კოკოსკერია**

**გიორგი ლობჯანიძე**

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

**ნინო სადღობელაშვილი**

**თამაზ ტყემალაძე**

**რეზო ქვიციანი**

**თემურ ქუაყაძე**

**ბესიკ ხარანაული**

ჟურნალი გამოდის

თბილისის მუნიციპალიტეტის

ფინანსური მხარდაჭერით



# სარჩევი

## მოზინავი

### ილია ჭავჭავაძე

ჩვენი ლიტერატურის  
დღევანდელი ყოფა 3

რა მიზეზია, რომ  
კრიტიკა არა გვაქვს 4

## პოეზია

ვანო ჩხიკვაძე 8

## პროზა

ზურაბ ლავრელაშვილი 17  
მოთხრობები

## პოეზია

გურამ ჯახუტაშვილი 27

## პროზა

ხათუნა გიგუაშვილი 33  
მოთხრობები

ბესო ხვედელიძე 41  
სიზმრების ახსნა  
მოთხრობა

## აქააი წარეთალი – 175

ზაზა აბზიანიძე 45  
კითხვა „განთიადის“  
შუქზე

## ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა

ზურაბ ოდილავაძე 52  
„საბა“ – კერძოდ და  
„სახელოვნებო სექტები“  
– ზოგადად

რედაქციისაგან 60  
აღმწოდების საბაბი  
(გამომხაურება ზ. ოდილავაძის  
წერილზე)

## პორტრეტები

იური როსტი 65

მიშიკო / Dead Man Blues 77  
ჰუ! გიორგი ნიკოლაევიჩი

## ახალი თარგმანები

ბარონი ვივან დენონი 86  
არც ხვალ, არც შემდეგ

მილან კუნდერა 100

აუჩქარებლობა

თარგმანები  
ნანა გასვიანისა

## ქართული მხარალი

ოსკარ ენაუა 129

ნიკო ლორთქიფანიძე

მოთხრობები

თარგმნა

რაზიათ ქუმარიტოვა

## ინტერვიუ

ნინო სადლობელაშვილი 141

საუბარი მწერალ

გურამ ოდიშარიასთან

## არტრევიუ

ალინა ქადაგიშვილი 146

ორი სახარება

ირაკლი ფარჯიანისაგან

არცთუ გამოგონილი 150

რეპორტაჟები

## მარკა კახაძე

ბუძას ხანგრძლივი ფერადი 155  
სიზმარი...

ხელმოწერების გასაფორმებლად  
დაგვიკავშირდით ტელეფონის  
ნომრებზე:  
591 20 25 40;  
599 56 56 44;  
591 30 75 09

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



## ილია ჭავჭავაძე

### ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა

გუშინდელ და დღევანდელ „ივერიის“ ფელეტონში ორმა სულ სხვადასხვა ავტორმა ერთი და იგივე საგანი დაგვიყენა თვალ-წინ განსაჩხრეკად და განსაკითხად. უნდა ვსთქვათ, რომ ეგ საგანი მწვავე ტკივილია დღევანდელის დღისა, დღევანდელის დღის ვარამია. ორივე ავტორი ერთნაირის გულწრფელობით ერთნაირის გონება-დამჯდარობით, საგნის ღირსებისამებრ მართებულობით გველაპარაკებიან ჩვენის ლიტერატურის დღევანდელს ყოფაზე; რიგიანის დაკვირვებით და დინჯად ჰსინჯავენ ამ ყოფას საზოგადოების მიმართ და თვით საზოგადოებას ამ ყოფის მიმართ. ორივე თითქმის იმ აზრზედ სდგანან, რომ ჩვენის ლიტერატურის დღევანდელი უღონობა იმაზეა დამოკიდებული, რომ ლიტერატურა ჩვენში ლუკმა-პურს არ იძლევიანებო და ამიტომ მწერლობა ჩვენში შემთხვევითია და არა დაჩემებული, გამოსაკუთრებული მოღვაწეობაო. ამ დადგინებას სიტყვა არ შეეზრუნება. ვინ არ იცის, რომ ვინც ჩვენში ლუკმა-პურის შოვნის ზრუნვას დროს გადაარჩენს და მოიცლის, მარტო იგი იღებს ხელში კალამსა და სწერს და ისიც მარტო მაშინ, როცა მოცლილია. ლიტერატურული მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღე-მუდამ უკან დევნა უნდა, დღე-მუდამ მის სფერაში

ტრიალი, დღე-მუდამ ფიქრსა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი. ამისთანა გარემოება აიძულებს კაცს მთლად ამ მოღვაწეობაზედ იყოს გადაგებული, გადადებული და მაშინ იგი მოიმოქმედებს მას, რის შემძლეც არის თავისის ნიჭითა და მომზადებულობითა. დღევანდელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება ამის ნებას არ იძლევა. ამისთანა გარემოებას კიდევ სხვა ზარალიც მოაქვს. რადგანაც არავის არ ეგულება, რომ ლიტერატურული შრომა და ჯაფა ცხოვრების საღსარს მომცემსო, არც არავინ ჰბედავს ამ-გვარის მოღვაწეობისათვის რიგიანად და საფუძვლიანად მოემზადოს, ქვეყნიერებაზედ არ არის, ჩვენის ფიქრით, სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადება უნდოდეს წინათვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატურობაა. ცარიელი, მოუმზადებელი, უნურთვნილი ნიჭი არგადახალისებული მადანია და ამიტომაც ბევრს ვერას შესძლებს ლიტერატურის სარბიელზედ.

ჩვენ ყოველივე ეს სამართლიანს საბუთს გვაძლევს, რომ პატივცემულთ ავტორებს განვუზიაროთ აზრი შესახებ იმა უმთავრესის მიზეზისა, რომლის მეოხებითაც ჩვენ არც თავგადადებული მუშაკი გვყავს ლიტერატურისათვის და არც

საკმაოდ ამისათვის მომზადებული. აქ გასამტყუნარი არავინ არ არის, გარდა გარემოებისა.

ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე-და-დღე საზოგადოება აკლდება. დღეს თუ ჩვენს ლიტერატურას მკითხველი და გულშემამტკივარი ჰყავს, ერთი ეგრეთ-წოდებული ინტელიგენციაა, რომელსაც თითონაც არა აქვს საზრდო ცხოვრებისა, და მეორე – ძველნი ქართველნი, კაცნი თუ ქალნი. ყოველი კი ახლად მომავალი, ნამეტნავად ქალები, ჰთაკილობენ ქართულს ლიტერატურას და იკვებებიან იმ წვრილად ფშხნილ ნამცეცებითა, რომელიც აქაურს წვრილმან გაზეთებს ყოველდღე ტომრებით მოაქვთ. თუმცა ეს ასეა დღეს, მაგრამ იმედია, რომ ქართული ლიტერატურა გავრცელდება ჩვენში და მაშინ ჩვენი ეგრეთ-წოდებული მაღალის ნოდების ხალხი, თუნდა სრულიად დაეთხოვოს კიდეც ჩვენს ლიტერატურას, დიდი არაფრისაა. საქმე ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს, გონების გახსნის გზაზედ იმოდენად ნა-

რიმართოს, რომ როგორც პურის საჭიროებას ჰგრძნობს ხორცისათვის, ისეც ლიტერატურა მიიჩნის სულისა და გულისათვის. თუ, ღვთის მადლით, ჩვენი სასოფლო სკოლები და ერთობ ის სასწავლებელნი, რომელთაც კარი მუდამ და დაუბრკოლებლივ ღია აქვთ ყველასათვის, რიგიანად მოიმართნენ და თავის უწმინდაეს დანიშნულებას გვერდი არ აუქციეს, უეჭველია გამრავლდება როგორც მუშაკი ლიტერატურისა, ისეც მუშტარი და მაშინ ლიტერატურა და საზოგადოება უკეთ მოეწყობა, უკეთ მორიგდება და მოთავსდება ერთმანეთში.

ამ იმედით აღფრთოვანებული და გატაცებული იბრძვის და იღწვის დღეს მშეიერ-მწყურვალ უანგარო მუშაკი დღევანდელის ჩვენის ლიტერატურისა. ეს მართალია, თავგანწირვაა, მსხვერპლია, და თუმცა ამ მსხვერპლს ქართველთა დღევანდელი უმადურება აორკეცებს და წამებად ჰხდის, მით უფრო უმშვენიერესია ის ბრწყინვალე სახსოვარი, რომელიც აღიმართება ძველად მერმისის გულში.

1886 წ.

## რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს

ჩვენს განათლებულს საზოგადოებაში ხშირად ისმის გულისტკივილი, რომ ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლიაო. მართალიც არის, – ეს დიდი და ფრიად დიდი დანაკლისია. ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა. რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის. ამ ნაკლის მიზეზად ზოგი იმას ამბობს, რომ ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისათვის მეტად ცოტას საზრდოს იძლევაო; ჯერ ხვავი ჩვენის ლიტერატურისა იმოდენა არ არის, რომ ღირდეს კაცმა კრიტიკის ცხავში

გაატაროს და წმინდა ხორბალი ბალახ-ბულახისაგან გამოარკვიოსო. ამ თქმას დიდი საბუთი არ მიუძღვის: ცოტაა, თუ ბევრი, მაინც გარჩევა უნდა და გარკვევა. ამიტომაც სხვები ამბობენ, მარტო სიცოტავე ლიტერატურისა ჯერ კიდეც მიზეზი არ არის, რომ კრიტიკა თავს არ იჩენსო; აქ რიცხვს იმოდენად მნიშვნელობა არა აქვს, რამოდენადაც თვით ღირსებას, ესე იგი ლიტერატურის შინაარსსაო, და აი ამ მხრით მეტად ხელმოკლეა ჩვენი ლიტერატურა და კრიტიკას ამიტომაც ჩვენს ლიტერატურაში ჯერ არავითარი საქმე და სარბიელი არა აქვსო.

არც ამისთანა თქმა იმართლებს თავს



იმ კაცის წინაშე, ვინც პარიჟის ყავახანის სიბრძნით კი არ დაჰკვირვებია ჩვენს ლიტერატურას, არამედ გამჭრიახის გონების თვალთა, რომელიც ცოდნითა, სწავლით და მეცნიერებით განურთვნილია და განმედილი ხედვისა და ჩხრეკისათვის. ჩვენ არას ვიტყვით ჩვენს ძველს ლიტერატურაზედ, რომელსაც ასეთის სიუხვით ასხივოსნებს „ვეფხისტყაოსანი“, – ეს უძირო მორევი ზღვა აზრისა და გრძნობისა; ჩვენ არას ვიტყვით არც დავით გურამიშვილზედ, რომლის დიდაქტიური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეციის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირის-პირ, და რომლის სარწმუნოებრივი ღალატება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმალღემდეა ასული. არას ვიტყვით მეფე ვახტანგ მეექვსეზე, არჩილ მეფეზე, თეიმურაზ პირველსა და მეორეზედ, რომელთაც, ნამეტნავად პირველ ორს, ვერავინ ვერ დასწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძნობისას და რომელნიც მოელიან გონება-მახვილს კრიტიკოსს, რომ თავისი მიუწყონ და სამართლიანის შარავანდედით მოჰრთონ მათი ღირს-შესანიშნავი გონებრივი ღვანლი.

საკმაოა გავიხსენოთ ამ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი პოეზია და მისნი წარჩინებულნი წარმომადგენელნი, თ. ალ. ჭავჭავაძე დანწყებული დღევანდელ მწერლებამდე, და მაშინ აშკარად დავინახავთ, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას კი არ უნდა დაჰბრალდეს, არამედ ჩვენს ქონდრის-კაცობას, რომელიც იმოდენად უძლურია, იმოდენად უღონოა, რომ ვერც ჩვენის ლიტერატურის სიღრმისათვის გონების თვალი ჩაუნვდენია და ვერც ჩვენის პოეზიის სიმაღლისათვის თვალი გაუსწორებია. ამ საგანზედ არა ერთხელ დაგვჭირდება კიდევ ლაპარაკი, და ვცდებით, ჩვენის შეძლებისამებრ, ეს მიზეზი ჩვენის უძლურობისა და უღონობისა უფრო ვრცლად გამოვიძიოთ.

კრიტიკის უქონლობა ჩვენში არ უნ-

და მიენეროს უშინაარსობას ჩვენის ლიტერატურისას საერთოდ და პოეზიისას საკუთრად. უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა აშკარა ტყუილია. ვინც ამ ბრალს სდებს, იგი უმართლოდ ექცევა ჩვენს ნაწარმოებს და ნაღვანლს გონებისას და გულისას, და ეს მოსდის ან უვიცობით, ან განგებ, რომ კრიტიკის უქონლობის სირცხვილი თავის-თავს მოაშოროს და სხვას გადააბრალოს. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ სანატრელი არ იყოს ჩვენის ლიტერატურისათვის საზოგადოდ და პოეზიისათვის ცალკედ, მაგრამ ისიც, რაცა გვაქვს ჩვენ დღეს, ღირს-შესანიშნავი განძია და მრავალგვარად გამოსაყენი და სახმარი ჭეშმარიტის კრიტიკისათვის. ამას ყველა გვიმონებებს, ვისაც კი საკუთარის თვალთ ჩაუხედნია ჩვენს ლიტერატურაში და არა სხვის შთაგონებით, სხვის ჩაძახვითა. მაშასადამე, თუ კრიტიკას დღეს ჩვენში ფეხი არ აუდგამს, ამისი მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს და არა იგი, რასაც იძახიან ზოგნი იმისათვის, რომ ჩვენს ლიტერატურას ამაო თავმონონებით უკადრისობენ და ჰთაკილობენ. როგორც მითამ და ბალღებისათვის სათამაშოს ჰთაკილობს დავაჟკაცებული კაცი, და ზოგნი იმისათვის, რომ საკუთარს უღონობას ნილაბი ჩამოაფარონ, ბრალი თვით აიცილონ და თვითონ ლიტერატურას დასდვან.

ზემორე ჩვენ კრიტიკის უქონლობის ბრალი თითონ ჩვენს საკუთარს უძლურებას და უღონობას მივანერეთ, და აი რა საბუთი მიგვიძღვის. ჩვენი ლიტერატურა საერთოდ და პოეზია ცალკედ ჯერ ხელუხლებელი განძია. არც ერთს უცხო ქვეყნის მეცნიერს, რომელსაც ჩვენს თვალში სახელი და აბრუ აქვს, მისთვის ჯერ ხელიც არ მიუკარებია, არავის ამ მხრით თავისი აზრი არ გამოუთქვამს, თავისი ბეჭედი არ დაუსვამს. მაშასადამე, ჩვენს ლიტერატურაზე მზა-მზარეულს აზრს ვერ ამოიკითხავთ ვერც წიგნებში და ვერც გაზეთებში. ამ საგანზედ ერთს

სიტყვასაც ვერ იპოვით ვერსად. ეს გარემოება იძულებულ ჰყოფს ყოველს ჩვენგანს, ვისაც-კი მოუწადინია ჩვენი ლიტერატურის კრიტიკა, თავისის საკუთარის ჭკუით, საკუთარის ცოდნით, საკუთარის მსჯელობით შეუდგეს კრიტიკის რთულს და მძიმე საქმესა, რომ თავისი საკუთარი განაჩენი დაადგინოს. ჩვენი უბედურებაც სწორედ ამ იძულებაშია. რას იზამთ? ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ ამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წაიმძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ!.. ჩვენი ეგრედ წოდებული „ინტელიგენცია“ მეტად სუსტია ამ თვით-მოქმედებისათვის. ჩვენნი „სწავლულნი, განათლებულნი“, დარვინის თეორიას ზედმინევენით გაცოდინებენ, ჰეგელის ესტეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავისის ხელის-გულისავით გადაგიშლიან, შექსპირზედ, გეტეზედ, ბაირონზედ და თუნდა ჰომეროსზედაც, რომელნიც, – ჩვენში-კი ითქვას – ათასში ერთს არ წაუკითხავს, თუნდა მთელს უზარმაზარ ნიგნებს დასწერენ, და იქნება ისეთი სასწაულიც მოხდეს, რომ წასაკითხად ღირსი ნიგნებიც დასწერონ, და ერთს პანია ლექსს-კი ჩვენის რომელისამე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც რიგია. ნუ გაიკვირვებთ, რომ ეს ასეა. პატარა რომ ჩაუფიქრდეს კაცი ამ საოცარს ამბავს, მიზეზს მალე მიუხვდება.

შექსპირი, გეტე, ბაირონი სხვა მეცნიერთაგან დიდი ხანია გარჩეულია მრავალგვარად. ამაზედ მრავალი უწერიათ, მრავალი უთქვამთ. მაშასადამე, ამათზედ ასეთისა თუ ისეთის აზრის შედგენა მეტის-მეტად ადვილია და აზრის საბუთის პოვნაც არ არის ძნელი. აქ ყველაფერი, აზრიც და საბუთიც, მზად არის, თქვენ ოღონდ იმოდენა ღონე იქონიეთ, რომ მოჰკრიბოთ, ერთი-ერთმანეთს შეუფარდოთ, შეუწონოთ და ყოველივე შეკრებილი, შეფარდებული და შეწონილი ერთს ძნად შეჰკრათ და ისე მიართვათ მკითხველსა. რა თქმა უნდა, რომ ამასაც

ჭკუა, ცოდნა უნდა და მცირეოდენი ხელოვნებაც, მაგრამ აქ თვითმოქმედება უფრო ხელისაა, თუ ესე ითქმის, ვიდრე იმ სულიერის ძალ-ღონისა, რომელიც თითონ ჰქმნის, თითონ სჯის, თითონ სხლავს, თითონ სჭრის და თითონ ჰკერავს. აქ ყველაფერი უჯრა-უჯრად აწყვია ევროპის ლიტერატურის სალაროში მზამზარეულად, ოღონდ იმ სალაროში შესვლის ღონე მოიპოვეთ და, რაკი ეს გექნებათ, ხელის განვდენის მეტი არა არის-რა საჭირო, რომ უჯრა გამოსწიოთ და, რაცა გასურთ, ის გამოილოთ.


სულ სხვაა, თუ სურვილი დაგეძრათ ჩვენის მწერლობის თუ მწერლების საკრიტიკოდ. აქ ყველაფერი საკუთარის ჭკუით უნდა ჰზიდოთ და ყველაფერს საკუთარის გონების შუქი მიაყენოთ. თქვენს გარე აქ ვერას იპოვნით, ვერას იპოვით, აქ სხვა უნარია საჭირო, სხვა გამჭრიახობა, სხვა ძალღონე. შეიძლება კაცს აუარებელი ცოდნა და სწავლა ჰქონდეს და აქ ერთი ფეხიც ვერ წადგას, თუ ის „სხვა უნარიც“ არა ჰქველის. ის „სხვა უნარი“ იგია, რასაც თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან. აი, ჩვენი სისუსტე სწორედ ამ თვითმსჯელობის, თვითმოქმედების უქონლობაშია. თუ რომელსამე საგანზედ ჩვენებურს „ინტელიგენტს“ სხვისის აზრისათვის ყური არ მოუკრავს, თუ რომელსამე საგანზე სხვა უცხო ენის ნიგნებსა და გაზეთებში აზრი არ ამოუკითხავს, ის საგანი იმისათვის ყოვლად ბნელია და იმ საგნისათვის იგი ყოვლად მუნჯია: ვერას იტყვის, იმიტომ, რომ თვითმსჯელობას, თავისის გონების გაძლოლას იგი ჩვეულ არ არის. რამდენი სასაცილო მაგალითია თითონ ჩვენს ლიტერატურაში, რომ საზოგადო თეორიის გულმხურვალე მქადაგებელს ვერ ეცნოს ცალკე მაგალითი ამავე თეორიისა და, რასაც ზოგადად, თეორიით ამტკიცებდეს თავგამოდებით და მხურვალეებით, იმას იმავე თავგამოდებით უარჰყოფდეს ცალკე მაგალითში. რათა? იმიტომ – რომ ამ ცალკე მაგალითს ქვეშ არა ჰქონია

წარწერილი, რომ ამა-და-ამა მოძღვრები-  
სააო, და თითონაც მოძღვარს იმოდენა  
თვითმსჯელობა არა ჰქონია, რომ თავი-  
სავე მოძღვრების ერთი მაგალითთაგანი  
საქმეში ეცნო.

თვითმსჯელობა, თვითმხედველობა გო-  
ნებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის  
განვითარებისა და წარმატებისა. შესაძ-  
ლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და  
ის უნარი-კი, რომელიც თავისით ჭრასა და  
კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ  
გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ.  
ამ-გვარის მშრალის და უქმის გონების კა-  
ცი სახელოვანმა გეტემ დაგვიხატა თავის  
ფაუსტში. ფაუსტში რომ გამოყვანილია  
ვაგნერი, სწორედ ზედგამოჭრილი სახეა  
იმ-გვარის კაცებისა, რომელთაც ცოდ-  
ნა აქვთ და საკუთარის ჭკუით ტარების  
უნარი-კი ღმერთს, თუ ბედს, იმათთვის

არ მიუმაღლებია. ნუ გაგვიწყობიან, თუ  
ვიტყვი, რომ ჩვენს ინტელიგენციას სწო-  
რედ ეგ უნარი თვითმსჯელობისა, თვით-  
მხედველობისა არა აქვს გახსნილი და გა-  
დაშლილი. ეგ ნაკლია მიზეზი, რომ ჩვენს  
საკუთარს საქმეში, ჩვენს საკუთარს ავ-  
კარგიანობაში ვერაფერი გაგვიგნია, თავი  
და ბოლო ერთმანეთზედ ვერ გადაგვიბამს.  
ეგ არის მიზეზი, რომ ჩვენ ჩვენი კრიტიკა  
არა გვაქვს არა-რომელისამე საგნისა სა-  
ზოგადოდ, და ლიტერატურისა საკუთრად.  
ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ ეგ კრიტი-  
კა ჩვენც გვეღირსება ოდესმე, და მაგის  
მოვლენა, ვითა შვილი თვითმსჯელობისა,  
ჩვენის სულიერ ძალღონის აღმატების და  
განდიდების ნიშანი იქნება.

1887 წ.



## ვანო ჩხიხვაძე

### წიგნიდან – 2015

●  
წავიდა პოეტი თადეოზი,  
მეუფე თადეოზი წაბრძანდა.  
ნათლისღება ღამეს დაასრულა  
წირვა უკანასკნელ ზამთართან.

მკერდში შეფრთხილდა, მოღუღუნე  
მტრედი მახარობლად გაფრინდა.  
იქაც თავის აღმართს შეუდგება –  
რასაც მსახურებდა აკვნიდან.

იმ დიდ საუფლოში გადასახლდა,  
ვისაც ეძიებდა, იპოვნის.  
ნატკენ სულს მალამოდ დააფინა  
წმინდა, უცოდველი სტრიქონი.

თავი იცხონა და აღესრულა,  
მორჩილად გაუყვა გზამართალს.  
წავიდა პოეტი თადეოზი,  
მეუფე თადეოზი წაბრძანდა...

●  
თმაში ჭალარა ყვავილობს,  
ყელზე ნაოჭი ბევრდება,  
ქალაქში მითქმა-მოთქმაა,  
ღამაში ქალი ბერდება.

დამცხრალან მკერდის ზვირთები,  
მოყელყელავე გედებად,  
დაფშხალა ჟამმან მსახვრალმან –  
ლამაზი ქალი ბერდება.

გუმინ სხვის დამწუნებელი  
ახლა ქცეულა ვედრებად,  
ეჰ, წვივმაღალი ფაშატი –  
ლამაზი ქალი ბერდება.

ვით საყვავილე უვარდოდ,  
დარჩა ქალაქი – ბერდება.  
ვინ უპატარძლებს გაზაფხულს –  
ლამაზი ქალი ბერდება.

ჩაივლის, მკერდს ჩავიმჯიღავ,  
ლამდება, არ მოდღევდება,  
ერთ ოხვრას მეც გავაყოლებ –  
ლამაზი ქალი ბერდება.



გზები მოხრეშილა ბინდით –  
ვილაც საქართველოს ყიდის.

ვისას ხნავს და ვისას მკისო,  
ციხეებზე ცეცხლს რომ აქრობს,  
ვაჰ, ვერავინ ვერ დავითობს,  
ხვანთქარობს და ათაბაგობს.

ვაი, მკლავმოჭრილო მნათევ,  
როგორ ჩამორეკავ ზარებს.  
იმედს საბელივით მართმევს  
გული – გაპობილი ბზარით.

ბავშვი გავაყოლეთ ნაბანს,  
მიკვირს ან აქამდე რომ ვარ,  
როგორ მოაწონებ აბა,  
ბოლმა, მუცელმერთა მსტოვარს

ჩვენი სიძულვილით მბორგავ  
ხარბ და პირმოფლაშულ გოდორს,  
როგორ შეაბრალებ, როგორ  
ატირებულ ქსანს და კოდორს.

შენ არ გაიღვიძებ, ვიდრე  
გული ხელისგულზე მიდევს,  
გზები მოხრეშილა ბინდით –  
ვიღაც საქართველოს ყიდის...



დუმს ხეობა,  
ამოხეთქა  
ჯავრმა ქურთასთან და კეხვთან.

მწყალობელი მეფის ლანდი  
დაჰყურებდა თამარაშენს,  
სადაც ახლა ღორის დინგი  
ჩვენს ბედ-იღბალს ათამაშებს.

სულ წაიღეს, რაც მებადა,  
რაც შავ დღისთვის დამაგულეს.  
ალარ მინდა –  
იმ წარსულთან,  
იმ წარსულში დამაბრუნე.

მერამდენედ ნაოხარო,  
შენს გამწირავს გველი კბენდეს.  
სადარდლო, საოხრავო,  
ცეცხლში ხარ და იწვი დღემდე.

სხვას, აბა, რას უნდა გთხოვდე,  
სხვამ შეკაზმა შენი ჰუნე,  
ალარ მინდა ეს „სამოთხე“,  
იმ წარსულში დამაბრუნე...



გახსოვს მდინარეზე ხიდი,  
წყალი კამკამა და მშვიდი.

გახსოვს მოალერსე ხელი,  
თვალში მობრწყყვიალე ნამი.  
სისხლში ჟრუანტელი მღერის,  
გაუხედნავი და ხამი.

გახსოვს მდინარეზე ხიდი,  
ბიჭი წარცისებს რომ ყიდის.  
ხიდზე ჩამოივლის ბინდი,  
ჩირგვში დაიძახებს ჩიტი.



მხოლოდ ერთმანეთის თვალებს,  
ბნელში დაგვანახებს მთვარე.

წლები თოხარიკით მირბის,  
მიაქვს მდინარეზე ხიდი.  
რუხი შემოდგომა მოდის,  
ცეცხლი ჟრუანტელის – მიდის.

მორჩა, რაც მეზადა ვყიდი –  
გახსოვს მდინარეზე ხიდი?



ბევრჯერ მომნატრებია,  
ის წლები უდარდელი,  
გაზაფხულის წვიმები,  
საახალწლო ფანტელი.

სულ მუდამ დამშეული  
სტუდენტური ბანდები –  
სასადილოს ბორშჩი და  
სტუდენტულაქის „სარდელი“.

იმ ხანაზე აუგით  
ენა ვინ მოიქავა –  
გავიღვიძებ – ვნატრობ და  
დავიძინებ – იქა ვარ.

თუ გვეზადა,  
ვხარჯავდით,  
მანეთს – ჯიბის მორიელს,  
კვანარახი „გარეჯი“  
მაინც ვერ გამოვლიეთ.

მიგორავდა იაფი,  
მოდრეიფე კუნძული,  
ჩვენი ჟივილ-ხივილით  
ტრამვაი დახუნძლული.

ძმებო, ახლა რა ხდება,  
მოგვდევს ჟამი ავი და  
ნაადრევად, გზადაგზა,  
ეჰ, რამდენი ჩავიდა.

დრომ დახურა სეზონი,  
 აფიშები დახია,  
 დაივიწყა ტრამვაით  
 რაც ჩვენ გვირახრახია.

ბედი ბევრჯერ მივანდეთ  
 სულგაყიდულ ლაქიას.  
 აღარც სასადილოა,  
 აღარც სტუდენტალაქია.

ერთადერთი სული ვის  
 ჯერ არ გაუყიდეა,  
 ძველ კორპუსთან, ცაცხვებში,  
 მაგალობელი ჩიტია.

## ცხენები

ვერ გავიგე, ყველაფერი  
 ცხადში მოხდა თუ არა –  
 ულაცების თქარათქურმა  
 კედლებს გადაუარა.

ქვაზე ნალი განკრიალდა,  
 აქ მეგონა,  
 იქ არის –  
 გარბის წითელფაფრიანი  
 ცეცხლოვანი გრიგალი.

გამელვიდა,  
 ძველ ფოტოზე  
 სასწაული ვიხილე,  
 მონიავას ნაჩუქარი  
 ორი ცხენი ჭიხვინებს.

ვუსმენ, უფრო მიმძიმდება  
 გული ძლივსლა მფეთქავი –  
 ტირიან თუ იცინიან  
 ვერ გავიგე, ღმერთმანი.

## უპასუხო კითხვა

როდემდე, სადამდე,  
 ხუთამდე, ათამდე,  
 ხომ უნდა დასრულდეს,  
 ხომ უნდა გათავდეს.

ეგ კვერთხი შემახე,  
 რომ გული გაქვავდეს,  
 გაცივდეს სისხლი და  
 ღვარძლი დათავთავდეს.

შუადღე გეგონა,  
 უკუნი ღამეა.  
 მხოლოდ ეგ გიშველის –  
 თასში რომ შხამია.

რა უნდა ვიღონო,  
 სულს რომ არ ღაფავდე?  
 როდემდე, სადამდე,  
 როდემდე, სადამდე!..



მე ასე მგონია,  
 შენ ისე ფიქრობ,  
 კარგია,  
 ცუდია –  
 ნვიმამ რომ იკლო.

ახსოვს საქართველოს  
 შენაქო? დიკლო?  
 მიაქვს ინვესტორის  
 საეჭვო მიკრობს.

ნარსულის ველ-მინდვრებს  
 დაჰყეფავს ბორა,  
 წინ გაურკვეველობის  
 ბურუსი ბოლავს.

მე ასე მგონია,  
 შენ ისე ფიქრობ,  
 ხმაღს როცა იქნევი,  
 ნეტავი იმ დროს.

ვის მისდევს ცხვრის ფარა? –  
 ცვედანი ვაცობს.  
 ვერ ამოახველებ  
 ჯიბების „საცობს“.

რალაც მოვიფიქროთ,  
 თუ გვინდა გავძლოთ,  
 არ გესმის?  
 ჭურიდან  
 ამოდი, კაცო!



აქეს, აქეს, აქეს, აქეს,  
 რა არ დასცდა ცბიერ ბაგეს.  
 მერე მიესივნენ ხორაგს,  
 ბლომად სალაფავი თაქეს.

აქაც მოიოხეს ჟინი,  
 მთებად მოაჩვენეს ვაკე.  
 განსხვავებულ სასმისებით  
 აქეს, აქეს, აქეს, აქეს.

ყველაფერმა ჩაიარა,  
 ახლაც ისე, როგორც ადრე –  
 ქებით თავი მოაჭრეს და  
 ხოტბით ყელი გამოლადრეს.

ბოლოს ყველა დაეფანტა,  
 ზოგი – იქით,  
 ზოგი – აქეთ.  
 შერჩა მარტო ნამუსრევს და  
 თეთრ სუფრაზე ღვინის ლაქებს...

აქეს,აქეს, აქეს, აქეს...



გული გახლეჩილა ჯავრისაგან –  
 რა ვქნა, დაუთმობელს ვერ ვთმობ.  
 როგორ გავატანო ნაყივჩალარს,  
 შენგან რაც მებოძა, ღმერთო.

თვალზე სისხლის ცრემლი მომადგება –  
 იფქლად გვასაღებენ ქატოს.

ქსნისკენ – დამიძახებს მონატრება,  
იცი, კარგად იცი, რატომ.

ხოდაბუნები არ ბიბინებენ  
(ბედმა გაგვიღიმოს, დროა) –  
ვაი, ქსნისპირების გვირილები  
ტალღებს თავდაღმართში მოაქვთ.



სიყრმიდან მახსოვხარ, გიცნობ,  
საითკენ, ფარფატა ნისლო!

ხან გაშლილ იაღქანს ჰგავხარ,  
ხან მხრებზე დაფენილ მანდილს.  
სად იყავ, არხოტს და ხამხას,  
იქნება, ცვარ-ნამით ბანდი.

დაღვრემილ, უკაცურ კომკებს  
მოზარე ქალივით მისდევე,  
ჯიხვი რომ ქვამარილს ლოკავს,  
მალამოდ ედები იმ მთებს.

რას იტყვი, საითკენ გიხმეს,  
თუ მოთქვამს ბებერი ბისოს.  
როგორი ლამაზი იყავ,  
მახსოვხარ, მახსოვხარ, ნისლო.

## სურათი

პურის თაველში ზურგმექცეული  
მდედრი და მამრი წვანან.  
ყვითლად ლივლივებს ქალის თმები და,  
კაცის თმები და, ყანა.

იქვე ნამგალი,  
იქვე ნამკალი,  
ქალის მოქნილი, მთრთოლავ წელივით,  
ხელეურების ნაზი ამქარი,  
მკლავზე ნებივრად გადაწვენილი.

პურის თაველში წყურვილმოკლული  
მდედრი და მამრი წვანან.  
ყვითლად ლივლივებს ქალის თმები და,  
კაცის თმები და, ყანა...

## 26 ივნისი

როგორც მორღვეული ქანი,  
ფერდობს მონყვეტილი ვქრები.  
ისევ დასტაქარის დანა –  
ნებით სარეცელზე ვწვები.

წლების ღვარცოფები მიტევს  
თეთრი, მგრძნობიარე ფერით.  
არჩევს ყვავილებში ტიტებს  
მკაცრი რეალობის ხელი.

როგორ წამესვლება სადმე  
შენი მწუხარების პატრონს –  
სხვას ვის დავაკლდები აქ მე,  
შენ ერთს დაგაობლებ მარტო...

სიცხით ადუღებულ ივნისს  
უმხელ შენი გულის ვარამს –  
მხოლოდ შენი ლოცვით ვივლი,  
ვიდრე ბენვის ხიდზე ვდგავარ...





# ზუხაბ ლავჩიაშვილი

## მსხვერპლშეწირვა

ჯონ ფლეშბოტი ფირმა „იუპიტერის“ წარმომადგენელი იყო პერუში და კაცი-ჭამია არაკაგებსაც აქ გადაეყარა. „იუპიტერი“ ჰესებს აგებდა ანდებში, ფლეშბოტი კი ცხენით მიდ-მოდოდა კაშხლიდან საცხოვრებელ ბუნგალომდე, როცა ერთხელ ჰუნე დაუფრთხა და ჯუნგლში გაიტაცა. სამუშაოთა ზედამხედველმა შუბლი ხის ტოტს შეატაკა, უნაგირიდან ძირს ტომარასავით გადმოვარდა. გონდაკარგული არაკაგებმა იპოვნეს და ხის საკაცით დასახლებაში მიიყვანეს, ოღონდ არც თავიანთი საზარელი კერპისათვის შეუწირავთ და არც ცოცხლად შეუხრამუნებიათ, რალაი ტყვემ სიცოცხლე ძვირი დათმობით იყიდა: არაკაგებმა რომ კაცის მოხარშული ხორცი შესთავაზეს, უარი არ უთქვამს და, მართალია, ზიზლით, მაგრამ რამდენიმე ლუკმა მაინც შეჭამა...

არაკაგებმა თავისიანად მიიჩნიეს და აღარ დაუტყვევებიათ, რამაც ფლეშბოტს გაქცევა აფიქრებინა. რამდენიმე კვირა გეგმავდა გაპარვას და აჰა, მთვარის დღეობის ჟამს, ზემისას, დაფდაფების ბაგუნსა და კაციჭამიების ღრიანცელში იდროვა და სოფლიდან გასხლტა, სანაპიროს დაუყვა და ესპანურ დაბამდე მილასლასდა, შემდეგ ლიმამდე ჩააღწია,

საკონსულოში მივიდა და შინ დაბრუნება ითხოვა. „იუპიტერს“ კონტრაქტის განყვეტა წერილობით შეატყობინა და შტატებში სხვა კაცად დაბრუნდა: საზარელი ტრაპეზის მოგონება სულს უფორიაქებდა და აზრინებდა, ამიტომაც წელიწადზე მეტი ცნობილ ფსიქოლოგთან დაიარებოდა. ფსიქოლოგმა ურჩია, მემუარები ეწერა, – გულს მოგეშვებო... ფლეშბოტმაც მოგონებების აღნუსხვას მიჰყო ხელი და მალე წიგნადაც გამოცა. წიგნს არნახული წარმატება ხვდა წილად, თავად ფლეშბოტს კი სხვადასხვა შეკრებაზე ინვედნენ და ტელევიზიითა თუ რადიოთიც არაერთხელ მოუყოლია საზარელი თავგადასავალი; ეგ კია, ფრიად უცნაური ნაყოფი კი გამოელო ფლეშბოტისათვის სულის გამყინავი წარსულის გახსენებას – ჰონონარი ხომ დღითი დღე თუ ყოველ საათს ემატებოდა სახელსა და დიდებასთან ერთად და მოხერხებულ და მარიფათიან ხალხს კიდევ სხვანაირად ეხეირა მისი ამბით: ვილაც შნოიანმა საქმოსანმა იმ ადგილის მიმდებარედ, სადაც ფლეშბოტი ტყვედ იყო, სასტუმრო ააშენა და მსურველებიც ჯგროდ მიაწყდნენ ეგზოტიკურ სანახაობას, რალაი სასტუმროს მესვეურნი მუშტარს არაკაგებთან სტუმრობასა და მათი სისხლიანი რიტუალების იმიტა-

ციის ცქერასაც სთავაზობდნენ... ამოდ გაიძახოდა დაფეთებული ფლეშბოტი, კაციჭამიებთან ურთიერთობა ზნეობრივად ამაზრზენიაო, მაგრამ ვინ უსმინა!.. სასტუმროს შემოსავალი არ აკლდა, ტურისტული სააგენტოები ადგილების დაჯავშნას ვერ აუდიოდნენ და არაკაგებთან ვაჭრობაც არანაკლებ მოგებას აძლევდა წვრილ-წვრილ მენარმეებს. ვერავის რომ ვერაფერი შეასმინა, ფლეშბოტი გალოთდა, გაანჩხლდა, გუნება გაუფუჭდა და მალე ისე გარდაიცვალა, თავისი სახელის შემდგომ განდიდებასა და სასტუმროს ბიზნესის უფრო მეტად გაფურჩქენას ველარ მოესწრო...

საუკუნის დასაწყისში სასტუმროს ცნობილი ეთნომკვლევარები მიანყდნენ. მათში ერია პროფესორი თომპსონიც, სოციოლოგი, პროგრესისტი, ვინც ვრცელ ნაშრომს წერდა დემოკრატიული საზოგადოების განვითარების თაობაზე და არაკაგების ნახვაც იმიტომ უნდოდა, თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კლასების შერწყმა-გაქრობის გავრცელებული თეორია მათი მაგალითით დაესაბუთებინა – აქაოდა, ველურებშიც თავისებური დემოკრატიული წყობა არსებობსო. ლიმაში ლექციების წასაკითხად ჩასული უცებ შეკითხვების რკალში მოხვდა: დარბაზიდან ვილაცამ კანიბალიზმის შესახებ აზრი ჰკითხა და პროფესორმაც სავსებით პოლიტკორექტულად მიუგო, თითოეული ეთნოსის გამოცდილება კაცობრიობის კულტურის ნაწილია და კანიბალიზმსაც ისე უნდა შევხედოთ, როგორც ეგზოტიკურ მოვლენასო...

– ბატონო პროფესორო, გაბედავდით კი კაციჭამიებთან სტუმრობას? – კვლავ ჰკითხეს დარბაზიდან.

თომპსონს ლიმილმა გადაუარა სახეზე. ჩანს, პროგრესი აქ უცხო ხილი იყო...

– ცივილიზაცია ადგილს აღარ ტოვებს წარსულისათვის, – თქვა თითქოს მოწყალედ, – პროგრესი თვით ველურ და სისხლმწყურვალ ხალხებსაც ათვისინერებს...

სალამოს კი, ნაცნობ ოჯახში ვახ-

შმობისას, შეიტყო, აქვე, ახლო, კაციჭამია არაკაგები ბინადრობენ და მათთან სტუმრობა სრულებით უხიფათოდაც შეიძლებაო. თომპსონმა მასპინძლებს სასტუმროს მისამართი გამოართვა.

– ფრთხილად იყავით, ჯერალდ, მაინც კაციჭამიები არიან...

თომპსონმა კვლავ მოწყალედ გაიღიმა. არაკაგებთან სტუმრობა სასიამოვნო გართობად ეჩვენებოდა. ამიტომ მეორე დღესვე ანდებში გაემგზავრა, მაგრამ სასტუმროში თავისუფალი ნომერი არ დაუხვდა.

– დეპეშით უნდა გაგეფრთხილებინეთ, – უსაყვედურა ადმინისტრატორმა და დავთარი დახურა, რომელშიც თითის გაყოლებით ამოდ ეძებდა ცარიელ ოთახს, – უამრავი ხალხი ჩამოდის, ადგილი აღარ გვრჩება...

თომპსონმა ლამის გასათევი ითხოვა: თუნდაც საკუჭნაოში დავნევი ანდა დერეფანში, რადგან ძალიან დავილაღე და ლიმაში ამალამ ვერ დავბრუნდებო...

– აქვე ინდიელების სოფელია, – თითქოს ყოყმანით უთხრა ადმინისტრატორმა, – ბევრი მათგანი ჩვენს სასტუმროშიც მსახურობს მეზარგულად. უწყინარი ხალხია, ძვირსაც არ გამოგართმევენ. ფაცხას თუ არ იუკადრისებთ, ბიჭს გაგაყოლებთ...

თომპსონი დასთანხმდა და ბიჭთან ერთად ლამის ბინდში გავიდა. მალე სახურავის სისხლისფერი კრამიტი გამოუკრთათ მთვარის შუქზე. ესპანური ჰასიენდას ყაიდის სახლი იყო, დიდი ეზოთი და უკან რალაც საჩიხებით თუ შრამელებით. ბიჭმა მწვანე ეზო გაატარა და პარმალთან რალაც დაიძახა თომპსონისათვის უცხო ენაზე. კარი უხმაუროდ გაიღო, მასპინძელი გაილანდა. ჯმუხი კაცი იყო, გაურკვეველი ასაკისა, თმა მოკლედ შეეკრიჭა. თეთრკანიანს ჰგავდა სანიადაგო სამოსითა და ასევე სანიადაგო ვარცხნილობით, მაგრამ სიშავეში მდგარი, უკნიდან შუქით ოდნავ განათებული აქაურთა კერპივით ჩამუქებულიყო და მასავით სდუმდა.

პროფესორი მისკენ გაემართა, ხელი გაუწოდა.

- თომპსონი ვარ, - უთხრა მერე, - ლაპარაკობთ ინგლისურად?

- ცოტას, სერ.

- ოთახი მჭირდება ლამის გასათევად. ვახშამიც უნდა მომიზადოთ.

ინდიელი თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა და პასუხს უგვიანებდა. თომპსონი გაღიზიანდა და ის იყო, რაღაც მკვახე და უკადრი უნდა ეთქვა, მასპინძელმა უცებ რომ თავი დახარა, თითქოს მოსულს წყენას მიუხვდაო, და მორჩილად თქვა:

- შემობრძანდით, სერ.

საკმაოდ ვრცელ სასტუმრო დარბაზში მუშამბაგადაფარებული მაგიდები იდგა. კედლებზე ეგზოტიკური სამშვენისები ეკიდა. საძილე ოთახი დარბაზის გვერდით იყო. თომპსონმა შხაპი ისურვა. მასპინძელმა ის უკანა კარით კვლავ ეზოში გაიყვანა. აბანო საჩიხში იყო: შიშველ მიწაზე ხის დიდი როფი, გვერდით წყლით სავსე რკინის კასრით.

- წყალი თბილია, სერ.

თომპსონმა წყალში თითი ჩაყო.

- შხაპი არ გაქვთ?

- აქ ჯუნგლია, სერ.

- უცნაურია, -თქვა თომპსონმა, - საშხაპე მაინც გაგეკეთებინათ, ეს ხომ ადვილია.

მასპინძელმა ძლივსშესამჩნევად გაიღიმა.

- ფარდულს სხვა დანიშნულებითაც ვიყენებთ ხოლმე.

- უკეთ რომ მოგეწყობთ აქურობა, განა მეტი მუშტარი არ გეყოლებოდათ?

- აქ ჯუნგლია, - ჯიუტად გაიმეორა ინდიელმა, - შხაპი არ გვჭირდება.

პროფესორმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, თითქოს მასპინძელს წინდაუხედაობას უწუნებდა:

- აქ არაკაგების ნახვა შეიძლება თურმე. მითხრეს, სასტუმროსთან შეთანხმებით შესანიშნავ სანახაობას აწყობენო.

- რა სანახაობას, სერ?

- დიდი ხანია, ჯუნგლში მცხოვრები ტომების ცხოვრებას ვსწავლობ და მათი რიტუალების ნახვა მინდა.

- ეგ ადვილია.

- ადვილი?

- დიახ, სერ. მეც ხომ არაკაგების ტომისა ვარ.

- თქვენ?

- პატარაობისას მისიონერებმა მომნათლეს და მას მერე თეთრკანიანებს შორის ვცხოვრობ. ინდიელი ქალი შევირთე, აქ დავსახლდი, სასტუმროში დურგლად ვმუშაობ. ახლა თქვენიანი ვარ, სახელიც თქვენებური მქვია - ჯეკ სტროსი.

- მიხარია, ჯეკ. კავშირი თუ გაქვს შენიანებთან?

- კერძო ვიზიტორები დამყავს მათთან. სასტუმროში არცთუ ბევრი სამუშაოა და ზედმეტი ფული კი არავის აწყენს.

- მესმის შენი. ასე ვთქვათ, ეგ შენი პირადი ბიზნესია. მაშ, შევთანხმდით?

- თუკი ისურვებთ, სერ...

- ძალიან კარგი! მინდა, რომ ხვალვე გამინიო მეგზურობა.

- ხვალ? - მასპინძელი დაფიქრდა, - ვნახოთ, მგონი რაღაცას გავახერხებთ.

- სცადეთ, ჯეკ, ფულზე ნუ იფიქრებთ, მოვრიგდებით.

ბინდში უცებ ყვირილი მოისმა.

- ვინ ყვირის, ჯეკ?

- გუანაკო. ხვალ დღეობაა და ტანი თუ უგრძნობს.

- ტანი?

- დიახ, სერ, თქვენც იცით, ამ დროს რა ხდება ხოლმე...

- განა ცხოველთა დაცვის საზოგადოება არ გიჩივით?

ინდიელმა კვლავ ძლივსშესამჩნევად გაიღიმა.

- აქ ჯუნგლია, აკი გითხარით! ვახშამად რას ინებებთ? აქაურ კერძს თუ ევროპულ მენიუს?



ცივმა წყალმა და ყუათიანმა საჭმელმა თომპსონი გამოაცოცხლა, აქ ძილი სას-

ტუმროზე არანაკლებ ეამა. მასპინძლის შეპირებამაც გაამხნევა: ჯეკი დაჰპირდა, დილითვე არაკაგებთან წავალთო, და პროფესორმაც ბედნიერი ადამიანის უმფოთველობით ჩათვლიმა. ნაცნობმა ყვირილმა გამოაფხიზლა. გუანაკო ყვიროდა. პროფესორს ძილი გაუკრთა, გვიანლა მოხუჭა თვალი.

დილით, მართალია, მხნედ ადგა, მაგრამ მზე უკვე მალლა იყო. სიცხე მატულობდა. ხელ-პირის დასაბანად ფარდულს მიაშურა და იქ ჯეკი ნახა: ინდიელი მოტიტვლებულ მინაზე ზურგშექცევით იდგა ჩოქზე, ხელები აღეპყრო და რალაცას ღიღინებდა. წინ მოშავო, თითქოს გამურული პატარა ხის კერპი ედგა, რომლის გვერდითაც საკმეველი ბოლავდა.

მდგმურის დანახვისას წამოიზღაზნა და ლამის გაავებულმა მოიბოდიშა:

– მაპატიეთ, სერ, აქაური რიტუალია, გამგზავრებამდე ვასრულებთ ხოლმე. ვიზიტი ხომ არ გადაიფიქრეთ?

– არა, ჯეკ. განაგრძეთ, განაგრძეთ, ძალზე საინტერესოა.

– მოვრჩი, სერ. მზად ხართ? ხელ-პირს ეზოში დაგაბანინებთ.

– კარგი, ჯეკ, გადავიცვამ და უკვე მზად ვიქნები.

მზე კარგა მალლა იყო და ძალიან ცხელოდა, ნასაუზმევი და დასვენებული თომპსონი გამყოლთან ერთად ჯუნგლში რომ შევიდა. პროფესორს ეგონა, ტყეში სიარული სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ ორი მილიც არ გაევილოთ, ოფლი რომ წურწურით სდიოდა და ასავათებდა, იმის მიუხედავად, რომ ნელა მიდიოდნენ, ნება-ნება და ხშირადაც ისვენებდნენ, თან აქაურ ჩაის – მატეს სვამდნენ სითხის შესამატებლად; ნავსად, პროფესორი ხის ფესვს წამოედო და კუნთი გაიჭრა. ჯეკმა რალაც სალბუნი დაადო, მაგრამ თომპსონს იარა მანც ჯოჯოხეთურად ეწვოდა.

– მალე მივალთ, ჯეკ?

– ახლო ვართ, ცოტაც მოითმინეთ, პროფესორო.

ტყის სიჩუმეში უცებ გულის განმგმირავი ყვირილი გაისმა.

– ჯეკ, ვინ ყვირის?

– თუთიყუში, სერ, აქეთ დიდი თუთიყუშებია და ისინი ყვირიან. ადამიანის ნახვა უკვირთ და ერთმანეთს აფრთხილებენ.

– აი, იქ, ბუჩქებში ვინ დგას?

– არავინ, სერ, მოგეჩვენათ.

– როგორ თუ მომეჩვენა, ცხადად ვხედავ, რომ ინდიელია.

ჯეკმა შუბლი მოიჩრდილა.

– დიახ, სერ, ესენი არაკაგები არიან.

– რალას უყურებ მერე, დაუძახე... თუ მათი ენა აღარ გახსოვს!..

ჯეკმა უცნაურად შეხედა და უცებ გამყვიანად დაიყაშყაშა, სვავივით თუ არწივივით, და მყისვე ბუჩქნარიდანაც გაისმა საპასუხო ყვილი. მწვანე ტევრს შორის ლამის ტიტლიკანა, ხელშუბიანი, ლაფნის გვირგვინიანი ორი ყმანვილი აღმოჩნდა. ჯეკი მათ დაელაპარაკა. მერე პროფესორს მიუბრუნდა:

– ტივით გადავალთ მდინარეზე. სოფლამდე ასე უფრო მოკლე სავალია.

– ფეხი მტკივა, ჯეკ, სიარული არ შემიძლია.

– დამეყრდენით, პროფესორო, ტივამდე მიგიყვანთ.

– გმადლობთ, ჯეკ, არ მინდა შეგანუხოთ.

არაკაგებს ტივი მდინარის პირას მიემალათ, ზედ თუ არ გადაწყდებოდი, ვერც კი შენიშნავდი. თავად მდინარეც არ ჩანდა – დიდი, ყვითელი წყლის ზოლი ტევრში მდოვრედ და უხმაუროდ მიიზღაზნებოდა. პროფესორიც სწორედ სიჩუმემ შეზარა: ჯუნგლი ავად გასუდრულიყო, თითქოს ქვეყნიერება ეს-ესაა ამოდიოდა ქაოსის საშოდან და ჯერ ხმა ვერ გაეღო, ბგერა ვერ ეპოვნა... რალაც შეთქმულებას ჰგავსო, გაიფიქრა პროფესორმა და უფრო ჩამოეყრდნო ჯეკის მხარს. მეგზურილა ჰყავდა მხსნელად, ამას დანდობოდა, რაკი ხელუხლები ჯუნგლი რატომღაც აკრთობდა და აძაბუნებ-

და. ჯეკი კი მაინც ამისიანი იყო, როგორც გუშინ უთხრა თავად, მედგრად ედგა მხარში, ტივისკენ მიჰყავდა გზაბნეული ბავშვივით... მადლობელი ვარო, ლულ-ლულეებდა გულაჩვილებული პროფესორი და გრძნობდა, რომ ჯეკს მტკიცედ ეჭირა რკინის მკლავით, ნამდვილ ძმასავით ექცეოდა, მოყვასივით, ვინც გაჭირვების ჟამს არ უნდა მიატოვო... უსამართლობა იყო, ნუხელ რომ იეჭვა ჯეკზე, არცთუ სანდო კაცად რომ ეჩვენა, რაკი, სიტყვა-ძუნწი და ფლეგმატური, პროფესორს ის თვალში არ მოუვიდა... თურმე კაცი უბედურებისას უნდა გამოსცადო, მისი ნამდვილი ზნე და ხასიათი რომ გაიგო...

- გმადლობ, ჯეკ, უშენოდ, არ ვიცი, რა უნდა მექნა.

- მადლობად არ ღირს, პროფესორო, ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

ტივთან მათ კიდევ სამი თუ ოთხი ინდიელი უცდიდათ. ჯეკმა ძელებით შეკრულ ტივზე აიყვანა პროფესორი. ინდიელებმა ბაგირი ახსნეს. ტივი ნელა გაცურდა მღვრიე წყალზე. ინდიელები კიდესთან შეჯგუფულიყვნენ, თითქოს ჯეკსა და პროფესორთან სიახლოვეს ეკრძალოდნენ; ერთი მათგანი ორთაყვირს უსვამდა და ტივი დამრეცად მიჰყავდა გაღმა ნაპირისაკენ. თომპსონი სანახევროდ მინოლილიყო ძელებზე, დროდადრო მტკივან ფეხს ისინჯავდა. კუნთზე უკვე შეხმობოდა სისხლი და პროფესორიც შიშობდა, ვაითუ, ჭრილობა მომენამლოს და განგრენა დამენყოსო... გაეგონა, რომ ტროპიკებში იარა უფრო მალე მიზეზდება და ჯანჯლდება, ამიტომაც ნანობდა, სადღეინფექციო სითხე რომ არ წამოეღო თან...

- ჯეკ, მეშინია, ჭრილობა არ გამირთულდეს.

- ნუ შიშობთ, პროფესორო, სოფელში მივალთ და ყველაფერი გაგივლით. ჭრილობა არც კი გაგახსენდებათ.

- ჰო, მეც მაგის იმედი მაქვს. ინდიელები თურმე კარგი მკურნალები არიან. მგონი, ბალახეულით წამლობენ, არა?

ჯეკმა ფრინველივით გვერდულად შეხედა თომპსონს, თვალი მოუქურუხდა, დამარცვლით თქვა:

- გიმკურნალებთ, პროფესორო, დარდი ნუ გაქვთ, აკი გითხარით, მალე ყველაფერი დაგავინწყდებათ.

ტივი უკვე გაღმა ნაპირს უახლოვდებოდა. მწვანე ტევრს შორის გამოკრთოდა ინდიელთა ფაცხები, ჩაღის სახურავიანი ქობმახები, რალაც მესერი, სადგომები; თომპსონმა ნაპირს მომდგარი ტიტლიკანა ბალები დაინახა - თავისიანების დაბრუნება შეეცყოთ და უფროსებს ეგებებოდნენ, ოლონდ მდუმარედ, ყურად, თითქოს გნომები იყვნენ. ტივის ძგიდე ნაპირს შეეხო და ბავშვებმა უკან, სოფლისაკენ, მოჰკურცხლეს. პროფესორს გაუკვირდა.

- ჯეკ, ბავშვებს ჩვენი ეშინიათ?

- არა მგონია, პროფესორო, თუმცა ვინ იცის... გადმოდით, მოგეხმარებით.

ვინრო ბილიკით მალე ფართო მოედანზე გავიდნენ. ერთ მხარეს დიდი, პალმის ფოთლებით დახურული ორსართულიანი ღია გალერეა იდგა. ჯეკმა ხის კიბით მეორე სართულზე აიყვანა პროფესორი.

- ცოტაც მოიცადეთ, პროფესორო, და აქაურებიც მოვლენ, გიმასპინძლებენ.

- გმადლობ, ჯეკ, მაგრამ ფეხი...

- ნუ შიშობთ, ჯერ დავნაყრდეთ და მერე ჭრილობასაც მივხედავთ.

თომპსონს, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოეჩვენა მეგზურის ნათქვამი, მაგრამ, რაკი უკვე ენდობოდა, აღარ შეეკამათა, გრძელ ძელსკამზე მაგიდას მიუჯდა და იქიდან სოფელს გადახედა: იგივე ჩაღის სახურავიანი ქობმახები, ფაცხები, ძელურები...

- ჯეკ, იცი, რა ვიფიქრე, - წამოიწყო პროფესორმა და უცებ გაჩუმდა, რადგან მეგზური იქ აღარ იყო. როდის ჩავიდა გალერეადან და როდის დარჩა მარტო, თომპსონმა ვერ შენიშნა; სამაგიეროდ, არაკაგები დაინახა: თითო-თითოდ, ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ ქოხები-



დან და გალერეასაკენ მოეშურებოდნენ; მძიმედ ამოდინდნენ კიბეზე, ძელსკამზე სხდებოდნენ, ჩუმად, ბლვერით, თითქოს უცხოს ვერ ამჩნევდნენ... თომპსონი ცნობისმოყვარედ უმზერდა ინდიელებს, მაგრამ საინტერესო ვერაფერი შეამჩნია – ვერც მოხატულობა, ვერც მორთულობა, რაც ადრე სხვაგან არ ენახა. არაკაგები დაბალი ტანის, ნამდვილი პერუელი ინდიელები იყვნენ, თითქმის ბავშვური სიმაღლისა, გრძელთმიანნი, ფოსოებში ჩამძვრალი თვალებითა და წინ გამორჩილი ყვრიმალეებით. კანიც აქაურების ფერისა ჰქონდათ – მოყვითალო, ლამის ქარვისფერი. შუბლი ნაჭრის ან ლაფნის ზორტით გაეკრათ თმის შესაკონად, დალალები კი კაცსაც და ქალსაც ერთნაირად ჩამოშლოდათ მხრებზე. ქალებმა მაგიდაზე პალმის ფოთლები დააფინეს და ზედ კერძი დაალაგეს – მოხარშული ხორცის ლურთები და მცენარეთა ნაყოფი. ერთი „თეფხით“ თომპსონსაც დაუფინეს თავისი წილი კერძი, მაგრამ, ჭამეო, არავის უთქვამს და პროფესორიც უნდოდ იხედებოდა აქეთ-იქით, მეგზურს ელოდა...

გალერეაში ფრთებით მორთული ჭარმაგი კაცი აღმოჩნდა, – ალბათ ტომის ბელადი, რაკი იმის ნიშანზე არაკაგები ერთდროულად შეუდგნენ ჭამას. თომპსონი ისევ გაცბუნებული იცქირებოდა ირგვლივ, როცა ზურგსუკან ნაცნობი ხმა მოესმა:

– მიირთვით, პროფესორო, რატომ არ ჭამთ?

ჯეკი შეუმჩნევლად ამოსულიყო გალერეაზე და თომპსონს ახლა გვერდით ედგა. მისი ხმა უცნაურად ისმოდა, თითქოს ავტომატი ლაპარაკობსო; თითქოს ხმა თავისით ამოდინდა სიცარიელიდან, იოგების დაუძაბავად, ძალდაუტანებლად...

– ჯეკ, რად ნახვედით?

– სანახაობა გავამზადეთ, პროფესორო, აკი რიტუალის ნახვა გნებავდათ.

– რიტუალი? აჰ, კარგია, კარგი, მაგრამ ფეხი მანუხებს, ჯეკ, სასტიკად მტკივია.

– ნუ ნალვლობთ, პროფესორო, ხორცი მიირთვით, – ისეთი ბრძანების კილოთი უთხრა ჯეკმა, თომპსონმა უნებურად ხელი წაიღო ხორცის ნაჭრისაკენ და უნადინოდ მოციცქნა, მერე კი უცებ პირზე მიიჭირა თითები და ლუკმა მაგიდაზე დააგდო.

– ღმერთო ჩემო, ჯეკ, ეს რა არის?

– რა, პროფესორო?

– აი, ეს, ხორცი... – პროფესორს მწვანე ფერი ედო, თვალები ლამის გადმოსცვენოდა, – ამას შეხედე, ჯეკ!..

ჯეკმა იქედნურად გაილიმა და აგდებით თქვა:

– ეგ ზოტიკური საჭმელია, სერ, რა მოგეჩვენათ, არ ვიცი.

– კარგად დააკვირდი, ნუთუ ვერ ხედე?

– აქაური ტაპირის ხორცია, სხვა რა გგონია?

პროფესორი მაინც შეძრწუნებული დასჩერებოდა საჭმელს.

– ჯეკ, ადამიანის ხორცია, კაცის ძვლები ურევია, განა ვერ ხედავ? – დაიკვნესა მერე და მეგზურს მკლავზე მოეჭიდა, – ღვთის გულისათვის, გამიყვანე აქედან, ჯეკ!

– ჩუმად, პროფესორო, ამათ ეწყინებათ, – ჯეკმა მკლავი გაითავისუფლა და ოდნავ უკუდგა, შემდეგ ხმადაბლა უთხრა, – ლუკმა გასინჯეთ, მასპინძლებს თავი ისე უნდა მოაჩვენოთ, ვითომ კმაყოფილი ხართ.

– არ შემიძლია, გული მერევა... აქედან გამიყვანე!

მეგზურმა მიმოიხედა და პროფესორის ყურთან დაიხარა:

– ეცადეთ, არაფერი შეგამჩნიონ... ადექით და უკან გამომყევით. აი, ასე... კიბეზე ფრთხილად ჩამოდით. მკლავზე დამეყრდენით, ქოხში მიგიყვანთ.

– გმადლობთ, ჯეკ, – პროფესორი ლამის ატირებულყო, მეგზურს მკლავზე ეკონწიალებოდა და მთვრალივით მიბარბაცებდა ინდიელთა ქონმახებს შორის; გალერეას გასცდნენ და წამოაზიდა კი-



დეც: ხელით ქოხის გარე კედელს მიყრდნობილი ანთხევდა შიგნეულობიდან ბალღამივით მომწვანო სითხეს, ილორნკებოდა, ნარწყევი გულისპირზე ჩამოსდიოდა, მაგრამ თავად ამას ვერ ამჩნევდა – მისი გონება საზარელ შიშს მოეცვა და თითქოს უნდოდა, კაცის ხორცთან ერთად ეს შიშიც ამოერწყია როგორმე...

– ნავიდეთ, პროფესორო, – ჯეკი ისევ მხარში შეუდგა, როგორც აქეთობისას მოჰყავდა ჯუნგლში ფენნატკენი და მისუსტებული, და რომელიღაც ფაცხის კარი მოაღია, შიგნით შეიყვანა. – აქ დანექით, გამოშუშდით.

– გმადლობთ, ჯეკ, გმა... – თომპსონი ჩალაზე განვა და თავი უკან გადაუვარდა, – აქედან წამიყვანე, გთხოვ, მალე...

– სანახაობა, პროფესორო?

– არ მინდა, სუსტად ვარ, ფეხი მანუხებს... ექიმბაში მომიყვანე, ჯეკ, ხომ დამპირდი!

– წყნარად, პროფესორო, ნუ ხმაურობთ, ლაპარაკი გავნებთ, აკი ბევრი სისხლი დაკარგეთ.

– აჰ, სისხლი!.. არა უშავს, ჯეკ, ვივლი, ოღონდ მალე წამიყვანე აქედან.

ჯეკმა პროფესორს ჩალაზე ხელ-ფეხი გაუსწორა და კარისკენ უხმოდ წავიდა.

– ჯეკ! – შეჰყვირა თომპსონმა, – სად მიდიხარ? მტოვებ?

– მალე მოვალ, თქვენ კი, იქნებ, ნაუძინოთ, ძილი გარგებთ, – ჯეკმა კარი გაიხურა და თომპსონი მარტო დატოვა. პროფესორმა წამოიწია, მაგრამ მყისვე ისევ წამოაზიდა და გვერდულად დაეცა ჩალაზე, საჭმლის ნამუსრევი ამოარწყია, მერე გადაბრუნდა, გულზე მიცვალებულივით დაიკრიფა ხელები და გაყურდა, ქოხის ჭერს მიშტერებული. ძალზე სუსტად იყო, უჩვეულო ძალმიხდილობას გრძნობდა, თითქოს სასიცოცხლო ნიშატი ამოეცლია ვინმეს მისთვის; სულდაღებული მძიმედ სუნთქავდა და ამ დიდ გაოგნებაში ჩაეძინა კიდევ. ძილმა სხვა სამყაროში წაიღო, სადაც არც ინდიელები იყვნენ და არც კაცის ძვლიანის ჭა-

მა მოუნევდა... ბაგეზე ღიმი შერჩენოდა, მწარე სინამდვილის ანასხლეტი, სახეს ვაგლახად რომ უღმეჭდა და ნიღაბს ამსგავსებდა, მაგრამ თომპსონი თავის თავს ვერ ხედავდა და ამიტომაც ეგონა ძილი შვება, რომელსაც სასტიკი სინამდვილის კლანჭიდან უნდა გამოეხსნა თითქოს...



ფარღალალა კედელში ცეცხლის ანაშუქი გაკრთა და გარედან ყრუ ხმაურმაც შემოაღწია... ჯერ კიდევ ძილისშორის იგი ჩაესმა ეს ხმაური, შორეული წყლის ზათქს რომ ჰგავდა და ნელი-ნელ ახლოვდებოდა, თითქოს ღვარცოფი მოიწევდა და ტბორავდა გარშემო ყოველივეს... ოდნავ წამოიწია და ქოხის კედლებს შორის მკაფიოდ დაინახა ცეცხლის ანარეკლი, უკვე ჩამომდგარ ბინდში რომ ციალებდა; მერე ღრინაცელიც გაიგონა უფრო მკვეთრად და მიხვდა, არაკაგების ხმა იყო... ქოხის კართან მილასლასდა. ეგონა, ინდიელები მის საპატივცემოდ თავიანთ რიტუალს მართავდნენ და არც მოტყუვდა: სოფელი უჩვეულოდ გამოცოცხლებულიყო, ქოხებიდან მოედნისაკენ ანთებული მაშხალები მოიწევდნენ და ცეცხლის ზღვად ტბორდებოდნენ. სინათლის შუქზე კარგად არჩევდა ტანშიშველ არაკაგებს, თმა რომ გაეშალათ და ცეკვა-ცეკვით დახტოდნენ ღამით შემღვრეულ არილში. მერე რამდენიმე მაშხალამ ქოხისკენაც გადმოუხვია და კარში გამოსული თომპსონის დანახვაზე ინდიელებმაც სიხარულის ყიჟინა დასცეს, მყისვე აიტატეს... გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, უკვე მოედნისაკენ რომ გააქანეს და იქ შეყრილმა ხალხმაც ისეთივე ველური ყიჟინა დასცა მისი გამოჩენისთანავე... ესეც, ალბათ, რიტულის ნაწილიაო, გაიფიქრა პროფესორმა და არაკაგებმაც დაბლა ჩამოსვეს, მის გარშემო კი ადგილი მაშინვე მოცარიელდა. თომპსონმა წინ სამსხვერპლო ბოძი და მის გვერდით ფრთებით მორთული ინდიელი დაინახა. ბელადმა ხელი აწია, გააჩუმა არაკაგები, მერე რა-



ლაც დაიყვირა და მოედანიც აზრიალდა, აყმუვლდა. თომპსონს გულ-გვამში გაუარა ამ ხმამ, ხმამალლა შეჰყვირა:

– სადა ხარ, ჯეკ, მიშველე!

მისი ხმა უნუგეშოდ ჩაიკარგა ღრიან-ცელში... მარჯვედ და მჭიშნედ შეკრეს საბლით და ციმციმ მიაბეს სამხვერპლო ბოძს. არაკაგებს ტანმოხატული კაცი მოსცილდა და წინ დაუდგა. ჯეკი იყო, ოღონდ თეთრკანიანების სამოსი როდი ეცვა – სახე ველურივით მოეხატა, მარჯვენა ხელში მაჩეტე ეჭირა და მკერდზე ადამიანის მოკვეთილი თითების ფარლული ჩამოეკიდა.

– შენა ხარ, ჯეკ? სად იყავი, რატომ არ დამეხმარე? – პროფესორი ლამის ატირებულყო, თავს აქნევდა და ოჩანი ცხო-

ველივით აწყვეტას ცდილობდა, მაგრამ არაკაგებს მაგრად გაეკვანძათ საბლით, – მითხარი, რა ხდება, ჯეკ, რა ამბავია?

მეგზურმა გაიღიმა და თომპსონს სახე ისე მიუახლოვა, რომ პროფესორს ქონის სუნიც კი ეცა, ჯეკს რომ წაესვა ტანზე.

– ჩემიანებში ვართ, სერ, სულ ეგ არის.

– ეს კი რიტუალია, არა, ჯეკ, იმიტაცია, ხომ? აკი დამპირდი, სანახაობას გიჩვენებთო...

ჯეკმა მაჩეტე შეათამაშა ხელში, ისევ გაიღიმა და ნელა თქვა:

– მისიონერებსაც ასე ეგონათ, სერ, – მან უცებ ფრინველივით დაიყაშყაშა და მაჩეტეანი ხელი აწია, ჰაერი შეაზანზარა. არაკაგებმა ყიჟინით უპასუხეს.

ჯეკი მისკენ შემობრუნდა და, თითქოს ბავშვზე ზრუნავსო, უბოროტოდ თქვა:

– არ გეტკინებათ, პროფესორო, გპირდებით...

მარცხენით თმაში სწვდა, თავი გადაუწია. თომპსონმა კვლავ იგრძნო მძალე ქონის სუნი.

ჯეკის ხელში მოქნეულმა დანამ იელვა და მკერდს შეესო. თომპსონმა დაიკვნესა, მაგრამ ჯეკმა ძირს ჩამოცურება არ დაანება – თმით ეჭირა და კიდევ და კიდევ უნაცვლებდა დანას, სანამ გამოცდილი ყასაბივით არ ჩაუჭრა მკერდი და იქიდანაც უხვად არ გადმოჩქეფა სისხლის ნაკადმა. არაკაგები ყიჟინით და შეძახილებით ამხნეებდნენ. ჯეკმაც მალლა შემართა პირბასრი მახვილი და მძლავრი მოქნევით ახლა კისერში ჩასცა მსხვერპლს, ტანს თავი განაშორა, თმაჩაბლუჯული ჰაერში დაატრიალა, მარჯვედ გასტყორცნა ბრბოსაკენ, მერე მაჩეტე დააგ-



დო, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მსხვერპლის ქრილობაში ამოაწო და მთვარის შუქზე პირჯვარი მუყაითად გადაისახა...

### ჰოუ ნანა

– გესმის, ჯან?

კალთააკეცილი კარვიდან აღაღანებულ სტეპი ჩანდა. ველზე ცხვრის ფარა და ფაშატების რემა ბალახობდა. კარვის წინ ლარივით სწორი მდინარე მიედინებოდა, რომლის ორივე ნაპირიც ყვითელ ლელქაშს დაეფარა. გაღმა ნაპირას მოხუცი მწყემსი იჯდა და ნალვლიანად მღეროდა უცხო და გაუგებარ ენაზე. მდინარიდან ბაყაყების ყიყინი აღწევდა. ნაპირის გასწვრივ ბანჯგვლიანი ქოფაკი ქასქასით დასდევდა ბუზებს.

– რას მღერის, ნეტავ, ის კაცი?

– ჰგონია, რომ მოკვდება და დედას უხმობს...

– მოკვდება?

– სულელი მოხუცია... მჟავე კუმისით როცა გამოიბრუჟება, ბავშვივით დედას ეძახის...

კარვის სიღრმეში მზის სხივი ვერ აღწევდა. ახალგაზრდა ნოინი და მისი ყმანვილი ცოლი გვერდიგვერდ ისხდნენ და სახეში უყურებდნენ ერთმანეთს, რაკი სხვა მათ ვერ ხედავდა; გოგოს თურაშაულივით უღვიოდა ლოყები და ოდნავ გვრემან, შავ თვალებს ხანდახან ძირს ხრიდა... ნოინი ღიმილით შესცქეროდა ცოლს, ეტყობოდა, მოსწონდა მისი სიღამაზე – ტყუილად ხომ არ გაელო უზღვავი ურვადი პატარძლის მშობლებისათვის: უამრავი აქლემი თუ ცხვარი, ცხენის ძვირფასი აღკაზმულობა, მელიისა და სიასამურის ბენვეული... სიტურფის გარდა ნოინის ცოლს თვინიერი ზნეც დაჰყოლოდა, ოლონდ დარდი იცოდა, თუკი შორეული სამშობლო მოენატრებოდა.

– ცოდოა, – ქალი სმენად იქცა, მწყემსის სიმღერას მიაყურადა, მერე იქვე სუ-

რას მისწვდა და ფიალაში კუმისი ჩამოასხა. სურნელოვანი სითხე რაკრაკით ჩამოიღვარა, ქაფი მოიგდო. გოგომ ორივე ხელით აილო თასი და ქმარს მოწინებით მიანოდა.

ნოინი ისევ ღიმილით შესცქეროდა, თასიც ღიმილით გამოართვა და ხმაურით მოხვრიპა, კმაყოფილმა დააბოყინა, თასი ცოლს დაუბრუნა. გოგომ კვლავ მოიმარჯვა სურა კუმისის დასასხმელად, მაგრამ ქმარმა საჩვენებელი თითის აწვეით შეაჩერა:

– ზაა! კმარა!

ქალმა მაინც გააპილთუმა თასი, სურა დადგა და ქმარს დაჟინებით, უცნაურად შემოხედა:

– უთხარი, ჯან, მოვიდეს, კუმისი დალიოს!

– ის მონაა.

– ცოდოა, სხვაგან რომ კვდება.

ნოინმა მოწყვეტით, მსტვენავად გაიცინა.

– მონლოლის გული სტეპია, მაგის ქეყანაში კი თურმე მარტო ტყეებია, იქ კარავსაც ვერ გაშლი... არის კიდევ ბევრი წყალი, რომელიც ცრემლივით მლაშეა. განა აქ სიკვდილი არ უჯობს?

– მებრალება, ჯან!

ნოინმა თავი გადააქნია, მაგრამ აღარაფერი უთხრა, წამოდგა და ლელიანი-საკენ მხედრის მსუბუქი, ჩაუქი ნაბიჯით წავიდა. შორს, თვალსაწიერზე, ოდნავ მომალლო ბორცვები ჩანდა... იმ ქაჩაღორებს მოხუცი მწყემსიც გაჰყურებდა და სხვა ბორცვები და მთები აგონდებოდა. ჩაესმოდა წკრიალა ხმა, ფანდურის კვნესა და ცხადად ხედავდა მწვანე ეზოს, დაბურულ ბაღს; აყვავებული ცაცხვის ქვეშ ლეჩაქიანი ქალიშვილები ისხდნენ და მღეროდნენ:

„ჰოუ ნანა, დიდა ჰოუ ნანა, დიდა ვოი ნანი-ნა...“

როცა ცხენზე ამხედრებული ორლობეში ჩაივლიდა, მომღერალი ქალიშვილები ნატვრით თვალს აყოლებდნენ... მერე სოფლის მამასახლისი შემოაკვდა და ცივ,



შორეულ მხარეს გადაასახლეს... კატორ-  
ლიდან გამოიქცა... მონღოლმა მწყემსებ-  
მა ნახეს უდაბნოში დავრდომილი, შიმში-  
ლით მისავათებული...

„ჰოუ ნანა, დიდა ჰოუ ნანა, დიდა  
ვოი ნანი-ნა...“

დედა უმღერდა ხოლმე ხშირად... პა-  
ტარაობისას...

– დედა!

გვერდით ოდნავ ხმაურობდა წყალი,  
ლელიანში კოლოები წუოდნენ... მხოლოდ  
ცა იყო ჩუმი და უხინჯო... ყვირილი მო-  
ესმა. გაღმა ნაპირიდან ბატონი ეძახდა.  
მოხუცი გაჩუმდა. ნოინი დაიხარა, ქვა აი-  
ლო, ლელიანში ისროლა. ქვა ფშანში დაე-  
ცა, ქოფაკი დააფრთხო. ძაღლმა შეჰყეფა

და განზე გახტა, მერე მოხუცთან მიირ-  
ბინა, დრუნჩი მუხლზე დაადო და დაიყ-  
მუვლა.

– გაჩუმდი, აქბარ!

უკანა ფეხებზე დაყუნცული ქოფაკი  
მგელივით აჰყმუოდა ცას. ნოინი ჩაცუც-  
ქდა და ქვა ახლა ძაღლს ესროლა; ისიც  
წკავენკავით გაერიდა მოხუცს, კვლავ ლე-  
ლიანში შეძვრა. ნოინმა ხელები წყალში  
ნაჰყო, ჭუჭყი ჩამოიბანა. თავთხელში გა-  
რინდული ბაყაყი დაფრთხა, წყალში ის-  
კუპა და გაფარჩხულმა ჭინთვით გასცუ-  
რა ლელიანისაკენ...

„ვინლა მოუვლის ჩემს ცხვრებს“, –  
გაიფიქრა კაცმა და ჩაცუცქულმა ტყავის  
შარვალზევე გაიწმინდა სველი ხელი.

# ბუჩამ ჯანუხაშვილი



## ცვლილება

მტკივნეულია სახლის ცვლილება,  
მაგრამ ჩვენ მაინც გავალთ აქედან,  
ღმერთთან მანძილის შესამცირებლად  
დავემგზავრებით კუს ან რაკეტას.

თუ ჩავიტოვეთ სულში მხეცები,  
თუ მოვურყიეთ ფუძეს სიმაგრე,  
იმედს, რომელსაც აღარ ვეძებდით,  
მოვძებნით, მაგრამ ველარ მივაგნებთ...



ღამე... შემოდგომა...ყანჩელი...  
ბროცკი – ნაკითხული ასლიდან.  
ხვდები, დაინგრევი დარჩენით,  
ველარ გადარჩები წასვლითაც.

კედლებს ეხეთქები მწერივით,  
სავსე თანხმობით და არა-თი.  
ითვლი გადაგზავნილ წერილებს,  
ჯერაც ვერდანერილ ბარათებს.

ორთქლით დამძიმებულ მინაზე  
ხაზავ წარმოსახულ ფიგურებს,  
მთვარის ფრიგიდული სინაზე  
ლურჯი ფანჯრებიდან გიყურებს.

ძველი ფოთლებივით რიცხვები  
ისევ გროვდებიან ფარდებთან,  
რალაც თვითნებურად იწყება,  
რალაც უმიზეზოდ მთავრდება.

გინდა, შემოდგომის ქურდებმა  
მთვარეც მოიპარონ ჯართივით,  
თორემ უსაშველოდ რთულდება  
შენთვის ყველაფერი მარტივი.

ღამე... შემოდგომა... ყანჩელი...  
ბროცკი – ნაკითხული ასლიდან.  
ახლა თუ მოკვდები დარჩენით,  
ველარ გადარჩები წასვლითაც.



შენ ახლა დგახარ ფანჯარასთან და საკუთარი  
მობეზრებული ანარეკლის გავლით გადიხარ  
ვინრო ქუჩაზე, ბნელ ქუჩაზე, სადაც უცნობი  
ქალი ყვავილებს უმიზეზოდ ურიგებს ყველას...  
არ უნდა, ვინმემ შეამჩნიოს, რომ ისიც ღელავს,

ამიტომ მოკლე, კონკრეტული და გაუფრცობი  
წინადადებით მაშინათვე ასრულებს სათქმელს,  
ბოლოს კი, როცა უკანასკნელ მგზავრებს აცილებს,  
მისდევს წაღებულ ყვავილების მომჟავო სურნელს,  
გზად ორმოებში იხედება... ბუნკერებს, ურნებს

ტროტუარებზე აპირქვავებს, ფოთლის ნაწილებს  
ნავარჯიშევი მოთმინებით აგროვებს ერთად  
და, ვერახდენილ სურვილების და მცდელობების  
მიუხედავად, შეთქმულივით ქუჩაში გადის,  
ქალია, შენგან განსხვავებით, შუშის და ფარდის

უკნიდან არ სურს, დაეთანხმოს სულელ ობობას,  
ანდოს წვიმების თვითნებური წასვლა და მოსვლა  
ან ბაყაყებთან ათანხმებდეს ხვალინდელ ამინდს...  
რადგან მან იცის, რომ სარკესთან გრაფიტაციით  
ადამიანი საკუთარ თავს მხოლოდ დასცინის

და ასეთ ყოფნას ურჩევნია, გამვლელებს ღამით  
მიართვას თუნდაც დაგლეჯილი ყვავილის ტოტი,  
რომ გამვლელებმა პირველივე შემხვედრს მიართვან  
ეს ყვავილები და, უბრალოდ, უთხრან, რომ უყვართ!  
რომ მოულოდნელ შეგრძნებებით აავსონ უხვად...

თუმცაღა ხვდება, რომ ჩამოვლილ ადამიანთა  
უმრავლესობას არც კი ახსოვს, რა არის გრძნობა,  
და სულერთია, რას აჩუქებს – იფნებს თუ იას,  
ხშირ შემთხვევაში ან ჯიბეში აქცევენ ობად,  
ან სულაც იქვე, ტროტუარის ბუნკერში ყრიან.





ჩემი ფანჯრიდან დღეს აღარავინ  
 მოჩანს... არადა, ჯერ კიდევ გუშინ,  
 მინას ყვითელი თოვლი ფარავდა  
 და განურჩევლად: ვინც მიქარავდა,  
 ვისაც უყვარდა ან ძულდა გულში,  
 ნუხელ ნარჩენი თოვლით ირთობდა  
 თავს, გაყვითლებულ თოვლს კი ვითომდა  
 პირველი ფიფქის გააჩნდა ძალა,  
 ძალა, რომელიც მუდმივად კრძალავს  
 ჩვენს სახეებზე ყოველგვარ ტკივილს:  
 წყენას, ქალისგან ნათქვამ უარებს,  
 ცრემლებს, ცრემლებზე უფრო უარესს –  
 ადამიანის უცრემლო ტირილს  
 და ამიტომაც სურს, რომ ითოვოს  
 ხოლმე ამ თოვლსაც, ვიდრე თვითონაც  
 ასე თეთრია და უტყუარი,  
 რადგანაც მასთან ყველა უარი,  
 იმდენად სუსტი და უძლურია  
 როგორც ნოემბრის ტოტებზე ყუნწი...

აჰა, თენდება და უმოქმედო,  
 სიმდაბრეცილი ძველი გიტარა  
 კედლიდან მიმზერს და ფანჯრიდანაც  
 ვერაფერს ვხედავ, იმ გუნდის გარდა,  
 რომელიც ჩემი სამყოფლის კართან  
 აგდია, როგორც ამცდარი ტყვია,  
 ტყვია, რომელსაც ვერავინ მართავს  
 და უსარგებლოდ ნასროლი ჰქვია.

და როგორც ქარში პურის თავთავი –  
 უცებ ამტყდარი და უმართავი –  
 ამ სიმაღლიდან მკაცრი იერით,  
 მე მაჯებს ვუქნევ სიცარიელეს  
 და როცა „ქრება და კვლავ იელვებს  
 შენი მანდილი ამ უდაბნოში“,  
 ვჩერდები, ხელებს ვანყობ რაფაზე  
 და ჩემი ორქლით შექმნილ გრაფაში  
 ჯერ კიდევ ლურჯი და მიწიანი  
 შემაქვს შენივე მძაფრი სახელის,  
 შენივე მძაფრი ამოძახილის  
 თითო ბგერა და ინიციალი...

●  
რა რჩები დროისგან? უფრო იძულება –  
საკუთარ სიზმარში შედგე და მოგროვდე,  
ან გზაგასაყარზე, სადმე, მიწურებთან,  
დუმილი გაცვალო რეალურ ოქროზე,  
რამეთუ თანახმად შამანის პროგნოზის,  
ოდესღაც შენი დროც ამოიწურება.

სიკვდილის ამარა დარჩები ერთხელაც  
და, როცა მომდევნო ცხოვრების გარეშე  
გნახავენ, შურისგან ცა ამოენთხევით  
მტრების მოგზავნილებს და პირისფარეშებს,  
გნახავენ ბაქანზე როდესაც გალეშილს  
მათთვის ამოუცნობ ჰიბრიდს და შემთხვევას.

სად არის სასჯელი? – ფიქრის მიგრაცია,  
მორიგი შექცევა ზურგის – მეგობრისგან,  
ჩიტსაც ვერ მიუგდებ სხეულის ნაწილებს,  
დღემდე რომ ვერაფრით გამოგყავს მწყობრიდან  
ჩიტიც გაფრინდება, როგორც შემოფრინდა,  
წასვლამდე – უფრთებოს – შინ შემოგაცილებს.

ფრთებიც მოტეხვია, ენაბლუ თევზებთან  
თანამესაკუთრე თუ ხდები ნაკვეთის...  
სიცოცხლე ჰაერის ყლუპებით გევესება  
და გადარჩენისთვის არაფერს აკეთებ,  
შუბლით იგერიებ დარტყმებს სარაკეტოს,  
ჩრვევი ჩრდილების ხორციით ნახემსებას.

ჩრვევი რიგებს და ლითონის ხიდიდან  
ვარდნების სერიებს – შიშის დამგმობელთა...  
კაუჭით გიჭირავს სამყაროს სიდიდე  
და არქიპელაგის გამტიხვრელ ლობესთან  
ღმერთს ესაუბრები, რომელსაც მობეზრდა  
ამდენი სიჩუმე და ხმაურს გითითებს.

●  
შეივსო ჩემი ძველი დავთარი.  
განგაშის ზარი დაცდა კათედრალს,  
ისევ ავიდა ტახტზე ზამთარი  
და ყველაფერი გადაათეთრა.

ქალაქიც უცებ დატოვა სითბომ,  
დაინწყო თოვლი გაუფრთხილებლად  
და თოვლთან ერთად დაინწყო თითქოს  
ყველა შემცდარი კაცის მხილება.

შეგრძნება მქონდა, რომ თოვდა სახლშიც,  
თოვდა და თოვლით შენვე მკიცხავდი.  
და გაყინული მკლავების ნახშირს  
სურნელი ჰქონდა შენი სიცხადის.

მკვდარი სხივები ჰგავდნენ სადგისებს,  
მე კი ვტკეპნიდი ადგილს – მიზანთან.  
მერე შენც გაქრი და შენს ადგილზე  
სიცარიელე ამოიზარდა.

## ეზო თოვისას

... მაშინ ბავშვების ღრმა მოლოდინი ისმინა თოვლმაც, მაგრამ ცოტა ხნით...  
წამოიშალა თითო ლოგინი, დაცარიელდა ყველა ოთახი. შიშებიც უცებ დათმეს  
დედებმა...

აკრძალა თოვამ ზიზღი მეზობლის, სიცოცხლით, რწმენით და იმედებით გაივსო  
გული უმეტესობის. თოვლს გაუნოდეს ხელი ობლებმაც, სითბო რომ ეგრძნოთ  
ზამთრის ნეკიდან, სარეცხის თოკზე, მათი მშობლების გარდა, ყველანი გად-  
მოეკიდნენ და წრე, რომელიც ეზოს გარშემო დიდი წვალეებით შეკრეს მამებმა,  
თავად შეკუმშეს ისევ ბავშვების მოსანუსხავად და საამებლად, რომელთა თბილმა  
ხმამ და აურამ გაყვინთა თოვლიც და ეს კორიდა ხან ერთ საერთო დღესასწაუ-  
ლად, ხან ბრძოლის ველად ჩანდა შორიდან..

მაგრამ თამაში დასრულდა ამით, მობეზრდა ზამთარს მსგავსი მიდგომა  
და თეთრი თოვლის ყოველი გრამი უკან მიიხმო და გაითხოვა...

როდის გასულა ზამთართან თხოვნა?

ფრთებიც რომ ქვაზე დადონ ჩიტებმა, ის მაინც მიდის, მიდის და თოვლიც უჩი-  
ნარდება, და ინრიტება,  
და სანამ გული, დიდის თუ ბავშვის – გამდნარი! –  
ზამთრის დალატს ინელებს,  
გაკრთება ხოლმე ნისლების რკალში

მთა,

როგორც ზურგი დალმაცინელის...



შემოდგომაა.  
 ბუნების ყვითელი საბოტაჟი.  
 ცნობილი – ვისთვის ფოთოლცვენით,  
 ვისთვის – სიკვდილის ფერადი გაუტკივარებით.

შემოდგომაა, ნამდვილი შემოდგომა.  
 ზურგის ქარებით გაღუნთილი და არ მიყვარს...  
 არ მიყვარს, რადგან ნამითაც რომ გადაგახედა  
 ჩემი ტკივილის გლუვი წვერიდან,  
 დაინახავდი,  
 ამდენი ტყის და ფოთლების პატრონს  
 რაოდენ მწარედ მეტყობა ხოლმე ნოემბრის წასვლა...

ნოემბრის ირგვლივ რა იციან უდაბნოში  
 ან ქარის სქესი რა იციან...  
 გააყოლებენ ქარს ორას გრამ ხელოვნურ ფოთოლს  
 და აცილებენ, მათი ჭკუით, სახლში ნოემბერს.

გადაგახედა ჩემი ფიქრის გლუვი წვერიდან,  
 დაინახავდი, ამოიციცნობდი ქარის ბუნებას –  
 ქუსლებმოტეხილ ფეხსაცმელებით ხელში  
 ყვითელ ფოთლებზე ფეხშიშველი ისე გადადის,  
 როგორც ბოთლების ნამსხვრევებზე, მაგრამ არ იმჩნევს.  
 მაინც ამაყად უჭირავს თავი.

რა საჭიროა ქუსლიანი ფეხსაცმელი, შიშველი ტერფი..

როცა თამამად შეგიძლია, ქარების სქესი  
 თვალდახუჭულმა ამოიციცნო – ნებისყოფითაც.



მითხრეს – მოხვედი!  
 რომ გარეთ მიცდი, რომ დერეფანში  
 ის თოვლი დნება, შენ რომ შემოგყვა.  
 მეც გავიხადე ხელთათმანები და გამოვედი პოეზიიდან,  
 გამოვედი, როგორც ექიმი საოპერაციო ბლოკიდან,  
 პაციენტის ახლობლების დასამშვიდებლად.  
 გადარჩება? – არ მეკითხები, რადგან შენ იცი,  
 საოპერაციოში ექიმიც და პაციენტიც მე ვარ.  
 პოეზიის ღია ჭრილობით,  
 რომელი ჭრილობაც არ იკერება.

# ხათუნა გიბუაშვილი



## ლიახვისპირული

მკათათვე დულდა. საღამოობით რბილი ნიავი წამოუბერავდა ლიახვის ქალეზიდან და მზეში ნავლები სოფელი სულს ითქვამდა. ის დღეც ასე მოსაღამოვდა და ვარსკვლავებით რომ მოიჭედა ცარგვალის, თანაც აქედან ერთი განსაკუთრებით აკაშკაშდა – ელისაბედმა ბიჭი გააჩინა. ისეთი ბიჭი იყო, რომ იტყვიან ვარსკვლავებს ეთამაშებაო. თვალეზი ჰქონდა – გეგონებოდა ამ სამყაროსი სულ ყველაფერი იცისო და მხარ-ბეჭი კიდეც, ფრთაგაშლილი არწივივით ლალი. მერე, დიდობაში შეარქვეს კიდეც არწივა.

მანამდე კი ელისაბედი შეხვდა სამსონს. ეს ის შემთხვევა იყო, სამყაროში ორი ლამაზი სული და სხეული რომ ივლიან, ივლიან და სანამ ერთმანეთს არ შეეყრებიან, მოსვენებას ვერა პოულობენ.

სამსონი მასწავლებლად გაგზავნეს პროვინციულ ქალაქში. ქალაქი პატარა იყო და ახალმოსულს, თანაც სამსონის გარეგნობის კაცს, უყურადღებოდ ვინ დატოვებდა. ახოვანი კაცი იყო სამსონი, სწორად ჩამოსხმული. ნაბლისფერი უღვაში უმშვენებდა სახეს, მაგრამ მთავარი მაინც თვალეზი იყო. მტკიცე ფოლადისებური მზერა ჰქონდა, გაღიმებისას კი სიყვარულს და სიტბოს ასხივებდა. თმა

ტალღოვანი და უკან გადავარცხნილი. შავი ჩოხით დადიოდა და თეთრი ახალუხი განსაკუთრებულ სიციცხალეს აძლევდა. ისე მღეროდა, ამბობენ ძვლები უდნებოდათ მის მსმენელებსო. ცეკვავდა – მერცხალივით. უკრავდა ვიოლინოზე და კლარნეტზე. ხატავდა, ბატონო, და მეტი რა ენდომებოდა ჩვიდმეტი წლის ლამაზ გოგოს, რომელსაც ოჯახისშვილობიდან გამომდინარეც ხშირად უწევდა სამსონის ნახვა. ელისაბედის მამა საგზაო ინჟინერი იყო და რადგანაც მდგომარეობაც ხელს უწყობდა, ძიძა-მოახლეებით სავსე იყო სახლი. ხელისგულზე ზრდიდნენ ელისაბედს. ჰოდა, შეუყვარდა ლამაზ გოგოს სანაქებო კაცი და მამამაც ვერაფერი გააწყო, თუმცა ძალიანაც უნდოდა, ქალიშვილი ვინმე უფრო წელმაგარი კაცისთვის მიეთხოვებინა.

ერთი სიტყვით, დაინერეს ჯვარი სამსონმა და ელისაბედმა და წამოიყვანეს ლამაზი ქალი ქართლში. მზითევიც უხვად მოაყოლეს ელისაბედს და იმ მზითევიში თოჯინებიც ერია.

ელისაბედი სიყვარულით იყო სავსე, გარშემოც შეყვარებული თვალეზით იყურებოდა და, რა თქმა უნდა, ვერც წარმოედგინა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო მომავალში. თანაც, მომავალი ისე შორს იყო...

სამსონმა და ელისაბედმა თავიანთ სახლში სკოლა გახსნეს. დაუდიოდან ახლომახლო სოფლების ბავშვები და წერაკითხვას ასწავლიდნენ.

თერთმეტი შვილი გაუჩინა ელისაბედმა სამსონს. ათი ვაჟი და ერთი ქალი. თუმცა ცხოვრება არც ისეთი მზიანი გამოდგა და თერთმეტიდან ხუთი – სულ პატარები დაუბრუნდნენ სამყაროს სანყისს. თითქოს უნდა მოეტეხა ასეთ ჭირს ცოლ-ქმარი, მაგრამ ყოველივეს, რაც მათთან ხდებოდა, ჩვეულებრივად იღებდნენ და თვალის კი გაუსწორეს იმ ულმობელ სიკვდილს, დროდადრო მათი სახლის ზღურბლზე რომ ჩერდებოდა სულის მოსათქმელად.

ბიჭები დარჩათ: ბორისი, ელიზბარი, ბიძინა, გურამი, ქაიხოსრო და, მეექვსე ჯერ კიდევ დედის გულსამოფარებული მშვიდად რომ სუნთქავდა – მოულოდნელად ისევ ეწვიათ სიკვდილი. სამსონისთვის შემოიარა. ხუთი შვილი და კიდევ ერთი მუცლად. ჰეე, ძნელია უმამობა. დარჩნენ ბიჭები დედისამარად. ელისაბედს კიდევ ლიზა დედა დაერქვა უცებ და შერჩა კიდევ ეს სახელი. ყველა ასე ეძახდა. შვილები – დედაო, კი არ იტყოდნენ! ლიზა დედაო – ამბობდნენ. მეზობლები და ახლობლები. მერე შვილიშვილები, რძლები და სიძეები, შვილთაშვილები და კიდევ მათი შვილები. ელისაბედი თუ ერქვა, აღარც ახსოვდა არავის.

ჰოდა, დადიოდა შავად მოსილი ლიზა დედა ეზო-კარში, გულქვეშ აჩურჩულებულ ბავშვს უსმენდა და იცოდა, რახან სამსონი წავიდა, ისევ სამსონი მოვიდოდა.

ცისკრისვარსკვლავისას გაჩნდა სამსონი. ღიმილს აბრდღვიალებდა თვალეზიდან. კაცობაშიც სულ ასეთად დარჩა, თაფლისკაცად.

სკოლა სახლიდან გადაიტანეს და ისევ შეუდგა ლიზა დედა თავისი და სხვისი ბავშვების სწავლა-განათლებას.

მძიმე დრო იდგა. ისე, დრო სულაც ყოველთვის მძიმეა ხოლმე. თუ გაჩერ-

დი და მხრებზე დაგანვა, ისე გაგსრეს, ძვლები აღარსად დარჩება შენი. მაშინ ყველას სციოდა და შიოდა. ობლებს ხომ მითუმეტეს. სამი უფროსი ვაჟი, თუმცა ჯერ ისევ პატარები იყვნენ, მაინც მყარად ედგა დედას მხარში. თუმცა რა არის გამრჯე, მაგრამ პატარა ხელები იმ უზარმაზარ დიდთვალეზიან შიშთან და შიმშილთან.

სალამობით დასხამდა ლიზა დედა შვილებს და ამღერებდა. ეს კიდევ ისეთი რამეა, როცა მღერი და თან ისე მღერი როგორც პატარა კაცები მღეროდნენ, შიშის კუდამოძუებული გარბის სახლიდან და შიმშილიც, მართალია, ზანტად, მაგრამ მაინც ტოვებს იქაურობას, იმიტომ, რომ მშიერ ბავშვებს სიმღერ-სიმღერაში ეძინებოდათ. მერე ჩაძინებულებს დედა უმღერებდათ უტკბილეს „ნანას“ და გულმოკლული წვებოდა ქალი... რაღაცნაირად სიზმრებიც ტკბილი არ მოდიოდა. ყოველ გაფაჩუნებაზე გამოიღვიძებდა ლიზა და ხმადაბალ ღიღინს იწყებდა:

*ნანინააა, ნანააა, ნანინაააა,*

*ნანინინააა, ნანააა, ნანინინააა...*

გაზარდა ლიზამ შვილები. ვაჟკაცები დადგნენ ბიჭები. ცხოვრებაც მიდიოდა. დრომაც გაილაღა და ხან ფიანდაზებად იშლებოდა, ხანაც ეკალ-ბარდებად იქცეოდა. ბიჭებიც უკვე კაცები იყვნენ და, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ცოლ-შვილი ჰყავდა ექვსივეს, ლიზა დედა მაინც მთელი ოჯახის დედა იყო და განსაკუთრებული რიდი და მოწინება სულ თან დაჰქონდა დიდ-პატარას. შეიყრებოდნენ ერთად რომელიმე ძმასთან, გაავსებდნენ სახლსა თუ ეზო-კარს და მთავარი, რისთვისაც სული უკანკანებდათ სიმღერა იყო. დასხდებოდნენ ეს დევებივით კაცები და შეეძლოთ მთელი დღე ან უფრო მეტიც გაუჩერებლად ემღერათ. გასუსული უსმენდა მათ სიმღერას დიდი თუ პატარა, ნათესავი თუ მეზობელი და მეტსაც გეტყვით – უზარმაზარ კაკლის ტოტზე ჩამომჯდარი დროც თავგზას კარგავდა თითქოს და ფოთლებიც კი



წყვეტდნენ შრიალს. ლიზა დედაც მათთან იჯდა და მკაცრი გამომეტყველებით უსმენდა შვილებს. თვალეში გამკრთალ სიხარულს კი მაინც ვერ მალავდა და იჯდა ასე, დედის მარადიულ ხატებასავით, ხან მგრგვინავი და ხანაც მოჩურჩულე ჰანგების გვირგვინით თავზე.

ზაფხულის ერთ მშვიდ საღამოს გარდაიცვალა საუკუნეს მიღწეული ლიზა დედა. ტიროდნენ კაცები, სულაც არ ერიდებოდათ ცრემლის. მერე კი, მერე – ექვსივემ ბუმბერაზ მხრებზე შეიდგეს

ციცქნა კუბო და უმოწყალოდ გათხრილ სამარემდე ხელში ატატებული, სიმღერით მიიყვანეს დედა. „ნანას“ მღეროდნენ, მთავარ სიმღერას.

ყოველ ზაფხულზე იები ამოიშლებოდნენ ხოლმე ლიზა დედას საფლავზე. გარშემო კი ფურისულები აფრქვევდნენ სინაზეს.

ძალიან მინდა ვიცოდე – იქ, იმ სიზმარივით დაკარგულ სოფელში, საფლავებზე ისევ ამოდის იები, ნეტავ?

## ფოსტალიონი

პენსიაში გასვლამდე ფოსტაში ვმუშაობდი. ვაგროვებდი ყუთებში ჩაყრილ წერილებს და კანტორაში მიმქონდა. იქიდან კი ჩემ კუთვნილ უბანში დასარიგებელი ბარათები მომქონდა და ისევ საფოსტო ყუთებში ვყრიდი. მთელი სიცოცხლე ამ საქმეს ვაკეთებდი და მიყვარდა კიდეც ჩემი საქმიანობა. ხანდახან ჩემთვის, სქელ ნაცრისფერყდიან რვეულში მოთხრობებსაც ვწერდი. მერე, გადაკითხვისას კი ვხვდებოდი, რომ დიდი ვერაფერი შვილი იყო ჩემი მოთხრობები, მაგრამ მაინც ვწერდი. მოთხრობების გმირები ძირითადად ჩემ მიერ მოგროვილი წერილების ავტორები იყვნენ. რასაკვირველია, სულაც არ ვიცოდი, ვინ რას წერდა იმ წერილებში, მაგრამ სახელები, გვარები და მისამართებიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჩემი ფანტაზიისთვის ფრთები შეესხათ. ეს იქით იყოს, ჩემი მოთხრობების მოყოლას სულაც არ ვაპირებ. ერთი ამბავი უნდა გაიმბოთ, რომელიც მრავალი წლის წინათ მოხდა და დღემდე მოსვენებას არ მძლევს.

შემოდგომის ბოლო იდგა. ფოთლები სულ დაებერტყათ ჭადრებს და სქელ ხალიჩად ეფინა ტროტუარებზე. ატლასის მწვანე კაბაში გამოწყობილი მეეზოვე დიდი მონდომებით კი გვიდა ქუჩას, მაგ-

რამ რას მოერეოდა ერთი ქალის ცოცხი ამოდენა ფოთოლცვენას. ჩემი უბნის საფოსტო ყუთებს ჩამოვუარე, მოვაგროვე წერილები და, ჩვეულებრისამებრ, მისამართებსა და გვარ-სახელებს გადავხედე. ერთი კონვერტი უმისამართო იყო. არც გამგზავნის მისამართი ეწერა და, რაც უფრო საკვირველია, არც იმისი, ვისთვისაც იყო განკუთვნილი. განაწესის მიხედვით, ასეთი წერილიც ფოსტაში უნდა მიმეტანა, მაგრამ პირველად ჩემს სიცოცხლეში განაწესს გადავუხვიე და უმისამართო წერილი გულის ჯიბეში ჩავიდე. სამუშაო დღის დამთავრებამდე ვერ მოვახერხე, გამეხსნა და წამეკითხა. არადა, საოცარია, ისეთ სიმხურვალეს გამოცემდა წერილი, რომ გულსაც მთბობდა თითქოს.

სახლში მივედი, ჩაიდანი ცეცხლზე შემოვდგი და სკამზე ჩამოვჯექი. ამოვიღე კონვერტი და ჯერ გარედან დავათვალიერე. ჩვეულებრივი კონვერტი იყო, მოყვითალო ფერის. ისეთი, როგორიც უამრავი შემხვედრია ჩემი მუშაობის მანძილზე. მარკაც ეკრა ზედ. რალაც ყვავილი – მგონი კაქტუსის. ჩაფიქრებული ჩაიდნის ხმამ გამომაფხიზლა. ჩაი დავისხი და წერილს მივუბრუნდი. სინათლეზე გავხედე. ჩანდა, რომ შიგნით ფურცელი იდო. დანა ავიღე და ფრთხილად გავხსენი. ერთი



ნამით სირცხვილის გრძნობა შემომენტო, სხვისი წერილების კითხვა არ მჩვეოდა, მაგრამ მერე თავი დავირწმუნე, ცუდს არაფეს ვაკეთებ-მეთქი და კონვერტიდან ბარათი ამოვიღე. ჩვეულებრივი რვეულის უფროსი ფურცელი იყო, შუაზე გაკეცილი. ერთი გვერდი მაკრატლით ჩაესწორებინათ. კითხვისას ხელი მითრთოდა და ჩაიც სულ დამავიწყდა. სრულად დამოვწერ, რა ეწერა იმ წერილში, რომელმაც ასე ამაღელვა და გადამანყვეტინა, თქვენთვის მომეთხრო მის შესახებ.

„მთელი საუკუნეა დავხეტილობ. მოვიარე ზღვა და ხმელეთი. დავხეტილობ და გეძახი. შენი სახელი ყველამ გაიგო ამ სამყაროში. უკვე ვარსკვლავებიც მებმარებიან, მგონი, რათა გიპოვნო. აბა, სადა ხარ... ან თუ ხარ, ნეტავ, ჯერ საერთოდ. არადა, ვგრძნობ, რომ ხარ. თავს არ გაცოდებ, მაგრამ მინდა გაიგონო, ჩემთან მოხვიდე და გამითბო გათოშილი ყინვით

თითები. თუ მზიანია ეს დღე და ღამე, ვიცი – შენია. ეს ვარსკვლავებიც, ვიცი, მხოლოდ შენ გამორჩილებენ. გეძახი, მოდი! მაგრამ არ ჩანხარ. ქვა-ლორღად იქცა ჩემი გული ამდენ ძებნაში. და ზუსტად ვიცი, გაცოცხლება შენ შეგიძლია.

თუმცა იცოდე, დაგეშილი ვარ ნადირივით. ყნოსვით მოგაგნებ. დაგენაფები მონყურებული, მერე აგავსებ. და შენ იქნები მთელი სამყარო, თვით მზე და მთვარეც...

დრო კი, დრო მიდის, მიიხვეტავს გულის ნაფლეთებს და გაიგონე, დროზე მოდი, რათა დაცლილი და უგულო არ დაგხვდე მერე. გიორგობისთვე 16.“

გაოგნებული დაყურებდი წერილს. ასეთი რამ ჯერ არ წამეკითხა. მერე ვცადე, კალიგრაფიით ამომეცნო, ქალი იყო ავტორი თუ კაცი. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მაგის გამოცნობის თავი არ აღმომჩნდა. წერილი გრძელი ასოებით იყო ნაწერი. სწორად იდგნენ ასოები და შორიდან შეიძლებოდა ნოტებადაც მოგჩვენებოდათ.

მეორე დღეს მოუთმენლად ვეცი საფოსტო ყუთს, მაგრამ მსგავსი აღარაფერი დამხვედრია. ასე გავიდა მთელი კვირა. დადგა ისევ ორშაბათი. ხუთიოდე წუთი მეეზოვეს გამოველაპარაკე. მიყვარდა მასთან საუბარი. მელაპარაკებოდა აიშა და თან ცოცხს არ აჩერებდა. ყოველ შეტრიალებაზე ნაკეცებიანი ქვედაკაბის ბოლო მარაოსავით იშლებოდა. პრიალა ძაფებით მოქარგული თავსაფრით ჰქონდა თავი გაკრული და ყურებზე ოქროს ბურთები უცეკვავდა. ყოველი გამოლაპა-

რაკებისას აიშას სულ ერთი რამ ჰქონდა საჩივლელი, – თუ როგორ სწრაფად უპატარავდება მის რვა შვილს ფეხსაცმელი.

– ღმერთიც გიშველის, აიშა, ერთმანეთის გამონაცვალა ჩააცვი... – ერთი და იგივეს ვპასუხობდი მეც.

– ეგრე ვშვრები, ოქრო, ეგრე!.. – ერთსა და იმავეს მპასუხობდა ისიც.

საფოსტო ყუთები დავცალე და უმისამართო წერილი ისევ დამხვდა. მთელი დღე საღამოს მოსვლას ველოდი და სახლში მისულმა სასწრაფოდ გავხსენი კონვერტი.

ახლა ბარემ გეტყვით, რომ ყოველ ორშაბათს მხვდებოდა წერილები. მეც ვინახავდი და საღამოს მოწყურებულივით ვკითხულობდი. ასე დამიგროვდა უცნობის წერილები და ახლა თანმიმდევრობით გაგაცნობთ. წერილებს დავარქვი –

### „ბარათები ფოთოლცაენიდან“.

„წასვლას ვაპირებ. სადმე წასვლას. სულაც არ ვიცი, საით წამახეტებენ ჩემი მოუსვენარი ფეხები. ახლა ვილიმები და ისე გწერ. ფანჯარასთან ხე დგას. ბებური ჭადარი. ფოთლები დაიბერტყა, მაგრამ ტოტები მაინც დახუნძლული აქვს. შორიდან გეგონება ხმელი ფოთლები შეინახაო ხემ. გინდა ეს ფოთლები ავაჟივყო? აი, უსმინე... ფანჯარას ვალებ და ჩიტივით ვუსტვენ. ხმელი ფოთლები ჟივჟივს იწყებენ. ბელურები... ისევ ვილიმი, არა, ვიცინი... მიყვარს ასე აჟღურტულეული „ფოთლების“ მოსმენა. ახლა გამახსენდა, ორიოდ თვის წინ ქუჩაში, მტვერში ისე სასაცილოდ გორაობდნენ ბელურები...“

მგონია, შენ ჩემი ბელურა ხარ. გხედავ კიდევაც, ჩემს ხელისგულებში როგორ ინაბები. ეეჰ, ახლა მეყოფა. წავალ, ყავას გავიმზადებ. მინერალური წყალიც უნდა მქონდეს... თურქული ყავა და მინერალური წყალი ჩემი ერთ-ერთი სიამოვნებაა იმ მცირეთაგან, რაც შემოიძლია ჩემს თავს მოვუნყო. და სიგარეტი.

სიხარული დგას გარეთ. ზამთრისპი-

რული სიხარული. ქალაქი ნაცრისფერ-ვარდისფერი რომ არის ხოლმე. ჯერ რომ არც ცივა, მაგრამ მაინც ქურთუკს ჩაიცმევ, კაშნეს მოიხვევ და რალაცნაირად გაყურსული ქუჩებს გაუყვები. მოდი ჩემთან. გიორგობისთვე 23“.

„ძალიან მიყვარს ორშაბათი. რალაცნაირი ფუსფუსა დღეა. ქუჩაში გავდივარ დილით ადრე და ვუყურებ, ქალაქი როგორ იღვიძებს. განსაკუთრებულად იღვიძებს ქალაქი ორშაბათობით. ამ ქუჩის კუთხეში ერთი ხე დგას. ფართოვარჯიანი. მგონი თელაა. არა, მაინც რამ მოიყვანა აქ, ამ ქალაქში თელა. ისეთი ძლიერია, რომ ვუყურებ, მეც ენერგიით ვივსები. ის ელოდება, როდის გიპოვნი. ხეებმა ხომ ყველაფერი იციან... უნდა გიპოვნო და მერე, მერე თუ მოისურვებ, ეს ხე შენიც იქნება. ორივეს ხე.“

დღეს ქალაქი ვარდისფერია. ხიდიდან გადავყურებ ძველ უბნებს. მზის მკრთალი სხივები ტეხილად არღვევს ვარდისფერ ნისლს და რალაცნაირი გაფანტული სინათლე დგას. მიყვარს ეს დღე. მზეს ავხედე და ოდნავ პრიალებს. აკვარელით შესრულეულს ჰგავს ქალაქი. გამჭვირვალეა მთლად. მოდი და ეს ქალაქი ერთად მოვიაროთ. გიორგობისთვის 30“.

„მთვარის შუქმა გამაღვიძა. ისე კაშკაშებდა, მგონი, ძალიან ახლო იყო დედამინასთან. ველარ დავიძინე და ღამეული მანქანების ხმებს ვუსმენდი. მერე წიგნი ავიღე და ისევ დავდე, გული ვერ დავუდე. სადღაც ახლოს კატა აკნავლდა. მაგრამ, მგონი, პატარა ფისო უფრო იყო, ისეთი ხმა ჰქონდა, სუსტი... სადღაც ახლოს კი არა, ზუსტად ჩემი ფანჯრის ძირში იჯდა, პირდაპირ მომჩერებოდა და საცოდავად კნაოდა. ჩავიცვი, ჩავედი და ამოვიყვანე. რძე მქონდა მაცივარში და გავუთბე. სულელი ფისო, ისე შიოდა, ლამის რძიან ლამბაქში დაიხრჩო. არ ვიცი, გოგოა თუ ბიჭი, მაგრამ მე მატყილდა დავარქვი. ერთიანად ნაცრისფერია და თაფლისფერი“

თვალეები აქვს. ჰოდა, ვცხოვრობთ ახლა მე და მათილდა ამ სამყაროში ერთმანეთის ანაბრად. ქრისტეშობისთვე 7“.

„ზამთრისპირი. თან წვიმს. მე და მათილდა ერთად გავყურებთ წვიმაში მოლივლივე ქუჩას. და გელოდები... დეკემბერია, 14“.

„აი, ასე ვწერ ამ წერილებს და მერე ხმამაღლა ვკითხულობ. ხმამაღლა კი იმიტომ ვკითხულობ, რომ მჯერა – არც ერთი სიტყვა არ იკარგება სამყაროში. თანაც მჯერა, ეს სიტყვები აუცილებლად მოაღწევს შენამდე. თუმცა ისიც არაა გამორიცხული, როცა მოაღწევს, მე ძალიან მოხუცი ვიყო. ან სულაც აღარ ვიყო. ახლა ისეთ გუნებაზე ვარ...“

ქარი ქრის. აცივდა უკვე. გავალ, ქუჩაში ვიხეციალავ. მერე კაფეში ერთ ფინჯან ცხელ ჩაის დავლევ კონიაკთან ერთად. ერთი კაფე მიყვარს. სულ იქ შევდივარ. უბრალო კაფეა, არაფრით გამორჩეული, მაგრამ შევეჩვიე, მყუდროა და თბილი. ისედაც, ამ ქალაქში სულ ერთი-ორი კაფეა, დიდი არჩევანი მაინც არა მაქვს.

ერთი ქალი შემოდის ხოლმე ხშირად. გაზეთებს აგროვებს. არა, კოლექციას კი არა, ისე აგროვებს, თავისთვის. არც არაფერში სჭირდება. ორი უზარმაზარი ჩანთა უჭირავს – გაზეთებით დატენილი. ერთიც ზურგზე აქვს მოკიდებული. მთელ ქალაქს ფეხით უვლის, სად არ შეგხვდება და დაქანცულია იმ გაზეთების თრევიტ. სახე აქვს დაღლილი, დაღლილი... თვალეებიც უსაზღვროდ სევდიანი. არავის ერჩის. ეს ერთი ყინი აქვს, გაზეთები შეაგროვოს და ქუჩა-ქუჩა ატაროს. მისგან არც ერთი სიტყვა არ გამიგონია ჯერ. ერთხელ ვკითხე, რად გინდა ამდენი გაზეთი-მეთქი, კაფეში იჯდა და წყალს სვამდა. ისვენებდა უფრო. შემფოთებულმა ამომხედა, მერე მოჰკიდა თავის ჩანთებს ხელი და ფეხებთან ახლოს მიიწია. ნელა დალია თავისი წყალი, ვილაცის მიწოდებულ კექსის ნაჭერს ზედაც არ შეხედა და წავიდა. ნეტავ,

რას ეძებს. რა ფიქრები უტრიალებს თავში. არ ვიცი ეს მე და, სავარაუდოდ, ვერც ვერასოდეს გავიგებ.

მატილდა მეძახის, ეტყობა, შია. მერე კი წავალ, ვესტუმრები ჩემს მყუდრო კაფეს. დეკემბერია, ქრისტეშობისთვე 21“.

„დღეს ოცდარვა დეკემბერია. ახალი წლის მოლოდინში ფუსფუსებს ქალაქი. ისე, წელს ძალიან ადრე დაიწყეს საახალწლო მზადება. ნეტავ, რა ერქარებოდათ. უნდა გამოვტყდე და, მიყვარს ეს სამზადისი... ძალიან მშობლიური და ბავშვური განცდაა ჩემთვის. იქნებ, ყველასთვისაც, ვისთვისაც სიხარული მთავარია ამ სამყაროში. თანაც, როგორ გითხრა, სიხარული ისეთი, განსაკუთრებული მიზეზის გარეშე. თორემ რა, ახალი წელი ყოველ წელიწადს დგება“.

შემდეგი წერილი ოთხ იანვარს ავიღე. კონვერტში ნოტები იდო. ერთი ფურცელი. ბახის „Chromatik fantazy“, მეტი არაფერი.

„ახალი წელიც მოვიდა. დამესიზმრე გუშინ. ბრონეულის ხეებს შორის მივდიოდი. ტოტები ეზნიქებოდათ ხეებს ბრდღვიალა ნაყოფებისგან. ისე, დაკვირვებისხარ, როგორი მწვანედ კაშკაშა ფოთლები აქვს ბრონეულის ხეებს და ამ სიმწვანეში წითლად აბრდღვიალებული ბრონეულები. ერთ მხატვარს მახსენებს სულ... ერთ ხეს კი ლურჯი ნაყოფი ესხა. რატომღაც სულ არ გამიკვირდა. ერთი ლურჯი ბრონეული თავისით მოწყდა, დავარდა და გადაიხსნა. მერე ის იყო, იქიდან შენ ამოხვედი. რა ლამაზი ხარ...“

იანვრის ბოლომდე არც ერთი წერილი არ ამიღია. შევშფოთდი. ისე შევეჩვიე უცნობი ადამიანის ბარათების კითხვას, რალაცნაირად ჩემი ახლობელი გახდა, თითქოს მისი მესაიდუმლე და უფროსი ძმა ვიყავი. მისი წერილების წაკითხვის შემდეგ დავაკვირდი და დილის ქალაქი ხშირად მართლა ვარდისფერია ხოლმე.



აქამდე ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ჭადრებზე დახუნძლული ბელურებიც მართლა იწყებენ ჟივჟივს, თუ ჩიტივით დაუსტვენ.

იანვარი მიილია. დადგა თებერვალი, ყველაზე ქარიანი თვე ჩვენს ქალაქში. ვდარდობდი უცნობ ადამიანზე, მაგრამ რას ვიზამდი... უნდა დავლოდებოდი.

მარტის დასაწყისში წერილი დამხვდა.

*„ზამთარი არ მიყვარს. თანაც ისე გელოდი, უწერილოდ... და ჯერ არ ჩანხარ. 2 მარტი“.*

გადავწყვიტე, როგორმე გამეგო წერილების ავტორის ვინაობა. აქამდე თითქოს მეძინა. აქამდე არც მიფიქრია, რომ შეიძლებოდა მომეძებნა ეს ადამიანი. ყოველ კვირა დღეს და ორშაბათ დილით ადრე ფოსტის შენობასთან ვიდექი და ხალხს ვუყურებდი. თავიდან ვერავინ ვნახე ისეთი, ვისზეც შეიძლებოდა ეჭვი მიმეტანა. თუმცა, წერილები მაინც მხვდებოდა.

*„ჩემს ნახატს გიგ ზავნი. არ ვიცი, მოგეწონება თუ არა... თუმცა მინდა, რომ მოგეწონოს. მატლიდა მთელი საღამო თვალს არ აცილებდა ნახატს. სასაცილოა, მაგრამ ისიც გელოდება. მჯერა, რომ კატები განსაკუთრებული არსებები არიან და ზუსტად იციან, რა სჭირდება პატრონს. მან კი იცის, რომ გელოდები. 9 მარტი“.*

შავი კალმით იყო ნახატი შესრულებული. პატარა, კონვერტისოდენა. ჩაბნელებულ ქუჩას ერთი ლამპიონი ანათებდა. თავსხმა წვიმა იყო და იმ ლამპიონის ქვეშ ახალგაზრდა კაცი იდგა ფისოთი ხელში. მე მომეწონა, თუმცა თავს ვერ დავდებ, რომ მხატვრობაში რაიმე მესმის.

ისევ ვაგრძელებდი კვირა საღამოს და ორშაბათ დილით საფოსტო ყუთთან მორიგეობას და მარტის შუა რიცხვებში, კვირა ღამით, როცა ქუჩაში კაციშვილი აღარ ჭაჭანებდა და უკვე ვიფიქრე წავალ-მეთქი – ახალგაზრდა კაცი დაღმართს ჩამოუყვავა.

ბარათი საფოსტო ყუთში ჩაუშვა. ხელში კატა ეჭირა. მე სიბნელებში ვიყავი მიყუყული და ვფიქრობდი, რომ ვერ დამინახა. „აი, თურმე ვინ ყოფილა!..“ გავიფიქრე და ლაღად მიმავალ ყმანვილს შევაცქერდი. ვიცნობდი. არა, კი არ ვიცნობდი, ვიცოდი, ვინც იყო. ამ უბანში ყველა ვიცოდი. თუმცა არასდროს მისვალმებივართ ერთმანეთს, მაგრამ ხომ ვიცოდი ვინც იყო, სადაც ცხოვრობდა. დედ-მამა არ ჰყავდა, მარტო ცხოვრობდა. უფროსი და ჰყავდა – გათხოვილი. ხანდახან ვხედავდი, სანოვავით დატვირთული როგორ აუყვებოდა აღმართს ძმისკენ. კარგი ბიჭი იყო, მხატვარი. ხშირად დამინახავს, საღებავების ყუთმოკიდებული არხეინად რომ ჩამოდიოდა ქუჩაზე.

წერილი ავიღე, გულისჯიბეში ჩავიდე და სახლში წავედი.

*„გამარჯობა, საშა ძია. ვიცი, რომ ჩემს წერილებს თქვენ იღებთ და კითხულობთ. თუ თქვენი ცხოვრება ოდნავ მაინც გავაფერადადე, ეს ნიშნავს, რომ ტყუილად არ მიწერილა. არა, არ იფიქროთ, რომ გეხუმრეთ! ბარათებს მართლა იმ გოგოსთვის ვწერდი, რომელიც, ვიცი, უსათუოდ არსებობს ამ სამყაროში. გმადლობთ, საშა ძია, ჩემი სიხარულებისა და დარდების გაზიარებისთვის. 23 მარტი“.*

ვიდექი, წერილს დავყურებდი და ჯერ უზომო შეურაცხყოფის გრძნობამ შემიპყრო – „აჰაა, დამცინოდი, შე მამაძალო?!“ მერე და მერე კი, მრავალჯერ რომ გადავიკითხე ბარათი, მივხვდი, ერთი მდიდარი სამყაროს მარტოსული კაცი წერდა ამ ყველაფერს და დარდების გამზიარებლადაც მე ამირჩია. ხანდახან ხომ უცხო ადამიანებს უფრო შეგიძლია გაუზიარო შენი ტკივილი, ვიდრე ძალიან ახლობელს. ასეთებიც ხომ ხდება ცხოვრებაში. მერე გავიხსენე, მთელი ამდენი ხნის მანძილზე, რაც ამ წერილებს ვკითხულობდი, მართლაც როგორ „გაფერადა“ და გაიზარდა ჩემ გარშემო სივრცე. და მოულოდნელად მადლიერების გრძნობით ავივსე. ფურცელი ავიღე და აცახ-

ცახებული ხელით დავნერე: „გმადლობ, შვილო“. კონვერტში ჩავდე, მისამართი არ დავანერე და ლამით იმ მხატვრის ბინის საფოსტო ყუთში ჩავაგდე.

წერილები შეწყდა. ქუჩაშიც არსად შემხვედრია მხატვარი. მე კი ჩემი თავი გამოვიჭირე, რომ ბარათები მენატრებოდა. გადმოვიღებდი ხანდახან და ვკითხულობდი. მერე კი ისევ სათუთად ჩავანყობდი შოკოლადის ცარიელ ყუთში.

აპრილი ილეოდა. ერთბაშად ყვავილების სურნელით აივსო ქალაქი. მე ჩვეულებრივად ვაგრძელებდი ჩემს საქმიანობას.

ერთ დილას იქვე, ფოსტის შენობასთან, სკამზე ჩამოვჯექი სკვერში. მზე არ ჩანდა, ღრუბლებს ამოფარებოდა და მოვარდისფრო-ნაცრისფერი შუქი იდგა გარშემო. თვალის კუთხით წითლად ლაყლაყა ლაქა დავინახე და რომ ავიხედე – თითქმის ცარიელ ქუჩაში თვრამეტიოდენ წლის გოგო მოდიოდა რალაცნაირად ჩაფიქრებული და ერთი ლამაზი გოგო იქნებოდა მხოლოდ, ხელში უზარმაზარი წითელი ბუმტი რომ არ სჭეროდა. ბუმტს გულის ფორმა ჰქონდა. მოდიოდა გოგონა და ისე ჩანდა, თითქოს თავისი ცოცხალი გული მოჰქონდა და იმ ადამიანს ეძებდა, ვისაც მისი გული სჭირდებოდა. გავოგნდი. ან ამ ნაცრისფერ ქალაქში სად იშოვა ასეთი ბუმტი? თუმცა ამაზე ფიქრში დიდი დრო აღარ დამიკარგავს, რალაცა ძალამ წამომავდო, გოგონას მივუახლოვდი და ვუთხარი: – შვილო, ერთი წუთით რომ დამელოდო, შეგიძლია?

გოგონამ დიდი თვალეებით შემომხედა, რალაცნაირად დამფრთხალ ჩიტუნებს

რომ ჰგავდნენ და თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით, ისე გამიღიმა: – კი, დაგელოდებით.

მე ჩემი ასაკის კაცისთვის შეუფერებლად მივძუნძულედი სახლისკენ და ერთხელ უკან რომ მოვიხედე, იქ იჯდა, სკამზე, და მელოდებოდა. გული მომეწურა და ნაბიჯს ავუჩქარე. სახლში მისულმა ხელი დავავლე შოკოლადის კოლოფს და უკან გამოვიქეცი. გული ყელში მებჯინებოდა და ნაბიჯიც შევანელე. სკამთან რომ დავბრუნდი, გოგონა ისევ იქ იჯდა წითელი გულით ხელში. ცნობისმოყვარედ შემომცქეროდა. შოკოლადის ყუთი გადავეცი: – ეს შენ გეკუთვნის.

გოგომ ყუთი გახსნა და სიფრიფანა თითებით ბარათები ამოიღო. მერე კითხვაჩაგუბებული თვალეებით შემომხედა და სუსტად გაიღიმა.

– ჰო, მგონია, რომ არ ვცდები. ეს წერილები შენია! – ვუთხარი ღიმილით.

გოგონა იქვე იჯდა. გვერდით აპრილის რბილ ნიაზე მოცახცახე წითელი გული ედო და ბარათებს კითხულობდა. ჯიბიდან კალამი ამოვიღე და ერთ-ერთ კონვერტზე მისამართი დავუწერე. გოგონა ადგა, წერილები გულზე მიიხუტა და ლაყლაყა გული გამომიწოდა.

– არა, მე არა! ეს ახლა შენ გჭირდება, – ვუთხარი და აღმართისკენ მივუთითე.

მერე კი, მერე... დიდი ხნის მანძილზე ყოველ ორშაბათს მხვდებოდა ორი უმისამართო წერილი. ერთში ნაცნობი ხელწერით ეწერა: „გმადლობ, საშა ძია“. მეორეში კი წითელი კალმით ეხატა წითელი გული.





## ბესო ხვედელიძე

### სიზმრების ახსნა

(ა-კ)

**აბელი თუ გესტუმროს სიზმარში და გაშალოთ სუფრა და მიირთვათ ბატკნის ჩაშუშული და დააყოლოთ ზედ პურის ღვინო და ბრძანოთ სადღეგრძელოები: მინის, ცისა და წყლის, რამეთუ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდეს და გაიხსენოთ ყველაფერი – მომხდარიც და მოსახდენიც და დილით, თვალებამოღამებულები, ერთად შეეგებოთ ალიონს...**

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის შემდეგ წვერი აღარ გაიპარსო. წვერმაც თითქოს იგრძნოს შენი სევდა და იმდენად სწრაფად იწყოს ზრდა, სამი წლის შემდეგ, ყოველ ნაშუადღევს, წყარომდე ურიკით მიდიოდე. ურიკაზე დაფენილ წვერზე დასვენებული თუნგს წყარომდე რომ ჩაიტანდე, წყაროსთავზე მსხდარი ორი სოფლელი გლუხკაცისგან ეგეთებს ისმენდე:

- ჩვენი არსი სამყაროა...
- არაფერი შეგეშალოს – ჩვენი სამყარო არსია...
- არსი სამყაროშია!
- ნუ იტყუები! არსი იქაა – სამყარო აქ!
- სამყარო უარსოა!
- და ის ჩვენ ვართ?
- ვინ?! გასაცოცხლებელი მკვდრები?!
- ... ამის გაგონებაზე ერთ-ერთს თი-

თით შენთან მიიხმობდე, თუნგს ცივი წყლით აავსებინებდე და ურიკაზე დაფენილ შენივე წვერში ისე მტკიცედ და ღრმად ჩაჩურთავდე, რომ თუნგს წვერიდან მხოლოდ პირი და ყელის მცირე ნაწილი უჩანდეს.

**ბედნიერი სახით თუ გაუნყოს აბელმა სიზმარში, რომ ჭეშმარიტ მამასთან მიდის სოფელში და დამგზავრება გთხოვოს და დაუფიქრებლად დათანხმდე და უკანმოუხედავად გაჰყვე და მამა დაგიხვდეთ ძველებურად: შუბლზე ხაზებითა და ხაზებში წლებით და შიშვლები ჩაგაყენოთ სანახელში და ყურძენი განურინოთ და თან ზედ დაგნანავებდეთ: ვერ გამოგარჩევთ, ისე მიყვარხართ ორივენიცაო...**

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ექვსი წლის შემდეგ, წვერი უკვე სახლში ნოხივით გქონდეს გაფენილი. წვერის სიგრძე და ფართი მთლიანად ფარავდეს სახლის სასტუმრო ოთახის იატაკს. ნახად გამოუყენებელი წვერის სიგრძე კი სახლში თავისუფლად გადაადგილების საშუალებას გაძლევდეს, შენთან კი ისმებოდეს სასმისები და კითხვები:

- ჩვენი ცხოვრება საახალწლო ნაძვის ხეა და ჩვენ სათამაშოები ვართ მისი?
- კი, მაგრამ, გირჩები?

– სანამ არ ჩამოცვივდნენ, ვერ ნახონ ცხოვრება...

**ბვიან ლამით, სიზმარში სოფელმა ძმა-ბიჭებმა თუ მოგაკითხონ მამასთან და გადაღმა სოფელში საქეიფოდ გადაგიპატიუნ და სუფრა იყოს მდიდრული ისევ პურის ღვინით, ხორციტ, მწვანილით და თევზით და აუხირდნენ ერთმანეთს ორნი სხვადასხვა სოფლიდან და ატყდეს დაკა-დაკა: იაფ ლარნაკთა წუილი სოფლურ აივანსა და ფერად სუფრაზე და შენ ერთ მხარეს დადგე და აბელი – მეორეზე და ერთმანეთს ეცეთ სიმართლის დასამტკიცებლად და გაილახო...**

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ათი წლის შემდეგ შენი წვერი უკვე სოფლის შარასა და შუკებში გაიფინოს. გზის საფარის ასეთმა უცნაურმა და ორიგინალურმა სახემ სოფელში უამრავი უცხოელი ტურისტი მოიზიდოს. წვერთან ახლოს ყოფნის სურვილი მათი მხრიდან იმდენად დიდი იყოს, რომ უცხოელებმა შენს წვერზე ფეხშიშველა და აღტაცებული მზერით სიარულიც კი დანერგონ, შენ კი ამ დროს ან ვენახს წამლავე, ან კიდევე, რომელიმე ხეზე შემომჯდარი, ხილს კრეფდე და საკუთარი წვერის უსაშველო სიგრძე სულ არ გეუხერხულებოდე.

**ღილისკენ უჩუმრად თუ ადგე სიზმარში და გალემილმა სახლში ფინალი შეიტანო და მძინარე აბელი ზედ ააგო და უმაღლიოს აბელმა სული და შენ კი გაიქცე ფეხშიშველი და იმალო ტყეში და ღრეში და თავი გაგქონდეს ნეშომპალათი და ხეში ჩამდგარი წყლით და შესამჩნევად შეგითხელდეს ხორცი და ყვრიმალეები უწინდელზე მეტად დაგემჩნეს.**

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ოცი წლის თავზე შენმა წვერმა იმ მასშტაბებს მიაღწიოს, რომ სოფლის შარა და შუკები ულრან ტყეს დაემსგავსოს. სოფლის ასეთმა იერმა კიდევე უფრო მეტი უცხოელი მიიზიდოს სოფელში. პირველმა ნაკადმა შენს წვერში უკვე ჯგუფური სი-

არული, რისკიანი ექსტრიმ-ექსკურსიები და იქ ამოსული ქამა-სოკოს შეგროვება აქციოს ტრადიციად. აქვე დაფიქსირდეს შენს წვერში უცხოელთა ძარცვისა და გაუპატიურების პირველი შემზარავი ფაქტები.

**მლდა თუ ეცეს მამას, გაიგოს რა თქვენი ამბავი სიზმარში და ისიც ფეხშიშველი გადავიდეს მეზობელ სოფელში და დაჩვრეტილი აბელი ხელში აიტაცოს და ისე ჩაიტანოს სახლში და თავისივე ხელით გაუთხაროს საშუალო ტანის კაცის სიმაღლის სამარე და შენ კი დაგწყევლოს გადაბმული წარბებითა და გამეხებული პირით მამის, მინის, ცის და წყლის შეურაცხყოფისთვის და ხანძარი კი მის თვალებს ეკიდოს...**

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ოცდამეხუთე წელიწადს, დედაქალაქში, ერთ-ერთ ტელე-შოუში მიგიწვიონ და დიდხანს გალაპარაკონ პოლიტიკაზე, სოფლის მეურნეობასა და ჭიპგადმოგებულ ქალებზე. შენი წვერი კი უკვე იმ სიგრძის იყოს, დედაქალაქამდეც მისწვდეს და სოფლიდან დედაქალაქის ტელევიზიამდე ჰაერში გაბმულ შენს წვერზე ჩამოსხდომით იმ გვიან შემოდგომაზე უამრავმა გადამფრენმა ფრინველმა მოითქვას სული.

**მელურ მტრედს ფეხზე სველი მიწით დაწერილი ბარათი თუ შეაბა სიზმარში და მამას გაუგზავნო ახსნა-განმარტებით და აუნყო, რომ ძალიან კი გინდა, მაგრამ წრფელი სინანული ჩადენილის მიმართ არა და არ მოდის: რომ აბელი ძმა კი იყო, მაგრამ – უმცროსი და ეგეთ დროს ბრმა სიმართლისკენ კი არა, უფროსი ძმის მხარეს უნდა დამდგარიყო და შენზე ხელი არ აენია...**

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილიდან ოცდაათი წლის შემდეგ ხალხს შენი წვერის უსასყიდლოდ გამოყენების უფლება მისცა და ერთი-ათად წინ წავიდეს ქვეყნიდან პარიკების, ბალიშებისა და ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედნების ექსპორტის საქმე.

**ზეზეურად** თუ გაჰყოს მამამ სიზმარში ფეხი რკინის ქალამნებში და დაიჭიროს რკინის ჯოხი და მოიგდოს ზურგზე ზომიერად სავსე ხურჯინი და ღიად დატოვოს სახლი და წამოვიდეს შენ საძებრად და ბევრი იაროს თუ ცოტა, გადაეყაროს დათვის, რომელიც იყოს „ჭამა და ძილი“, და ჰკითხოს მას: „ჩემი კავნი ხომ არ გინახავსო?“ – და იუაროს დათვმა და დააკრეჭინოს მამამ დათვის კბილები და რომ ვერ უპოვოს კბილებში გახიზული შენი ხორცის ნაფლეთი, გადახვიოს მხარზე ხელი და ერთად გამოსწიონ შენ საძებრად...

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის მეორმოცე წლისთავზე სოფლისთავად აგირჩიონ და სოფლის გამგეობის სხდომაზე შენს გრძელ გამოსვლებს ყველანი სულგანაბულები უსმენდნენ. წვერი კი უკვე იმხელა იყოს, რომ შენი კეთილშობილური ინიციატივით მისი ნაწილით გადაიხუროს მთელი რაიონის სახლების სახურავები.

**თვალმოუხუჭავად** თუ იარონ ბევრი თუ ცოტა, სიზმარში და ძლიერ მოშივდეთ მამას და დათვის და თვალი ჰკიდონ ველური ფუტკრების ბუდეს ხის კენწეროზე და მამამ ნაღვლის ბუშტი ამოიჭრას და გაბეროს და დათვი აჰყვეს ბუშტს ხის კენწერომდე და ფუტკრებს თაფლი მოწინებით სთხოვოს და ფუტკრებმა დათვის თაფლი მისცენ და მამამ ბუშტს თოფი ესროლოს, გახეთქოს და დათვი ისევ მიწაზე დაეშვას და იგემონ თაფლი და გაძლიერდნენ და განაგრძონ გზა შენ საძებრად და თან გამოიყლონ ფუტკრის ჯარი...

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ორმოცდამეხუთე წელიწადს შენმა წვერმა გათეთრება იწყოს. შენ ამან არ დაგადარდიანოს, ვინაიდან შენი წვერის ხელოვნურ თოვლად გამოყენებამ მოიცვას არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის პაპანაქება ქვეყნები, არამედ სრულიად აფრიკის კონტინენტიც კი.

**ილაჯგამოცლილ** მამას, დათვსა და ფუტკრებს თუ გადაეყაროთ სიზმარში, ზამთარი სახელად „შენ გაგყინა სიკვდილმა“ და თუ ზამთარს ჰკითხონ: „შენ ხომ არ შეინიერე ყინვით და თოვლით ჩვენი კავნი“ – და იუაროს ზამთარმა და შენ კი ამ დროს მართლაც სულ სხვა ტყის ფულუროში გეძინოს ტკბილად და დაიმგზავრონ ზამთარიც და ყველანი ერთად გამოუყვენ გზას შენ საძებრად და მალევე დააღამდეთ და ძილმორეულმა დათვმა ბანჯგვლი გამოიძროს და ფუტკრები ზედ ნესტრებით ეხახუნონ და დაანთონ ცეცხლი და ააგიზგიზონ კოცონი და ზამთარი გაზაფხულად აქციონ და თბილადაც გამოიძინონ და უთენიას გაუდგნენ ისევ გზას მამა, ნაუცბათევად გამოზამთრებული დათვი, ფუტკარი და გაზაფხული სახელად „თვალს მწვანე ფერი ამშვიდებს“ და შენ კი ამ დროს ადრეულ კენკრას აგროვებდე და ამით გაგქონდეს თავი...

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ორმოცდაათი წლის თავზე, როდესაც მსოფლიოს ათ უდიდეს ქალაქში პარალელურად შენი წვერისგან შეკერილი კაბების, ქათიბების და მათრახების გრანდიოზული ჩვენება მოეწყოს, ღრმად მოხუცებული ლოგინად იყო ჩავარდნილი და სახეზე მიტკლისფერი გედოს. ზედმეტად სუსტად რომ იგრძნო თავი, მღვდელს დააძახებინო და აღსარების მაგიერ მღვდელს ორად-ორი სიტყვა უთხრა:

– გამპარსე, მამაო!

მღვდელმა პირჯვარი გამოგსახოს, შემდეგ ოქროს ჯვარს გამთხვიოს, ხელში ბასრად ალესილი სამართებელი აიღოს და სუფთად გაგპარსოს.

**პაი ენით** თუ გიძახონ სიზმარში და შენ მუნჯად იყო, რამეთუ გეშინოდეს მამის რისხვის და თუ შიშმა იმდენი გიყოს, ტყიდან მალულად გამოგიყვანოს და დაეშვა ბარად ღამით და მოციმციმე ქალაქს შეაფარო თავი და გახდე მისი პირველი და მარადიული მათხოვარი და მამამ კი ფუტკარი ტყეს დაულოცოს, დათვი მისივე თხოვ-

ნით ქალაქად დაიმგზავროს და ჩააბაროს ზოოპარკს და გეძიოს მარტომ და გკითხულობდეს და ვერ გაგნებდეს და ხშირად გადაგეყრებოდეს, მაგრამ ველარ გცნობდეს, გამრავლებულს და დიოდეს აღმართ-დაღმართ მარად შვილებატკივებული...

ცხადში, შენს გასვენებას უამრავი ხალხი დაესწროს. მრავალ ქალაქში მოენცოს სამგლოვიარო მსვლელობები შენი შავ-თეთრი სურათებით და ყველა ეს მსვლელობა ტელევიზიების პირდაპირ ეთერში გადაიცეს. შენ სოფლის განაპი-


რას მომცრო, თუმცა კი ყველა მხრიდან თვალშისაცემ გორაკზე დაგკრძალონ და შენს საფლავზე აღმართონ ქვის ორნამენტული და მოტრიალე გლობუსი, რომელსაც შენივე ნვერისგან დაწნული ასოებით გარშემო სამ ენაზე ეწეროს:

„ძმა ძმისთვისაო“

«БРАТ ЗА БРАТА»

და

“BROTHER FOR BROTHER”







## ზაზა აბზიანიძე

### კითხვა „განთიადის“ ფუჟე

„...მხოლოდ თავისუფლებისათვის შეიძლება სიკვდილი, რადგან მხოლოდ ასეთ წამს არის დარწმუნებული ადამიანი, რომ იგი მთლიანად არ კვდება“.

ალბერ კამიუ

ვიდრე ჩვენს მთავარ სათქმელს მივადგებოდეთ, რამდენიმე ციტატა იმ თავისუფლებამოკლებული გარემოს დასახასიათებლად, რომლის ანტითეზად აღქმულ პოეტურ მანიფესტს „განთიადის“ სახელით ვიცნობთ:

„...თუ მძიმე და ხანგრძლივი განსაცდელი ავიტანეთ და შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნოებისა, რომელიც გვიანდერძეს წინაპრებმა საქართველოს სამე-

ფოს უკეთეს ხანის დროიდგანვე, თუ არ უღალატეთ ჩვენს მართლმადიდებლობას, თუ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი სახელი, ყველამ ვიცით, რომ ეს მოხდა რუსეთის თვითმპყრობრლობის და ერთ მთავრობის წყალობით...“

და კიდევ: „მე რუსი ვარ – ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რიმელსაც ვსჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომობით და

მოდმეთა ენით. საჭიროა ნაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვათა შორის არის გადებული, საჭიროა ორ სიტყვიდან – რუსი და ქართველი – ერთი სიტყვის შემუშავება, მათი მნიშვნელობის შედუღება ერთს მცნებაში, სიტყვით და საქმით, და საჭიროა ამ შედუღებულ სიტყვის აღბეჭდვა როგორც მთავრობის, ისე ჩვენი ხალხის შემეცნებაში“.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სათავად-აზნაურო კრებაზე და ბოტანიკურ ბაღში გამართულ მოხელეთა ნადიმზე წარმოთქმული ეს სიტყვები დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნის. სწორედ იმ დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც ეძღვნება „განთიადი“ და რომლის სახელიც XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან საქართველოში ეროვნული თვითშეგნებისა და თავმოყვარეობის გამოღვიძების სიმბოლოდ იქცა.

შალვა ამირეჯიბი ასე ხსნიდა დიმიტრი ყიფიანის ეროვნულ ტაქტიკას: „დიმიტრი ყიფიანი კავურის თანამედროვეა. ამ დიდებულ იტალიელის ლოზუნგი მასაც გაზიარებული ჰქონდა: „იტალია ან უნდა მეგობრობდეს ავსტრიას, ან უნდა ეომებოდეს!“ სხვა მდგომარეობა შეუძლებელი იყო. და ამის შემდეგ აღარ უნდა იყოს გასაკვირველი ის მოთმინება, რომელსაც ქადაგებდა დიმიტრი ყიფიანი“.

არჩილ ჯორჯაძე, რომელიც ესოდენ გამოირჩევა თავისი ანალიტიკური ხედვით, დიმიტრი ყიფიანის მონარქისტულ სიმპათიებს ასეთ კომენტარს უკეთებდა: „დიმიტრი ყიფიანს მხედველობაში არ ჰქონდა მიღებული ის გარემოება, რომ სახელმწიფო ნაციონალიზმი გაბატონებული ერისა, აუცილებლივ უნდა შეეტაკოს ამ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ერებს, რომ ეს კანონი და თვისებაა მებრძოლ ნაციონალიზმისა“.

არჩილ ჯორჯაძის წინასწარმეტყველება ახდა 1886 წლის 8 ივნისს: ამ დღეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს მარშალი, დიმიტრი ყიფიანი საპროტესტო წერილს უგზავნის სა-

ქართველოს ეგზარქოსს პავლეს (ლებედევს): „...ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მონოდებული და რომელიც მართოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან, – იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ, ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უცოდველის სიტყვის გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით, – თუ ყოველივე ეს, მეუფევე, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცყოფელი ადამიანი შეურაცყოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გასული. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოსა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდაც ააცილოს ქვეყანას ახლი დიდი შეცოდება“.

იმავე არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით: „ეს დოკუმენტი გმირულ საუკუნეთა შეცდომით აღმოჩნდა მე-19 საუკუნეში, სადაც ყოველივე გაზომილია, აწონილ-დანონილი, ზომიერი, ქედმოხრილი და მორჩილი“.

როგორი საბედისწერო აბრუნდია ამ „მოხელე აზნაურის“ (სიმონ ხუნდაძის ტერმინით) ბიოგრაფიაში, რომლის მეამბოხეობა 1832 წლისა (თავისი ლმობიერი სასჯელითურთ) აღარავის ახსოვდა და რომლის მთელს შემდგომ ბიოგრაფიას არჩილ ჯორჯაძის ჩამონათვალიდან ყველაზე უფრო ესადაგება „ყოველივე გაზომილია, აწონილ-დანონილი, ზომიერი...“

მაგრამ, ნუ იტყვით, თურმე არც ისე ადვილია ოდინდელი პასიონარის სულის სიღრმეში ჩამალული ნაღმის აღმოჩენა. გარეგნულად, ყველაფერი რიგზეა: ოჯახური იდილია – შესანიშნავი შვილები; ქმრის მალმერთებელი ცოლი – რუსთა ერთგული დიდმოხელის, იაგორ (გლახა) ჭილაშვილის ასული – ნინო (რომელიც ქმარს მხოლოდ ასე მიმართავს –



„Божественный Дмитрий!“); საოჯახო და საქმიანი ენა – მეტნილად, რუსული, (დიმიტრი ყიფიანის „მემუარებიც“ კი რუსულადაა დანერილი); ნახევარი საუკუნის განმავლობაში – არანაირი სამხილი. ყველაფერი ისეთია, ლოიალურ, ზომიერად ლიბერალურ და მონარქისადმი ერთგულ ქვეშევრდომს რომ შეეფერება: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს მარშლობა (1864-70); თბილისის ქალაქის თავობა (1876-79); ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს მარშლობა (1885-86). ეს – ადმინისტრაციული კარიერა.

ახლა საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობასაც გადავხედოთ, სადაც რამდენადმე განსხვავებული სურათია – აქ, ყველაფერი, გამიზნული ჩანაფიქრით, ან, თუნდაც, ობიექტურად, თავისი მასშტაბით, მომავალი თავისუფლების საძირკველის შექმნას ემსახურება: დიმიტრი ყიფიანი გახლდათ ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე; სათავადაზნაურო ბანკის, ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების ინიციატორი; ქართული თეატრის აღორძინების მონაწილე და მოამაგე. აღსანიშნავია მისი ისტორიულ-ლიტერატურული წერილები („თამარ მეფის საუკუნე“, „რამდენიმე აზრი საქართველოს ისტორიის მასალებზე“), აქ უკვე ნახსენები „მემუარები“ (1886), პეტერბურგში 1882 წ. გამოცემული „ქართული ენის გრამატიკა“ და შექსპირის, მოლიერის, ბომარშეს, ჰიუგოს ნაწარმოებთა თარგმანები ინგლისური და ფრანგული ენებიდან.

ამდენი რამ, ამდენი სიკეთე, მაგრამ, ყოველივე ეს, რაღაც ერთი, (თუმც, როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანი) მახასიათებლის გარეშე, რომელსაც, მეტაფორულად, შეგვიძლია „თავისუფლების ჟანგბადი“ ვუწოდოთ. ერთ შემთხვევაში ამ ფაქტორმა განაპირობა „თერგდალეულთა“ თაობის (აკაკის) პატრიოტული პათოსიც (და ქარიზმაც!) და მეორე შემ-

თხვევაში კი – „მონარქის ლოიალური და ზომიერად ლიბერალური ქვეშევრდომის“ (დიმიტრი ყიფიანის) ბიოგრაფიული ქარგა, რომელსაც ქარიზმა სწორედ მონამეობრივმა აღსასრულმა შესძინა.

როგორი ტიპოლოგიური განსხვავებაა „მაღალ საზოგადოებაში“ მოხვედრილი „მოხელე აზნაურის“ ცხოვრების მკვიდრად ნაგებ კალაპოტსა და ნებისმიერ ჩარჩოს ვერმორგებული პოეტის ბიოგრაფიებს შორის; არადა, ისტორიის კაპრიზით, მის ერთ-ერთ საბედისწერო გადაკვეთაზე, სწორედ ამ ორი ანტიპოდის სახელი დაუკავშირდება ერთმანეთს, თან განუყრელად.

არიან პოეტები, რომელნიც სიჭაბუკე-შივე ქმნიან თავის შედეგებს. აკაკის ნახევარი ცხოვრება დასჭირდა იმისათვის, რომ „განთიადი“ დაენერა. რატომ გამობრწყინდა „განთიადი“ მაინცდამაინც პოეტის ცხოვრების შუადღეს, როგორია მისი შემოქმედებითი ისტორია და როგორ სემანტიკურ შრეებს მოიცავს ქართული პოეზიის ეს შედეგები?!

მივყვეთ ამ კითხვებს: დასაწყისისათვის, „განთიადის“ შუქზე გადავიკითხოთ იმ გამოკვლევათა და მოგონებათა ფრაგმენტები, რომლებითაც შესაძლებელია აკაკის შემოქმედებითი ევოლუციის თვალმიდევნება.

საინტერესოა, რომ არსებობს აკაკის გამოსათხოვარი სიტყვის პოლიციის აგენტის მიერ ჩაწერილი კონსპექტი და მრავლისმეტყველი პატაკი იმდროინდელი მთავარმმართველის დონდუკოვ-კორსაკოვისა, იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი წარდგენილი: „...სამგლოვიარო კორტეჟი, პოლიციის პროტესტის მიუხედავად, მუსიკისა და ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ახალგაზრდების თანხლებით, შემოვლითი გზებით, ქალაქის მთავარი ქუჩებით, დაიძრა დაკრძალვის ადგილისაკენ, სადაც ქართველი პოეტისა და სასაფლაოების ნაფიცი ორატორის, წერეთლის მოკლე სიტყვის შემდეგ დაასაფლავეს კიდეც მიცვალე-

ბული. წერეთლის ეს „ღირსშესანიშნავი“ სიტყვა გამოირჩეოდა განსვენებულის პირადი თვისებებისა და საზოგადოებრივი დამსახურების უსაშველო გაზვიადებით“.

ეს პატაკი განსაკუთრებით დასამახსოვრებელია იმ ირონიულ-ქედმაღალი ინტონაციით, რომლითაც მეფის მოხელე ლაპარაკობს სახელგანთქმულ ქართველ პოეტზე და რუსეთშივე მოკლულ დიდ საზოგადო მოღვაწეზე. XIX ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე, აკაკის შემოქმედებამ ნათლად ასახა ქართული საზოგადოების ზნეობრივი რეაქცია რუსული ადმინისტრაციის ამ ცინიზმზე.

მთანმინდაზე ნაკითხული ლექსი „ქართველი უცხოეთში“ – აკაკის პირველი, სპონტანური რეაქციაა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე; ემოციურად (და, გულწრფელნი თუ ვიქნებით, – გაურანდავად) აღწერილი ფინალური აქტი სტავროპოლში მომხდარი ტრაგედიისა. სხვა პოეტი, ანდა, შესაძლოა, თვითონ აკაკიც (ოღონდ, უფრო ადრე), ალბათ ამ გამოძახილით („გარემოების საყვირი“!) დაკმაყოფილდებოდა და თავის მოქალაქეობრივ ვალს შესრულებულად ჩათვლიდა. მაგრამ 80-იანი წლები აკაკისათვის პიროვნული და შემოქმედებითი აღმასვლის პერიოდია – 1880 წელს „დროებაში“ „ავადმყოფის“ გამოქვეყნებით რომ დაიწყო. მიუხედავად ამისა, მას თითქმის ხუთი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ სრულყოფილად გამოეხატა თავისი მიმართება დიმიტრი ყიფიანისადმი, მისი ღვაწლისა და მონამებრივი აღსასრულისადმი: ასე დაიბადა „განთიადად“ სახელდებული\* პოეტური შედევრი, რომლის შექმნის ისტორია და ინტერპრეტაცია

აქ წარმოდგენილი გამოკვლევის მიზანს შეადგენს.

დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის დეტალებში გარკვევისას, განუზომელ დახმარებას გვინევს თამაზ ჯოლოგუას სამტომეული „საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი“ (თბ., 1997-2011), ხოლო „განთიადის“ შემოქმედებითი ისტორიის თვალმიდევნებისას – ჯულიეტა გაბოძის გამოკვლევა „როდის შეიქმნა და ვის მიეძღვნა „განთიადი“ (მის წიგნში – „აკაკის თხზულებათა გამოცემები“, თბ., 2009).

სწორედ თამაზ ჯოლოგუას სამტომეულის მეორე ტომშია შესული დიმიტრი ყიფიანის ოჯახის ახლობლის, პედაგოგ დავით დავითაშვილის მოგონება, რომელიც მოგვითხრობს 1887 წლის 8 ნოემბრის კვირა დღეზე და აკაკის გამოსათხოვარ სიტყვაზე დიმიტრი ყიფიანის ცხედართან, მთანმინდაზე: „...ხალხი უამრავი იყო და ეკლესიის ეზოში მისი მეთაფი ნაწილიც ვერ დაეტეოდა; მოეფინა მთას და მთლად დაფარა იგი. სიტყვის თქმა აკრძალული იყო. ხალხი მოელოდა, რომ მიცვალებულს ჩაასვენებდნენ შეუჩერებელივ. მოულოდნელად გაისმა ხმა – „სიჩუმე, სმენა!..“. მთაზე შეფენილი და ეზოში მყოფი ხალხი დასდუმდა. გამოვიდა აკაკი წერეთელი სიტყვით; პროზით დაიწყო და ლექსით დაათავა. ლექსის იმ ადგილას, სადაც იყო ნთქვამი: „ქვა დაჰკრეს, თავი გაუპეს და სპეტაკ წვერზე წვეთ-წვეთად სისხლსა აფრქვევდა მდულარეს...“, ხალხმა ისე ამოიხვნეშა, რომ სულ გულ-გვამი თან ამოაყოლა... აკაკიმ სიტყვა ასე დაამთავრა – „კიდევ დიმიტრი თავდადებული“... ამით დამთავრდა პროცესია და ხალხი დაიშალა უჩუმრად“.

\* ამ სახელდებისა და „განთიადის“ ასტრალური სიმბოლიკის ძალზე საინტერესო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა ჟურნალ „ცისკარში“ (2012 წ., №4 – „მამულისა და თავდადებულის საგალობელი“) ახალგაზრდა მკვლევარმა თამარ გელიტაშვილმა. მისი გამოკვლევის ერთი-ერთი თეზა (აკაკიმ „იმდენად გაითავისა საკუთარი ლექსის გმირის განცდები, რომ თავს უფლებას აძლევს, მის ნაცვლად ილაპარაკოს“) – აშკარად ეხმიანება ჩვენს კონცეფციას.

1988 წელს გამოქვეყნებული (მ. მთვარელიძე, „თარიღი დასაზუსტებელია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №19) ერთი მცდარი მოსაზრების პასუხად, თამაზ ჯოლოგუა წერდა: „... „განთიადი“ აკაკის არ წაუკითხავს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე. ლექსი, საერთოდ მოგვიანებითაა დაწერილი, კერძოდ, 1892 წლის დასასრულს და ამ თარიღის გადასინჯვის არანაირი საფუძველი არ არსებობს“ („აკაკის კრებული“, 1999). ოღონდ, აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მართებული შენიშვნის ავტორი, ზემოდმოყვანილ სტატიაშიც და დავით დავითაშვილის მოგონების კომენტარებისასაც, საერთოდ უარყოფს აკაკის მიერ გამოსათხოვარ სიტყვასთან ერთად, რაიმე ლექსის წაკითხვას: „დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე, – აღნიშნულია ამ კომენტარში, – აკაკიმ წარმოსთქვა სიტყვა, ხოლო ლექსი არ წარმოუთქვამს“. ამ მოსაზრების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია, რომ: „მოგონების ავტორს ლექსის სტრიქონები არეულიცა აქვს და სახეცვლილიც“. თუ ვარაუდზეა ლაპარაკი, ვფიქრობ, უფრო სავარაუდოა, ეგზომ მნიშვნელოვანი ეპოზოდის გახსენებისას, დავითაშვილს ლექსის სტრიქონები არეოდა, ვინემ საერთოდ გამოეგონებინა ეს მიზანსცენა – პათეტიკური პოეტიკა და თვალცრემლიანი მსმენელებით. მით უმეტეს, მრავალი დეტალის გათვალისწინებით, იგი სამგლოვიარო პროცესიის უშუალო მონაწილე ჩანს (სოფრომ მაგალობლიშვილისაგან განსხვავებით) და არა სხვისი მონათხრობის გამმეორებელი. ჩვენი ყოყმანისას ამ საკითხში, ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: აკაკის ფსიქოლოგია! მას, როგორც ქეშმარიტ პოეტს, უნდა თავისი დაზაფრული თვისტომების მოლოდინი გაამართლოს და სწორედ ლექსით მიმართოს – თუნდაც სახელდახლოდ დაწერილი, მაგრამ გულწრფელი, ტკივილიანი სიტყვებით. თუ დავით დავითაშვილს დაუფუჯერებთ, მსმენელთა რეაქციაც შესატყვისი იყო...

იგივე მიზანსცენა აღწერილი აქვს სოფრომ მაგალობლიშვილს („მოგონებანი“, ტფ., 1938), მაგრამ მასთან აკაკი უკვე „განთიადს“ კითხულობს. თამაზ ჯოლოგუას სავსებით სამართლიანად შეაქვს ეჭვი სოფრომ მაგალობლიშვილის ამ მოგონების ავთენტურობაში. ჩვენც ასე ვფიქრობთ, რომ მსცოვანმა მწერალმა თავისებურად შეავსო „ბიოგრაფიული ხარვეზი“ და ყიფიანის დაკრძალვის თვითმხილველად წარსდგა მკიხველის წინაშე. თუმცა, ახლა აქ სხვა გარემოებაზე მინდა გავამახვილოთ ყურადღება: არაა გასაკვირი, რომ მრავალი წლის შემდეგ, სოფრომ მაგალობლიშვილს დიმიტრი ყიფიანის საფლავზე წაკითხული აკაკის ლექსის სათაური შეშლოდა, მაგრამ, არა მგონია, თავისით ჩაემატებინა არარსებული პასაჟი თანამემამულეთათვის ესოდენ გულმტკივან სიუჟეტში. ანუ – რიკოშეტით, სოფრომ მაგალობლიშვილის „პატარა მისტიფიკაცია“ სწორედ ჩვენს ვერსიას ამყარებს.

დავუბრუნდეთ „განთიადს“. ჯულიეტა გაბოძე, რომელმაც გულდასმით შეისწავლა აკაკის გამოსათხოვარი სიტყვის ისტორია წერს: „აკაკი დიდხანს ატარებდა გულში დიმიტრი ყიფიანის ვერაგული მკვლევლობით გამოწვეულ ტკივილს. მან განსვენებულის ცხედართან შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა და 1888 წელს ლექსიც მიუძღვნა მის ხსოვნას, სათაურით: „ქართველი უცხოეთში“. მაგრამ, როგორც ჩანს, პოეტმა ბოლომდე მაინც ვერ ამოთქვა გულისწუხილი, რაც კვლავაც არ ასვენებდა მის გონებას“. მკვლევარი იმონმებს აკაკის უმცროსი თანამედროვის, ცნობილი ოფტალმოლოგის, პროფესორ ალექსანდრე შატილოვის მოგონებას, სადაც აღწერილია მისი სტუმრობა აბდუშელიშვილების ოჯახში 1892 წელს, „მარიამობაზე“, ქუთაისის შემოგარენში (სტუმრებს შორის - კიტა აბაშიძე, გიორგი წერეთელი და ანასტასია თუმანიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი არიან...). სწორედ იმ საღამოს, „ლხინზე შექმნილმა

საერთო განწყობამ ბიძგი მისცა“ აკაკის ექსპრომტად\* ამოეთქვა თავისი დაგუბებული ტკივილი „განთიადის“ უკვდავ სტრიქონებში“:

**მთანმინდა ჩაფიქრებულა,  
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა.  
მნათობი სხივებს მალლით ჰფენს  
თავდადებულის საფლავსა.**

**დადუმებულა მთანმინდა,  
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:  
მდინარე ნანას უმღერის  
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...**

**მთანმინდა გულში იხუტებს  
საშვილიშვილო სამარეს,  
მამადავითსა ავედრებს,  
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...**

ახლა, ვგონებ, დროა მივუბრუნდეთ ჩვენს პირველ, 1985 წლის პუბლიკაციას „განთიადის“ ინტერპრეტაციის თაობაზე: „...უნდა გავითვალისწინოთ ისიც, როგორ იცვლება ლექსის ინტონაციური სურათი, როდესაც მეხუთე სტროფიდან პოეტურ თხრობას ლირიკული მონოლოგი ენაცვლება და, საფიქრებელია, ყოველად კონკრეტული მიზნით წარმოითქმის პოეტური „მე“.

იმის გარკვევაში, თუ ვინ იგულისხმება ამ „მე“-ში, – კვლავ დიმიტრი ყიფიანი, თუ უკვე თვითონ პოეტი ლაპარაკობს პირველ პიროში, ჩვენ გვეხმარება მეოთხე სტროფი, რომელშიც სულაც არაა შემთხვევით ნახსენები „მგოსანი“ – „პოეტი“ (ხოლო დიმიტრი ყიფიანი, როგორც მოგვხსენებთ, პოეტი არ გახლდათ) და, ამ საკვანძო სიტყვიდან გამომდინარე, „განთიადის“ დანარჩენი ნაწილი შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც ახალი გამოსახულებ-

ბის პროეცირება უკვე შექმნილ ფონზე.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ამ მონოლოგში, ოდნავ უფრო პათეტიკურში, ვიდრე წინამდებარე სტროფებია, აკაკი წერეთელმა მხატვრული სიფაქიზითა და ტაქტით შეანაცვლა გამოსახულება (ისე არააქცენტირებულად, რომ ადვილია შეგვეშალოს და ლექსში მხოლოდ დიმიტრი ყიფიანის ფიგურა დავინახოთ) და მიუხლმოდრეკილ, ამპარტავნობას მოკლებულ მიმართვაში სამშობლისადმი, მის დიდ საკურხეველზე უკვე მიტანილი მსხვერპლის გამოგლოვების შემდგომ, ამ თავგანწირვის მაგალითით ჯერ კიდევ მონუსხულმა, პოეზიის ენაზე გადაიტანა თავისი მომავალი ხვედრის განჭვრეტა“ („აკაკი წერეთლის „განთიადის“ კომენტარი“, აღმ. „კავკასიონი“, III, თბ., 1985).

დიახ, „განთიადის“ ავტორისათვის დიმიტრი ყიფიანის გახსენება იმავდროულად თავის მისიაზე და ბედზე დაფიქრებაც იყო და იმ, ზემონახსენები ნათელხილვის ერთგვარი მანიფესტაციაც. სწორედ ამას ემსახურება მთელი ამ იშვიათი მხატვრული მირაჟის შექმნა: კიდევ ერთხელ ჩავუკვირდეთ, როგორ ამოეფარება აკაკი დიმიტრი ყიფიანის ლანდს და რა ბუნებრივად განაგრძობს მის დაწყებულ მონოლოგს:

**მგოსანი გრძნობამორევით  
თვალს ავლებს არემარესა  
და გულის პასუხს ნარნარად  
უმღერის ტურფა მხარესა:**

ავტორის ბოლო თხოვნაც „განთიადში“ ხომ აშკარად ამჟღავნებს აკაკის გულისწაღილს:

**„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:  
შენს მიწას მიმაბარეო!..“**

\* „ექსპრომტი“ ამ შემთხვევაში სიტუაციური ცნება უფროა, ვიდრე ჟანრობრივი. მით უმეტეს, აკაკის დიმიტრი ყიფიანისათვის მართლაც უძღვნია ექსპრომტი – „დ. ყიფიანის სადღეგრძელოდ“. როგორც ამ ლექსის კომენტარებშია აღნიშნული: პროფ. გ. აბზიანიძის ვარაუდით, „ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1885 წელს, როცა დიმიტრი ყიფიანი დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ თავის წინამძღოლად აირჩია“.



**„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!“**

რამდენჯერაც არ უნდა გადავიკითხოთ აკაკის ეს ლექსი, ალბათ ყოველთვის ჩავეკითხებით ჩვენს თავს – რა ზეგარდმო ძალამ შეაქმნევინა ეს მირაჟი და რამ დაახატინა აკაკის ის სურათი, საქართველოს სიმბოლოდ რომ იქცა:

**„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!“**

და, ალბათ, თუ კიდევ გვჯერა იმ ზეგარდმო ძალისა, ამიტომაც გვჯერა...

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური 15-ტომეულის მთავარი რედაქტორი გიორგი აბზიანიძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „განთიადში“ აკაკიმ განაზოგადა მთელი ერის პატრიოტული განცდა“. სწორედ ამ სიტყვებით მინდა დავამთავრო აკაკის პოეტური შედეგების ინტერპრეტაციის ეს მოკრძალებული ცდა.





## ზუხაბ ოდიცაძე

„საბა“ – კერძოდ

და

„სახელოვნებო სექტები“ – ზოგადად

### 1. კერძოდ „საბა“

ჩვენი საზოგადოება კარგა ხანია თვალს ადევნებს თუ როგორ გადააქციეს „სახაზინო“ მწერლებმა და მათმა მფარველებმა – „მეცენატებმა“ და მსცოვანმა ინტელიგენციამ ლიტერატურული კონკურსი „საბა“ თვალთმაქცობისა და ნეპოტიზმის პროვინციულ საცირკო წარმოდგენად.

წელსაც, ალბათ, იგივე განმეორდება: ფრაკებსა და სამეფლისო კაბებში გამოწყობილი VIP-პერსონები, კონკურსის ორგანიზატორები, ჟიურის წევრები, გამომცემლები და ნომინანტები, დაჯილდოების ცერემონიაზე კლასიკური მუსიკის კონცერტს თვალმილულულნი მოუსმენენ, გამარჯვებულებს მხურვალე ოვაციებით დააჯილდოებენ და... მაღალი დანიშნულებით გულაჩვილებულნი დაჯავშნილი შუბლებით დაიშლებიან... გავა სულ ერთი წელი და ლაურეატების სქელი თხზულებები არავის ემახსოვრება.

თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, ხედავს და ხმას მაინც არავინ იღებს – ადამიანები შეთანხმდნენ ტყუილზე და მორჩა! არადა, სიმართლე ჩვენ გარშე-

მო მუდამ ცოტაა, ხშირად არც კი არის საერთოდ. ცნობილი რამაა, თუ არ გაიგებ დღევანდელ სიმართლეს, ხვალ ახალი, მეტი სიცრუე გამეფდება. შედეგად – ჩვენში იმდენი ტყუილი დაგროვდება, რომ ის სინდისისკენ მიმავალ ისედაც ვინც ბილიკებს საბოლოოდ ჩახერგავს და „ნაგვის“ გატანაც დაგვიანებული იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაკეტილი „ელიტარული“ წრის შესახებ რაიმე ხელმოსაკიდი მტკიცებულებების მოპოვება მეტად რთულია (ისინი ხომ მხოლოდ „თავისიანებს“ უმხელენ სექტის საიდუმლოებებს), ვეცდები მოგითხროთ ის, რაც ზედაპირზე დევს და ყველასთვის ხელმისწვდომია.

მამ ასე... ჯერ ზოგადი არგუმენტი:

1. იმაზე, რომ, კონკურსის გამარჯვებულების შერჩევის წესი, როგორც მინიმუმ, დახვეწას მოითხოვს, მეტყველებს მეტად სავალალო ფაქტორი – ერთი ორი, ასე თუ ისე ღირსეული ლაურეატის გარდა, დღეს გამარჯვებულების ნაწარმოებები არავის ახსოვს – ისინი არქივების მტვრიანმა თაროებმა შთანთქა... მოურიდებლად რომ ვთქვათ, „წლის საუკეთესო“ ტექსტები კონკურსის დასრულებისთანავე მაკულატურად იქცა...



რალაც ვერც „საბას“ მიერ აღმოჩენილი მწერლების საერთაშორისო არენაზე, დიდ ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვებებსა ან თუნდაც დასავლეთსა თუ აშშ-ში ლაურეატების ხმაურიან წარმატებას ვიხსენებ. რეალურად, ხომ მხოლოდ ეს კრიტიკიუმი შეიძლება ჩაითვალოს ნონად არგუმენტად, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი სახელოვნებო სექტების „საკუთარ წვენიში ხარშვისადმი“ მეტად სარფიან მიდრეკილებას. იმავდროულად, შეგახსენებთ, რომ ჩვენ შოთას, ტატოს, ილიას, გალაკტიონისა და ვაჟას ერი ვართ!.

დამატებით, ერთი კითხვაც უნდა დავსვა: ვის რაში სჭირდება ლიტერატურული კონკურსი, რომელიც ზაქათაღის ოლქს (ჰა-ჰა, ბულგარეთს) იქით უცნობი მწერლების შემოქმედებას წაახალისებს და ცივილიზებული სამყაროსთვის უინტერესო რომანების ტირაჟირებას შეუწყობს ხელს?

გადავალ უფრო კონკრეტულზე:

2. ლიტერატურული კონკურსი „საბა“ 2014... დაჯილდოების ცერემონია... გამოდის ჟიურის წევრი, დრამატურგი მანანა დოიაშვილი: „მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო. დღეს მაქვს პატივი, ლიტერატურული პრემია „საბა“ გადავცე 2013 წლის პიესის ავტორს. ასევე მქონდა პატივი, ვყოფილიყავი „საბას“ ჟიურის წევრი. როდესაც მოვდიოდი ჟიურიში, შემიძლია გითხრათ, რომ ზუსტად ვიცოდი, გადანყვევტილებას უმრავლესობა მიიღებდა და არ მქონია არც იმის ილუზია, რომ ერთპიროვნულად რაიმეს შევძლებდი... მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ აღმოვჩნდი უმცირესობაში, მოყოლებული „შორტ ლისტისიდან“ ბოლომდე, ხანდახან მარტოც კი... ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ მინდა, ის ღირსეული ავტორი, რომელიც მე მგონია, რომ უნდა ყოფილიყო დღეს მინიმუმ ფინალისტი მაინც, გავამხნეო და ერთგვარი ბოდიში მოვუხადო. ამის უფლებას ჩემს თავს ერთადერთი მიზეზის გამო ვაძლევ, თვითონ ვარ ავტორი, რო-

მელიც იყო სამჯერ ფინალისტი „საბაზე“ და არც ერთხელ არ აუღია პრემია, მაგრამ დღეს თქვენ წინაშე წარვდები, როგორც ჟიურის წევრი... ასე რომ, ყველაფერი წინ არის და წინ არის მთავარი!“...

ცხადია, ცნობილი დრამატურგის ამ „მეტიჩრულ“, „უადგილო“ გამოხტომას დიდი დისონანსი უნდა შეეტანა ნეპოტიზმის ქონით გაპოხილ შპს „საბას“ საათივით აწყობილ მექანიზმში, მაგრამ პირამოკერილმა „თევზებმა“ და მდუმარე „მედუზებმა“ კვლავ დუმილი ამჯობინეს... არც შემდეგ დაუსვამს ვინმეს კითხვა, არც ხმა ამოუღია – რატომ დარჩა ჟიურის წევრი ქალბატონი ესოდენ გულგატეხილი? „კრავთა დუმილის“ იდილია ხომ ასე ხელენიფება ფარისევლობასა და სიცრუეში მოლივლივე „ელიტას“ – ამ შემთხვევაში არიან ისინი გამარჯვებულნიც და მოგებულნიც – აი, ამიტომ, ეს უსიამოვნო ფაქტი მიაჩუმათეს და ყველამ ერთად სხარტად დაივიწყა – „ელიტას“ კოლექტიური ამნეზია განუვითარდა...

3. და ბოლოს... რა თქმა უნდა, არ ვიცი, რამდენად გულისხმობდა ქალბატონი მანანა იმ ავტორს, რომელზეც ქვემოთ მოგიტხრობთ, მაგრამ მეტად ნიშანდობლივია, რომ აღწერილი უმსგავსესობაც 2014 წლის კონკურსზე მოხდა...

რადგან ავტორი ჩემი მეგობარი იყო, ამ კონკურსის პერიპეტიებს „საბას“ ვებგვერდზე ვაკვირდებოდი. ჯერ იყო და გამოქვეყნდა 347 მონაწილის სია, სადაც ჩემ მიერ დასახელებული მწერალი ერთდროულად ორ ნომინაციაში იყო წარდგენილი – „საუკეთესო რომანი“ და „საუკეთესო დებიუტი“ – კეთილი და პატიოსანი... გავიდა თვეები და... ოჰოი, საოცრება – ავტორის ტექსტი „საუკეთესო რომანის“ სიიდან გაქრა და „საუკეთესო დებიუტის“ ნომინაციაში გადაინაცვლა!.. ამგვარად, ერთ ნომინაციაში ავტორის ორი რომანი აღმოჩნდა და შესაბამისად, მწერალს ერთდროულად ორი დებიუტი ჰქონია, ოღონდ ნახევარი წლით დაშორებული!



იმედია, ეს თავხედური ფოკუსი მოგე-  
ნონათ, არა? მექანიზმი და მიზეზი? გა-  
საგებია, რომ კონკურსის გულშემატი-  
ვართა და ჟიურის ყურადღების ცენტრში  
ნომინაცია – „საუკეთესო რომანის“ 347  
მონაწილიდან ერთის და ისიც უცნობი  
ავტორის გადანევას სხვა ნომინაციაში ან  
ვერავინ შეამჩნევდა, ან თუ ხმას ამოი-  
ღებდა, „დასაბუთებული“ გამართლება  
არსებობდა – ახალი ავტორია და ამის  
გამო დებიუტში გადავდეთ-გადავმალე-  
თო. მართალია, კონკურსის დანიშნულე-  
ბა სწორედაც რომ ახალი ტალანტების  
აღმოჩენა და მათი წახალისებაა, მაგრამ  
ეს „ელიტურ“ ფეოდალებსა და „სახაზი-  
ნო“ მწერლებს ნაკლებად აღარდებთ –  
დიდება და „ძეხვი“ ხომ მათ შთამომავ-  
ლობით ეკუთვნით!

დებიუტანტების, ანუ 20-25 წლის გო-  
გობიჭების ტექსტებს კი სოლიდური ჟი-  
ური დიდად არც გააკონტროლებს, ყუ-  
რადღებაც ნაკლებია და ამიტომ სიაში  
საბჭოური მანიპულაციები გაცილებით  
ადვილია. თუ გავითვალისწინებთ ავტო-  
რის პოლიტიკურ შეხედულებებს, ფო-  
კუსის არსიც ცხადი გახდება – რომანის  
„მოტევა“ საწყის ეტაპზევე მოხდა, რათა  
მერე, შემთხვევით, ვინმეს არ შეემჩნია  
და ამ გზით პოლიტიკურად არასასურვე-  
ლი ფიგურა გამარჯვებულებში არ გამ-  
ძვრალიყო.

დასკვნისთვის ვიტყვი, რომ „ელიტის“  
ამგვარი შერჩევითი სიყვარული ორი ნიშ-  
ნით არის აღბეჭდილი: 1. ნეპოტიზმი –  
„ჩვენი წრის ბიჭია!“ და 2. არანაკლებ  
მნიშვნელოვანი – პოლიტიკური ლოია-  
ლობა – „ეგ შარისთავი მეპროტესტე მო-  
ამორე აქედან – პრობლემები არ გვჭირ-  
დება!“.

სანამ ამ ნაწილს დავასრულებ, დაე-  
ძენ, რომ ზუსტად იგივე ხდება სხვა ლი-  
ბერალურ კონკურსებზეც – „წერო“,  
ილიას უნივერსიტეტის „წლის საუკეთე-  
სო რომანი“ და სხვა... ოღონდ იქ გაცი-  
ლებით მეტი განუკითხაობაა, უკიდურე-  
სი უტიფრობითა და ურცხვობით, თანამ-

შრომელ-ნაცნობ-ნათესავების დაჯილ-  
დობითა თუ პოლიტიკური შეკვეთების  
შესრულებით. თავაშვებულობის მიზეზიც  
გასაგებია – ამ კონკურსებისადმი ყურად-  
ღება ნაკლებია.

მოკლედ, ლიბერალური კონკურ-  
სის დახასიათებისთვის ზუსტ რუსულ  
ტერმინს თუ გამოვიყენებ, ამ უმსგავსო-  
ბას „საბას“ „მეფედუსაბოიჩიკი“ ეწოდება...  
მით უფრო, მხცოვან „ელიტას“ ყოველივე  
საბჭოურ-რუსული ხომ ასე გულმხურვა-  
ლედ უყვარს.

## 2. ტოტალიტარული სექტების, იმავე სახელოვნებო კლანების ანატომია

პრაქტიკულად მთელი ქართული სა-  
ზოგადოება წარმოდგენილია კლანებით.  
კლანი – ესაა იგივე კომუნისტური პარ-  
ტიის ტიპის, ვერტიკალურ იერარქიაზე  
დაფუძნებული, ბელადსა („გენერალურ  
მდივანს“, „უზენაეს ქურუმს“) და „პარ-  
ტიულ ლიდერებს“ („პოლიტიბიუროს“,  
„ქურუმის თანამემწეებს“) უპირობოდ  
დამორჩილებული ტოტალიტარული სექ-  
ტა. კლანს, რეალურად, არავითარი მკა-  
ფიო ფასეულობები, გარდა ბელადისა  
და „პოლიტიბიუროს“ წევრების მაღალი  
მდგომარეობის შენარჩუნებისა და მათი  
პირადი ახირებების აღსრულებისა, არ  
გააჩნია. პრაქტიკულად კი ეს „უზენაესი  
ქურუმისთვის“ „ძეხვ-უხვი“ მდგომარეო-  
ბის შენარჩუნებას ნიშნავს.

სექტას აქვს საკუთარი „საზღვრები“  
და „ტერიტორია“ (ინტერესები), სექტან-  
ტები შეიძლება ერთიანდებოდნენ რამდენ-  
იმე კლანში – სამეგობრო თუ სანათე-  
საო, თანამშრომლების კოლექტივი თუ  
მრევლი ან პოლიტიკური პარტია. ხში-  
რად კლანების, განსაკუთრებით კი „ელი-  
ტარული“ სექტების „ტერიტორიები“ ერ-  
თმანეთს (ნაწილობრივ მაინც) ფარავს.

რიგითი სექტანტები, „ქურუმის თანა-

შემწეების“ თაოსნობით, მოვალენი არიან, უკიდურესი გააფთრებითა და მეომრული სულისკვეთებით გარეშე „მტერთაგან“ დაიცვან კლანის ინტერესები. ამ შემთხვევაშიც, „პარტიულ“ კანონებს – პარტიამი ახალი წევრების მიღებას, გარეშე პირთა განადგურებასა და „უცხოტომელზე“ თავდასხმის საჭიროებას, ბელადის ფარული ბრძანებით, მისი თანაშემწეები განსაზღვრავენ. იგივე ეხება რიგით თუ გარეშე პირთა შეფასების კრიტერიუმებს – აქაც მხოლოდ ბელადის დაჩემებაა გადამწყვეტი.

მუდამ მაოცებდა „ელიტარული“ კლანის („ერთმორწმუნე“ კოლექტივის) თავდაცვისა და თვითგადარჩენის ინსტინქტის სიძლიერე! „გურუ“ ქმნის მეტად მტკიცე და მრავალრიცხოვან ტოტალიტარულ სექტას, რომელსაც სათავეში ერთადერთი, „უსაყვარლესი და უცდომელი“ „ინტელექტუალი“ უდგას. „პროგრესული ქურუმის“ მიერ დანიშნული „თანაშემწეები“, ძირითადად, მაღალი სოციალური ფენის, ბელადზე შერყეული „სელებრითი“ ქალბატონები, „ერთმორწმუნე მრევლთან“ ერთად, გულმხურვალედ იცავენ „ელიტური“ კლანის „გენერალურ მდივანს“. მრევლი, როგორც „მმკ“ (იგივე „ჭმუკი“), იბრძვის სექტის საზღვრების შეუვალობისთვის – ის მზადაა, გაანადგუროს ნებისმიერი – ბელადზე აუგის მთქმელი ან განსხვავებული აზრის მატარებელი ადამიანი, ხოლო ახლად გამომჩენილი ტალანტი სრული „იგნორის“ ალყაში მოაქციოს (იგნორი „უცხოტომელის“ არც ქებასა და არც გინებას გულისხმობს... ზედმეტი ძაგებაც ხომ შეიძლება პოპულარობის მიზეზი გახდეს). „მრევლის“ წევრების ურყევი ერთობა დგას ორ მონოლითურ სვეტზე – ზემოდან ნამოსული „განოლება-გაქრობის“ შიში და კოლექტიური თანხმობა. „გაუჩინმაჩინების“ საფრთხე ყველას ემუქრება, გარდა „ინტელექტუალ-ქურუმისა“ და ამიტომ „კრავები“ დუმილს ამჯობინებენ.

საკმარისია, რამდენიმე ქართველმა

წარმატებას მიაღწიოს, ისინი მყისიერად ქმნიან კლანს, რომელიც იწყებს გარეშე პირთაგან თავდაცვასა და უცხოტომ ბრძოლას. შეიარაღების არსენალი მდიდარია: დასაწყისში – „იგნორი“, თუ მაინც მოახერხა და გაძვრა – ცინიზმი, ინტრიგებითა თუ ჭორებით ფეხის დადება და ბოლოს – მაინც გარიყვა...

„უცხო სხეულმა“ შეიძლება, მაქსიმუმ, „მიდა მოხმარების“ მონონება დაიმსახუროს, მაგალითად: „ფეისბუქის“ პირად მიმონწერაში. კასტების კანონი უზენაესია, ხშირად ის პოლიტიკურ კუთვნილებაზე მაღლაც დგას – კლანური ინტერესი ხომ ყველა სხვა ფასეულობაზე მაღალია, ის „ძეხვის“ მარაგების ხელშეუხებლობას იცავს!

მოკლედ დავასკვნი: სექტა წარმოადგენს პრესტიჟის, „ძეხვის“ მოპოვებისა და საზოგადოების მონინავე აზრის ფარვატერში ყოფნის წყაროს, თუმცა გასაკვირიც დიდი არაფერია – ეს ხომ ჩვეული საბჭოური პროდუქტია და მეტი არაფერი! იმ ოჯახური კლანებისგან, ვინც კარიერა საბჭოურ თუ პოსტსაბჭოურ ეპოქაში გაიკეთა და ცხოვრება მოიწყო, სხვაგვარი ქცევა გასაკვირიც იქნებოდა.

ამასთან დაკავშირებით, ახლახან ტელევიზიით ნანახი სიუჟეტი გამახსენდა: ორმა „სასაბაო“ მწერალმა ახლად განდგომილი ირაკლი ალასანიას პარტიის ყრილობაზე მხცოვანი მწერალი „მიიტანეს“ და თავადაც ზომიერ პოლიტიკურ ოპოზიციაში დაფიქსირდნენ – რა იცი, ხვალ რა ხდება?.. გავა დრო და მლიქვნელობის დიდოსტატებს რიგითი ჯარისკაცები რომელიმე თავყრილობაზე თავადაც „მიიტანენ“ – ასე საყვარლად გადადის ესტაფეტა თაობიდან თაობამდე და ცელქი „კუდრაჭები“ საამურად ატარებენ დროს, სენდვიჩში ჩაფენილი მსუყე ძეხვის ნაჭერევით... გასდით და ამიტომაც ტკბებიან საკუთარი უტიფრობით საბჭოელი „ერის მამების“ ღირსეული მემკვიდრეები.

ახლა, რაც შეეხება ამ კოლექტივის შემოქმედებით ნაყოფს: ბელადი და მი-

სი სექტა არასდროს შეცდებიან, მუდამ მართლები გამოდიან და პროგრესულობის ზედაპირზე ტივტივებენ, რადგან მათი პროტესტი არ გახლავთ გულწრფელი, ის ფრთხილია და მეტად მოზომილი. სექტანტებს არ შესწევთ უნარი, იდეისთვის დევნა, შიმშილი თუ „ტალახი“ დაითმინონ და სწორედ გარიყულობის შიში აიძულებს მათ, ერთმორწმუნე კოლექტივში გაერთიანდნენ. სექტანტები პროგრესული იდეების გასამარჯვებლად კი არ იბრძვიან, არამედ საკუთარი ზომიერი პროგრესულობის წარმოსაჩენად – მათ მხოლოდ საკუთარი მონინავეობით ტკბობა სწყურიათ.

სექტანტების ხვედრია „დაშვებული“ კრიტიკა, მაგრამ ამგვარ შემოქმედებას ერთი დიდი ნაკლი გააჩნია – ის ვერ იქნება რევოლუციური, არაა გულწრფელი, ძეხვმოყვარეა და ამიტომ უნაყოფოა, ის ვერასდროს შექმნის რაიმე ღირებულს, ახალს. როგორც ცნობილია, ხელოვნება ან რევოლუციაა, ან პლაგიატი. რევოლუცია კი რეალობისადმი მკვეთრი პროტესტის, „ახალი სიმართლის“ გამოცხადების გარეშე არ არსებობს, ამიტომ კლანების ხვედრია პლაგიატი. ასე რომ, საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია ხელისუფლებასთან „ჩახუტებული“ ან თუნდაც მისდამი ლოიალური „დიდი ხელოვანი“.

### 3. შედეგი

თანამედროვე მნიშვნელობით, ტერმინი კულტურა XVII საუკუნიდან გამოიყენება და ის ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კულტურის ცნება ხაზს უსვამს Homo sapiens-ის განსხვავებას ცხოველისაგან...

წლებია, ჩვენ თვალს ვადევნებთ ქართული კულტურული ცხოვრების თანდათანობით დაცემას, დღეს კი ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა დეგრადირების უკიდურეს ზღვარს მიაღწია – გარშემო

ყველგან საშუალო და უფერული მოღვაწეების ზეიმია. თქვენ წარმოიდგინეთ, ის ავადსენებული „საბჭოთა ინტელიგენცია“ კი „სანატრელი“ გახდა. მას განათლება და საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ მაღალი მიღწევები მაინც ჰქონდა – მისმა ცალკეულმა წარმომადგენლებმა აშკარად რაღაც ღირებული შექმნეს და ხელოვნებაში გარკვეული კვალიც დატოვეს. საბჭოური ინტელიგენცია საკუთარ ჭეშმარიტ სახეს ღრმად მალავდა, ხოლო საჯაროდ, იძულებული იყო, გარკვეული მორალური ნორმები დაეცვა... დღეს უტიფრობა მოდად, მეინსტრიმად, არასამარცხვინოდაა მიჩნეული, სიბნელე და უვიცობა კი ლამის ეროვნულ ფასეულობად გამოცხადდეს. მიზნის მისაღწევად ხომ ყველა ხერხი გამოდგება...

შედეგად, ქართული ელიტის კვარცხლბეკზე ახალი გენერაციის თავხედი და უპრინციპო მლიქვნელები გაბატონდნენ, რომელთა მთავარ დამსახურებას „მეფის კარის“ ერთგულება წარმოადგენს.

ამ ფსევდოინტელექტუალებისა თუ ზემოდან დანიშნული „კანონიერი ავტორიტეტების“ გავლენა ხალხზე მეტად დიდია. ცუდი მაგალითი გადამდებია და ამიტომ ქვედა დონეზეც ანალოგიური პროცესები ვითარდება – მიმდინარეობს ადამიანთა უარყოფითი სელექცია და ჯუნგლების კანონისკენ ევოლუციური უკუსვლა. საზოგადოებრივი ცხოვრების სადავეები ახალი გენერაციის თავხედებმა იგდეს ხელთ.

აქვე, სამართლიანობისთვის, უნდა ითქვას, რომ ეს არ გახლავთ სრულიად ახალი ტენდენცია, არამედ მხოლოდ ძველის გაგრძელებაა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოეთიდან მოდის. უბრალოდ, დღეს ადამიანის ცხოველურ მდგომარეობასთან დაბრუნება, მით უფრო, განათლების სისტემაში 25-წლიანი ქაოსისა და კრიმინალის თარეშის ფონზე, განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩნდა.

ქართული ეკლესიის ზოგიერთი იერარქის დასავლურ ფასეულობებსა და



კულტურასთან დაპირისპირებამაც სერიოზული ზიანი მიაყენა საზოგადოებას და მისი „დეცივილიზაცია“ გამოიწვია.

შედეგი სავალალოა: მამულში უგემოვნო ხალხის „პარადია“, „გოიმების დოლია“ – უსახური ადამიანების ზეობა. კარგა ხანია, სუფრული სუბკულტურა გაბატონდა და, რაც ყველაზე ცუდია, მან ქვემარტივი კულტურა სრულიად შთანთქა. ხელოვნების სუროგატის „ფოჩიანი კანფეტი“ – სუფრული სიმღერა, პოეზია და პროზა, სუფრული ეტიკეტი და მორალი – ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. „ქალაქის კოლორიტები“ ხომ სწორედ სუფრაზე გრძნობენ თავს თვითკმარად, ისინი მხოლოდ აქ ახერხებენ თავიანთი საშუალო შესაძლებლობებით თავის მონონებას. სადღეგრძელოების რიტორიკითა და უხამსი ანექლოტებით გაჯერებულ სატელევიზიო გადაცემებზე, შოუების წამყვანების პროვინციალიზმზე, რომელთა გემოვნებაც „ნუკიკოების“ საძინებელს, ბოჰემურად „დაზმანული“ ხელოვანი „ძველი ბიჭების“ ნააზრევსა და კომიკური ტოტალიტარული დეიდების კისკისს ვერა და ვერ გასცდა... ლაპარაკიც კი არ ღირს...

მიმდინარეობს ნესიერი, კულტურული და განათლებული ადამიანების გამოდევნა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან. როგორც პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი ვ.პასტუხოვი წერს: „ეს გვაგონებს ოსტეოპოროზის დროს ძვლებიდან კალციუმის დაკარგვას – გარეგნულად თითქოს ძვალი იგივეა, მაგრამ შიგნით სავსეა ფუყე ადგილებით“.

უკვე ორ ათეულ წელზე მეტია პოლიტიკური პარტიების უმაღლესი ეშელონიც კი წარმოდგენილია უღრანი ტყიდან გამოსული, ნახევრადგანათლებული Homo erectus-ებით. მათ პოლიტიკურ განცხადებებსა და „ბრძნულ“ აზრებს ვისმენთ ჩვენც და, ჩვენდა სამარცხვინოდ, ისმენს გაოცებული მსოფლიოც. ყველაზე საინტერესო კი

ისაა, რომ ამ არსებებმა უტიფრობის გამო არც უწყიან, რა არის სირცხვილის გრძნობა, ხოლო იმის შესახებ, რომ „ადამიანმა მხოლოდ ის იცის, რომ არაფერი იცის“ – წარმოდგენაც არა აქვთ. ამგვარი „სენტიმენტები“ მათ, უბრალოდ, არც აწუხებთ. მათი მიზანია – წინ, ზემოთ და ძეხვისკენ! პრინციპი – „შედეგი ამართლებს ნებისმიერ საშუალებას“, ხოლო ძირითადი მეთოდი – „იდაყვებით მუშაობა“! მათ სხვა არც იცინან, არც უსწავლიათ...

ქვეყანა მარაზმის მორიგ, თვისობრივად უფრო ღრმა სტადიაში შევიდა, კულტურული ცხოვრება პრაქტიკულად ჩაკვდა. მიუხედავად ყველაფრისა, შინაზარდი „ელიტის“ ცხოვრება დულს და გადადულს! მწერლებისა და პოეტების ხუთკაციანი ჯგუფი ერთმანეთში ლიტერატურულ პრემიებს ინანილებს; ჟურნალისტებს სიძულვილისა და აბსურდის „წლის საუკეთესო მთესველის“ წოდებით აჯილდოებენ; მომღერლების, მოდელების, პოლიტიკოსებისა და საზოგადოების სხვა გამოჩენილი მოღვაწეების სექსუალურ ფოტოებს ჟურნალ „ქალაქი და ქალაქელების“ გარეკანზე ათავსებენ... თქვენ წარმოიდგინეთ, მათ „გენიალურ“ ნააზრევს „ლიბერალის“ ფურცლებზეც კი ვხვდებით!.. ადამიანები იხვეწებიან, ბინიერი ხორცისგან „განიმოსებიან“ და აი, „ანგელოზები“ და „მთავარანგელოზები“ „ზეციურ „პროფილსა“ თუ არაამქვეყნიურ „პოლიტარტში“ გამოჩენის ღირსნი ხდებიან, ხოლო ღმერთებს „იმედის“ „მივიწყებული სელებრიტების თოქ-შოუშიც“ კი პატიჟებენ! საბჭოეთის დროიდან შემორჩენილ პერსონაჟებს, სანამ ისინი ზეცად ამაღლდებოდნენ, მონიკელებული ვარსკვლავის სახით, ფილარმონიის ასფალტში აცემენტებენ და იუბილებს უხდიან.

დამოუკიდებლობის ორ ათეულ წელზე მეტი ილევა, ღვანღმოსილები მათმა „უნიჭიერესმა“ შვილებმა და შვილების „მონინავე“ მეუღლეებმა ჩაანაცვლეს, უკვე შვილიშვილებისა და შვილთაშვი-





ლების ჯეჯილი ბიბინებს, ახალი ფეოდალების უკანასკნელი ნაბარტყის ეპოქა ახლოვდება. მიდის, მიედინება ყოფიერების მდინარე, რაიმე იმედის მომცემი ან ხელჩასაჭიდი „ნათელი წერტილი“, საიდანაც, თუნდაც წარმოსახვაში, გახდებოდა შესაძლებელი საქართველოს ღირსეული მომავლის განჭვრეტა, ისევ არ ჩანს. საქართველო კვლავ სასწაულისა და მითოლოგიური „გაბრწყინების“ იმედად რჩება...

#### 4. როდისმე გვეუბნება კი რაიმე?!

გავიხსენებ ჰერმან ჰესეს ფრიად გასათვალისწინებელ გაფრთხილებას: „გამოცდილებამ აჩვენა, რომ საკმარისი იყო მხოლოდ რამდენიმე თაობას გამოეჩინა უპრინციპობა და თავაშვებულობა სულიერ სფეროში, რომ ამან მაშინვე გამოიწვია პრაქტიკის საგრძნობი დაზარალება... თუ აზრმა დაკარგა თავისი სინამდვილე და სიმახვილე, თუ სულს არ მიეგება კუთვნილი, მაშინ მალე მანქანაც არ დაიძვრება ადგილიდან, გემიც დაკარგავს გეზს, ავტორიტეტს დაკარგავს როგორც ინჟინრის საანგარიშო სახაზავი, ასევე ბანკები თუ ბირჟები, დადგება ქაოსი“...

სექტანტობის მეტასტაზები ღრღნის მთელ ქართულ საზოგადოებას – კლანურია სახელოვნებო ელიტა, პოლიტიკოსები, ინტელექტუალები და მედია... კლანურია მასაც და მდაბიოც, ამ უკანასკნელის ერთ მებრძოლ კოლექტივად შედუღებას ეკლესიური მრევლი უზრუნველყოფს. წარმოუდგენელია, ტოტალიტარული სექტებისა და ნეპოტიზმის ზეობის პირობებში ჩვენ რაიმე წარმატებას მივაღწიოთ, რადგან კლანურობის ფუძეს ორმაგი სტანდარტები და ფარისევლური მორალი, იგივე უსამართლობა წარმოადგენს... ჩვენს აბსურდულ სამყაროში ხომ ერთი იმარჯვებს, ხოლო აჯილდოებენ სხვას.

საქართველოს მომავალი ჯერ კი-

დევ არ ჩანს – ჩვენ რახანია ერთ წრეზე ვტრიალებთ. სანამ არ შევძლებთ უცხო ადამიანის ნიჭით აღფრთოვანებას, მისი წარმატებით გახარებას, ჩვენ არაფერი გვეშველება. ქართველები მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ მოჯადოებული წრის გარღვევას, როდესაც ის, ვინც 100 მეტრს ყველაზე ჩქარა გარბის, მიიღებს ჯილდოს. ყველგან და ყველაფერში უნდა გამეფდეს ჯანსაღი კონკურენცია და იდეების ჭიდილი.

ხშირად გვსმენია: ქართველების ნელი წინსვლის მიზეზი დაბალ განათლებამია. შეიძლება, თუმცა მიმაჩნია, რომ ადამიანს ადამიანად, პირველ ყოვლისა, მუდმივი სინდისის ნუხილი აქცევს და მხოლოდ შემდეგ მოდის, წესიერებისთვის სავსებით საკმარისი, თუნდაც საშუალო დონის განათლება და არა, პირიქით – ჯერ განათლება და მერე სინდისი. წესიერი ადამიანის სახელი ხომ განათლებულობაზე გაცილებით ძნელი მოსახვეჭია და მისი დაცვა ხშირად თავგანწირვას მოითხოვს, ხოლო სწავლული „ინტელექტუალი სექტანტიც“ მონად დარჩება – ის იგივე ყურმოჭრილი ყმაა, ოღონდ მას ცოდნის სახიფათო იარაღი უპყრია ხელთ...

#### P.S.

კონკურსები და მასში გამარჯვება შეიძლება თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ესაა: 1. გზა – მიხვიდე მასობრივ მკითხველამდე; 2. მოიპოვო მატერიალური დამოუკიდებლობა ან თუნდაც არ უყურებდე ხელისუფალს ხელებში – იყო საკუთარ შესაძლებლობებში დაჯერებული ინდივიდი.

აქვე უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ, როგორც მეგობრის მამამ და ცნობილმა მხატვარმა, სახელოვნებო ფრონტის ჩუმმა, მაგრამ ჭეშმარიტმა გმირმა თქვა: „არ შეიძლება შემოქმედს, მწერალს წარკომანივით დამოკიდებულება გქონდეს ჯილდოების, ჩინ-მედლებისა და კონკურსებში გამარჯვების მიმართ“. ვალიარებ, ეს თვისება, მეტ-ნაკლებად, მეც მახასი-

თებს, მაგრამ მისგან გათავისუფლებას მთელი ძალებით ვცდილობ. მე ამისთვის ასეთი გზა ავირჩიე – ქართული „სახაზინო ელიტისა“ და სამამულო ბომონდისადმი მძვინვარე პროტესტი. მაგალითად თუნდაც ეს წერილი კმარა...

მართალია, ამასობაში პირველქმნილ პრიმატებს წუთითაც არ ეპარებათ ეჭვი, რომ ცხოვრების ბატონ-პატრონების როლი მათ სრულიად სამართლიანად და სამუდამოდ ერგოთ...

...ეჰ, რაც არის, არის, უნდა ვაღიარო – ამ ადამიანებს დიდად ვერც დაადანაშაულებ. მათმა დიდმა ბაბუებმა და მამებმა – მხვრეტავმა მეციხოვნეებმა, „ულვაშა ბელადის“ მეხოტბე პოეტ-მწერლებმა – თუ, უბრალოდ, რიგითმა ჩამშვებებმა – ერში სახელი „დანოსებითა“ და ანონიმუ-

რი წერილებით გაითქვეს და ასე დაიმსახურეს ხელისუფალთა კეთილგანწყობა. წესიერები და სიმართლის მთქმელები ადრიანადვე დახვრიტეს, შემდეგ ლოიალურებს, მაგრამ არასაკმაოდ მონდომებულ „შპიონებს“ მიადგნენ, ბოლოს კი ამკარა მედროვეებიც გამოხშირეს და მხოლოდ განსაკუთრებით უპრინციპოები დატოვეს... ასე რომ, თანამედროვე სექტანტები შეიძლება, ნაწილობრივ მაინც, გაამართლო – მათ შემთხვევაში საქმე ხომ ოჯახურ, ანუ სინდისის გენეტიკურ, თანდაყოლილ დეფექტთან გვაქვს.

დასასრულ, ერთიც – „დრონი მეფობენ“, ბრიყვების ჯოგი კი ბალახობს...

**2015 წელი,  
30 აგვისტო**

## აღფოთების საბაზი

(გამოხმაურება ზ. ოდილავაძის წერილზე)

„საბა-ბი მაქვს აღფოთები-საბა-ბი“  
**ზურაბ ქარუმიძე**  
 07.09.2015

ყოველი ლიტერატურული კონკურსი თუ სხვა ამგვარი მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და არ იქნებოდა მართებული მისი გამოცალკევებით განხილვა. ზურაბ ოდილავაძის წერილიც ამის დასტურია. „კლანურობა“ – ასე დაახასიათა წერილის ავტორმა იმგვარი ცხოვრების წესის ანომალია, რომელიც გუშინაც ყვაოდა და დღესაც მყარად არის გაბატონებული ჩვენში. როგორც ზურაბ ოდილავაძე წერს: „ეს არ გახლავთ სრულიად ახალი ტენდენცია, არამედ მხოლოდ ძველის გაგრძელებაა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოეთიდან მოდის“.

საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა ე.წ. პარტიულ-ნომინენკლატურული კლანი. ვინც ამ კლანს ანგარიშს არ უწევდა და შემოქმედი კაცის თავისუფალი ცხოვრებით ცხოვრობდა, ის მნიშვნელოვან პრემიას იოლად ვერ მიიღებდა! ამის მაგალითი მრავალია. „საბჭოთა კლანი“ კარგა ხანია შეცვალა „ქართულმა კლანმა“. დემოკრატიის პირობებში ერთი კლანი ვერ იარსებებდა და გაჩნდნენ დაჯგუფებები, რამაც კლანურობა, როგორც მოვლენა კიდევ უფრო გაამძაფრა და გააძლიერა. ეს კლანები ზოგჯერ პარტიული, სარწმუნოებრივი, პროფესიული, უფრო ხშირად კი ძმობილური ნიშნით არიან გაერთიანებული. მათი დამახასიათებელი

ნიშანია საზოგადო საქმეზე მაღლა საკუთარი ინტერესების დაყენება.

ზურაბ ოდილავაძე, ლიტერატურული პრემია „საბას“ პარალელურად, სხვა პრემიების კლანურობასაც მოიხსენიებს („წერო“, ილიას უნივერსიტეტის „წლის საუკეთესო რომანი“ და სხვ.), ოღონდ შემდეგი კორექტივით: „იქ გაცილებით მეტი განუკითხაობაა, უკიდურესი უტიფრობითა და ურცხვობით, თანამშრომელ-ნაცნობ-ნათესავების დაჯილდოებით“.

საბა, ილია – ამ სახელწოდებების ნიშნით აღბეჭდილი პრემიების დაარსება დამფუძნებლების არჩევანზე მეტყველებს: სახელდება კონკურსანტებისგან იმთავითვე მოითხოვდა პასუხისმგებლობის მაღალ დონეს. უნდა ვიფიქროთ, რომ დამფუძნებლებს შემთხვევით, გაუაზრებლად არ უწოდებიათ პრემიებისთვის ღირსეულ მოღვაწეთა სახელები. არადა, მოვლენათა მსვლელობამ საწინააღმდეგო რამ გვიჩვენა – პრემია „საბა“ მიიღო იმ ავტორმა, რომელმაც ილია ჭავჭავაძე ერთი პატრიოტული ლექსის („ნანა“) გამო ნაციონალისტად შერაცხა და ჩაკეტილი საზოგადოების ადებტად გამოაცხადა! ეს წმინდა წყლის მარაზმია! ნებისმიერმა წიგნიერმა მკითხველმა იცის, რომ რომ ილია ყოველგვარი ჩაკეტილობის მტერი და ევროპული დემოკრატიის დამფუძნებლების მხურვალე მხარდამჭერი გახ-

ლდათ. აი, რას წერს გერონტი ქიქოძე: „რუსთაველის მსგავსად ილია ჭავჭავაძემ ქართული ლიტერატურა გაათავისუფლა ნაციონალური კარჩაკეტილობისგან, მან ქართული ლიტერატურის ჯანსაღი ტრადიციები მოწინავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობას დაუკავშირა“. ყოველივე ეს აშკარაა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც საჭიროებს შეხსენებას. იმავე ნაციონალიზმის შესახებ გერონტი ქიქოძესთან ვკითხულობთ: „ილიას ინტელექტუალურ პატიოსნებას მოწმობს ის გარემოება, რომ ის სრულიადც თავისი დროის ქართველობის იდეალიზაციას არ ახდენდა ზოგიერთი გონებაშეზღუდული ნაციონალისტივით. საკმაოა ამის საილუსტრაციოდ მისი „ბედნიერი ერი“ ან „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ – ეს უმძაფრესი სატირა, რომელიც ოდესმე რომელიმე პოეტს თავისი ერის ზნეობრივი მანკიერების წინააღმდეგ დაუწერია“.

მამ ასე, კლანურობას არად მიაჩნია ჭეშმარიტების გაყალბება და ნათელი პიროვნებისათვის ჩრდილის მიყენება. „საბას“ კლანურობა იმით გამოიხატა, რომ მცდარი აზრის ავტორი (საკუთარი ამქრის წევრი) პრემიით დაჯილდოვდა. ეს არ მოხდებოდა, რომ გვექონოდა სალიტერატურო კრიტიკა. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ნორმალური ლიტერატურული პროცესის განვითარებისათვის კრიტიკის აუცილებლობა სადავო არ არის. ამიტომაც წავუმიძღვარეთ ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერს სეფეპუბლიკაციად ილიას თვალსაზრისი, რამეთუ უკეთ ვერ ვიტყვოდით, თუმც კრიტიკული აზრის არარსებობასა თუ ჩამორჩენილობაში ჩვენს წილ პასუხიმგებლობასაც ვგრძნობთ.

კრიტიკის უქონლობამ დიდი ზიანი მიაცენა ჩვენს ლიტერატურას.

ჩვენ პრეზენტაციებით ჩავანაცვლეთ სერიოზული ლიტერატურული განხილვები და დისპუტები, რომლებიც კომუნისტების ეპოქაშიც კი (განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან) მწვავე კამათსა და აზ-

რთა ცხოველ ურთიერთგაცვლაში მიმდინარეობდა, სადაც მართალი, თამამი და თავისუფალი სიტყვა ხშირად ამარცხებდა რეტროგრადებს – სოცრეალიზმის უნიჭო დამცველებს. დღევანდელ პრეზენტაციებზე კი წიგნისა და მისი ავტორის ზერელე წარდგენას უმაღლვე ენაცვლება „ალა-ფურშეტი“, დამსწრე საზოგადოებასაც თვალის მიზობელი ოთახისკენ უჭირავს, სადაც სუფრაა განწყობილი. მაშინ, რატომღა გვიკვირს, რომ სულიერი საზრდოს ნაცვლად ლიტერატურული ნასუფრალით / სუროგატით ვიკვებებით?!

მაღალპროფესიული, ობიექტური კრიტიკის არსებობა ნიადაგს გამოაცვლიდა კლანურობას, მნიშვნელოვან ხელშემშლელ მიზეზს ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა. კონკურსების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ სერიოზული კრიტიკის არსებობის პირობებში, რადგან მხოლოდ სალიტერატურო კრიტიკა უწყობს ხელს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. კრიტიკული აზრის არარსებობა თუ კრიტიკის იგნორირება კი ბუმერანგით უბრუნდება მწერალს და მწერლობას. საზოგადოებას აღარც მწერლის სიტყვისა სჯერა, აღარც მისი პრემიისა და ოსტატობისა.

კრიტიკოსი გემოვნების კანონმდებელია. ის მკითხველს მხატვრული ტექსტის აღქმასა და გააზრებაშიც ეხმარება და ლიტერატურის სამომავლო პერსპექტივასაც განსაზღვრავს. რაც მთავარია, კრიტიკოსი ლიტერატურული პროცესის შემფასებელია. უამისოდ კი წარმოიშვება ანარქია, ლიტერატურულ ფასეულობათა აღრევა, რაც წარმოიშვა კიდევ და, რომ არა ეს მღვრიე წყალი, ამა თუ იმ ლიტერატურული პრემიების მესვეურნი ვერ გაბედავდნენ საკუთარი ქვეყნის, მისი კულტურისაგან გაუცხოებული ადამიანებისთვის თუ უფერული ნაწარმოებების ავტორებისთვის ჯილდოს გადაცემას.

ზურაბ ოდილავაძის წერილი ჩვენმა რედაქციამ აგვისტოს ბოლოს მიიღო და მისი ავტორი ამიტომაც მსჯელობს „საბა

– 2014“-ზე, მაგრამ ვითარება არც 2015-ში შეცვლილა.

„საბა – 2015“ საკმაოდ პომპეზურ, თეატრალურ გარემოში, მუხრან ბატონის სასახლეში გაიმართა. ამ გარემომ, სამწუხაროდ, ვერაფერი შემატა თავად ლიტერატურულ კონკურსს. მკითხველთა და მწერალთა დიდი ნაწილი მოელოდა, რომ კონკურსის ნამდვილი აღმოჩენა იქნებოდა ლუკა ბაქანიძის უაღრესად საინტერესო, უზადოდ შესრულებული რომანი „მესამე ნაპირი“. კრიტიკის არარსებობის გამო მწერლის კოლეგები ერთსულოვნად მიესალმნენ ამ ნაწარმოებს. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამგვარ ერთსულოვნებას მცირეოდენი ანგარიში მაინც გაენეოდა. ერთმა ნიჭიერმა მწერალმა, „საბას“ კონკურსის იმდროინდელმა მონაწილემ, ლადო კილასონიამ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ ლუკა ბაქანიძის რომანის სახით, კონკურსზე წარმოდგენილი იყო სრულიად გამორჩეული ნაწარმოები. ეს კოლეგიალობის, მართლაც, იშვიათი მაგალითი გახლდათ, მაგრამ საბოლოო განაჩენი მაინც სავალალო გამოდგა – „საბამ“ ზურგი აქცია ლუკა ბაქანიძის რომანს. აქაც კრიტიკის არარსებობამ იჩინა თავი, ამიტომაც გაიმარჯვა კლანურობამ. კლანში „საბას“ ჟიურის უფროსი თაობის ცენზიან წევრებსაც მოვიაზრებთ, რომელთაც არ ეყოთ პრინციპულობა ამ ნაწარმოების გამოსარჩევად. არც ის არის გამორიცხული, ნაკითხულიც არ ჰქონდათ იგი, მაგრამ უბედურება ისაა, რასაც პრემია მიანიჭეს, შესაძლოა, არც ის ნაუკითხავთ და თუ ნაკითხეს – მით უარესი!..

თუკი ვინმეს არ გაუკვირდებოდა ასეთი შედეგი, თვითონ ავტორს, ლუკა ბაქანიძეს. საქმე ისაა, რომ ამ რომანში ბოლოდროინდელი საქართველოს ყოფაა ნაჩვენები. აქ ერთ მხარეს ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანები არიან და მეორე მხარეს – ის ხალხი, ვინც სასათბურე პირობებს ინჟობს და საამისოდ ყველაფერს კადრულობს. ამ რომანის მთავარი

გმირი ცხოვრებისაგან გარიყულთა შორისაა, ის თავის მეგობრებთან ერთად მინისქვეშა გადასასვლელში უკრავს ინსტრუმენტზე, ერთი შეხედვით, მწარე და გაუსაძლის მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა, მაგრამ ის არ ემდურის თავის ყოფას, ვინაიდან სინდისის კარნახით ცხოვრობს და საკუთარი თავის მიმართაც ისეთივე მომთხოვნია, როგორც სხვების მიმართ. ის გულწრფელია და, როდესაც თავის თავგადასავალს ჰყვება, საკუთარ თავსაც ისე აშიშვლებს და ამხელს, როგორც სხვებს. ამ არაადამიანურ, თანაგრძობის უქონელ საზოგადოებაში მას სურს შეინარჩუნოს ადამიანის სახე და არ დაკარგოს სიცოცხლის ხალისი.

ასე მართალი, ბუნებრივად მოთხრობილი წიგნი კარგა ხანია არ დაწერილა საქართველოში.

მართალია, არ ვიცით, უშუალოდ ლუკა ბაქანიძეს გულისხმობს თუ არა ქვემოთ მოყვანილი ციტატის ავტორი, მაგრამ ერთი უდავოა, უსამართლოდ დაჩაგრულთა გამოქომაგების სურვილი „საბას“ დაარსების ერთ-ერთ ინიციატორსაც გასჩენია: „იმედს ვიტოვებ, რომ „საბას“ ჟიური მომავალში მაინც აღარ დაუშვებს წლევეანდელის მსგავს დასანან შეცდომებს, რომლებიც თავად ჟანრების პრესტიჟსა და აქტუალობას შეუქმნის პრობლემას: „საბა“ ხომ ავტორების ნასახალი-სებლად არის შექმნილი და არა მათ დასაჩაგრად“ (ლაშა ბულაძე, საიტი – ART INFO, 11. 09.15).

როგორც ჩანს, სიცრუე და კლანურობა ყველასთვის აუტანელი ხდება

რაც შეეხება პრემირებული ავტორის, აბო იაშალაშვილის წიგნს „როილ მერი“, მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ იქ სტილისტურ-ორთოგრაფიული შეცდომები განზრახ არის დაშვებული, მაგრამ ნაკითხვისთანავე ხვდები, რომ ძნელია მათი მხატვრულ ხერხად მიჩნევა. არც ერთ ფრაზაში არ ჩანს იმის ელემენტარული უნარი, რომ ამბავი (ფაბულა) გასაგებად მიიტანოს ავტორმა მკითხველამდე.



ამიტომაც „თხზულების“ დასრულებისას დიდი კითხვის ნიშანი ჩნდება: რა მოგვითხრო ავტორმა, რა უნდოდა მას ეთქვა მკითხველისთვის? ეს წიგნი იმ კაცის ოცობოდო ლაპარაკსა ჰგავს, რომელიც რალაცას გიყვება, მაგრამ ვერ გაგებინებს, რისი თქმა უნდა. ასეთი ავტორის ეპითეტად უკანასკნელ ხანს ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრდა ტერმინი – არასანდო მთხრობელი.

იაშალაშვილის პერსონაჟების მეტყველება რომ გაუმართავია, ეს არ უნდა იყოს დასაძრახი, რადგან პერსონაჟის გაუმართავი ენით მეტყველება შესაძლოა, მისი სოციალური წარმომავლობის დამახასიათებელი ნიშანი იყოს. ენის მემკვიდრით მწერალმა შეიძლება გარკვეული ფსიქოტიპის პორტრეტიც შექმნას, მაგრამ, როცა ავტორისეული ტექსტი არაფრით განსხვავდება მისი პერსონაჟის მეტყველებისგან, ნამდვილად ღირს დაფიქრება. აქ უკვე აშკარაა, ავტორს მკითხველამდე სასურველი აზრის მიტანა უჭირს, რომ აღარაფერი ვთქვათ ფრაზის მხატვრობაზე, თუმცა რა მხატვრობას მოვითხოვთ, როცა ავტორი ქართულ ენას საკომუნიკაციო ფუნქციასაც კი უკარგავს.

სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, ჩვენ ეგებ ზედმეტად მომთხოვნიც ვართ იმ ყაიდის ლიტერატურის მიმართ, რომელსაც იაშალაშვილის თხზულება მიეკუთვნება. რა პრეტენზია უნდა გქონდეს ავტორთან, რომელმაც თავშესაქცევი წიგნი დაწერა და საჯაროდ განაცხადა ამის შესახებ. აბო იაშალაშვილმა ასე განმარტა საკუთარი „როიალ მერის“ თემატიკაცა და პრობლემატიკაც, „საბას“ კონკურსის საპრეზენტაციო კლიპში: „როიალ მერი“ ეს არის XIX საუკუნის თბილისი, 80-იანი წლების ბოლო, ეს არის საფათერაკო, მოდეტექტივო წიგნი – უფრო მეტი მკვლევლობა, უფრო მეტი გვამი... უამრავი სხვადასხვა კულტურა ჩნდება. ეს არის იმ დროის ქალაქის ქუჩების შლიგინი, სხვადასხვა უბნები (!) და

ყველა ცდილობს თავის დამკვიდრებას“ (ციტატი მოხმობილია სრულად და უცვლელად – რედ.).

პირდაპირ გასაოცარია იაშალაშვილის გულწრფელობა თუ გაუცნობიერებელი მიამიტურობა საკუთარ წიგნზე მსჯელობისას. ამიტომაც ითქვა, რომ არ შეიძლება სერიოზული პრეტენზია გვქონდეს ასეთი მწერლის მიმართ, პრეტენზია მხოლოდ ჟიურის მიმართ შეიძლება გაგვიჩნდეს, რომელიც საკუთარი ნებით დაემსგავსა თბილისი-ბათუმის მატარებლის მგზავრს, ვაგონში შექმნილი წიგნით მოსაწყენი მგზავრობა რომ გაიხალისა და „როიალ მერი“ დროის გაყვანის მშვენიერ საშუალებად გამოიყენა. ბარაქალა ასეთ კონკურსს და ასეთ ჟიურის!

სულო ცოდვილო და, ასე გვგონია, ჟიურის წევრებს იაშალაშვილის წიგნის წაკითხვა დაეზარათ და ვილაცის რჩევას დასჯერდნენ, მაგრამ ამ დალოცვილებს ზემოთ ნახსენები კლიპი რომ მაინც ენახათ, გადანყვეტილების მიღებისას სერიოზულად დაფიქრდებოდნენ და ამავე კონკურსზე არაერთგზის პრემირებული ავტორის, აკა მორჩილაძის მიერ აღწერილი ძველი თბილისის ყოფის არცთუ წარმატებულ მიბაძვას აღარ დააჯილდოვებდნენ. აბო იაშალაშვილის „როიალ მერი“ აშკარად პოსტკამორჩილაძეა, ოღონდ მოკლებული მორჩილაძისეულ ქვეტექსტს, სათქმელის სიღრმეს, სტილურ ფერადოვნებასა და, რაც მთავარია, დამაჯერებლობას (აქ კიდევ ერთხელ გვახსენდება „არასანდო მთხრობელი“).

ახლა ცოტა რამ უნდა ვთქვათ „საბას“ ორგზის ლაურეატის, პაატა შამუგიას შესახებ. მისი ლექსები და პოემები პროზაული „განრიგით“ რომ დავაწყობთ, მივიღებთ ჩვეულებრივ დეკლარაციას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პოეზიასთან. მცირე ამონარიდის მოტანაც საკმარისია ამაში რომ დავრწმუნდეთ. ავილოთ დასაწყისი პოემისა „გეოპოლიტიკური ჩიტები“:

„ჩიტებს აქვთ თავიანთი პოლიტი-



კა./ რომელიც განსხვავდება ადამიანის პოლიტიკისგან./ ყველას ესმის, რომ პოლისის ჩიტური გაგება/ არ ჰგავს პოლისის ანტიკურ იდეას,/ მათი პლატფორმა წმინდად ჩიტურია,/ ყოველდღიური ფრენა-ფრენით მოპოვებული,/ მაგრამ არის მასში რაღაც ისეთი,/ რაც ცხოვრების ღერძს ამყარებს. ჩიტებმა ხანგრძლივი ინტელექტუალური გალობა-შრომის შედეგად/ მოიპოვეს უფლება, აღარაფერს წარმოადგენდნენ,/ (განსაკუთრებით მაშინ, თუ ცივა და საკუთარ ბუმბულებში შეყურსულებს/ ქარი ეხლებათ, /ან მაშინ თუკი დიდ ქვაბში იხარშებიან),/ ესე იგი, მხოლოდ ჩიტები იყვნენ,/ თავიანთი ჩიტობით შემოსაზღვრულები./“

ვფიქრობთ, დიდი მტკიცება არ სჭირდება, რომ ვერაფერ პოეტურს აქ სანთლითაც ვერ იპოვი.

მართალია, ახალს არაფერს ვიტყვით, მაგრამ იძულებული ვართ, ხაზგასმით აღვნიშნოთ, პოეზია რაიმე ნიშნით მაინც ხატოვანი უნდა იყოს, მაგრამ, როცა სტრიქონებად დატეხილ ჩვეულებრივ ლაპარაკთან გვაქვს საქმე, როგორც ეს პაატა შამუგიასთან ხდება, ამას პოეზიად ვერ მივიჩნევთ. მშრალი რიტორიკა არასდროს ყოფილა პოეზია. მეტაფორულ აზროვნებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

პაატა შამუგია გამონაკლისი არაა. სამწუხაროდ, ამგვარი აბრაკადაბრა ჩვენში ავანგარდიზმად სალდება. ამ ფსევდოავანგარდიზმს ფსევდოპოეტები ამკვიდრებენ და მათივე მსგავსთა ანუ კლანის ნევრთა ხელშეწყობით, პრესტიჟული პრემიის ლაურეატებიც ხდებიან. კიდევ ერთხელ ბარაქალა ასეთ პრემიებს! მაგრამ მიზეზი მაინც ჩვენშია. ხან

ჩვენ გაუბედაობაში, ხან იმის ფიქრში, ჩიტი ბრდღენად არ ღირს, ბელურებს ზარბაზანს არავინ უშენსო. თავი და თავი კი ისევ და ისევ კრიტიკის უქონლობაა, რაც ასე უბრალოდ და მარტივად ვერ დაიძლევა. კრიტიკული აზრი თვითონ იმ მწერლების გარემოცვაში უნდა ტრიალებდეს, რომელთაც ძლიერი ინტელექტი და მდიდარი წარმოსახვა აქვთ. რაც შეეხებათ მედროვეებს – კლანის ბელადებსა და მათ ამქარს – ამაოდ ჰგონიათ, რომ საზოგადოება ტყუევდება და ლიტერატურული პრემიის მინიჭებისთანავე პატივისცემით იმსჯელება პრემირებული ავტორის მიმართ და მეორე დღესვე მისი ქმნილების ძებნას იწყებს წიგნის მაღაზიებში. რა პომპეზურობითაც არ უნდა ჩატარდეს ლიტერატურული დაჯილდოება, ის დამთავრებისთანავე ყველას ავიწყდება და სამწუხაროც სწორედ ეს არის. ასე რომ, არაობიექტურობა, რომელიც კლანურობის შედეგია, მხოლოდ აკნინებს მხატვრული ლიტერატურის ღირსებას მკითხველის თვალში, ხელს უწყობს ლიტერატურული სუროგატების მომრავლებას. დაუმსახურებელი ჯილდო ვერც პრემირებულ მწერალს მატებს რაიმეს და ვერც თავის უმთავრეს დანიშნულებას ამართლებს – ხელი შეუწყოს მწერლის პროფესიის დაფასებასა და პატივისცემას, ლიტერატურის წინსვლასა და განვითარებას. ამ არცთუ სახარბიელო სიტუაციიდან თავის დაღწევაზე ფიქრი და ზრუნვა ყველამ უნდა დავიწყოთ, სხვაგვარად მხოლოდ ხელს შევუწყობთ ჩვენი მწერლობის გაბითურებას.

**რედაქცია**

# იუხი როსტი



## მიშიპო / Dead Man Blues

*მე მას საუკეთესო ადამიანს ვუნოდებდი. ის დიახაც იყო ერთი მათგანი – მცირეთაგან ერთ-ერთი საუკეთესო.*

თამადა არნახულ სუფრას დაჰფოფინებდა.

ჭიქა ხელში ისე ეჭირა, თითქოს მთელ გარდასულ სამყაროს ეხვევაო. მიშიპო ჭავჭავაძემ გალიმებული თვალი მოავლო მაგიდასთან მსხდომთ და კმაყოფილი დარჩა: გალაკტიონ ტაბიძე, ვიარესლავ ფრანცევი, ადრეული მიშინი და გრიბოედოვის ნათესავი ალექსანდრე და მისი მოგვარე ილია, ინოკენტი მიხაილოვიჩი, ალექსანდრ სერგეევიჩი, ბულატ შალვოვიჩი გიტარით, სერჟიკ ფარაჯანოვი, ნიკო ფიროსმანიშვილი... სუფრა პერსპექტივაში გადადიოდა.

– მათ იქ ვუთხარი: რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნები? ჯერაც არავინ იცის, ვის კომპანიაში ყოფნა ჯობს... მოდი, შევსვათ იმ ანგელოზის სადღეგრძელო, რომელიც ჩემი მეგობრების სახლის ჭერს მფარველობს.

– შენ გაგიმარჯოს, მიშენკა! – ჩვენს სუფრაზე ჭიქები ერთმანეთს შევეუტყუპეთ: გოგი, ლელო, ნელიჩკა, სერიოჟა იურსკი, კოლია, გია დანელია, ბელა, ნატაშა ნესტეროვა, ელენა, ალაჩკა კორჩაგინა, ოთარ იოსელიანი, ჭაბუა ამირეჯიბი... ვინ დარჩა.

– ეი, იურიჩკა! ახლა შეიძლება წავეუქეიფოთ. მერე ვარჯიშს დავიწყებ, გავხდები და არაჩვეულებრივად დაგიხატავთ აისებს და დაისებს. თქვენ ნუ იჩქარებთ...

მან ზეცა დაამშვენა...

არ ვიცი, წამდა თუ არა მიშა ჭავჭავაძეს ღმერთი, ის კი, რომ ღმერთს წამდა მიშა ჭავჭავაძისა, ნამდვილად ვიცი.

რას წარმოადგენდა ის მიწაზე?

იგი დაიბადა და ორმოცდაათი წელი იცხოვრა საქართველოში, როგორც მხატვარმა, ფილოსოფოსმა, მეგობარმა და ლამაზმა ადამიანმა. მაგრამ ეს პასუხი არ არის. მიშა იყო ცხოვრების მაესტრო. უზადოდ კეთილი. და მოსიყვარულე.

სიყვარულმა ბინა მის გულში პოვა. მთელი სოცოცხლის განმავლობაში და კიდევ – მიშა ოთხგანზომილებიანი იყო: მაღალი სულით და ღრმა გონებით (ერთი განზომილება); ხელგაშლილი საქციელსა და ნიჭიერებაში (მეორე); იმდენად ახლობელი, რომ ყველას სწვდებოდა სიტბო, მისგან გამოცემული და, იმავდროულად, შორეულ საუკუნეებში ფეხგადგმული (ეს მესამე); და ბოლოს, ის არსებობდა და ახლაც არსებობს დროში. კონკრეტულად

– ჩვენსაში და იმაშიც – არც დასაწყისი, არც დასასრული რომ არა აქვს.

ყოველი ინფარქტის შემდეგ, განუმეორებელი პლასტიკით რომ ეჭირა ქიქა (სანახევროდ საესე), მიხატავდა თავის (ჩვენს) მომავალს ახალი სურათებით, სპექტაკლებით, სახელოსნოიანი სახლით, არცთუ ძალიან მომქანცველი რეჟიმით და უსასრულო ურთიერთობებით...

ამასთან, ჩვენ ვცხოვრობდით. მას ყველანი ხელში ვეჭირეთ და გვეჩვენებოდა, რომ ამისთვის დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა. არა, არ გვეჩვენებოდა. ყველა შეცოდებას და შეცდომას, ყველანაირ უზუსტობას ვინმეს საქციელში ის გაგებით ეკიდებოდა. იმისთვის, რომ აპატიო, უნდა შეიგრძნო იმ ადამიანის დანაშაული, ვისაც ცოდვებს შეუნდობ. მიშას დიდ, ლამაზ სხეულში არ იყო ორგანო, რომელიც პრეტენზიებს, დადანაშაულებასა და წყენას განაგებდა.

ჩვენ, მისი მეგობრები, უნებურად ვსარგებლობდით ამით.

ხომ სისულელეა, მაგრამ ნახეთ – მთელი ცხოვრება ჩამრჩა გულში. მოვილაპარაკეთ, მავანს ექვსი საათისთვის ვესტუმროთო. ვჩქარობდით და იმ დრომდე, რომელზეც მიშას მოველაპარაკეთ, ვერ მოვითმინეთ – წავედით. სალამოთი მოვიდა და ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე დაინტერესდა როგორი დრო გაატარეთო. მე მგონი, ვერც ვერავინ შეამჩნია, რომ თავხედურად მოვიქეციეთ. აი, მიშა კი დაგველოდებოდა.

ჭავჭავაძე წარმატებით მუშაობდა ბევრ, თითქმის ყველა ცნობილ ქართველ თეატრის რეჟისორთან. მაგრამ ხშირად, აშკარა წარმატების შემდეგაც კი, ახალი სამუშაოსთვის ისინი ვინმე სხვას ეძებდნენ.

„თეატრზე მას, ალბათ, რაღაც განსაზღვრული კონცეფცია ჰქონდა და რეჟისორებს დიდად არ სიამოვნებდათ, გვერდით ჰყოლოდათ ადამიანი, რომელ-

საც საკუთარი შეხედულებები ჰქონდა, – რობერტ სტურუა, რუსთაველის თეატრის სახელგანთქმული რეჟისორი პაუზას აკეთებს, ეწევა, მერე დინჯად აგრძელებს: – ან, იქნებ, ჩვენ ასე სინდისისგან ვთავისუფლდებით, რადგან თეატრი – ეს არც ისე წმინდა ტაძარია, როგორც ამბობენ. იქნებ, თავისი იქ ყოფნით მიშა ცოდვილებს აწამებდა. მაგრამ არ მინდა, ამ არაჩვეულებრივ ადამიანს მხოლოდ თეატრის პოზიციიდან შევხედო. ის იყო პიროვნება, ვინც ძალიან ბევრი გააკეთა ცხოვრებისთვის. თანაც ისე, რომ ამისთვის არანაირი გმირობა არ ჩაუდენია. მისი გვერდით ყოლა საკმარისი იყო, რათა ზოგჯერ თავი უხერხულად გეგრძნო. ამიტომაც მგონია, ის შეიძლება რომელიმე წმინდანს შევადაროთ. ეს ერთობ ხმა-მაღლა ხომ არ ჟღერს? ჰო, მან ისეთი ცხოვრება განვლო, რომელსაც მე ვუნოდებდი... მაინც წმინდანისას. სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ, თუმცა თავად ამით უკმაყოფილო დარჩებოდა.

რუსულ თეატრში ის შეიძლება შევადაროთ სულერჟიციკის, რომელიც თითქოს არ მონაწილეობდა МХАТ-ის\* შექმნაში – და ძალიან ბევრი გააკეთა სტანისლავსკის და, საერთოდ, რუსული თეატრისთვის. მერე კი გაქრა, წაიყვანა ამერიკაში დუხობორები – და გაქრა. მე არ ვყოფილვარ თბილისში, როცა მიშა გარდაიცვალა. ამიტომ ჩემთვის ის არ მომკვდარა, უბრალოდ, გაქრა. წავიდა სადაც, სადაც, ალბათ, ბედნიერია...“

როგორ მინდა, ამის მჯეროდეს.

გოგი ხარაბაძემ, ცნობილმა ქართველმა მსახიობმა, ჩვენი თბილისური სამეგობროს დუაიენმა, მან, ვინც გამაცნო ჭავჭავაძე, შესანიშნავი არქიტექტორი ლელო ბოკერია, ოთარ იოსელიანი, მთელი საქართველო, მე და მიშიკოს ბორჯომის კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლის საგზურები გვიშოვა. მთელი კვირა ვიცხოვრეთ რაღაც უაზრო, აივნიან

\* Московский художественный академический театр – მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი.



ნომერ-ლუქსში, რუსული Г-ს ფორმის ვეებერთელა ოთახში. მე რაღაც სისულელეს ვთხზავდი, ის წელში გაუმართავად ხატავდა სერიას თბილისური სახლების, რომლებიც თითქოს სუფრაზე თეფშებით მოგართვესო (ამ ნამუშევართაგან ერთი მიმამ ბულატი ოკუჯავას მიუძღვნა 70-ე წლისთავზე, დანარჩენები ისე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე ჩამოარიგა).

ვლასპარაკობდით სიცოცხლესა და სიკვდილზე, სიყვარულსა და სხვა ადამიანურ ურთიერთობებზე. დავდიოდით შემწვარი სოკოს საჭმელად და შემოგარენში ტაძრებს ვათვალიერებდით. მან პროფესიონალურად იცოდა ქართული საეკლესიო არქიტექტურა, ფრესკები და ხატები, ჰქონდა იდეა, როგორ უნდა მომხდარიყო დავით გარეჯის – რომელიც თანამედროვე ვანდალებმა და უგუნურმა სამხედროებმა დააზიანეს, როცა ძეგლის უშუალო სიახლოვეს სამხედრო პოლიგონი მოაწყვეს – კედლის მოხატულობის კონსერვაცია და რეკონსტრუქცია. მაგრამ ამაზე – მოგვიანებით. ჯერ კი ნოემბერი იყო, შემოდგომის მზე და წმინდა მარიამის ეკლესია ტიმოთესუბანში. კარლია. უსულიეროდ.

Посажен словно глаз в орбиту,  
Надежен, как в руке рука,  
Овеян временем забытым,  
Стоит он камнем, в землю вбитым,  
Недвижимый и на века...  
...а мимо лист несет река.  
Опал убор из брачных перьев,  
И звонок жухлых листьев хлам.  
Прозрачна графика деревьев.  
В тумане низко над деревней  
Парит Святой Марии храм...  
...а эхо бродит по горам.

\* ჩასმულია ორბიტაში, როგორც თვალი; საიმედოა, როგორც ხელში ჩაჭიდებული ხელი, გახვეულია მივიწყებულ დროში, დგას ქვაში, მიწაში რომ არის ჩასობილი, უძრავი და საუკუნეების გამძლე... მის სიახლოვეს კი მდინარეს ფოთოლი მოაქვს, საქორწინო ბუმბულის თავსაბურავი ძირს დაშვებულია. და ხმელი ფოთლების გროვა ხმიანობს. გამჭვირვალეა ხეების გრაფიკა. სოფლის თავზე დაბალ ნისლში ციალებს წმიდა მარიამის ტაძარი... და მთებში ექო დახეტილებს. და ბლანტი, დაბინდულ მდუმარებაში ჩემს ცხოვრებას კედლიდან აკვირდებიან ისინი, ვინც ჩემზე სუფთაც იყო, უკეთესიც. და დილის შემთხვევის ნათელში ჩემი ახლობლების სახეებს ვცნობ... და შენს სიფრიფანა ხელს.

И в вязком сумрачном беззвучье  
Со стен глядят на жизнь мою  
Те, кто и чище был, и лучше.  
И в свете утреннего случая  
Я лики близких узнаю...  
...и руку узкую твою\*.

თავის ბრგე ტანთან შედარებით მიშენკას მართლაც თხელი ხელები ჰქონდა.

ბორჯომში გავატარე ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო, სრულფასოვანი კვირა. მიმას გვერდით. თუმცა ის ცოტას „ფშვინავდა“. მერე რა – ვიყიდე სათხილამურო ქუდი და აივანზე მეძინა.

დილდილობით ის მალვიძებდა ხოლმე. სპორტულ ფეხსაცმელს ვიცვამდი და სახლის გარშემო დავრბოდი. მიშიკო მელოდა, მოაჯირზე ჩამოყრდნობილი.

– მეც დავრბოდი ხოლმე, მაგრამ... მერე შემეძლო, რვაჯერ მესადილა.

სარკესთან მიდიოდა, რათა ენახა, რამდენი მოიკლო წონაში მას შემდეგ, რაც გუშინდელი ვახშამი გამოტოვა.

– დაიკელი, მიშენკა.

– არა! იცი, ისეთი გაბერილი ვარ... მაგრამ საკმარისია, ღვინო არ დავლიო, მაშინვე გახდომას ვინყებ. იცი, როგორ დიეტაზე უნდა დავჯდე? შემწვარი კარტოფილი (ძალიან მიყვარს), ხორცი ან ძეხვი, სულ ერთია, და ცივი ხსნადი ყავა. და ძალიანაც კარგი.

– მთაში წავიდეთ, მიშა!

– ახლა სიარულის დროა? აქედან მშვენიერი ხედია. თანაც, იცი, მთაში როგორ უნდა იარო? ჯერ კონსერვები უნდა იყიდო, აილო...

– ზურგჩანთები, კარვები და, წავიდა

– ფეხით უღელტეხილის გავლით მაიაკოვსკის სახლისკენ, ბალდათში.

მიშა იცინოდა, ცრემლებს ინმენდდა.







არაჩვეულებრივად იცინოდა. შენზე, საკუთარ თავზე, სიტუაციაზე. სერიოზული ტონიდან აღარაფერი რჩებოდა, მერე ის უეცრად შეეცდებოდა, მკაცრად არა, მაგრამ დამაჯერებლად აეხსნა, რომ შენ მართალი არა ხარ ან თვითონ არის მართალი და, კვლავ კომიზმს რომ შეიგრძნობდა, სიცილს იწყებდა.

სვანეთში, ცხადია, გოგი ხარაბაძის წყალობით აღმოჩნდით. ადგილობრივებიდან რომელიღაც მისმა თაყვანისმცემელმა წმინდა კვირიკეს ტაძარში საეკლესიო დღესასწაულზე წაგვიყვანა. „კვირიკობა“ დამთავრდა და წინ ქუთაისში დაბრუნება გველოდა. მე, გოგი, ლეო და მიშა გზაზე ვისხედით, როცა ორი მანქანა მოგვიახლოვდა. რაიკომის „ვოლგა“ პირველი გაჩერდა, მასპინძლებმა გოგი მიიპატიჟეს:

– პატივცემულო! მხოლოდ ორი ადგილი გვაქვს.

გოგიმ სთხოვა, დამელოდეთო და

„გაზ-69“-ისკენ წავიდა, რომ დაწახვებოდა. მანქანაში აღმოჩნდნენ ყაჩაღები, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ მას შამპანურით სავსე ყუთი მიართვეს, რომლიდანაც ერთი ბოთლი დავლიეთ.

– დიდად დაგვაფალებთ, რაც დაგვრჩა, იმასაც თუ წაიღებთ, – გვითხრა მთავარმა ყაჩაღმა ვანომ.

„დიდად დავალებული“ რომ დარჩენილიყო, ეს საქმე უშიშრად ვიკისრე მე.

– შენ ახლა ქართველების ღირსება და შამპანური გადაარჩინე, – მითხრა მიშამ.

– შენ და ჭავჭავაძე ჩემი ოჯახის სირცხვილი ხართ, – მკაცრად თქვა გოგიმ.

– და ლელო?

– ლელო ჯერ კიდევ არა.

●

„გაზიკის“ საჭეს მოხდენილი ვანო უჯდა. როგორც ჩანდა, მე და მიშამ, გადასაწევ სავარძლებზე მოკალათებულებმა, ხელი შევეშალეთ პროფესიონალურ საუბარს, რადგან მანქანაში სიჩუმე გამეფდა. საერთო თემები ჯერ არ მოგვეძვეებოდა. უცბად ვანო ქართულად ალაპარაკდა – ლამაზად და დაწყობილად.

მიშას არ გადაუთარგმნია. მითხრა: „გალაკტიონი“. როცა ყაჩაღმა ლექსის კითხვა დაამთავრა, მიშამ დაიწყო. ასე, რიგრიგობით, იხსენებდნენ გენიალურ გალაკტიონ ტაბიძეს გზის ბოლომდე. ანუ რესტორნამდე.

ეს უცნაური რამ იყო. ლელქაშიან კუნძულზე სამი ალუმინის მაგიდა იდგა, გადაფხეკილი ცისფერი პლასტმასით დაფარული, და ალუმინისვე, გაყვლეფილი დასაჯდომებით, სკამები. გვერდით – ჩამოფხავებული ბუდრუგანა ლიობებით, რომლებიც კარს და ფანჯრებს გამოსახავდა.

ბუდრუგანასთან გოგი, ლელო და ვილაც უცხო კაცი გველოდნენ.

– ეს, – მითხრა მიშამ, გამოცოცხლებულმა, – ძალიან კარგი რესტორანია. „მცირე მინა“ ჰქვია.

უცნობმა გადაგვთვალა და თქვა: „ნახევარი საათით გაისეირნეთ“ – და წავიდა. ამ დროის განმავლობაში ის მოივლის ყველა სახლს, სადაც დიასახლისები მოამზადებენ იმას, რითიც ცნობილია მათი სამზარეულო, და ყოველივე ამას „მცირე მინაში“ მოიტანენ.

– ბაღდათში ვართ, – გვითხრა გოგიმ. – ამ სახლში, ჩვენგან ასიოდე მეტრში რომ დგას, დაიბადა მაიაკოვსკი.

– მიშა, – მივმართე მე, – მოდი, სანამ საქმელს გაგვიმზადებენ, ვლადიმირ ვლადიმეროვიჩთან შევიაროთ.

– ე, იურიჩკა, ახლა მუზეუმში სიარულის დროა? ვიყიდით მე და შენ კონსერვებს, ავიღებთ ზურგჩანთებს, კარვებს და ფეხით, უღელტეხილით, დავეშვებით მაიაკოვსკისკენ.

– თევზის კონსერვებს? – იკითხა გოგიმ.

– არა, – სრულიად სერიოზულად უპასუხა მიშამ. – თევზისა შეიძლება გაფუჭდეს. ჯობს, ჩაშუშული ხორცისა წავილოთ და შედედებული რძე.

სალამოთი, ნავახშმევს, მოტელში ვისხედით და ვტკბებოდით ფერწერული სურათით, რომელიც რეგისტრატურის კედელზე ეკიდა.

– ეს მითხარი, გოგიჩკა, მიშა თუ შეძლებდა ასეთის დახატვას?

– ვერა, – თქვა გოგიმ. – ამისთვის აუცილებელია, ძალიან გიყვარდეს და იცოდე ისტორია.

ნახატზე, რომელსაც ერქვა „სტალინი და ლენინი რაზლივში,“ ნავი ეხატა. მის ცხვირზე გულზეხელდაკრეფით, ნახევრად სამხედრო ფრენით და რბილი ჩექმებით იდგა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. არც მენიჩეები, არც მესაჭე... სულ მარტო იდგა.

მწვანე დაბალ ნაპირზე, მოშორებით

პატარა ქოხით, ასევე სრულიად მარტო, სამეულსა და ჰალსტუხში, ისეთი შესტიტით, ნავი ნაპირს მოაყენეთო, რომ მიანიშნებდა, ფაციფუცობდა ვლადიმირ ილიჩ ლენინი.

– როგორ მოგწონს, მიშა?

ხელით დამახასიათებელი შესტი გააკეთა, თითქოს ძალიან დიდ ნათურას ხსნისო.

– მისმინე. ეს იყო ორი გონიერი ავანტიურისტი მივინყებულ, ბოროტ და ძუნუნ ადამიანთა უზარმაზარ ბრბოში. დამაჯერებლობით კი ნახატი არაფრით ჩამოუვარდება არც სახელმძღვანელოებს, რომლებითაც ჩვენ ვსწავლობდით, არც დღევანდელ გაზეთებს.

მიშა პოლიტიკოსებს განურჩევლად უდგებოდა, არ გამოჰყოფდა იმ მასიდან, რომელმაც ისინი დაანინაურა და მოიხმარს.

– ჟურნალისტს მხოლოდ ერთი სერიოზული პრობლემა აქვს – მას ეკრძალება უწესო ადამიანებთან მეგობრობა.

ახლა, როცა ის აღარ არის, ხშირად ვცდილობ, გამოვიცნო, რას იტყოდა და როგორ შეაფასებდა იმას, რაც ხდება მსოფლიოში, ჩემს მეგობრებში და ჩემში. ნათლად წარმომიდგება მისი ღიმილი, პლასტიკა, მისი ხმა. ზოგჯერ, ქეიფისას, კედლიდან ჩამოვხსნი მის ნამუშევარს, სადაც გამოსახულია მიშასთვალეებიანი ფიროსმანი, და ისეთივე ჭიქით მივუჭახუნებ ხოლმე, როგორც ტილოზეა.

მე ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო, მიშიკო კი ცხოვრობდა, როგორც უნდა ეცხოვრა.

სიცარიელის წლისთავზე გოგი ხარაბაძე დუქანში, სადაც ხშირად ვისხედით ხოლმე ჭავჭავაძესთან ერთად, იტყვის:

– ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი, მიშას „ნიშნებით“ ვაფასებდი. ბედნიერია ქვეყანა, თუ მას მანეტროც ჰყავს და მონაფეც. და უბედურია, თუ არ არსებობს მანეტრო. ის ნავიდა და ჩვენი ამოცანაა, ღირსეულად მივალწიოთ მის სამყოფელს, ისე, როგორც ეს თავად გააკეთა.

გოგიმ ეს ღიმილით თქვა. ყველა, ვინც მიმიკოზე ლაპარაკობდა, იღიმოდა. მან სინათლით დამუხტა ისინიც კი, ვინც სიცოცხლეში ხელს უშლიდა და ლალატობდა.

განა შეიძლებოდა, გაგეყიდა მიშა? შეიძლებოდა, შეიძლებოდა. ვინ აღარ გაუყიდავთ მამლის მესამე ყვილამდე.

„მიხარია, რომ მიშას ეს ადამიანებიც კეთილად მოიხსენიებენ, – ამბობს რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. – ისინი თავიანთი სინანულითა თუ დანაშაულის გაცნობიერებით ხაზს უსვამენ, რომ მიშასთან ერთად ამქვეყნიდან წავიდა დიდი სიკეთე და სიბრძნე.“

სიკვდილის შემდეგ ხშირად მესიზმრება. ველაპარაკები ხოლმე. ისეთივეა, როგორიც იყო. მომხიბვლელი ღიმილითა და სევდიანი თვალებით. ვიღვიძებ და ზუსტად ვიცი, რომ ეს დღე კარგი იქნება. იმიტომ, რომ ის სიცოცხლეში იყო და ახლაც რჩება კეთილ ანგელოზად. ასეთი ადამიანები არ მიდიან!“

ჩემგან ის არ წასულა. არ წასულა გოგისგან, ლელოსგან, კოლიასგან. ჩამესმის მისი ინტონაცია, ვტკბები მისი პლასტიკით, აღმაფრთოვანებს მისი აზრების დახვეწილობა და სიზუსტე, და არ ვგლოვობ. ჩვენი მეოთხედსაუკუნოვანი მეგობრობის განმავლობაში მიხაილ დავიდოვიჩი ჭავჭავაძის უამრავი სახება დამიგროვდა. ისინი ხმაურობენ, აქვთ ტონი, სინათლე და კონტური. მაგრამ არა აქვთ მოცულობა. მოცულობის გარეშე კი არ არსებობს არც ანმყო, არც მომავალი. ეჰ, მიმიკო!

რატომ იოტისოდენადაც არ შეცვალე შენი ცხოვრება ორი ინფარქტის შემდეგ, რატომ არ გაფრთხილდი? გინდოდა, წასულიყავი მთელი, მთლიანი? როგორიც იყავი.

ეს ნეკროლოგი არ არის, ბიჭებო, წასულებს არ დავტირი და დარჩენილთ არ ვუთანაგრძნობ. ოცდაექვსში ჯელი როლ მორტონმა დაწერა „Dead Man Blues“. იქ მიზეზი სევდიანია, მუსიკა კი ცოცხალი და არც მთლად უსიხარულო.

„მიშა იყო ერთ-ერთი ულამაზესი პიროვნება საქართველოში, – თქვა რეზო გაბრიაძემ. – ადამიანი, სავსებით მოკლებული ისეთ თანდაყოლილ თვისებას, როგორიც არის შურიანობა. იშვიათად ამბობდა სიტყვას „მე“. ერჩივნა, შენს შესახებ ესმინა. უსაზღვროდ ინტელიგენტური იყო და ღირსეულად წარმოაჩენდა ჭავჭავაძეთა დიდებულ გვარს, ესოდენ ახლობელს რუსული სმენისთვისაც. მიშა უნაკლო იყო ურთიერთობებში და განვლო მხატვარი კაცის ერთი პატიოსანი, ლამაზი ცხოვრება“.

ასეთ ცხოვრებას ვერ შექმნი. ის უნდა მიიღო. ეს მაღალი ნდობის ნიშანია.

მიმიკოს არაფერი ჰქონდა. სულ არაფერი. ოღონდ ერთხელ, სუფრას რომ ვუსხედით, მან წარმოთქვა ფრაზა, რომლის თქმის უფლებაც არ გვქონდა არც მე, არც გოგის, არც ლელოს, არც არავის მისი მეგობრებიდან და ნაცნობებიდან. „სხვების სახლებში ვცხოვრობ, ირგვლივ – ძველი ავეჯიდან შემორჩენილი ნივთები და შეგრძნება, რომ ესეც არ მჭირდება, რომ ეს ყოველივე სრულიად ზედმეტი ბარგია“.

მაშ, რაღაა საჭირო? რა გჭირდება, მიშენკა?

ვნება, ხო?

ო, კი.

მიშას ის ჰქონდა. გონება, განათლებულობა, კეთილშობილი წარმოშობა, ნიჭი, მოთმინება... ყველაფერი – და კიდევ ბევრი რამ. მაგრამ, რაც უმთავრესია – ვნება.

ის წავიდა ისე, რომ არ გაუხარჯავს სიცოცხლის ქმედითი ენერგია. ჩვენ ვერ გავძეხით მისი სიყვარულითა და სიკეთით. ცხოვრება ერთად ვერ გავლიეთ.

მე ხშირად ვკარგავდი. არ მყოფნიდა სულიერი გულუხვობა, მთლიანობა და გაქანება. ყურადღების აუცილებლობა. სარკის ნამსხვრევებს ვხვეტავდი, ნატიხებს, რომლებიც არაფერს აირეკლავდა, უბრალოდ, ბრწყინავდა და მე ვწუხდი მთლიანზე, დანაკარგზე. მიშას კი ჰქონ-

და ამ ერთი კონკრეტული დღის ზუსტი შეგრძნება. მისი გონებაც, სულიც მუდმივად იყო გახსნილი ქვეყნიერების ყველა კუთხისთვის. ის, უდავოდ, წუხდა დანაკარგებზე, მაგრამ მათ არ იხსენებდა, არამედ ახსოვდა. სევდის, რეფლექსის და სულის ნამების გარეშე.

ის იყო შემოქმედის შესანიშნავი მონაწილე. საგანში „ცხოვრება“ ყოველთვის ეწერა გამართული ხუთიანი. პლუსით. მის გვერდით თავს მშვიდად გრძნობდი, იმედინად: ის გკარნახობდა, გაძლევდა გადანერის უფლებას ისე, რომ არ გაიძულებოდა, დაფიქრებულიყავი მის როლზე შენს ცხოვრებაში. ეს გახლდათ დიდი სულიერი კომფორტი ისეთი ადამიანებისთვის, მე რომ ვარ, გონებითა და გულით უკან რომ არიან შებრუნებულნი და დანაკარგს ისე მიაგებენ პატივს, როგორც ემოციურად მძაფრად შეფერილ სასიცოცხლო კომპონენტს. რისი პატრონი ხარ, ამას მაშინ აცნობიერებ, როცა ის უკვე აღარ გაქვს. დანაკარგის გრძნობა იყო ყველაზე ძლიერი და მთლიანი გრძნობა, რომლითაც ბუნებამ თქვენი მონა-მორჩილი დააჯილდოვა. სხვებიც იყო, მაგრამ ამაღლაში და თანაბარ პირობებში. გამოდიოდა უსასრულო ალტერნატივა. დანაკარგი მოითხოვდა დაბრუნებას, დაბრუნება იდუმალ პროვოცირებას უწევდა დანაკარგს.

ჩემგან ელოდნენ გადამწყვეტ მოქმედებებს. მე ნაბიჯს ვდგამდი, რითიც ხაზგასმით მივანიშნებდი გადამწყვეტილებაზე. ეს ნაბიჯი, მოსალოდნელი და სასურველი, აღიქმებოდა, როგორც გადამწყვეტილება. თვალი გაახილე. გული გახსენი. მაგრამ ბედნიერების ნაცვლად,



რომელსაც ხელის გაუნვდენლად მივწვდებოდი, გათავისუფლებაზე აზრი მეუფლებოდა.

ერთხელაც იყო და, გამათავისუფლეს. სიმშვიდის ძიებაში თბილისს მივაშურე.

В полное собрание потерь,  
 Вышедших в прижизненном издании,  
 Все же не вошли потери ранние,  
 Как и те, что вопреки стараниям  
 Ясно намечаются теперь.  
 Не вошли друзья, обидой меченные,  
 И друзья, простившие сполна,  
 Женщины, теперь с другими венчанные,  
 И судьбы не принявшие женщины  
 Не вошли... но в том не их вина.  
 Чья вина, что нынче, глядя в дверь,  
 Где гуляет ветер расставания,  
 Вижу то, чего не видел ранее:



Ты одна и есть мое издание  
Полного собрания потерь\*.

ვინსენტ შერემეტი – ჰაერნაოსანი და ტივტივების ოსტატი – თავის რითმებში, რომელთა უხვად ციტირებასაც ახლა ვახდენ, როგორც ჩანს, ჩემსავით ისე განიცდიდა თითოეულ დანაკარგს, როგორც უკანასკნელს...

სულისა და ორგანიზმის ამჟამინდელი მდგომარეობით ჩვენ ვამახინჯებთ იმ სახეს, რომელმაც ოდესღაც მიიზიდა ჩვენი მეგობრები და სატრფოები. სამართლიანი სიტყვები „შენ შეიცვალე,“ თუ აქ საეჭვო დამაჯერებლობის მქონე „უკეთესობისკენ“-ს არ მივუმატებთ, სიმართლეს აღნიშნავს. ოღონდ მიშას ეს არ ეხებოდა. ის არ კარგავდა თავის სრულყოფილ ადამიანურ თვისებებს. და შეეძლო, დიდხანს გავეხარებინეთ. მაგრამ იგი წავიდა, ჩვენ კი, ხასიათის თავისებურებათა შეცვლისთვის საჭირო შესწორებებითა და ყოფიერების პირობებთან შეგუებით, აქ დავრჩით.

მიშენკა მოთხოვნილებისამებრ ცხოვრობდა. მას ჰქონდა მოთხოვნილება, ეცხოვრა. ჩვენ კი, ნაწილი (და არცთუ მცირე) ვცხოვრობთ შეძლებისდაგვარად. გვაქვს შესაძლებლობა – ჰოდა, ვცხოვრობთ.

როცა დანაკარგი ჯერ კიდევ არ მქონდა მონელებული, თბილისიდან მოსკოვში გასამგზავრებლად ვემზადებოდი. მიშამ შინიდან ნიკო ფიროსმანიშვილის დიდი პორტრეტი გამოიტანა და უხმოდ შეუდგა მიმაგრებას „ფიგულის“ სახურავზე, გამოსახულებით ქვევით. ეს იყო ერთადერთი დასრულებული ტილო, რომელსაც ის ინახავდა...

გვეჩვენებოდა, რომ ბევრს არ ხატავდა.

შესანიშნავი ქართველი კინოდოკუ-

მენტალისტი კოლია დროზდოვი, რომლის ოჯახის თავგადასავალიც ცალკე სიუჟეტი (ის კიდევ გამოიყენა თენგიზ აბულაძემ ფილმში „მონანიება“), ძველ თბილისში, ვილაციის აივნიანი სახლის კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი იგონებდა იმ დროს, როცა იოსელიანმა „იყო შაშვი მგალობელი“ გამოუშვა.

„ჩვენ ყველანი ვმეგობრობდით. ოთარი ჩვენზე უფროსი იყო, ჩვენ – ოცდახუთიოდე წლისანი. ასაკმოთეული დარდიმანდები. „იყო შაშვი მგალობელი“ – ეს ფილმი თითქოს ჩვენზეა. ცხოვრება, როგორც დღესასწაული. ადამიანებთან ურთიერთობა – იმ დროის მთავარი მოქმედება. რალაც ფლირტები, რომანები. სამუშაო, შემოქმედება – უკანა პლანზე. ფილმი ადვილად ამოსაცნობი იყო და ჩვენ შორის ვეძებდით გმირების პროტოტიპებს თუ ნაცნობ თვისებებს. და ვთანხმდებოდით იმაზე, რომ, თუ მთავარი გმირი ვინმეს მიხედვით არის შექმნილი, მაშინ ეს მიშაა. ასე გვეჩვენებოდა.

მისი ცხოვრება დაბადებიდან დასასრულამდე – ეს არის ადამიანური კავშირები. ეს ცოტა როდია, ეს უსაშველოდ ბევრია, თუ გავითვალისწინებთ მიშასთვის დამახასიათებელ ურთიერთობის უმაღლეს, მიუწვდომელ ხარისხს... მაგრამ, როცა ის აღარ იყო და მეგობრები მხარში ამოუდგნენ ნანას, მიშას ქვრივს, შეეკრიბათ და მოეწყობა პირველი (ვამ რომ, სიკვდილის შემდგომი) გამოფენა, „იყო შაშვი მგალობლის“ პერსონაჟთან ანალოგია არასწორი აღმოჩნდა. იოსელიანთან გმირი ლურსმანს არჭობს, რომელზეც შესაძლებელია კეპი ჩამოკიდო, და დატოვა დაუმთავრებელი პარტიტურა.

გვეგონა მიშამ სულ ათიოდე ნახატი დატოვაო, მაგრამ პარადოქსია ის, რომ უამრავი ნახატი აღმოჩნდა და ეს ამოუხ-

\* დანაკარგების სრულ კრებულში, სიცოცხლისდროინდელ გამოცემაში, მაინც არ შევიდა ადრინდელი დანაკარგები, როგორც ისინი, ჩემი მცდელობის მიუხედავად, აშკარად რომ მემუქრება; არ შევიდნენ მეგობრები, წყენით დალდასმულნი, და არც ის მეგობრები, ყველაფერი რომ შემინდეს, ქალები, ახლა სხვებზე დანიშნულები, და ბედისგან მიტოვებული ქალებიც არ შევიდნენ... მაგრამ ეს მათი ბრალი არ არის. ვისი ბრალია, ახლა კარიდან – სადაც განშორების ქარი დაქრის – რომ ვიყურები, ვხედავ იმას, რასაც უწინ ვერ ვხედავდი: სწორედ შენ ერთადერთი ხარ ის გამოცემა – დანაკარგების სრული კრებული.



სნელი გამოცანაა. ესე იგი, აფიშირების გარეშე, ჩუმად აკეთებდა იმას, რაც უნდა ეკეთებინა. ის დიდი, ნამდვილი მხატვარი იყო. გული მტკივა, რომ ამას მხოლოდ მისი გარდაცვალების მერე მივხვდი“.

კოლია დროზდოვის შეცდომა ტიპურია. ირგვლივმყოფნი ფიქრობდნენ, რომ ჭაფჭავაძე არა მარტო შესანიშნავი სცენოგრაფია, არამედ ერთობ საინტერესო ფერმწერიც. ცოტა ვინმეს თუ უნახავს მისი ნამუშევრები. მიშას ცხოვრება არ ყოფილა ირგვლივმყოფთა მაღალი ყურადღების საგანი. მიგვაჩნდა, რომ მისთვის ჩვენი საზრუნავი უფრო საინტერესოა და მნიშვნელოვანი, ვიდრე მისი საკუთარი. ის ეხმარებოდა ჩვენს ეგოიზმს, როცა ისეთებს გვიღებდა, როგორებიც ვიყავით ან გვინდოდა გამოვჩენილიყავით, ისე, რომ ამ სხვაობას არ იმჩნევდა.

რემონტი ჰქონდა და გოგიმ მიშა და ლელო მიიხმო, დამათვლევინეთ ოთახისთვის რამდენი რულონი შპალერი დამჭირდებაო.

– თვრამეტი, – კედლებისთვის არც შეუხედავს, ისე თქვა მიშამ.

– რა უპასუხისმგებლო ლაპარაკი იცი, – უსაყვედურა ლელომ. – ჯერ ფანჯრები, ღიობები უნდა დათვალო, ყველაფერი გაზომო.

– ჰოდა, გაზომე. არქიტექტორი შენ ხარ.

მეორე დღეს ისევ გოგისთან ვსხედვართ.

– გაზომე?

– კი.

– რამდენია?

– თვრამეტი.

ლელო, ამ ამბავს რომ იხსენებს, იცინის.

– მისი მოტყუება შეიძლებოდა?

– რისთვის? განა ვინმესთვის ოდესმე საყვედური უთქვამს?

მასში იდო თავშესაქცევი გამრჯელობა.

ერთხელ ხარაბაძეს ბოთლით ღვინის სპირტი მოუტანეს და გოგიმ გადანყვიტა, კონიაკი გაეკეთებინა, რათა მერე ჩემთვის მოსკოვში გამოეგზავნა. მან და

მისმა ვაჟმა, გიორგიმ, სპირტი გააზავეს და დამწვარი შაქარი ჩაუმატეს. როცა პროცესი მოათავეს, მოვიდა ოთარ იოსელიანი, რომელიც ფილმებს უკვე საფრანგეთში იღებდა.

– კონიაკი მომიტანეს, – უთხრა გოგიმ. – გამისინჯე.

იოსელიანმა კონიაკი სირჩაში ჩამოასხა, კარგა ხანს მოუნდა სითხის ჭიქის კედლებზე მოვლებას, სუნავდა, ათბობდა. ბოლოს, ერთი ყლუპი მოსვა და მნიშვნელოვნად თქვა:

– ძალიან კარგი კონიაკია.

აქ მიშა შემოვიდა და გოგიმ იგივე ექსპერიმენტი ჩაატარა.

– ბევრი შაქარი მოგსვლია, – უთხრა მიშამ და ჭიქა გვერდზე გადაგა.

მე და ლელო ვიხსენებთ მიშას და ჩვენს სახეს ღიმილი არ შორდება.

– სკოლის დამთავრებისთანავე სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მერე კი გადანყვიტა, რომ სურს, ფერმწერი გახდეს, და მიატოვა. გატაცებული იყო ვან გოგით, მისი გავლენით ბევრს ხატავდა, მაგრამ იქიდან არაფერი შემორჩენილა. მერე უცბად ინსტიტუტიდან გამოვიდა და მთელი წელი მონასტერში ცხოვრობდა. სრულიად მარტო. ზედამხედველივით იყო. ჯერ ერთი, ქართული არქიტექტურა და ფერწერა აინტერესებდა. და მეორეც, გადანყვიტა, რომ ადამიანმა ღარიბულად უნდა იცხოვრო.

– ეს საქმე გამოუვიდა.

– ხო, ესეც გამოუვიდა. მონასტერი უდაბურ ადგილას იყო, მაშინ იქამდე მიღწევა სრულიად შეუძლებელი ჩანდა. ვიცხოვრებო, ამბობს, და შევეცდები, აღვადგინო ამ მონასტრის ერთ-ერთი ნაგებობის მოხატულობაო.

ის რეალური იყო საკუთარ ფანტაზიებში, შეეძლო, შიშველ რკინის ბადეზე დაეძინა, ეს კია, ძალიან სუფთა ზენარგადაფარებულზე, და ეფიქრა ტაძრის აღდგენაზე. მგონია, ოცნების კომპიუტერის გარდა, არაფერს აშენებდა, მაგრამ ისე მტკიცედ სჯეროდა, რომ მათი აშენება შესაძლებელია, ისინი რეალურობას იძენდნენ.

ის მართლაც ოცნებებში ცხოვრობდა,

ოლონდ რეალური ცხოვრება ოცნების გარსი იყო. ის წლები მთებში მარტომ გაატარა. მონასტრის ეზოში ირმები დარბოდნენ. ზოგჯერ მლოცველები ესტუმრებოდნენ, ხანდახან – მეგობრები. ბევრი რამ ისწავლა და, არსებითად, მისი ცხოვრებაც ამ ამბით დაიწყო. ჰქონდა იმის რწმენა, რომ ადამიანს ყველაფერი ხელეწიფება. ჩასვი მიშა რეაქტიულ თვითმფრინავში და – თვითმფრინავი აფრინდება.

ასე მოუვიდა მანქანასთან დაკავშირებითაც. საარბრიუკენში რეჟისორმა, რომელიც მიშასთან ერთად მუშაობდა, მოუხერხა და იაფად აყიდინა ნახმარი „მერსედესი“. მიშა საჭეს მიუჯდა და გზას დაადგა. პოლონეთში მიშას ლამის შეეჯახა საზიდარი და ესეც, ცხენი რომ გადაერჩინა, თხრილში გაფრინდა. მთელი ფული იმაში შემოეხარჯა, მანქანა მოსკოვამდე კონტინენტით რომ გამოეგზავნა. ბელორუსიის ვოგზალზე დავხვდი ტილოს ჩანთითა და ჩალისფერი საღებავის ქილით.

– მანქანა რა უყავი, მიშა?

– მომისმინე, იურა! „მერსედესი“ დაიმტვრა და ვიფიქრე, რომ ასე უკეთესია. ჩაგრიადება ჭავჭავაძე თბილისში „მერსედესით“. ეს ხომ სისულელეა. უნდა თავიდან მოვიშორო.

მოსკოვის საბაჟოზე უფროსს ვეკითხებით – შეიძლება მანქანა მოგცეთ? უფროსი არცთუ თავაზიანი გამოდგა და გვიპასუხა საბაჟო მანქანებს არ ყიდულობსო.

– ყიდვა არ გინდათ. უბრალოდ, ისე აიღეთ.

– ქართველი „მერსედესს“ გვაძლევს?! მეორე დილით მთელი საბაჟო მიშას

სანახავად გამოეფინა.

– საბურავი მაინც წაიღეთ, – თავაზიანად უთხრა უფროსმა. – აკუმულატორიც ახალია.

– არა, მთლიანად! რა ბედნიერი ვარ.

ნამდვილად ბედნიერი იყო.

თავისუფლების დეკლარირება და თავისუფლება – ეს სრულიად განსხვავებული ქმედებებია. როგორც ცხოვრებისთვის მზადება და ცხოვრება. მიშასთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა თარიღებს, სა-

მასსოვრო დღეებს, დროის მონაკვეთებს. ის არ წყვეტდა პროცესს, გასულ დროს ქელესს არ უხდიდა და არასოდეს არ იწყებდა ახალ ცხოვრებას. მის ცვლილებათა სილუეტები ერთობ ბუნდოვანი იყო, მიწაზე ყოფნის სურათი კი ზუსტი.

ის არაფერს ამთავრებდა, რადგან არც არაფერს იწყებდა. ის აგრძელებდა. უნდა გაათავისუფლო საკუთარი თავი იმისგან, რაც საჭიროა, მაშინ შესაძლოა, უარი თქვა იმაზეც, რაც არ გჭირდება.

– მე ვამტკიცებ, რომ მიშა პოეტი იყო, იმის მიუხედავად, რომ ერთი ლექსიც არ დაუწერია, – მითხრა ჯანსუღ ჩარკვიანმა, ვისაც ბევრი შესანიშნავი ლექსი აქვს დაწერილი. – მე მას ვუმაღლი იმას, რომ მზე ამოდის. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ეს პროცესი მას უკავშირდება. ის ნამდვილი იყო. დიდი. და ეს არც ისე მარტივია, როგორც მე ვლაპარაკობ. არ ვიცი, თქვენთან როგორ არის, ჩვენ კი, ქართველებს, ძალიან გვიყვარს ჩვენი მკვდრები. ჩვენში გენიალურებია ის პოეტები, რომლებსაც სიცოცხლეში სათანადოდ არ ვაფასებდით... მიშას შემთხვევაშიც ასე იყო – და სხვაგვარად. მე პატივს ვცემ მას ცოცხალსაც და ზეციურსაც. განსხვავება არ არსებობს. და დარწმუნებული არც ვარ, სინამდვილეში წავიდა ის თუ არა.

ყველაფერი, რასაც მიშა აკეთებდა, შეფერილი იყო წმინდა სინათლით. ჭაბუკობისდროინდელი კრიმინალური ამბავიც კი, რომელზეც მთელი თბილისი ლაპარაკობდა.

დავით გარეჯის ტაძრის აღდგენა (სწორედ იმისი, სატანკო პოლიგონზე რომ არის) სახსრებს საჭიროებდა. სახელმწიფოს ეს სახსრები არ ჰქონდა, მიშას მეგობრის, თემოს, ნათესავს კი ჰქონდა. თემოს მიაჩნდა, რომ იატაკქვეშეთში მოხვედრილი მილიონები, ხალხისთვის მოპარული, ხალხს უნდა გაუყო, და ექსპროპრიაცია მოახდინა. დაიჭირეს და ნათესავმა ციხეში ჩასვა, თუმცა მთელი ქალაქის სიმპათია „ბანდიტებისკენ“ იყო. მიშამ თემურის გაქცევის გეგმა შეიმუშავა – თოკის კიბის მეშვეობით – და თვითონვე განახორციელა გაათავისუფლება.

შესანიშნავი სპორტული ჩვევები ( ის კავშირის ჩემპიონი იყო ფარეკაობის გუნდურ შეჯიბრებებში) დაეხმარა, ოპერაცია წარმატებით დაეგვირგვინებინა. მეორე დღეს ისინი უკვე ბათუმის პლაჟზე იწვნენ. დევნილი და მისი მხსნელი მთელი თვე იმალებოდნენ, მერე კი გადანყვიტეს ნათესავი და ხელისუფლება გონს მოეგებოდნენ. თემო ციხეში დაბრუნდა. დაცვა გააძლიერეს. მაგრამ მიშამ მეორე გაქცევა დაგეგმა. საქმე დახურეს. „ცოდონი არიან ბიჭები“.

ლელო ბოკერია, რომელიც ჭავჭავაძესთან ბავშვობიდან მეგობრობდა, მოგონებებს ეძლევა.

„მიშკომ მთელი ცხოვრება რომანტიკულ ფანტაზიებში გალია. ინფარქტების შემდეგაც კი ერთი დღეც არ გაუტარებია ცხოვრების იმ წესის გარეშე, საკუთარი თავისთვის თვითონვე რომ მოიფიქრა. მთავარი მის ცხოვრებაში – ეს არის ის, რომ იგი სავსებით ლოიალური და კეთილი იყო ყველა ადამიანის მიმართ. ვერავინ იტყვის მიშამ ვერ გამიგოო. შეეძლო, საათობით ეკამათა, გზნებითა და დამაჯერებლად, მაგრამ არანაირ კამათს არ შეეძლო, ურთიერთობა სიძულვილით შეეფერა. ეს იყო მისი ცხოვრების წესი“.

„ყველა თაობას ჰყავს სიმბოლო – თავისი წრის ტიპური წარმომადგენელი, – ამბობს მსახიობი გოგი ქავთარაძე. – მიშასთან პირიქით იყო. ჩვენ არ გვგავდა. ის, ალბათ, სხვა დროიდან იყო, რომელსაც ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ. ამასთანავე, სრულიად რეალური გახლდათ. მიწიერი. და ყოველთვის სიმართლეს ამბობდა. და მაინც, ამითიც კი ვერ ახერ-


ხებდა, ადამიანისთვის ეწყენინებინა. და ძალიან უყვარდა მეგობრები“.

უყვარდა. და მეგობრობის ერთგული იყო მაშინაც კი, თუ ეს მეგობრობა ცალმხრივი აღმოჩნდებოდა.

ერთხელ სადღეგრძელოში როგორღაც თქვა – მე მომმართავდა:

– არ ვიცი, ახლა რა დამოკიდებულება გაქვს... – ამას მოაყოლა სახელების გრძელი ჩამონათვალი, – მაგრამ ყველა ჩემი მოსკოველი მეგობარი შესანიშნავი ადამიანია, პატიოსანი, ნაღდი, გულით უდგებიან საკუთარ საქმეს. მაპატიე, მაგრამ ადამიანი თუ საკუთარ საქმეს და მეგობრებს კარგად არ ექცევა, ის ვერ შეძლებს, კარგად მოექცეს უფრო შორეულს, უფრო მაღალს.

უფრო შორეული და უფრო მაღალი



(ხსოვნა და სული?) შემწყნარებელნი იქნებიან შენ მიმართ, მიშა.

ღმერთო, რა ბედნიერებაა – იმეგობრო მათთან, გიყვარდეს ისინი. გოგი, მიშა, ლელო, კოლია, ოთარი... რაოდენ ძნელია, რაიმე გამოყო ამ ბედნიერებიდან.

ერთი ეპიზოდი – და მოვრჩები.

მიშამ დუბულტის მხატვართა შემოქმედებითი სახლის საგზური მიიღო. იქ ყოფნის ერთი თვის თავზე ჩავაკითხე. მომცრო ნომერი გადაჭედული იყო ვეება, არნახული სილამაზის ჯერ კიდევ სველი ტილოებით. „მევიოლინე,“ „გოგი ხარაბაძის პორტრეტი,“ „ნანა,“ „სახურავეები...“

– ამათ შინ წაღებას როგორ აპირებ, მიშა?

– ქვეჩარჩოებს მოვხსნი, დავახვევ, შინ ისევ გავშლი და რალაც-რალაცებს კიდევ მივუმატებ...

მათთვის აღარასოდეს არაფერი შეუმატებია. ტილოები ერთმანეთს შეენება და განადგურდა, თუმც მიშას ეს დიდად არ უდარდია...

დავაბიჯებდით რბილ წინვებზე, თხელ ზღვაში, ვსახავდით გეგმებს. ისინი თავისთავად მომხიბვლელი იყო. როცა მე და მიშა ნომერში დავბრუნდით, კარი ღია დაგვხვდა. კარზე შიდა მხრიდან აკაციის ეკლით მიმაგრებული იყო ქალაღი.

На Рижском взморье гладь, затишье,  
Песок скрипит, и белка скачет.  
Что это значит? .. Это значит,  
Что я приехал к другу Мише.  
Скрипач звучал печально, больно,  
Грузинка на холсте грустила,

И ветром крыши уносило  
На холмы Грузии привольной.  
А он играл все тише, тише,  
Без слушателей, на балконе,  
И Гоги на тряпичном троне  
Его, не слушая, услышал.  
В окне горели сосны-свечи,  
И ветер спину тер о камень.  
Коль Бог зачем-то создал память,  
Пусть не забудет этот вечер.  
На Рижском взморье ширь прилива  
И ель слезой янтарной плачет.  
Что это значит? .. Это значит:  
Жизнь без друзей — несправедлива\*.

ჩვენ დავკარგეთ მიშა და ახლა არასამართლიანი ცხოვრებით ვცხოვრობთ.

P.S. მიშიკო ჭავჭავაძის უკანასკნელი სადღეგრძელო, რომელიც მე მოვისმინე.

„ეს დიდი იღბალია – ჩვენი ცხოვრება. და მე ეს ცხოვრება შესანიშნავად გავიარე. თქვენით, სიყვარულით, მეგობრობით, სილამაზით. ლამაზ ქალაქში. ლამაზ ქვეყანაში.“

ახლა კი ყველაფერი ძალიან ლამაზისთვის უნდა გადავიხადო.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ახლა მოგონებების სადღეგრძელოს არ ვსვამ. ვსვამ განვლილი ცხოვრების, ჩემი ცხოვრების – ღმერთისგან ბოძებული უმთავრესი საჩუქრის სადღეგრძელოს“.

„ნოვია გაზეტა“  
17. 07. 2015

\* რიგის სანაპიროზე სინყნარეა, სიმშვიდე. ქვიშა ხრამუნებს, ციყვი დახტის, რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩემს მეგობარ მიშასთან ჩამოვედი. მევიოლინე უკრავდა სევდიანად, ტკივილით, ტილოზე სევდას მისცემოდა ქართველი გოგონა და ქარს სახურავეები თავისუფალი საქართველოს მთებისკენ მიჰქონდა. ის კი სულ უფრო და უფრო წყნარად უკრავდა, მსმენელის გარეშე, აივანზე, და გოგიმ, ძონძების ტახტზე მჯდომმა გოგიმ, თუმც არ უსმენდა, მისი დაკრული გაიგონა. ფანჯარაში იწვოდა ფიჭვები-სანთლები და ქარი ქვაზე ზურგს იფხანდა. რადგან ღმერთმა მეხსიერება შექმნა, დაე, ნუ დაივიწყებს ამ საღამოს. რიგის სანაპიროზე ფართო მოქცევაა და ნაძვი ქარვის ცრემლებით სტირის. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს – უმეგობრებოდ ცხოვრება არასამართლიანია.



## კუ! გიორგი ნიკოლაევიჩი

დანელიას ფილმებში არის სიკეთის პრეზუმფცია. იგი ისე ებლაუჭება თავის გმირებს, როგორც მხსნელ ხავსს, და რა საოცარია – ხავსი უძლებს. ჩვენც ვეჭიდებით და მტევანივით ვკიდივართ, როცა კვლავ და კვლავ ვუყურებთ მის ფილმებს. ის გვასწავლის, დავინახოთ ცხოვრების მომხიბვლელობა. მის სურათებში არ არის არც ერთი დადებითი გმირი, მაგრამ მთლად უიმედოც არავინ არის.

რისგან აკონინებს მათ?

წარმოვიდგენ, ის და მეორე ჯადოქარი მეზღაპრე, რეზო გაბრიაძე, როგორ იგონებდნენ „არ დაიდარდოს“, „მიმინოს“, „ქინ-ძა-ძას“ გმირების ცხოვრებას და ვნანობ, რომ იმ დროს მათთან ისე ახლოს არ ვიყავი, როგორც ახლა, როცა ორივე ცალ-ცალკე ფანტაზიორობს.

დანელია არ ჰგავს თავის გმირებს. მშვიდია და თავის თავში ჩაკეტილი. განმარტოება – ეს მისი არჩევანია, მარტოობა – გარემოებათა არჩევანი. უმეტესად შინ ზის, წიგნებს კითხულობს, მუსიკას თხზავს, ხატავს და იგონებს სცენარების სიუჟეტებს, რომლებსაც თავადვე ძალიან იოლად იწუნებს. და, მიუხედავად ამისა, მისი გმირების ბევრ საქციელში შეიძლება დაინახოთ გიორგი ნიკოლაევიჩის ქმედებათა ნიშნები.

სოფიკო ბენჭამენს და თავის ქმარს, ლუკას, ლამაზი საპატარძლოს გადასანახულებლად უშვებს. ისინი ხიდზე გადადიან და ბენჭამენი შესთავაზებს ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმამდე დუქანში შევიაროთო. სიძე უარზეა.

– არა! – არწმუნებს ბენჭამენი. – არ დავლევთ! უბრალოდ, დავსხდებით. (Пить не будем! Просто посидим).

რითი დამთავრდა ეს ყოველივე, თქვენ იცით.

გიორგი ნიკოლაევიჩი (მაშინ გია) დანელიას ვილაც ქალი შეუყვარდა, მომხიბვლელი და მიუწვდომელი. დიდხანს

წარუმატებლად ეტრფოდა და, ბოლოს, როგორც იქნა, მისი კეთილგანწყობა მოიპოვა. პაემნისთვის მღელვარებით ემზადებოდა, ხანგრძლივი და სერიოზული ურთიერთობის სიხარულის წინათგრძობით. ყვავილებიც კი იყიდა. სახლს რომ მიუახლოვდა, რომელიც მაიაკოვკაზე, ყოფილი მაღაზია „გრუზიას“ თავზე იყო, სწორედ ამ მაღაზიიდან ხელს ერთი ბოთლი კონიაკი „ენისელი“ გამოაყოლა – ისე, უბრალოდ, ხელის დასამშვენებლად (არ დავლევთ! უბრალოდ, დავსხდებით).

ქალი ელოდა, მაგრამ გია ისე დიდხანს ოცნებობდა ამ ნუთზე, რომ, ცოტა არ იყოს, ლელავდა. და გამბედაობის მოსაკრებად ერთი სირჩა დალია. მეორის, მესამის შემდეგ მორიდებამ ნელ-ნელა უკან დაიხია და ადგილი სიცოცხლის სიყვარულს დაუთმო.

– კარგად ვსხედვართ! (Хорошо сидим) – ეს ფრაზა „შემოდგომის მარათონიდან“ მას, იქნებ, არც კი წარმოუთქვამს, გაფიქრებით კი, ეჭვი არ არის, გაიფიქრა. მისი თაყვანისცემის მიუწვდომელი საგანი ხელის განვდენაზე იყო, მაგრამ ხელი ჭიქით გახლდათ დაკავებული. საღამო, უკეთესი რომ არ იქნება, ისე აენყო და ღამეც სიხარულს ჰპირდებოდა... და ნიკოლაიჩმა გადაწყვიტა, აღარ გაეჭიანურებინა.

– მოდი, ახლა ვნუკოვოზე წავიდეთ, იქ რესტორანი მთელი დღე და ღამე მუშაობს. კარგად დავსხდებით. იქნებ, მეგობრებსაც გადავეყაროთ.

– ჯობს, აქ დავრჩეთ, – უთხრა მოვლენათა ასეთი შემოტრიალებით, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა დიდი ხნის ნანატრმა მშვენიერმა ქალბატონმა.

– კარგი, – დაეთანხმა გია. – მაშინ მარტო წავალ.

შესანიშნავი კომპანია ჰყავდა – გენადი შპალიკოვი და ვიკტორ კონეცკი. მთელი ღამეების განმავლობაში შეეძლოთ,



გადაბმულად ელაპარაკათ და ესვათ და გამოუძინებლებს ემუშავათ.

მე და გიაც ვსვამდით ხოლმე და ეს, ჩემი აზრით, საყვარელი ფილმის სიუჟეტს წააგავდა. ის ჩისტყე პრუდიზე მდებარე ჩვენი სახლის ერთ სართულს ამოივლიდა, იმ ოთახამდე, რომელიც ზუსტად მისი ბინის თავზეა, და აკურატულად იკითხავდა დასალევი თუ მოგეძევებაო.


ასეც იყო, მოქალაქენო! მატარებელი №14 თბილისი-მოსკოვი გამართულად დადიოდა. ჩემი მეგობარი აქტიორი, გოგი ხარაბაძე, რომელიც ამ დროს უკვე გადაღებული იყო ოთარ იოსელიანის ფილმში „გიორგობისთვე“ (რომელიც ღვინოზე და ცხოვრებაზეა), გაავსებდა ხოლმე ყუთებს „წინანდლით“, „გურჯაანით“, „მუკუზნით“ (ნუ შემანყვეტინებთ! მაცალეთ, მაშინდელი მეუფეობა გავიხსენო), „ტვიშით“, „თეთრათი“, „მანავით“ (ო, „მანავი!“), „ნაფარეულით“, „ახაშენით“, „ოჯალეშით“, „კახურით“, „საფერავით“... და მოსკოვში აგზავნიდა, რათა დედაქალაქზე თავდასხმებისას მიშა ჭავჭავაძესთან, ლელო ბოკერიას-

თან... ერთად ათასგვარი სისაძაგლე არ დაგველია. ყუთები უკანა შესასვლელის კიბეზე გვენყო.

მე და გიორგი ნიკოლაიჩი მაგიდას სამზარეულოში ან აივანზე მივუსხდებოდით ხოლმე, სადაც, სხვათა შორის, იყო იმის საშიშროება, რომ ვინმეს – თუნდაც ის მთლად მაღაზიის ცისფერი ხალათით არ ყოფილიყო – დაღევას ისე მძაფრად მოწყურებულს, როგორც ბრონდუკოვის გმირია, დაბლიდან დაეყვირა:

– აფონია! ნიკოლაიჩ! მიხალიჩ!

ვისხამდით და ვინყებდით (კომპლიმენტარულად) მსოფლიოს სამი საუკეთესო რეჟისორის არჩევას. არა რიგის მიხედვით. უბრალოდ, სამეულის. ღვინო



საკმარისი იყო, თემა კი ამოუწურავი.

– მაშ ასე, – იწყებდა დანელია, – ფელინი, ერთი! ახლა შენ თქვი.

– დანელია, ორი!

– არა, ძვირფასო! (Нет, дорогой – „არ დაიდარდო!“)

– კი, ძვირფასო!

– მოდი, მე ნუ გამრევ. მართალია, რამდენიმე ფილმი არცთუ ცუდად გადავიღე.

– გენიალურად, ძვირფასო. შენზე

უკეთ ვინ გადაიღებს... (Кто лучше тебя знает – „არ დაიდარდო!“)

– ბევრი ვინმე... ვილაც-ვილაცები ხომ მაინც არიან...

– რა თქმა უნდა, ძვირფასო.

დებატების სრული სტენოგრამა, სამ-ნუხაროდ, ვერასდროს გამოქვეყნდება, რადგან ასეთი არ არსებობს, მაგრამ მრავალსაათიან განსჯას იქამდე მივყავდით, რომ ყოველთვის მხოლოდ მესამე გვრჩებოდა ამოსარჩევი.

მნიშვნელოვანია, რომ პირველი მუდამ ფედერიკო ფელინი იყო, ერთხმად. ვლინებდით მუსიკას მისი ფილმებიდან, ხმადაბლა. მაგრამ გალიას, გიას მეუღლეს, გარკვევით ესმოდა და კარს კეტავდა, რომელსაც მოგვიანებით ყოველგვარი წვალების გარეშე ვაღებდით ნაჯახით.

ჩემს ცხოვრებაში დიდი იტალიელი მანესტრო არსებობდა, როგორც დიდი და ჩემთვის გასაგები სურათების ავტორი. დანელიას ცხოვრებაში – ამასთან ერთად – როგორც რეალური ადამიანი, რომელიც ალტაცებული იყო ნიკოლაიჩის ხელოვნებით. ფელინის ძალიან მოსწონდა ფილმი, რომლის სიყვარულშიც მე უკვე გამოგიტყდი – „არ დაიდარდო“ და ეს მანესტროს შეურყვენელ გემოვნებაზე მეტყველებს.

აი, სერგეი ფარაჯანოვს კი ეს ფილმი არ უყვარდა, რაც, ცხადია, სულაც არ მეტყველებს მის ცუდ გემოვნებაზე, მას შესანიშნავი გემოვნება ჰქონდა, მაგრამ განსხვავებული. მას დანელიას სხვა ფილმი უყვარდა – „წყალნალეული“.

როცა ფარაჯანოვი საბჭოთა ცხოვრების წესთან შეუთავსებლობისთვის ციხეში ჩასვეს, შემოქმედებით მუშაობას აგრძელებდა. მისი ფენომენური კოლაჟებისთვის იქ ძალიან ცოტა მასალა იყო. საერთოდაც არ იყო. ფილმების გადაღების საშუალებას თავისუფლებაში მყოფსაც არ აძლევდნენ, არათუ პატიმრობაში, რძე კი, როგორც ადამიანს, რომელსაც ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა და რომელსაც მთელი კულტურული სამყარო გამოექომაგა, უდავოდ ეკუთვნოდა.

ვერცხლისფერი ფოლგის თავსახურებს მალავდა და ალუმინის კოვზით მათზე გასაოცარი სილამაზის რელიეფები გამოყავდა. რამდენიმე ასეთი რელიეფი პაემნების დროს თავისუფლებაში მყოფთ გადასცა, რათა ისინი ფელინისა და ტონინო გუერასთვის გაეგზავნათ.

საჩუქარი რომ მიიღეს, მათ იუველირს მიაკითხეს, რომელმაც სერიოჟას თავსახურების მიხედვით სამი ვერცხლის მედალი ჩამოასხა. ერთი – ფედერიკოს, მეორე – ტონინოს, მესამე კი ვინმე ისეთს, ვინც კომპანიას ჩრდილს არ მიაყენებს.

ამ დროს იტალიაში იმართებოდა ფესტივალი, სადაც ჩვენებმა „არ დაიდარდო!“ ჩაიტანეს. მაგრამ ჟიჟურიმ ფილმს პრიზი არ მიაკუთვნა. მაშინ მსოფლიო კინოს ორმა კორიფემ მესამე ვერცხლის მედალი ამოიღო და დანელიას გადასცა. ამ პრემიას (რომელიც მისთვის ძალიან ძვირფასია) „ამარკორდი“ ეწოდება.

მერე დანელია ამ ამბავს ფარაჯანოვს მოუყვა.

გიორგი ნიკოლაევიჩი დანელიას გადაღებული აქვს ჩვიდმეტი ფილმი, თუმცა მე აქ ყველას არ ვიხსენებ. იმიტომ, რომ საუბარი ასე აენყო. ის, შეიძლებოდა, სხვაგვარად წარმართულიყო და მაშინ ჩვენ ვისაუბრებდით ფილმზე „გზა ნავსადგურისკენ“ (სადაც ის დაუმეგობრდა ღირსეულ მწერალსა და მეზღვაურს, ვიკტორ კონეცკის, და შესანიშნავ კომპოზიტორ ანდრეი პეტროვის), სურათზე „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში“ (ახალგაზრდა ნიკიტა მიხალკოვითა და ევგენი სტებლოვით), „სერიოჟაზე“ სერგეი ბონდარჩუკით, რომელიც დანელიას უყვარდა, პატივს ცემდა მის არაჩვეულებრივ ნიჭს და მათი მეგობრობისთვის არასოდეს უღალატია. არ გვიხსენებია „ცრემლები ცვიოდა“. შევწყვიტოთ ჩამოთვლა, თორემ ის იმ ხერხად გადაიქცევა, თავაზიანი ფორმით რომ ახსენებს მკითხველს იმ ფილმებს, რომლებიც მას უჩემოდაც ახსოვს.

– ნება მიბოძეთ, ოჯახს დავეთათბირო, – ამას ტრავკინი, რომელსაც ფილ-



მში „ოცდაცამეტი“ ლეონოვი თამაშობს, ზედმეტკბილიანი გმირის სხვა სამყაროებში გაფრენის წინ „ჩაიკაში“ თანმხლებს ეუბნება და მას შემდეგ, რაც ცოლი პასუხად სახეზე საცვალს გადაუჭერს, ამბობს, ისე, როგორც ამის თქმა შეუძლია ლეონოვს დანელიას ფილმში:

– ოჯახი თანახმაა!

ყოველივე თავის რიგზე მიდიოდა... იმ ერთ დღემდე ყველაფერი, მოკლედ, რიგზე იყო.

იქ, „ოცდაცამეტში“, არის კადრები, როდესაც ტრავკინის ოჯახი ტელევიზორში უყურებს უალკოჰოლო სასმელების მოკრძალებული სპეციალისტის გაფრენას უკვდავებაში. ეკრანის წინ იატაკზე ორი ბიჭუნა ზის. ერთი მათგანი კოლიაა – დანელიას საყვარელი ვაჟი.

ახლახან გადაღებულ „ფორტუნაში“, ფინალისკენ, რესტორანში, სადაც კიკაბიძე (თომა) ილინთან (გარიკთან) ერთად სვამს, მეზობელ მაგიდასთან გოგონები სხედან. ერთი მათგანი, კოხტა, მრგვალსახიანი, ალიონკაა, კოლიას ქალიშვილი. დანელიას შვილიშვილი.

...ჩისტიე პრუდიდან ახალ არბატზე გავდივართ და გზას კუტუზოვის პროსპექტით ვაგრძელებთ, რიაბინოვიაამდე. კუნცევოს სასაფლაოს წინ ყვავილებს ვყიდულობთ. გვეგულებიან აქ ისინი, ვინც უნდა მოვიხახულოთ. ჯერ ნიკოლაიჩის მშობლებთან მივდივართ – მამასთან, ნიკოლაი დმიტრიევიჩთან, მოსკოვის მეტროს ცნობილ მშენებელთან, და დედასთან – დეიდა მერისთან, როგორც გიას მეგობრები ეძახდნენ, ვერიკო ანჯაფარიძის ღვიძლ დასთან. მერე კოლიასთან. ის ძალიან ნიჭიერი მხატვარი და პოეტი იყო. უკან რომ ვბრუნდებით, ჩვენს ახლო მეგობარს გავუვლით, სერიოჟა კუპრეევს, მეგობრობის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ ადამიანს იმათგან, ვინც ჩემი ცხოვრების გზაზე გამიცვინია. შევივლით ზინოვი გერდტთან... ყველანი ერთმანეთის გვერდით არიან. კოლია ყველაზე ახალგაზრდა იყო. მისი ტრაგი-

კული ნასვლის წელი არ მახსოვს. არც გიას ახსოვს. ვიცი, რომ კარს მომდგარი იყო „ქინ-და-და“.

კოლიას სიკვდილის შემდეგ სასმელი საერთოდ აკრძალა. ჩაიკეტა... წარმოუდგენლად უჭირდა მუშაობა. უნდოდა, ერთი სერია გადაელო, მაგრამ მძიმედ და დიდხანს იკრებდა ძალას და დაარღვია ვადები თუ რაღაც ხელშეკრულება და ორის გაკეთებამ მოუწია. „ქინ-და-და“ ახალგაზრდობამ დააფასა. ის ჩასწვდა იმას, რისი გაგებაც ეშინოდა უფროს თაობას – წინ უანგისანი სამყაროა. ფილმი გახდა „პუ“-სა-პუ-ლტო. შარვლების ფერი. ცხვირში – ეჟენები. „პეპელაცი“, ეშმაკმა თუ იცის, რითი და რატომ ფრენს... კეცე (ეს ცეკაა შებრუნებით?), რომლის გარეშეც ცხოვრება ერთ ადგილზე დგას. მე ერთი სართულით ქვევით ჩავინაცვლებდი, შევდიოდი ოთახში, სადაც გაბრიაძე და დანელია სცენარზე მუშაობდნენ, და ვერაფერს ვიგებდი. მათ შექმნეს პლანეტა, ენა, იარაღი – ყველაფერი ნაგავია, ყველაფერი გადასაყრელი, მაგრამ ყველაფერი რატომღაც მაინც მუშაობს. ეს მერე გამოჩნდა ფილმები დაშლის ტექნოლოგიებზე. ბევრი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა (ჩემი თვალთახედვით) ვერ მიაღწია ასეთ ზუსტ ირონიულ ფილოსოფიას.

– ეს მითხარით, თქვენთან, საზღვარგარეთ, სოკოს ტყეები არის?

– ჩვენთან, საზღვარგარეთ, სოკოს ტყეები არ არის.

ეს „საშემოდგომო მარათონიდან“ არის – მამაკაცურ საშინელებათა პირველი საბჭოთა ფილმიდან. ჰიჩკოკი ისვენებს. ალექსანდრ ვოლოდინმა დაწერა სცენარი, რომელშიც თითოეული ჩვენგანისთვის მოიძებნება ადგილი. დანელიამ გადაიღო. ნეელოვა, გუნდარევა, ვოლჩეკი, ბასილაშვილი, ლეონოვი, კუხინკე, კრიუჩკოვი – ყველა ბრწყინვალეა. დაუჯერებელი სინაზისა და იუმორის მქონე ფილმია, მაგრამ მის საყურებლად ქალთან ერთად ნასვლა არ შეიძლება. „ყველანი ასეთები ხართ“.



ობ, ბუზიკინ! Alter ego. ვერ არის კარგი საქციელი, გიორგი ნიკოლაევიჩ, ასე რომ ჩაგვიშვით. სხვათა შორის, საკუთარი თავიც.

„ცხოვრება უსასრულო ალტერნატივებით მერტყმის გარს,“ – წერდა ვინსენტ შერემეტი.

ალტერნატივა – ეს არჩევანია. არჩევანი – ეს თავისუფლებაა, მაშინაც კი, თუ უძილო ღამის შემდეგ არ შეგიძლია, გაანზილო უცხოელი ფილოლოგი, უკვე რომ აუთვისებია, ვინ ხოდოკია, ვინ ალკოჰოლიკი, რათა დილდობით სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილმა, ლა-

ბი. გიორგი ნიკოლაევიჩი ტრუსისამარა უზის სინთეზატორს.

– „პასპორტისთვისაა“. შენ რას ფიქრობ?

– კარგი მუსიკაა. შენ დანერე?

– არა. გია ყანჩელმა.

– მაინც კარგია.

ყანჩელი ბევრს წერდა დანელიას ფილმებისთვის. ის ყოველ წვრილმანზე გამოეკიდება ხოლმე, კამათობს, მერე ეთანხმება, და სწორადაც იქცევა. ყანჩელი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორია და თან ნიკოლაიჩი უყვარს, და მისი მუსიკაც ისეთივე კეთილი და



მის ცხვირამდე მუხლებანეულმა იძუნძულო მოსკოვში.

დანელია არჩევანს უტოვებს ყველას. არავის არაფერს ასწავლის და თავისას არ იყინებს. იქნებ, ცუდ ადამიანებს ერიდება და ამიტომაც დაასახლებს თავის კინოსამყაროს კარგებით. მისი ნამუშევრები სავსეა სიკეთით და, რამდენიც უნდა აილო იქიდან, სიკეთე არ იკლებს. მათში არც მორჩილებაა, არც მძვინვარება.

ზაფხულია. ფანჯრები ღიაა. მუსიკის ხმა მესმის. სართულით დაბლა ვეშვებ-

გამჭვირვალეა, როგორც თვითონ ფილმები.

„პასპორტის“ სცენარის წერა გაბრიადესთან ერთად დაიწყო, მერე ჰაიტთან გააგრძელა, ბოლოს თვითონვე დაამთავრა. უსასრულო სამყაროში აღმართული საზღვრების, ხელოვნური ზღუდეებისადმი სიძულვილი მსჭვალავს ამ ავანტიურისტულ ფილმს. სიმწარე არ დაკრავს, გემო კი მყარად გრჩება. ფრანგი აქტიორის, ჟერარ დერმონის ყვირილი, რომელიც ერთდროულად ორ ქართველ ძმას

თამაშობს, რომელთაგან ერთი შეცდომით მოხვდა ისრაელში და სამშობლოში დაბრუნებას ვერასგზით ახერხებს, დიდხანს გიდგას ყურში.

– მესაზღვრე! არ მესროლო.

ეს იყო პირველი ფილმი დიდი შესვენების შემდეგ. ნიკოლაიჩი ლელავდა და, ამის გამო, რჩევას მეკითხებოდა. უფრო სწორად, სცენებიდან ნაწყვეტებს გაითამაშებდა ხოლმე და გმირების ბედზე მელაპარაკებოდა, სხვათა შორის, ჩემი აზრის გაუთვალისწინებლად, თუმცა მიმტკიცებდა ყველაფერს გიჯერებო.

– ცოცხალი დავტოვე, როგორც შენ მირჩიე.

ძალიან კარგი. შევძელი, გადამერჩინა ერთი კინემატოგრაფიული სიცოცხლე, ამასთან, მონაწილეობა მიმელო შემოქმედებით პროცესში. მივდივარ სხვა დროს და სცენარში ვკითხულობ, რომ გმირი დაიღუპა.

– გია?

– იცი რა, ვიდრე შენ აქ არ იყავი, შემთხვევით ნაღმს დააბიჯა. მაგრამ ხომ მესმარებოდი, ამიტომ რამე უნდა გაჩუქო.

– შენი ნახატი მაჩუქე. – ის ხომ არქიტექტორი იყო და არცთუ ურიგო გრაფიკოსია.

– რისი ნახატი... – ამ მხრივ დანელია ხელმოჭერილია. – რაიმე უფრო დიდს გაჩუქებ.

დიდმა დიდხანს არ მალოდინა. ერთხელ, შინ რომ ვბრუნდებოდი, ჩაბნელებულ კიბის ბაქანზე ნახევრად თვალდაელმებულმა დავინახე სულ მთლად შიშველი ქალი, ჩემი კარის წინ რომ იდგა. ბუზიკინის სინდრომმა მაიძულა, უკან მიმეხედა. „კიდევ კარგი, შინ მარტო ვბრუნდები“. ყველა შესაძლო საქციელიდან ყველაზე ლაჩრული ავირჩიე, უხმოდ დავეშვი სართულით ქვემოთ და დანელიას გადავანყდი.

– აბა, როგორია!

– ფიგურა კარგი აქვს.

– მანეკენებს, როგორც წესი, ცუდი ფიგურა არა აქვთ.

კლავამ, ასე დავარქვით ჩვენს ლამაზმანს, ხანგრძლივი და ნათელი ცხოვრება განვლო. სახლში დიდხანს არ გაჩერებულა. ჯეკას (ძალის სასწავლო ჩონჩხის) და შიშველი პლასტმასის ქალის ურთიერთშერწყმა ცოცხლებს არ ახარებდათ და მე ის სამსახურში, „ლიტერატურნაია გაზეტაში“ ნავილე, გადავწყვიტე, გამელამაზებინა ოთახი, სადაც მე და იური შეკოჩინინი „ვბინადრობდით“. თვალსაჩინოება ფანჯრის შიდა ლიობში ჩამოვკიდეთ და ჩვენი მოუსვენარი ცხოვრებაც დაიწყო. ჩვენთან მოყავდათ სიტყვაძუნწი ავტორები და, საერთოდ, შემოიხედავდნენ ხოლმე, რათა კლავასთან ერთად თითო სირჩა გადაეკრათ. მაგრამ რეაქცია არ თვლემდა. ერთმა არამეგობრულმა გამოცემამ შეკოჩინინი დაადანაშაულა, რომ ის, ვითომდა საზოგადოებრივი მორალის დასაცავად რომ იბრძვის, იმავდროულად დაკავებულია იმით, რომ აწამებს შიშველ ქალებს, აიძულებს, ფანჯარაში (ზურგით) ეკიდონ, მე კი იმავე გამოცემის ერთმა პოეტმა ლექსი მომიძღვნა: «Кровь брызнула – / Спешит на тонких ножках / В джинсовой куртке худенький вампир»\*.

ამ სტრიქონებში ყველაფერი სიმართლე იყო, გარდა სიტყვისა „გამხდარი“. იმ დროისთვის ჩემში 95კგ. იყო. ამ უზუსტობამ ცუდ გუნებაზე დამაყენა, მაგრამ ამ დროს დარეკა მშვენიერმა პოეტმა და საუცხოო ადამიანმა, საშა არონოვმა, და გამაცნო იმ პოეზიაზე თავაზიანი გამომხაურება – თქვენობით ფორმაში: «Что ближе вам: стихи Куняева / или журнальная хрень его?»\*\*.

აი, ასე გავხდი პოეტურ წრეებში ცნობილი კაცი დანელიას წყალობით. ახლა

\* „სისხლი ადუღდა. კნაჭა ფეხებით სადღაც მიიჩქარის ჯინსის ქურთუკიანი გამხდარი ვამპირი“

\*\* „რა უფრო ახლობელია თქვენთვის: კუნიაევის ლექსები თუ მისივე საჭურნალო სისაძაგლეები“



კინემატოგრაფიულ წრეებთან მიკედ-ლებაც მომინდა. მით უფრო, რომ მარკ რუდინშტიინი გამუდმებით მიწვევდა „კინოტავრზე“ ტვირთის როლში. „კინოტავრიც“ დანელიასთან კავშირში გამახსენდა. ის იქ პრიზებს იღებდა ისევე, როგორც უამრავ სხვა ადგილზე დედამინაზე. მაგრამ საქმე ეს როდია.

წელში გამართული და მშვიდი, თეთრი კეპით, შორტებითა და ძველებური ვერცხლის ჯვრით, გაღელილი ხალათიდან რომ მოუჩანს, ის მიაბიჯებს ბეტონის პრომენადაზე, თავაზიანი ინტერესით ისმენს ცხოვრებისეულ ამბებს, სცენარებს, თხოვნებს და, უბრალოდ, იმის დადასტურებას, როგორი კეთილგანწყობაა მის და მისი ფილმების მიმართ. ის არაფერში არ მონაწილეობს, წვეთწვეთობით აგროვებს სიტყვებს და შთაბეჭდილებებს. დანელია თვითონ არ დაფრინავს – ის ფრენების ხელმძღვანელია.

სალამობით უჩუმრად მიდის სამორინეში. და ფრთხილად, სულ მცირე თანხაზე მოთამაშე ცდილობს, არ წააგოს. არ წააგოს – ეს არის მისი მოგება. ის იქ ბევრ ვინმეს იცნობს, თვალს ადევნებს მოთამაშეებს და არაფერს არ სწავლობს.

„ფორტუნაში“ კაპიტანი თომა სამორინეში თამაშობს. ეს მნიშვნელოვანია ფილმისთვის, და აქ ყველაფერი ზუსტია, მაგრამ ჩემთვის საინტერესოა ფრაზა კიკაბიძის გმირის ბიოგრაფიიდან, სადაც ის იგონებს, რომ დღისით სასტუმროში წვრილ-წვრილ სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა, ღამით კი ამ გამომუშავებულ გროშებს აგებდა. ნიკოლაიჩმა გამაცნო ერთი პატარა, ცივი მეჯღანე, რომელიც დღისით „ფემჩუჟინას“ კიბის ქვეშ ცხოვრობდა და მუშაობდა, ღამლამობით კი იღბლის მოლოდინში სამორინეში იჯდა. ის არ მოდის. „ფორტუნა“ არ არის. რეალური ადამიანები ცხოვრობენ მის ფილმებში. ისე, როგორ ცხოვრებაც არ ძალუძთ ჩვენს სამყაროთაგან საუკეთესოში. ეს ისე... სიტყვაზე.

ახლა ბევრმა ისწავლა კითხვა და წერა

და დაიზუთხა უამრავი სიტყვა, ისე რომ იყენებს მათ, როგორც მოუხდება. კომპიუტერი იძლევა საშუალებას, სიტყვების ნაკრები რალაც წიგნის მსგავსად აქციო. ვიდეოკამერებმა გააჩინა შესაძლებლობა, აკეთო ფილმის მინამგვანი რამ, ხოლო ფოტო-„სასაპნებმა“ – ფოტოგრაფიასავით რალაც. უამრავი მიმსგავსებული კინოშიც. ნიჭის, გემოვნების არსებობა და შერჩევის უნარი განასხვავებს ნამდვილ ნაწარმოებს მინამგვანისგან.

დანელიას სამივე ეს კომპონენტი აქვს. შერჩევისას კი წარმოუდგენლად მკაცრია. მონტაჟისას სულ იოლად და დაუნანებლად თავისუფლდება ყველაფრისგან, რაც აუცილებელი არ არის, ამიტომ, როცა, როგორც იქნა, ბრბოში ჩაკარგული კაცის როლზე მიმინვია, სულ მარტოს სიახლოვეს ვტრიალებდი, რომელიც ყოველ თავის ფილმში სულ ერთი ბენო ეპიზოდს თამაშობს. „ნასტიაში“ ეს იყო ვილაც გადამთვრალი ხელოვნების მოღვაწე, რომელიც პომპეზური პრეზენტაციიდან მეტროში მიყავთ. მიყავდა მე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გადაღებითაც ზურგიდან მიღებდნენ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფილმის მხატვრობას ძალიან მცირე ზიანი მივაყენე.

პირველი წარმატების შემდეგ აშკარა იყო, რომ რეჟისორი მიმინვევდა მომდევნო ფილმზე, „ალჩუ და თოხანი“ („Орёл и пешка“). ნაზი ფილმია, სულისშემძვრელი, გიორგი ნიკოლაევიჩისთვის ტრადიციული აქამდე უცნობი მსახიობების მონაწილეობით, რომლებიც დანელიას ფილმების შემდეგ ხშირად ვარსკვლავებად იქცევიან ხოლმე.

ასეც მოხდა. ფრაზა, ჩემ მიერ ეკრანზე წარმოთქმული, ჩემგან მოითხოვდა გმირის მთელი ცხოვრების გასიგრძეგანებას. ის იყო, ვთქვი: „ფილტვების კრუპოზული ანთება,“ კინოს სახლის დიდი დარბაზი დაანგრია აპლოდისმენტებმა, რომლებიც აქამდე არ ჩამცხრალა. პრემიერის შემდეგ გიორგი ნიკოლაევიჩმა

მთელი ჯგუფი წარსადგენად სცენაზე აიყვანა. როცა ჩემმა რიგმა მოაწია, სერიოზულად წარმოთქვა:

– როსტი ამბობდა, რომ ფულის გადაუხდელად ითამაშებდა. მაგრამ მოგვიანებით სინდისმა შეაწუხა და გადაიხადა.

„ფორტუნაში,“ არაკუმი ვოლგაზე მცურავი ბარჟისა და მისი ბინადრების შესახებ, არის ყველაფერი, რაც გვაშინებს. მაგრამ გვინდა, როგორც ბარჟის მამულ რგოლს, ისე ჩავეჭიდოთ გიორგი ნიკოლაევიჩ დანელიას ხელს. მასთან ერთად არაფრის გეშინია. ის განაგრძობს ცხოვრებისთვის ლამაზი ზღაპრების მოფიქრებას. თან – მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით.

აი, თუნდაც ბოლოდროინდელმა სრულმეტრაჟიანმა ანიმაციურმა „კუ! ქინ-ძა-ძამ“ ყველა კონკურენტი ჩამოიტოვა და „აზიური ოსკარი“ მიიღო. პირველსავე ჩვენებაზე.

დანელიას სამი წიგნიც – „უბილეთო მგზავრი,“ „ნადღეგრძელები ბოლომდე სვამს“ და „კატა წავიდა, ღიმილი კი დარჩა“ – იქცა ჩვენი სისასტიკით მონამულული ცხოვრების ნამდვილ ანტიდოტად და ათობით გამოცემას გაუძლო.

მან იცის ყოფნა! (ღმერთმა მისცეს!)

– ახლა, ფხიზელი გონებით, მოდი,

იურა, დავასახელოთ სამი რეჟისორი, რომლებიც შენ გიყვარს. მე დავინყებ: ფელინი – ერთი!

– დანელია. ორი.

– არა, ძვირფასო.

– კი, ძვირფასო. ჩემზე უკეთ ვინ იცის, მე რა მომწონს?

– კარგი, ძვირფასო. გინდა, ახალ კინოს გაჩვენებ? (Хочешь, конфетку дам?)

– „კუ! ქინ-ძა-ძის“ მერე გადაიღე? რა თქმა უნდა. (Конечно).

– არა მაქვს... (Нету... დიალოგი ფილმიდან „არ დაიდარდო!“).

– სულ არა მაქვს?

– ჯერ – მხოლოდ იდეა.

– ვა! ახალი?

– პატარა მინდა. ნახატი ფილმი.

– შესანიშნავი იქნება! მე ასე ვფიქრობ. (Я так думаю – „მიმინო“).

– გადავიღებ – მეტყვი.

– ახლა გეტყვი! ნიკოლაიჩ, შენზე უკეთ ვინ გადაიღებს!

**„ნოვია გაზეტა“**

**24.08.2015**

თარგმნა

**ელზა მეტრეველია**




ვივან დენონი, „დედა-შვილი“

დროებაზე, როდესაც წყნარად მორონინე შეგრძნებები და შეხვედრები ტკბობის გაცილებით დიდ დოზას აძლევდა ადამიანს, არამედ სრულიად საპირისპირო ტემპი და არომატი. კუნდერას რომანი მკაფიოდ შეგვაგრძნობინებს ამ კონტრასტს.

ხილული თუ უხილავი აფეთქებებით შეძრწუნებული, ყალბი ცხოვრებისეული გამოცანებით აღვზნებული მზერა და გონება თანამედროვე ადამიანისა ძნელადლა ახერხებს შეიგრძნოს დენონის ნოველის პერსონაჟთა „სინელე“, „დინჯი არომატი“, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ საყოველთაო მედია-აქსელერაციის გარემოში, სადაც ერთი მახვილგონივრული რეპლიკისა არ იყოს „ისეა საქმე, რომ მორწმუნეს და ათეისტს ერთად მოუწევთ მეორედ მოსვლის რეპორტაჟის ცქერა სიენენის ლაივში“.

არც ერთი ამ ავტორთაგან დღემდე ქართულად არ გამოქვეყნებულა – ორივე ტექსტის მთარგმნელია ნანა გასვიანი. რომანის პუბლიკაცია ჩვენი ჟურნალის მეათე ნომერშიც გაგრძელდება და იმედია, მკითხველი წარუშლელ შთაბეჭდილებას მიიღებს ვივან დენონის და მილან კუნდერას ტექსტებით აშენებულ სარკეებიან დარბაზში.



„რობესპიერი სიკვდილით დასჯის წინ“. ნახატზე გაყალბებულია ფაკ-ლუი დავიდის ხელმოწერა, ვინც რევოლუციისას ეშაფოტისგან იხსნა ბარონი დენონი.

ბარონი დენონი (1747-1825) – ფრანგი მხატვრი, მწერალი, დიპლომატი, არქეოლოგი, ლუვრის მუზეუმის დამაარსებელი და მილან კუნდერა – XX საუკუნის ბოლო მეოთხედის გამორჩეული სახელი – ქართველი მკითხველის ცნობიერებაში თითქოს არაფრით უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ არა კუნდერას რომანი „აუჩქარებლობა“ (1995), რომლის ფაბულაც ეფუძნება ვივან დენონის „არც ხვალ, არც შემდეგ“-ს.

შედარება ორი ეპოქალური ტემპის – XVIII-XX საუკუნეების არის უმთავრესი, არსებითი, მაგრამ არა ერთადერთი მოტივი კუნდერასთან.

თანამედროვე პოლიტიკოსთა გროტესკული პორტრეტები, დახატული „აუჩქარებლობაში“, იმდენად ცოცხალია, რომ აშკარა მსგავსება „თვინ პიქსის“ ქრესტომათიულ ბენ ჰორნის პერსონაჟთან მხოლოდ ავსებს შთაბეჭდილებას.

„აუჩქარებლობა“ თავიდან ბოლომდე პარალელებზეა აგებული. აქ არის არა მხოლოდ ნოსტალგიური აქცენტი იმ





## ჰიჰან ღენონი

### არც ხვალ, არც უმედგომ

მე თავდავინწყებით მიყვარდა გრაფინია დე...; ოცი წლისა ვიყავი და ვიყავი გამოუცდელი, მან მილალატა, მე სცენა მოუწყვე, მან მიმატოვა. მე გამოუცდელი ვიყავი და მოვინანიე, მაგრამ მე ოცი წლისა ვიყავი – მან მაპაატია და, რამდენადაც ოცი წლისა ვიყავი და ვიყავი გამოუცდელი, უწინდებურად მოტყუებულს, მაგრამ არა მიტოვებულს მაინც ბედნიერ მიჯნურად მიმაჩნდა თავი და, მაშასადამე, ადამიანთა შორის უბედნიერესად. ის მეგობრობდა მაღამ დე T.-სთან, რომელსაც, ყველაფრიდან ჩანდა, რამდენადმე წარმოდგენა ჰქონდა ჩემს პიროვნებაზე, მაგრამ არა საკუთარი ღირსების საზიანო. როგორც დავინახავთ, მაღამ დე T.-ის ნუსიერებაზე გააჩნდა მყარი შეხედულებანი, რომელთაც ის ზედმინევიტ მისდევდა.

ერთხელ გრაფინიას მის ლოჟაში ვუცდიდი და უცებ მესმის – მეზობელი ლოჟიდან ვილაც მეძახის. ნუთუ ღირსეული მაღამ დე T.?

– როგორ! თქვენ უკვე აქ ხართ, ასე ადრიანად? არ იცით, რა გააკეთოთ? აბა, მოდით აქ, ჩემთან.

რას წარმოვიდგენდი, როგორ უჩვეულო და რომანტიკულ თავგადასავალს მპირდებოდა ეს შეხვედრა. ქალური ჭკუა სწრაფი და გამჭრიახია, მაღამ დე T.-ს კი ამ საღამოს განსაკუთრებული აღმაფრენა უწყალობა.

– არ დაფუშვებ, რომ ლოჟაში მარტოდმარტო დარჩენილს ხალხმა დაგცინოთ, – გავიგონე მე. რაკი უკვე აქ ხართ, მაშინ საჭიროა... ბრწყინვალე აზრია! თქვენი თავი თავად ღმერთმა გამომიგზავნა. დღევანდელი საღამოსთვის გეგმები გაქვთ? ისინი არ განხორციელდება, იცოდეთ. არავითარი კითხვები, არავითარი შეკამათება... ჩემს ხალხს დამიძახეთ. ძალიან საყვარელი ხართ! –

თავს ვუკრავ. მთხოვენ, არ დავაყოფნო, მე ვემორჩილები.

– გასწით ამ ბატონის ოჯახში, – ეუბნება ის გამოცხადებულ მსახურს, – და გააფრთხილეთ, რომ ღამეს სახლში ვერ გაათევს...

შემდეგ მას ყურში რალაცას წასჩურჩულებს და გაუშვებს. მე სიტყვის ჩართვას ვცდილობ. ოპერა იწყება. მთხოვენ, ხელი არ შევეშალო: ის უსმენს ან ისეთ სახეს იღებს, ვითომ უსმენს. პირველი აქტის დამთავრებისთანავე იგივე მსახური გამოცხადდება და სიტყვებით, რომ ყველაფერი მზადაა, მაღამ დე T.-ს წერილს აძლევს. იგი იღიმება, მკლავში ხელს გამომდებს, დაბლა ჩავყავარ, ეკიპაჟში ჩასაჯდომად მეპატიჟება და ისე, რომ გონზე მოსვლას ვერც ვასწრებ, ქალაქგარეთ აღმოვჩნდები, არ ვიცი, სად და რატომ მივყავარ.

ჩემ ყოველ ცდაზე, დავსვა კითხვა, სი-

ცილით მპასუხოვნ. რომ არ მცოდნოდა, რომ ის ვნებიანი, ღრმა ნატურაა და მისი გული ამჟამად დაკავებულია, თანაც არ შეიძლება მას არ სცოდნოდა, რომ მე ვიცი ამის შესახებ, მაშინ ცდუნება გამიჩნდებოდა, ყველაფერი ეს სასიყვარულო თავგადასავლების დასაწყისად ჩამეთვალა. ისიც ასევე იყო ჩახედული ჩემს სამიჯნურო საქმეებში, ვინაიდან, როგორც გაუნწყეთ, გრაფინიას ახლო მეგობარი გახლდათ, ამიტომ მტკიცედ გადავწყვიტე, არ შევმცდარიყავი და მოვლენების განვითარებას დავლოდებოდი.

ცხენები შევცვალეთ, შურდულივით გავექროლდით წინ. უცებ მომეჩვენა, რომ საქმე მეტისმეტად შორს წავიდა. ვკითხე, ამჯერად უფრო დაჟინებით, სად მივყავართ მის ხუმრობას.

– ბრწყინვალე ადგილას. გამოიცანით, სად... ო, ნაძღვეს დაგიდებთ, ვერ გამოიცნობთ... ჩემს ქმართან. თქვენ მას იცნობთ?

– სრულებით არ ვიცნობ.

– ვფიქრობ, გაგებხარდებათ, ჩვენს შერიგებას ცდილობენ. უკვე ნახევარი წელია ოჯახის მეგობრებს მოლაპარაკებები მიჰყავთ და მალე ერთი თვე გახდება, რაც ჩვენ ერთმანეთთან მიწერ-მოწერა გვაქვს. აი, მეც გადავწყვიტე, გეთაყვა, რომ ჩემი მხრიდან თავაზიანობა იქნება მისი მონახულება.

– თქვენი მხრიდან დიახ, მაგრამ მითხარით, გეთაყვა, მე აქ რა შუაში ვარ? ჩემგან რა ხეირია?

– ამის განსჯა მე მომანდეთ: მეშინია პირისპირ უსიცოცხლო და მტანჯველი შეხვედრისა, თქვენ კი სასიამოვნო თანამოსაუბრე ბრძანდებით და ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩემთან ერთად მოემგზავრებით.

– მეუცნაურება, რომ ჩემი წარდგენა სწორედ თქვენი შერიგების დღეს განგიზრახავთ. მაძიულებთ, ვიფიქრო, რომ ჩემი პიროვნება ყურადღების ღირსი არ არის. თანაც პირველი შეხვედრის გარდაუვალი უხერხულობა... არა, მართალი

გითხრათ, იმაში, რაც თქვენ ჩაიფიქრეთ, სამიდან ვერც ერთისთვის ვერაფერ სასიამოვნოს ვერ ვხედავ.

– ო, არ გინდათ მორალი, გაფიცებთ! მერწმუნეთ, ამისთვის არ წამომიყვანიხართ, თქვენ ჩემი გართობა გმართებთ და არა ზნეობრივი დამოძღვრა.

ის იმდენად ურყევი იყო, დავმორჩილდი. მის ოინში ჩემს როლზე მასხრობა დავიწყე და გავმხიარულდი.

კიდევ ერთხელ შევცვალეთ ცხენები. მთვარე ანათებდა მოწმენდილ ცას, იდუმალად აფრქვევდა ირგვლივ ამაღლელებელ მკრთალ შუქს. მივუახლოვდით ადგილს, სადაც ჩვენი განმარტოება უნდა დასრულებულიყო. დროდადრო ის მომიწოდებდა, აღფრთოვანებულიყავი პეიზაჟის სილამაზით, ღამის სიმშვიდით, ბუნების ნაზი სიჩუმით. რათა ერთად ცქერით დავმტკბარიყავით, ჩვენ, ბუნებრივია, ერთსა და იმავე ფანჯარაზე ვიხრებოდით; სწრაფი მგზავრობისა და ნჯღრევისაგან ჩვენი სახეები ერთმანეთს ეხებოდა. უცებ ეკიპაჟი მალლა ავარდა და ის მოულოდნელობისაგან ხელზე ჩამებლაუჭა. მეც სრულიად შემთხვევით, მოვეხვიე. არ ვიცი, რისი დანახვა შეგვეძლო ასეთ მდგომარეობაში, ვიცი მხოლოდ, რომ ჩემ თვალწინ ყველაფერი დაიბინდა, მაგრამ უცებ ხელი მკვეთრად მიბიძგეს და ჩემმა თანამგზავრმა კარეტის სიღრმეში მიიწია.

– თქვენ განიზრახეთ, – მითხრეს საკმაოდ დიდი ხნის ჩაფიქრების შემდეგ, – დამარწმუნოთ ჩემი საქციელის დაუდევრობაში?

მე შევცბუნდი.

– რაიმე განზრახვის მცდელობა... თქვენ მიმართ... რა უაზრობაა! მაშინვე მიხვდებოდით ნებისმიერ განზრახვას. მაგრამ უცაბედად, უნებლიე ალყტინება... განა ეს შესაწყნარებელი არ არის?

– და თქვენც ამაზე გათვალეთ, ასეა, არა?

ამ საინტერესო საუბრისას ძლივს შევნიშნეთ, როგორ შევედით ციხე-დარ-



ბაზის ეზოში. ყველაფერი კაშკაშებდა, ყველაფერი სიხარულზე ღაღადებდა, გარდა თავად პატრონის სახისა, რომელსაც არაფრით არ სურდა მხიარული გამომეტყველების მიღება. ამ ბატონის პირქუში სახით თუ განვსჯით, შერიგებისკენ მას მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის ინტერესები აგულიანებდა. ზრდილობის წესებმა მაინც აიძულა, კარეტის კართან მოსულიყო. გაცნობის სცენა. ის ხელს მიწვდის, მეც საპასუხოდ იმავეს ვაკეთებ იმაზე ფიქრში, როგორია ჩემი როლი – ამასწინანდელი, ახლანდელი და მომავალი. მიმიძღვიან დარბაზში, სადაც ლაზათიანობა ბრწყინვალეობას ეჯიბრება, მფლობელის ნატიფ გემოვნებაზე მოლაღადე. მორთულობაში ბატონს დახვეწილი გამომგონებლობა გამოემულავნებინა, ეტყობა, დაშრეტილი ფიზიკური ძალების გაცხოველებას ავხორცობის ნიმუშებით ესწრაფოდა. არ ვიცი, რა ვთქვა. აღფრთოვანების მიმანიშნებელი გამომეტყველება მშველის. ქალღმერთი საზეიმოდ მიჩვენებს თავის ტაძარს და დამსახურებული ქების მოსმენა სურს.

– თქვენ ჯერ კიდევ არაფერი გინახავთ, ჩემი მეუღლის აპარტამენტებში უნდა წაგიყვანოთ.

– ქალბატონო, ისინი მეტად აღარ არსებობს. მე ვბრძანე მათი განადგურება ხუთი წლის წინათ.

– აჰ, ნუთუ! – წამოიძახა მან.

ვანხამზე იგი მზრუნველად სთავაზობს ქმარს, გადაიღოს რუანული ხბოს ხორცი, რაზეც ქმარი პასუხობს:

– უკვე სამი წელია, რძის დიეტაზე ვარ, ქალბატონო.

– აჰ, ნუთუ! – იმეორებს ის.

გთავაზობთ, წარმოიდგინოთ საუბარი სამ ადამიანს შორის, რომლებიც უზომოდ გაცეხული არიან იმის გამო, რომ ერთ მაგიდასთან აღმოჩნდნენ.

ბოლოს ჩვენ ვივანხამეთ. ვვარაუდობდი, რომ მაშინვე დასაძინებლად გავეშურებოდით, მაგრამ აქ მხოლოდ ქმრის შემთხვევაში არ შევმცდარვარ.

– ფრიად მაღლობელი ვარ თქვენი, ქალბატონო, – თქვა მან, – იმისთვის, რომ ესოდენ წინდახედულად მოიყვანეთ აქ ჩვენი სტუმარი. თქვენ გადანყვიტეთ, რომ მე არ ვვარგვარ ხანგრძლივი სიფხიზლისთვის და მართალიც აღმოჩნდით, ვინაიდან გშორდებით. – შემდეგ ჩემკენ მობრუნებულმა დამცინავად დაუმატა: – ვიმედოვნებ, ჩემო ბატონო, რომ მომიტევეთ და საკუთარ თავზე აიღებთ ქალბატონის წინაშე ჩემი დანაშაულის გამოსყიდვის სიძნელეს.

და გავიდა.

ერთმანეთს გადავხედეთ. უსიამო შთაბეჭდილების გასაფანტავად მაღამ დე T.-მ შემომთავაზა, სანამ მსახურები ვანხმობდნენ, პარკში გაგვესეირნა. ღამე წარმტაცი, გამჭვირვალე იყო. იგი გარემომცველ საგნებს თვალს არ უფარავდა და გეჩვენებოდათ, თავის ბუნდოვანებას მათზე მხოლოდ იმისთვის აბნევედა, წარმოსახვისთვის მეტი სივრცე მიეცა. ბალი, ისევე, როგორც გორაკის ფერდობზე გაშენებული ციხე-დარბაზი, ტერასებით ეშვებოდა სენისკენ, რომელიც დაბლა მოჩხრიალებდა და წარმოქმნიდა უთვალავ კლაკნილსა და თვალწარმტაც ტყიან კუნძულს, მრავალსახოვანებასა და კიდევ მეტ მომწუსხველობას რომ აძლევდნენ ამ საუცხოო ადგილს.

თავიდან ამ ტერასებიდან უგრძესზე ვსეირნობდით, ხშირი ხეების ჩრდილებქვეშ. უკვე მოვიკეთეთ დაცინვებისგან, ახლახან რომ დაგვატყდა თავს. და მან ნდობით გამიზიარა ზოგიერთი მისი საიდუმლო. გულწრფელობა საპასუხო გულწრფელობას ინვეს და მეც ზოგი რამ გავანდე. ჩვენი გულახდილობა თანდათან სულ უფრო ინტიმური და სულ უფრო მომხიბლავი ხდებოდა. უკვე საკმარისად დიდხანს ვსეირნობდით. თავიდან იგი ჩემს მკლავზე დაყრდნობილი მოდიოდა, შემდეგ, თავად არ ვიცი, როგორ მოხდა, მისი ხელი ჩემსას შემოეხვია და მე უკვე კი არ ვიჭერდი, თითქმის მიმყავდა ჩემი თანამგზავრი. ეს სასიამოვნო იყო, მაგრამ ძალების გარკვეულ დაძაბვას მოით-

ხოვდა და, რაც უფრო შორს მივდიოდით, მით მეტს, ჩვენ კი კიდევ გვჭირდებოდა, ბევრი რამ მოგვეთხრო ერთმანეთისთვის. გზაზე ძელსკამი გვხვდება. პოზის შეუცვლელად ვსხდებით, და ასე ხელიხელჩაკიდებული მიგობრული ნდობის მთელი სიამის განდიდებას ვიწყებთ.

– აჰ, – ამბობს ის, – ვის შეუძლია ჩვენზე უფრო უშიშრად დატკბეს ამით? მე მეტისმეტად კარგად ვიცი, როგორ აფასებთ ჩემთვის ცნობილი პიროვნების კეთილგანწყობას, თქვენი მხრიდან უმნიშვნელო კადნიერებაზეც კი რომ დაუშვია ფიქრი.

შესაძლოა, სურდა, რომ მე მისი სიტყვები უარმეყო, ეს არ გავაკეთე და ერთმანეთს იმის მტკიცება დაფუნყეთ, რომ ჩვენ შორის არ არის და არც შეიძლება იყოს არანაირი სხვა ურთიერთობა, გარდა იმისა, რაც ახლაა.

– მე კი, გამოგიტყდებით, ვკანკალებდი, რომ გზაში ამასწინდელ მოულოდნელობას არ დაეფრთხეთ.

– ო, მე არც ისეთი მშიშარა ვარ!

– მე კი მაინც ვლელავ, ჩემდა უნებურად ხომ არ დაგაღონეთ.

– რა უნდა გავაკეთო, რომ დამშვიდდეთ?

– ვერ ხვდებით?

– ვისურვებდი, თქვენ თვითონ გეტქვათ.

– მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ მომიტყევენ.

– და ამისათვის?..

– უნდა მაჩუქოთ ის კოცნა, რომელიც სრულიად შემთხვევით...

– მე მზად ვარ, იმიტომ რომ, თუ უარს გეტყვით, მეტისმეტად გაამაყდებით და თავს შთააგონებთ, თითქოს თქვენი მეშინია.

და, რათა თავი არ მომეტყუებინა, კოცნა მივიღე.

არის კოცნები, მეგობრულ გულახდილობას რომ ჰგავს: საპასუხო კოცნებს ინვევენ, ჩქარობენ, სულ უფრო და უფრო მგზნებარენი ხდებიან. ნამდვილად,

როგორც კი პირველი კოცნა მაჩუქეს, მას კვალდაკვალ მოჰყვა მეორე, შემდეგ მესამე: ისინი ერთიმეორეზე ჩქარობდნენ, ნყვეტდნენ ლაპარაკს, ცვლიდნენ მას მთლიანად და ამოსუნთქვის საშუალებას ძლივს გვაძლევდნენ. სიჩუმე გამეფდა. მოვუსმინეთ მას (რამეთუ ხანდახან უსმენ სიჩუმეს). მან შეგვაშინა. ჩვენ უსიტყვოდ წამოვდექით და წავედით.

– დროა, დავბრუნდეთ, – თქვა მადამ დე T.-მ, – არ ღირს ღამის ჰაერის ბოროტად გამოყენება.

– ვფიქრობ, მას თქვენთვის დიდი ზიანის მოტანა არ შეუძლია, – ვუპასუხე.

– დიახ, სიგრილე ჩემთვის ისე საშიში არაა, როგორც ზოგიერთებისათვის, მაგრამ მაინც დავბრუნდეთ!

– ვიცი, ჩემს გამო ღელავთ... მსგავსი სეირნობის საფრთხისაგან გინდათ დამიცვათ და იმ შედეგებისგან, მხოლოდ ჩემთვის რომ შეიძლება მოჰყვეს.

– გსურთ, ჩემს განზრახვაში დელიკატურობა დაინახოთ, რას ვიზამთ, დაე, ასე იყოს... და მაინც დავბრუნდეთ, მე ასე მსურს,

გაჭირვებით გამოვწურეთ ეს უხერხული რეპლიკები, რომლებიც ეპატივბათ ადამიანებს, რაზეც გნებავთ, იმაზე რომ ცდილობენ ლაპარაკს, გარდა იმისა, რაც თავში აქვთ.

მან მაიძულა, ციხე-დარბაზისაკენ მივბრუნებულიყავით. არ ვიცი, – ყოველ შემთხვევაში, მაშინ არ ვიცოდი, იყო კი მისთვის დაბრუნების მოთხოვნა საკუთარი თავის იძულება, მიიღო კი გადანწყვტილება უყოყმანოდ თუ მასაც ჩემსავით ენანებოდა, რომ უეცრად დამთავრდა ის, რაც ასე კარგად დაიწყო; როგორც უნდა ყოფილიყო, ორივემ, შეთანხმებულივით, უნებლიეთ შევანელეთ ნაბიჯი და უხალისოდ მივჩანჩალებდით გვერდიგვერდ, ერთმანეთითა და საკუთარი თავით უკმაყოფილონი. არ ვიცოდი, ვინ ან რა დაგვედანაშაულებინა. არც მას და არც მე უფლება არ გვქონდა, რაიმე დავუთხინა ან მოგვეთხოვა: ჩვენ საყვედურის

უფლებაც კი არ გვექონდა. როგორ შევბას მოგვეტანდა კამათი! მაგრამ საბაბი საიდან მოგვეტანა? ამასობაში უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით ციხე-დარბაზს, საბაბის საპოვნელად თითოეული საკუთარ თავში დანთქმული, რათა გავქცეოდით გარდაუვალ განშორებას, ჩვენივე გაუფრთხილებლობის გამო რომ გავიხადეთ მოვალეობად. უკვე თითქმის კართან ვიყავით, როცა მაღამ დე T., ბოლოს და ბოლოს, ალაპარაკდა:

– მე ცოტათი ვბრაზობ თქვენზე... იმ ნდობის შემდეგ, რომელიც თქვენ მიმართ გამოვიჩინე, ცუდია, ძალიან ცუდი, ასეთი გულჩათხრობილი იყოთ! მთელი ამ ხნის მანძილზე, რაც ერთად გავატარეთ, სიტყვაც არ დაგიძრავთ გრაფინიაზე! მაგრამ, აკი ასე ტკბილია მათზე ლაპარაკი, ვინც გვიყვარს! და თქვენ არ უნდა დაეჭვდეთ იმაში, რომ მე თანაგრძნობით მოგისმენთ. ეს ყველაზე ცოტაა, რის გაკეთებასაც შევძლებდი მას შემდეგ, რაც თქვენი თავი კინალამ წავართვი მას.

– მაგრამ ხომ არ მაქვს უფლება, იგივე საყვედური გითხრათ? და ხომ არ აირიდებდით ჩემს ზოგიერთ საქციელს, თუკი ქმართან შერიგების წვრილმანების განდობის ნაცვლად, ბევრად ღირსეულ რჩეულზე მოგისმენდით, იმ რჩეულზე, რომელიც...

– არც ერთი სიტყვა მეტად... გაიხსენეთ, ერთი ქარაგმაც საკმარისია, რომ გავნაწყენდეთ. როგორ ცოტაც უნდა იცოდეთ ქალებზე, თქვენთვის უთუოდ ცნობილია, რომ ისინი არ ჩქარობენ მსგავს გულახდილობას. ჯობს, თქვენზე ვილაპარაკოთ: როგორ მიდის საქმე ჩემს მეგობართან? ნამდვილად ბედნიერი ხართ? აჰ, ვშიშობ, რომ ასე არაა და ეს მალონებს, რადგან თქვენი ბედი ჩემთვის სულ ერთი არ არის! დიახ, ბატონო, სულ ერთი არ არის... ბევრად უფრო, ვიდრე თქვენ გგონიათ.

– აჰ, ღირს კი, ქალბატონო, იმისი გვეუბრდეთ, რასაც ადამიანები გართობის მიზნით აზვიადებენ, უმნიშვნელო

წვრილმანებისაგან მთელ ხუხულას აგებენ?

– თვალთმაქცობისაგან მისხენით! მე ყველაფერი ვიცი თქვენზე, რაც კი შეიძლება მეორე ადამიანზე იცოდეს. გრაფინია მეგობრულ საუბრებში თქვენსავით თავშეკავებული როდია. მისი ყაიდის ქალები არ უფრთხილდებიან თავიანთი თავყანისმცემლების საიდუმლოებებს. განსაკუთრებით, თუკი ისინი ისეთი მდუმარენი არიან, როგორც თქვენ, მეტისმეტი სიფრთხილით მათ რომ გამარჯვების ზეიმს უკნინებენ. მე შორს ვარ იმისგან, კეკლუცობაში დავადანაშაულო იგი, მაგრამ უმნიშვნელობებს სრულებითაც არ აქვთ ნაკლები პატივმოყვარეობა. გულახდილად მითხარით: განა ზოგჯერ არ გტანჯავთ მისი ახირებული ნატურის ჟინიანობა? აბა, ბრძანეთ, ბრძანეთ...

– მაგრამ, ქალბატონო, თქვენ დაბრუნება გსურდათ... გრილა...

– უკვე დათბა.

მაღამ დე T.-მ ისევ გამიკეთა ხელკავი და სეირნობა განვაგრძეთ. ვერ შევნიშნე, საით მივდიოდით. ის, რაც მან მითხრა თავის საყვარელზე, რომელზეც მე ვიცოდი, და ჩემს საყვარელზე, რომელზეც მან იცოდა, ჩვენი ღამის მოგზაურობა, გვიანი საათი – ყოველივე ეს მაფორიაქებდა; ხან იმედებსა და ტკბილ სურვილებს ვაძლევდი გასაქანს, ხან თავს ვუბრძანებდი, ჯანსაღად ეაზროვნა. მაგრამ მეტისმეტად აღელვებული ვიყავი იმისთვის, გამომერკვია, სახელდობრ, რა ხდებოდა ჩემში. სანამ ამ შინაგანი შფოთვის ტყვეობაში ვიყავი, ის გრაფინიაზე ლაპარაკს განაგრძობდა. ჩემი ჩაფიქრება აღიქმებოდა, როგორც უსიტყვო თანხმობა. შიგადაშიგ გამქირდავი შენიშვნები მაინც მაიძულებდა მოსმენას:

– როგორი გამჭრიახია, – ამბობდა მაღამ დე T., – როგორი დახელოვნებული! ვერაგობა მოხდენილ ხუმრობად შეუძლია წარმოგვიდგინოს, ლალატი – ერთადერთ გონივრულ გამოსავლად, კეთილგონიერებისთვის გაღებულ მსხვერპლად. არა-

ვითარი უშუალობა, სრული თავდაჭერილობა, ყოველთვის თავაზიანი, იშვიათად ალერსიანი და არასოდეს გულწრფელი. ნატურით ავხორცი, ხალხში მეტისმეტად თავშეკავებული, მგზნებარე, ფრთხილი, განაფული, თავქარიანი, მგრძობიარე, განათლებული, კეკლუცი და ფილოსოფოსი ერთ პიროვნებაში; მრავალსახოვანი, როგორც პროთევისი, მშვენიერი, როგორც გრაცია – ის გიზიდავს და გისხლტება. რამდენი როლი შეიცვალა ჩემს მახსოვრობაში! ჩვენში დარჩეს და, ირგვლივ რამდენი ადამიანია მისგან გასულელებული! როგორ დასცინა ბარონ N.-ს! როგორ გაამასხარავა მარკიზი H.H.! თქვენთან საქმე იმიტომ დაიჭირა, რომ ხალხის ყურადღება ორი მონინააღმდეგიდან, რომლებმაც წინდახედულობა დაკარგეს და საქმე გამოაშკარავებამდე მიიყვანეს, თქვენზე გადმოეთანა. საკმაოდ დიდხანს ჰყავდა ისინი გამოჭერილი. მათ მისი კარგად გაცნობა მოასწრეს და, ბოლოს და ბოლოს, მისი მხილება შეეძლოთ. ამიტომ სცენაზე თქვენ გამოგიყვანათ, მათი ფიქრები თქვენკენ მომართა, მათ ეჭვებს სხვა კალაპოტი მოუძებნა, სასონარკვეთილებაში ჩაგაგდოთ, შეგიცოდათ, განუგეშათ და ოთხივე კმაყოფილი დარჩით, ოჰ, რა ადვილია მოხერხებული ქალისათვის თქვენით, კაცებით თამაში! და რა ბედნიერად ცხოვრობს ის, რადგან მისთვის ყველაფერი მხოლოდ თვალთმაქცობაა და ამ თამაშში სულის ნატამალსაც არ დებს!

მადამ დე T.-მ უკანასკნელი სიტყვები მრავალმნიშვნელოვანი ამოოხვრით გააცვია.

ვიგრძენი, თითქოს თვალებიდან სახვევი მომხსნეს, მაგრამ ვერ შევნიშნე, როგორ ჩამომაცვეს მეორე. ჩემი შეყვარებული ქალთა შორის ყველაზე ცრუპენტელად წარმომიდგა და გამიხარდა, რომ, როგორც იქნა, ჩემ წინ გულწრფელ ქალს ვხედავდი. მეც ასევე ამოვიოხრე, თავად არ ვიცოდი, ვის ეკუთვნოდა იგი და ვერ გამეგო, იმედგაცრუებით იყო გამონვეული თუ იმედით. მადამ დე T. დალონებუ-

ლი ჩანდა იმის გამო, რომ მანყენინა და ალტყინებულმა მეტისმეტად შორს შეტოპა გულახდილობაში, რაც, ქალის ბაგეებიდან წარმოთქმული, შესაძლოა, მიკერძობად მომჩვენებოდა.

ძალა არ შემწევდა, საღად განმესაჯა ის, რაც მითხრეს. ჩვენ გრძობების გზაზე შევდექით და ისე შორს წავედით, შეუძლებელი იყო, გამოგვეცნო, სად მიგვიყვანდა იგი. ჩვენს ფილოსოფიურ საუბრებს შუა ჩემმა თანამგზავრმა მიმითითა ერთ-ერთი ტერასის ბოლოს მდგარ პავილიონზე, უბედნიერესი წუთების ყოფილ მონმეზე. დაწვრილებით აღწერა მისი განლაგება, ავეჯი. რა დასანანია, რომ გასაღები თან არა აქვს! საუბარში სულ ახლოს მივედით მასთან. პავილიონი ღია აღმოჩნდა; მხოლოდ სინათლე აკლდა. მაგრამ სიბნელესაც თავისი მომხიბვლელი ჰქონდა. მით უფრო, რომ ვიცოდი, რაოდენ მშვენიერია ის, ვინც ეს პავილიონი შეამკო.

ის იყო, ზღურბლს გადავაბიჯეთ, რომ თრთოლამ აგვიტანა. ეს იყო ტაძარი, ტაძარი, მიძღვნილი სიყვარულისადმი. მან ჩვენ მოგვიცვა. ჩვენც დავმორჩილდით; ჩვენი დაუძღურებული ხელები გადაიხლართა და, რადგან ერთმანეთის დაჭერის ძალაც აღარ გაგვაჩნდა, დავეცით დივანზე, რომელსაც ტაძრის დიდი ნაწილი ეჭირა. მთვარე უკვე ჩადიოდა. მალე მისი უკანასკნელი სხივიც გაუჩინარდა და თან წაიღო უკვე აშკარად არაფრის მაქნისი სირცხვილის მარმაში. ყველაფერი სიბნელეში აირია. ხელი, რომელიც ჩემს მოცილებას ცდილობდა, ჩემსავე გულის ფეთქვას აღიქვამდა. ჩემი მკლავებიდან დასხლტომას ცდილობდა და უფრო მეტი ნეტარებით მეცემოდა მკერდზე. ჩვენი სულები ერთმანეთს შეერწყნენ, უკვე ორი კი არა, უამრავი იყო; თითოეული კოცნიდან ახალი იბადებოდა.

თუმც ძველებურად აღარ ბობოქრობდა, გრძობებით თრობა მთლიანად არ დამცხრალა და ხმაც ჯერ კიდევ არ გვემორჩილებოდა. სიჩუმეში უსიტყვოდ ვსა-



უბრობდით ფიქრების ენაზე. მაღამ დე T.-მ ჩემს მკლავებს შეაფარა თავი, ჩემს მკერდში მალავდა თავს, ოხრავდა და ჩემი ალერსით მშვიდდებოდა; შფოთავდა, წყნარდებოდა და სიყვარულს ითხოვდა იმ ყველაფრისთვის, რაც მას სიყვარულმა წაართვა.

ეს სიყვარული, რომელიც ჯერ კიდევ წუთის წინ აშინებდა, ამჯერად თავშესაფრად უჩნდა. თუ გვინდა, ერთი მხრივ, ნებაყოფლობით გავცეთ ის, რაც შემთხვევით ჩვენივე ნებით წაგვართვეს, მეორე მხრივ კი – მივიღოთ მიტაცებული ძღვნად, ამ და იმ შემთხვევაშიც ვიჩქარით, მოვიპოვოთ მეორე გამარჯვება, რათა ჩვენი მონაპოვარი გავამყაროთ.

ყველაფერი მეტისმეტად სწრაფად მოხდა, ჩვენი თავით უკმაყოფილონი ვიყავით და ახლა ყველაფერი საფუძვლიანად დავინწყეთ თავიდან, რათა დაუდევრობით დაკარგული შეგვეცხო. ვნებების სიჭარბე სინაზის მტერია. ტკობისაკენ სწრაფვით ვლუპავთ სიხარულს, რომელიც წინ უძღვის მას: იმსხვრევა ღილაკილო, იხევა მაქმანი – ჟინი ყველგან ტოვებს თავის კვალს და ჩვენი კერპიც მსხვერპლს უფრო გვაგონებს.

როცა ცოტათი დავმშვიდდით, ჰაერი სუფთა, გრილი გვეჩვენა. მხოლოდ ახლა გავიგონეთ, როგორ რაკრაკებდა პავილიონის კედელთან მდინარე, რომელიც ღამის მდუმარებას ჩვენი გულების ფეთქების თანხმური წყნარი ტლაშუნით არღვევდა. მეტისმეტად ბნელოდა იმისთვის, რომ რაიმე დაგვენახა, მაგრამ ზაფხულის ნათელი ღამის გამჭვირვალე საბურველში მეზობელი კუნძული ჩვენთვის მოჯადობულ მდელოდ იქცა. გვეჩვენებოდა, თითქოს მდინარე სავსე იყო მის ტალღებში მოცქერილ კუპიდონებით. კნიდის ტყეების ხეთა ჩრდილქვეშ არასოდეს ყოფილა ამდენი შეყვარებული, რამდენსაც სენის ნაპირებზე ვხედავდით. მთელი ქვეყანა შეყვარებულებით დასახლებულად გვეჩვენებოდა და მათ შორის ჩვენზე ბედნიერი არავინ იყო. მზად ვიყავით, ამურსა

და ფსიქეას დავმსგავსებოდით. მე ისევე ახალგაზრდა, როგორც ამური, მაღამ დე T. ისეთივე მშვენიერი, როგორც ფსიქეა. თავისი ძალდაუტანებელი მოთენთილობით კიდევ უფრო დამატყვევებელი მეჩვენებოდა. თითოეული წამი მისი სილამაზის ახალ-ახალ საოცრებებს მიხსნიდა. სიყვარულის შუქი მას ხილულს ხდიდა ჩემი სულიერი ხედვისთვის და გრძობებიდან ყველაზე უტყუარი მიდასტურებდა ბედნიერებას. რაკი სიფრთხილე დაძლეულია, ნაზი ალერსი გვიხმობს ერთმანეთისკენ. გვსურს, არც ერთი წყალობა, სიყვარულის არც ერთი ნიშანი ფაციფუცში არ დაიკარგოს. თუ აყოვნებენ, ეს სიფაქიზეა. მფრთხალი უარიც ასევე თავისებურად გვანაზებს, დიახ, მას უნდოდა და მაინც – არა, არ უნდა. მოკრძალება ტკბილია... თვალთმაქცობის სურვილი... სულს აღანთებს... ჩვენ ვალმერთებთ... ის არაფრის გულისთვის არ დათმობს... დათმო.

– აჰ! – ამბობს თავისი ჯადოსნური ხმით, – წავიდეთ ამ სახიფათო ადგილიდან! თითოეული სურვილი აქ ახალს ბადებს და ძალა არ გვყოფნის, მათ დაუპირისპირდეთ.

მან შორს გამიტაცა.

სამწუხაროდ, პავილიონს ვშორდებით. ის დროდადრო უკან იყურება, გეგონება, ღვთაებრივი ცეცხლი ანთია ჩვენს მიერ დატოვებული ტაძრის კარიბჭეში.

– ის შენ გააცისკროვნე ჩემთვის, – ამბობს მაღამ დე T., – მოკვდავთაგან ვის ძალუძს გადაგაჭარბოს? როგორ შეგიძლია გიყვარდეს! რა ბედნიერია ის!

– ვინ? – წამოვიძახე განცვიფრებით, – თუ ნამდვილად შემიძლია ბედნიერების მოტანა, თქვენ გარდა ვინ ჩაითვლება შურის ღირსად?

ჩვენს ძელსკამს ჩავუარეთ და უნებლიეთ უხმო მღელვარებით შევჩერდით.

– მგონია, მთელი მარადისობა გაიჭიმა ამ სკამს და პავილიონს შორის, სადაც ახლახან ვიყავით! ჩემი სული ისეა სავსე ბედნიერებით, რომ აღარ მესმის, როგორ



შემძლო მაშინ თქვენთვის წინააღმდეგობა გამენია?

– აჰ, ნუთუ აქ უნდა განქარდეს ჩემი ზმანებები, რომელთაც იქ ჩემი სული აღავსეს? – ვუპასუხე მე. თუ ეს ადგილი ყოველთვის საბედისწერო იქნება ჩემთვის?

– განა ახლა, როცა მე თქვენთან ვარ, ეს შესაძლებელია?

– ო, დიახ, რადგან მე აქ ახლა იმდენად უბედური ვარ, რამდენადაც ბედნიერი ვიყავი იქ. სიყვარულს სულ ახალი და ახალი მტკიცებულებები სწყურია: მას ეჩვენება, რომ არაფერი მიუღია, სანამ ყველაფერს არ მიიღებს.

– ისევ... არა, არ შემიძლია დავუშვა... არა, ეს შეუძლებელია... – და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ: – ესე იგი, ნამდვილად გიყვარვარ!

მკითხველს ვთხოვ, გაიხსენოს, რომ სულ ოცი წლისა ვიყავი. ამასობაში ჩვენმა საუბარმა მიმართულება შეიცვალა, ნაკლებ სერიოზული გახდა. სიყვარულის სიამეებზეც კი გავბედეთ ხუმრობა, გავბედეთ მისი ანალიზი და მორალისაგან განცალკევება, ყველაზე მარტივზე დაყვანა და იმის მტკიცება, რომ სიყვარულის არსის საწინდარი მხოლოდ სიამოვნებაა და (ფილოსოფიური განსჯით) არ გვბოჭავს არაფრით, თუ ჩვენ თვითონ საჯაროდ არ შევიბოჭავთ თავს ადამიანებისთვის ჩვენი საიდუმლოებების გამხელით და საზოგადოებაში ყოფნისას გაუფრთხილებლობით.

– რა მომხიბლავი ღამე გავატარეთ, – ამბობდა ის, – მხოლოდ ერთი ტკბობის წყალობით, რომელიც ჩვენთვის დარიგებაც იყო და გამართლებაც, და თუკი, მაგალითად, ხვალ გარემოება დაშორებას გვაიძულებს, მაშინ ქვეყნიერებაზე ყველასათვის იღუმალი ჩვენი ბედნიერება არანაირ დამამძიმებელ კვალს არ დაგვიტოვებს მსუბუქი ნალველის გარდა, რომელსაც ტკბობის მოგონებები გამოისყიდის... ტკბობის მოგონებები, მოსაბეზრებელი დახანების, ზრუნვისა და პირობითობების ტირანიის გარეშე.

ჩვენში ისე ბევრია მანქანისა (და მე მრცხვენია ამის), რომ იმ რთული გრძნობებისა და ეჭვების ნაცვლად, რომლებიც ამ საუბრამდე დამეუფლა, უკვე სანახევროდ ვიზიარებდი ამ კადნიერ პრინციპებს: მე მათ აღფრთოვანების ღირსად მივიჩნევდი და ფრიად ახლოს ვიყავი იმასთან, თავისუფლების უპირატესობა დამეფასებინა.

– გრძნეული ღამე! – ამბობდა ის, – გრძნეული ადგილები! რვა წელია, აქ აღარ ვყოფილვარ, მაგრამ მათ არ დაუკარგავთ უწინდელი მომხიბვლელობა და, პირიქითაც კია – ჩემთვის ხელახლა შეიძინეს სიახლის მშვენიერება; რადგან ჩვენ ვერასდროს დავვიწყებთ ამ პავილიონს, ასე არ არის? ციხე-დარბაზში არის კიდევ ერთი ასეთი კაბინეტი, ჭეშმარიტად თვალწარმტაცი, მაგრამ თქვენ ვერაფერს გაჩვენებთ ადამიანი: ბავშვით ხართ, რომელსაც უნდა, ყველაფერს ხელი სტაცოს და ამტვრევს ყველაფერს, რასაც შეეხება.

ცნობისმოყვარეობის უეცარმა მოზღვავებამ, თავად რომ გამაკვირვა, მაიძულა შევპირებოდი, რომ სამაგალითოდ მოვიქცეოდი და ყველაფერში დავემორჩილებოდი. დავიფიცე, რომ კეთილგონიერი ვიქნებოდი. სხვა რამეზე ალაპარაკდნენ.

– ეს ღამე, – თქვა მან, – ჩემთვის უბედნიერესი იქნებოდა, ერთი შეცდომისათვის რომ არ ვკიცხავდე თავს. ტყუილად, სულ ტყუილად ვლაპარაკობდი ასე გრაფინიაზე და საქმე ის კი არ არის, რომ თქვენ რაიმეთი მანყენინეთ. უბრალოდ, სიახლეს ყოველთვის აქვს განსაკუთრებული მიმზიდველობა. თქვენ სიყვარულის ღირსად ჩამთვალეთ და მინდა დავიჯერო, რომ არ ეშმაკობდით; მაგრამ ჩვეულების ძალა იმდენად დიდია, რომ მე თვითონ შეგნებული მაქვს მისი ბოლომდე გამარჯვების შეუძლებლობა. ამასთანავე, უკვე ამოვწურე ყველაფერი, რითიც მამაკაცის გულის დატყვევება შეიძლება. რას იმედოვნებთ ახლა ჩემ გვერდით? რი-

სი სურვილი შეიძლება გქონდეთ? რა უნდა ქნათ ქალის გვერდით, როცა არ არის არც სურვილები, არც იმედები! მე თქვენ ყველაფერი მოგეცით და თადარიგში არაფერი დავიტოვე. ისიც კარგი იქნება, თუ არ გამკიცხავთ ამ ლამისათვის, რომელმაც ტკბობის წამი მოიტოვა თუ არა, მკაცრი განსჯის სიცივით მოგიცვათ. ბარემ მითხარით, როგორ უყურებთ ჩემს ქმარს? საკმაოდ კუმტია, არა? რას ვიზამთ, დიეტა ხასიათს არ აუმჯობესებს. არა მგონია, თქვენი მოსვლა მშვიდად მიეღოს, ჩვენი მეგობრობა მასში ეჭვს აღძრავს. არ შეიძლება თქვენი პირველი აქ ყოფნა დიდხანს გაგრძელდეს: მას ეს გააბრაზებს. როგორც კი სტუმრები გამოჩნდებიან, ისინი კი უსათუოდ გამოჩნდებიან... დიახ, და თქვენც გაქვთ სიფრთხილის მიზეზი... გახსოვთ, რა სახით დაგვემშვიდობა ვახშმის შემდეგ?

იგი დარწმუნდა, რომ ამ სიტყვებმა ჩემზე სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა და საჩქაროდ დაუმატა: – ის ბევრად მხიარული იყო, როცა გულმოდგინედ აწყობდა იმ კაბინეტს, რომელზეც გეუბნებოდით. ეს იყო ჩვენი ქორწინების წინ. იგი ჩემს საძინებლებს ემიჯნება. მე მას ყოველთვის ისე აღვიქვამდი, როგორც... ხელოვნურ დახმარებას, რომელიც ჩემს ქმარს ესაჭიროებოდა თავისი გრძნობების გასამყარებლად, და როგორც მონმეს ჩემდამი მისი გულგრილობისა.

ასე დროდადრო აღანთებდა ჩემში იმ კაბინეტის ნახვის სურვილს.

– თუკი ის თქვენს საძინებლებს აკრავს, – ვთქვი მე, – რა ტკბილი იქნებოდა, შური გეძიათ იმ შეურაცხყოფისთვის, თქვენს სილამაზეს რომ მიაყენეს! სამართლიანად აგენაზღაურებინათ მისთვის ყველაფერი, რაც წაართვეს!

ეს კეთილგანწყობით მიიღეს.

– აჰ, – განვაგრძე მე, – თუ მე ამირჩევთ ამ შურისძიების აღმსრულებლად, თუკი ბედნიერ წამებს შეუძლია თქვენი მეხსიერებიდან წარსული იმედგაცრუებების დაჩრდილვა და წარხოცვა...

– თუ თქვენ დაიფიცებთ, რომ კეთილგონიერი იქნებით... – სიტყვა გამანყვეტინა მან.

ვალღარებ, კიდევე ერთი ტაძრის მონახულებისათვის აუცილებელ აღტყინებასა და მგზნებარებას ვერ ვგრძნობდი. მაინც ძლიერმა ცნობისმოყვარეობამ მომიცვა: უკვე იმდენად მაღამ დე T. კი არ მაინტერესებდა, რამდენადაც ის კაბინეტი.

ციხე-დარბაზში დავბრუნდი. კიბეებსა და დერეფნებში შუქი უკვე ჩაექროთ. ციხე-დარბაზის დიასახლისმაც კი არ იცოდა ყველა გასასვლელ-გამოსასვლელი. ბოლოს, მივალწიეთ მისი საძინებლების კარებამდე, სწორედ იქამდე, სადაც იმალებოდა ესოდენ ქებაშესხმული მისი თავშესაფარი.

– ჩემს ბედს როგორ გადაწყვეტ? – ვკითხე მე.

– ახლა სად უნდა წავიდე? ნუთუ ამ სიბნელეში მარტოს გამიშვებთ? გარისკავთ, ხმაური გამოვიწვიო, აღმომაჩინონ, ორივე გამოვმყლავნდეთ, დაილუპოთ?

ეს მოსაზრება გადამწყვეტი აღმოჩნდა.

– თქვენ მპირდებით...

– ყველაფერს, ყველაფერს, რაც გნებავთ!

ჩემს ფიცს დაუჯერეს. უხმაუროდ გავალეთ კარი და ორი მძინარე მსახური აღმოვაჩინეთ: ერთი ახალგაზრდა, მეორე უფრო ხნიერი, ხნიერი მისი განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა და ჩვენც ის გავალვიძეთ. მას რაღაც უთხრეს ყურში. მალე დავინახე, როგორ გავიდა ის პანელის ქრილში ოსტატურად მიმალული საიდუმლო კარით. ქალბატონს მძინარე მოახლის მაგივრობა შევთავაზე. ჩემი მომსახურება მიღებული და ყველა ზედმეტი მორთულობა და სამკაული მოხსნილი იქნა. უბრალო ბაფთაღა აკავებდა ახლა მის თმას, მხრებზე ტალღებად დაფენილს. მას მხოლოდ ვარდი დაუმატეს, რომელიც მე ბალში მოვწყვიტე და დაბნეულობისაგან აქამდე ხელში მეჭირა; მოლიავებული კაბა ცვლიდა ემპაკურ

მორთულობას. ამ სამოსელში არ იყო არც ზონარი, არც ლილკილო და მაღამ დე T. მასში კიდევ უფრო მომხიბვლელი ჩანდა. დალილობისაგან ქუთუთოები ოდნავ დაუმძიმდა, მზერამ ახალი სიღბო და საინტერესო მიბნედილობა შეიძინა. ტუჩების ფერი, ჩვეულებრივზე უფრო კაშკაშა, კბილების სითეთრეს უსვამდა ხაზს და ღიმილს უფრო მეტად მგრძობიარეს ხდიდა; ოდნავი სინითლე კანის სითეთრეს მოწმობდა და მის სიფაქიზეს ადასტურებდა. ეს ნაკვალევი ამასწინანდელი განცხრომისა მის სიტკბოებას მახსენებდა. ერთი სიტყვით, მაღამ დე T. ჩემ წინაშე მომწესხველი წარსდგა იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ჩემი წარმოსახვა ხატავდა ჩვენი სიყვარულის ყველაზე ნაზ წუთებში. პანელის ქრილი ისევ გაიღო, საიდუმლოთა ერთგული მცველი გამოვიდა იქიდან და თვალს მიეფარა.

როცა ჩვენ უკვე შევდიოდით, მაგრამ დე T.-მ გამაჩერა:

– გახსოვდეთ, – საზეიმოდ თქვა მან, – არასდროს არავინ არ უნდა იეჭვოს, რომ თქვენ ნახეთ ეს ოთახები ანდა თუნდაც ხედებით მათ არსებობას. გულმაგინყობით არაფერი წამოგცდეთ, დანარჩენზე მშვიდად ვარ.

საიდუმლოებების შენახვა სათნოებათაგან უპირველესია; ჩვენ მას ვუმადლით უთვალავი ექსტაზის წამს.

ეს ყველაფერი წეს-ჩვეულებებზე გადაგებას ჰგავდა. მე ხელჩაკიდებული გამატარეს პატარა ბნელი დერეფანი. გული ახალგაზრდა პროზელიტივით მიცემდა, რომელსაც უდიდესი საიდუმლო საქმის შესრულების წინ გამოცდას უწყობენ.

– მაგრამ თქვენი გრაფინია... – თქვა მან, შეჩერდა.

დავაპირე, მეპასუხა, რომ კარი გაიღო – აღტაცებისგან სიტყვა ყელში გამეჩხირა. მე გაშტერებული, განცვიფრებული ვიყავი, თავი არ მახსოვდა და ჯადოქრობაც გულწრფელად ვირწმუნე. ჩვენ უკან კარი მიიხურა და მოვეშვი იმის გარკვევას, აქ როგორ შემოვედით. ირგვლივ მხოლოდ

სამოთხის მწვანე კორომს ვხედავდი, რომელსაც არც შესასვლელი ჰქონდა, არც გამოსასვლელი და თითქოს ჰაერში ლივ-ლივებდა ყოველგვარი მინიერი საყრდენის გარეშე; მოკლედ, მე ვიმყოფებოდი გაშლილ დარბაზში, სადაც კედლების ნაცვლად მთლიანი სარკეები იყო, თანაც ისე ოსტატურად განთავსებული, რომ მათზე გამოსახული ყველა საგანი, უთვალავჯერ არეკლილი, რეალურობის სრულ ილუზიას ქმნიდა. ირგვლივ არანაირი სანათი არ ჩანდა: სადღაც შიგნიდან იფრქვეოდა რბილი მოცისფრო შუქი, რომელიც მოხატულობას ზუსტად იმდენად აშუქებდა, მისი დანახვა შესაძლებელი ყოფილიყო; სასაკმევლეები საუცხოო კეთილსურნელებას აფრქვევდა, ვენზელები და ემბლემები თვალს უფარავდა მაგიური შუქის წყაროებს, ამ თავშესაფარს განცხრომით რომ ავსებდა. იმ მხარეს, საიდანაც შემოვედით, გისოსებიანი კარიბჭეები იყო გამოსახული ღიობებზე შემოხვეული ყვავილებით, მწვანე თალარებით; მეორე მხარეს – ამურის ქანდაკება, რომელიც გვირგვინებს გასცემდა, ქანდაკების წინ აღმართულიყო საკურთხეველი, რომელზეც ცეცხლი ენთო, საკურთხეველის ფერხთით კი მოჩანდა თასი, გვირგვინი და გირლიანდები; ამ კედლის მოხატულობას ტაძარი ასრულებდა მსუბუქ, მოხდენილ სტილში. პირდაპირ გამოესახათ ჩრდილოვანი გამოქვაბული, რომლის შესასვლელსაც იდუმალი ღვთაება იცავდა; პლუმის ხალიჩებით დაგებული პარკეტი გაზონის იმიტაციას ქმნიდა. პლაფონზე ანგელოზები გირლიანდებს კიდებდნენ, კარიბჭეებიანი კედლის პირდაპირ კი ნიში იყო, სადაც ბალდახინზე, რომელიც ამურებს ეჭირათ, მრავალი ბალიში მიმოფანტულიყო.

ამ ადგილების მფლობელი დაუდევრად დაეშვა მათზე. მის ფერხთით დავეცი; იგი ჩემკენ დაიხარა, ხელი გამომინოდა და იმწამსვე, სარკეების წყალობით, რომლებმაც ეს სურათი ყველა მხრიდან აირეკლეს, ჩვენი კუნძული ბედნიერი შეყვარებული წყვილებით აივსო.



ამ ხატებამ სურვილი შემომიგზნო.

– ნუთუ, – წამოვიძახე მე, – ჩემს თავს გვირგვინის გარეშე დატოვებთ? და ტახტთან ასეთი სიახლოვე ჩემთვის შეწყნარებული არ იქნება? შესაძლებელია კი აქ უარი წარმოთქვათ?

– და თქვენს ფიცს რა ვუყოთ? – მიპასუხა მან, წამოდგა.

– როცა ის წარმოვთქვი, უბრალო მოკვდავი ვიყავი, თქვენ კი ღმერთად მაქციეთ: გეთაყვანოთ – აი, ჩემი ერთადერთი ფიცი.

– წავიდეთ, – თქვა მან, – სიბნელემ უნდა დაფაროს ჩემი სისუსტე, წავიდეთ...

ამასობაში მაღამ დე T. გამოქვაბულთან მივიდა. ის იყო, გადავაბიჯეთ მას, რომ უხილავმა ზამბარიანმა მექანიზმმა, ძალზედ მარჯვედ გაკეთებულმა, აგვიტაცა და მაღლა აგვაგდო. ერთად აფრენილები წარწარად დავეშვით რბილ ბალიშებზე. სიბნელე და ღუმელი მეფობდა ამ ახალ ტაძარში. სიტყვები შეცვალა ოხვრებმა. სულ უფრო ნაზები, სულ უფრო ხშირები, სულ უფრო მგზნებარენი – ისინი იყვნენ ჩვენი გრძობების, მათი განუწყვეტელი ზრდის თარჯიმნები და ბოლოს, უკანასკნელი, ოდნავ შეყოვნებული, იმას გვამცნობდა, რომ ჩვენ ხობა უნდა შეგვესხა ამურისათვის. მან თავზე გვირგვინი დამადგა და თითქმის არ მოუცილებია განცხრომისაგან დანამული თვალეები, მითხრა: – შეძლებთ კი ოდესმე ისე გიყვარდეთ გრაფინია, როგორც მე გიყვარვართ?

პასუხს ვაპირებდი, რომ უეცრად მისი ნდობით აღჭურვილი მოსამსახურე აჩქარებით შემოვიდა.

– სასწრაფოდ წადით! – მითხრა მან. – უკვე ინათა, ციხე-დარბაზში ხმაური ისმის.

ყველაფერი ისე სწრაფად გაქრა, როგორც სიზმარი; გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, დერეფანში აღმოვჩნდი. ჩემთვის განკუთვნილ ოთახებში მინდოდა დაბრუნება, მაგრამ როგორ მომეძებნა? ნებისმიერი შეკითხვა ეჭვს აღძრავდა,

ნებისმიერი შეცდომა გამცემდა. ყველაზე უსაფრთხო პარკში წასვლა იყო, კიდევაც წავედი, გადავწყვიტე, იქ მანამ ვყოფილიყავი, სანამ ჩემი გამოჩენა დილის სეირნობიდან დაბრუნებად არ აღიქმებოდა.

სუფთა ჰაერმა და მდინარის სიგრილემ ცოტათი დააწყნარა ჩემი წარმოსახვა და ჯადოსნური ხილვები განდევნა იქიდან. მოჯადოებული ბუნების ნაცვლად ნამდვილი ბუნება დავინახე. ვგრძობდი, როგორ ბრუნდებოდა სულში სიმართლე, აზრები წესრიგდებოდა და მწყობრად მოსდევდა ერთიმეორეს; ძლივს მთელი მკერდით ვსუნთქავდი. და უცებ, პირველად ვკითხე თავს, ვითვლები კი იმის საყვარლად, ვისაც ეს-ესაა დავცილდი და გაკვირვებულმა ვაღიარე, რომ არ ვიცოდი. შემეძლო კი ჯერაც გუშინ, ოპერაში, მევარაუდა, რომ ამგვარ კითხვებს დავუსვამდი თავს? მე, ღრმად დარწმუნებული, რომ მას უკვე ორი წელია ვნებიანად უყვარს მარკიზი დე... თავს კი გრაფინიაზე იმგვარად შეყვარებულად ვთვლიდი, რომ ლალატზე ფიქრიც კი შეუძლებელი მეჩვენებოდა! როგორ? ნუთუ მხოლოდ გუშინ?! ნუთუ მაღამ დე T... შეიძლება ეს იყოს... მარკიზთან კავშირის განწყვეტა? და გადაწყვიტა, მე მაქციოს მის მემკვიდრედ? ან იქნებ, უბრალოდ, მისი დასჯა მოეპრიანა? როგორი თავგადასავალია! როგორი ღამე! თუ ისევ მძინავს? ვეჭვობდი, დაჯერება მიჭირდა, დავიჯერე, მტკიცებულებები მოვძებნე, შემდეგ ისევ არ ვიცოდი, რა მეფიქრა. გამოცანის ამოხსნის ძიებაში ჩანთქმულს სავსებით ახლოს ნაბიჯების ხმა მომესმა: თავი ავნიე, თვალეები ამოვისრისე, თვალს არ დავუჯერე... ეს იყო... როგორ გგონიათ?... მარკიზი.

– ასე ადრინად არ მელოდი, არა? აბა, როგორ ჩაიარა ყველაფერმა?

– ესე იგი, იცოდი, რომ მე აქ ვარ? – ვკითხე.

– რასაკვირველია! გუშინ შემატყობინეს ამის თაობაზე, თქვენი გამგზავრების წინ. კარგად ითამაშე შენი როლი? საკმა-



რისად სასაცილო იყავი ქმრის თვალში? როდის გაგამგზავრებენ შინ? მე უკვე ყველაფერზე ვიზრუნე – სამსახური სამსახურის წილ, – მშვენიერი კარეტა გიშოვე, შენ გელოდებო. მაღამ დე T.-ს სჭირდებოდა კავალერი, რომელიც მას გზაში გაართობდა, – აი, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი, რაც მოგეთხოვებოდა. შენ ეს გააკეთე. ჩემი მადლიერება კი...

– ო, დამეხსენი, თუ ღმერთი გნამს, ყოველთვის მზად ვარ, ვემსახურო ქალბატონს... ამასთან მაღამ დე T. დამემომეზება, რომ ჩემი გულმოდგინება ყოველგვარ მადლიერებაზე ჭეშმარიტად მაღალი იყო.

მან გუშინდელი საიდუმლოს გასაღები მომცა და დამეხმარა, გამეგო ყველაფერი, რაც მოხდა, მე წამიერად შევედი როლში და ჟანრის კანონებით ვუპასუხე.

– დილაუთენია მოსვლა რა საჭირო იყო? – ვთქვი მე. – ჩემი აზრით, უსაფრთხო იქნებოდა...

– ყველაფერი მოფიქრებულია! მე აქ შემთხვევით აღმოვჩნდი: მეზობელი ადგილებიდან ვბრუნდებოდი, ნუთუ მაღამ დე T.-მ ჩვენი გეგმა არ გაგანდო? უკმაყოფილო ვარ მისით ასეთი უნდობლობისთვის იმ ყველაფრის შემდეგ, რაც შენ ჩვენთვის გააკეთე.

– უეჭველია, მას ჰქონდა ამის მიზეზები! და შესაძლოა, ვერც მეთამაშა ისე ბუნებრივად, თუკი წინასწარ მეცოდინებოდა ყველაფერი.

– ო, მეგობარო, სასაცილო იყო? რიგიანად მომიყვები ყველაფერი... აბა, მიდი, მომიყვები რაღა!

– აჰ!.. დამაცადე. აკი მე არ ვიცოდი, რომ ეს სპექტაკლია და მაინც – მე მასში არცთუ უკანასკნელი როლი შევასრულე...

– როლი, პირდაპირ რომ ვთქვათ, დაუნახავი.

– კარგი ერთი, კარგი მსახიობისთვის ცუდი როლები არ არსებობს.

– სხვაგვარად რომ ვთქვათ, კარგად გაართვი თავი?

– უკეთესად შეუძლებელია.

– და მაღამ დე T.?

– ის შეუდარებელი იყო. ყოველმხრივ.

– წარმოგიდგენია, რას ნიშნავს, მონაწილე უნაყოფო ასეთი ქალი? მე ეს დიდ ჯაფად დამიჯდა, სამაგიეროდ, ისე გამოვზარდე, რომ ახლა, გეთაყვა, მთელს პარიზში არ მოიძებნება მდებარეობითი სქესის პიროვნება, რომლის ერთგულებაც ნაკლები მღელვარების საფუძველს იძლეოდა.

– ყოჩაღ!

– ამის ნიჭი მაქვს, მისი ყველა ცვალებადობა ფუქსავატობიდან, ჭარბი ფანტაზიიდან მოდიოდა. მისი სულის დაპყრობა იყო საჭირო.

– ეს ყველაზე საიმედო საშუალებაა.

– ასეა, არა? ვერც წარმოიდგენ, როგორაა ჩემზე მონდობილი. ის ნამდვილად მომაჯადოებელია, ვფიქრობ, დამეთანხმები. ჩვენ შორის დარჩეს, ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ: საქმე ის არის, რომ ბუნებამ, რომელმაც ყველაფრით დააჯილდოვა, ის ღვთაებრივი ცეცხლი არ უბოდა, რომლითაც ყველა სრულქმნილებას აგვირგვინებს. ეს ქალი ყველა სურვილს აღძრავს, ყველაფრის განცდის ნებას გრთავს, მაგრამ თვითონ ვერაფერს განიცდის. მარმარილოს ქანდაკება!

– იძულებული ვარ, გერწმუნო, ვინაიდან თავად მე... მაგრამ შენ ისე კარგად იცნობ და ისე ლაპარაკობ მასზე, თითქოს მისი ქმარი ხარ. მერწმუნე, გუშინ რომ მაგიდასთან გვერდით არ ვმჯდარიყავი, ნამდვილი...

– კარგად მიგილო?

– ო, ის ქმარია თხემით ტერფამდე.

– აი და თავგადასავალი! მაგრამ შენ რატომღაც ცოტას იცინი. თუ ვერ გრძნობ შენი როლის მთელ კომიკურობას? დამეთანხმე, რომ თეატრის ცხოვრებაში ზოგჯერ უცნაური ამბები ხდება. იქ შესაქცევი სცენები თამაშდება. ციხე-დარბაზში წავიდეთ, ერთი სული მაქვს, მაღამ დე T.-სთან ერთად ვიცინო. მან, ალბათ, უკვე გაიღვიძა. გავაფრთხილე, რომ ადრე მოვიდოდი, ზრდილობისათვის, ჯერ ქმა-



რი უნდა ვინახულო. მოდი, ჯერ შენთან წავიდეთ, გაპუდვრა მინდა. მაშ, შენ ნამდვილად საყვარლად მიგიღეს?

– ჩემი წარმატება შეგიძლია იმის მიხედვით განსაჯო, როგორ მიმიღებს მადამ დე T. უკვე ცხრა საათია, პირდაპირ მასთან წავიდეთ.

გასაგები მიზეზების გამო, არ მინდოდა მისი წაყვანა ჩემს საძინებლებში. გზაზე მათ მაინც წავაწყდით შემთხვევით: კარი ღია აღმოჩნდა და სავარძელში მშვიდად მძინარე ჩემი მსახური დავინახეთ; მის გვერდით სანთელი ბოლომდე ჩამწვარიყო. ჩვენი ნაბიჯების ხმაზე წამოხტა და ნამძინარეზე ჩემი ხალათი მარკიზს მიანოდა, თან უსაყვედურა, რომ ასეთ დროს ბრუნდება. თითქოს ნემსებზე ვიჯექი, მაგრამ მარკიზი იმდენად იყო განწყობილი, მოტყუებულიყო, ამ შესტმი მხოლოდ ძილისგუდას სასაცილო დაბნეულობა დაინახა. დაბნეულ მსახურს ვუბრძანე, გამგზავრებისათვის მომზადებულიყო და ჩვენ სახლის პატრონის საძინებლისკენ გავემართეთ. იოლი მისახვედრია, ვინ აღმოჩნდა სასურველი სტუმარი ჩვენთაგან: ცხადია, მე არა და ეს ბუნებრივი იყო. ჩემს მეგობარს დაჟინებით სთხოვეს ციხე-დარბაზში დარჩენა. დიასახლისთან სურდათ მიეყვანათ იმ იმედით, რომ ქალბატონი შეძლებდა მის დაყოლიებას. მე კი, როგორც ითქვა, ამგვარ შემოთავაზებას ვერ გამიბედავენ, ვინაიდან, ისე ლოყებჩაცვივნიული გამოვიყურები, ჩემს ჯანმრთელობაზე ადგილობრივი ჰაერის დამღუპველ ზემოქმედებაში დაეჭვება შეუძლებელია. მარკიზმა შემომთავაზა, მესარგებლა მისი კარეტი, დავთანხმდი. ყველაფერი წყალივით მიდიოდა და ყველა კმაყოფილი იყო. მაინც ვისურვე გამგზავრების წინ მადამ დე T.-ს მონახულება: ამ სიამოვნებაზე უარის თქმა არ შემიძლო. ჩემი მისწრაფება გაიზიარა მარკიზმაც, საგონებელში ჩავარდნილმა, მაგრამ ერთობ შორს მყოფმა სწორი ვარაუდისგან თუ რატომ სძინავს მადამ დე T.-ს ასე დიდხანს.

ქმართან დაცილების შემდეგ მარკიზმა მითხრა:

– განა მომხიბლავი არაა? მას კიდევ რომ სცოდნოდა წინასწარ თავისი როლი, უკეთესად მაინც ვერ შეასრულებდა! შინაგანად კეთილშობილი ადამიანია და ყველაფრის ჯეროვნად აწონ-დაწონის შემდეგ გადაწყვიტე, რომ მათი შერიგება ყველას ხეირს დააყრის. ეს იქნება ბრწყინვალე სახლი და შენ უნდა აღიარო, რომ არ არსებობს სხვა ქალი, რომელსაც ასე შეეძლოს საუკეთესო მხრიდან უჩვენოს იგი სტუმრებს.

არავინ იყო ამაზე ჩემსავით თანახმა.

– მაგრამ, როგორი სასაცილოც უნდა იყოს მთელი ეს ამბავი, გთხოვ, სიტყვა არავისთან დაგცდეს. ახლა ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, მადამ დე T.-ს იმაში დარწმუნება მომიწევს, რომ მისი საიდუმლო საიმედო ხელშია.

– ნუ ლელავ, მას ამაში ეჭვი არ ეპარება და ამის თავდები მისი ტკბილი ძილია.

– ო, დიახ, დამავინყდა, რომ ტოლი არ გყავს ქალების დაძინების ხელოვნებაში.

– არა მარტო ქალების, არამედ მათი ქმრებისაც, ჩემო კარგო, ხანდახან კი საყვარლებისაც.

დაბოლოს, გვაცნობეს, რომ მადამ დე T. მზად იყო ჩვენს მისაღებად და შევედით.

– ქალბატონო, თქვენთან მობრძანდა თქვენი ორი უახლოესი მეგობარი, – გამოაცხადა ხუმარამ შესვლისას.

– მე ისე ვშიშობდი, რომ თქვენ უკვე გაემგზავრეთ, – მომმართა მადამ დე T.-მ, – გმადლობთ, რომ მიხვდით, ეს როგორ მეწყინებოდა.

ის დაჟინებით გვიყურებდა, მზერა ერთი ჩვენგანიდან მეორეზე გადაჰქონდა, მაგრამ მალე დაამშვიდა მარკიზის უდარდებლობამ, რომლითაც იგი ჩემს გაკენწვლას განაგრძობდა. მადამ დე T. მის ენამახვილობაზე ჩემთან ერთად იცინოდა, მაგრამ ზომიერად, რათა ვენუგეშები და ჩემს თვალში არ დამცირებულიყო. იგი მარკიზს ნაზად ესაუბრებოდა, მე

კი თავაზიანად და ღირსეულად, ცოტა გაიხუმრა და დასერიოზულდა.

– ქალბატონო, – თქვა მარკიზმა, – ჩვენმა მეგობარმა ისევე ბრწყინვალედ დაასრულა თავისი როლი, როგორაც დაიწყო.

მან ღიმილის გარეშე უპასუხა:

– დარწმუნებული ვიყავი ამაში, როგორც ნებისმიერი როლის წარმატებაში, რომელიც კი შეიძლება მას მინდობოდა.

მარკიზმა ქმართან ჩვენი ვიზიტის თაობაზე უამბო. მაღამ დე T.-მ შემომხედა, შემაქო და არ გაუცინია.

– რაც მე შემეხება, – არ ცხრებოდა მარკიზი, – უბრალოდ, აღფრთოვანებული ვარ: მე და თქვენ, ქალბატონო, ნამდვილი მეგობარი შევიძინეთ, გიმეორებთ, ჩვენი მაღლიერება...

– საკმარისია, ბატონო, – შეაწყვეტინა მაღამ დე T.-მ, – ამას თავი დავანებოთ, მერწმუნეთ, კარგად ვიცი, რაოდენ დავალებული ვართ მისგან.

დაუმატეთ მუსიე დე T. და პიესის ყველა პერსონაჟი ერთად შეიყრება. მუსიე დე T. მე დამცინოდა და ჩემ სწრაფად გაძევებას ცდილობდა; ჩემი მეგობარი მას ასულელებდა და მე მაჯავრებდა; მე


იმავეთი ვუხდიდი და აღტაცებული ვიყავი მაღამ დე T.-თი, რომელიც, ღირსებას წამითაც არ კარგავდა, ახერხებდა, ყველანი მოვეტყუებინეთ.

ერთხანს ვტკბებოდი ამ სცენით, სანამ არ ვიგრძენი, რომ გამოთხოვების მომენტი დადგა. გამოვედი. მაღამ დე T., რალაც დავალების საბაბით, რომელიც თითქოს ჩემთვის უნდა მოეცა, უკან მომეყვა.

– მშვიდობით, თქვენ წარმტაცვი წუთები მაჩუქეთ, მაგრამ მე მომხიბლავი ზმანებით დაგაჯილდოვეთ. ახლა კი თქვენ გიხმობთ თქვენი სიყვარული; ჩემი მეგობარი მისი ღირსია. მე მას წავართვი თქვენი რამდენიმე ალტყინება, მაგრამ, სამაგიეროდ, ვუბრუნებ თქვენს თავს უფრო მეტად ფაქიზს, უფრო მეტად დახვეწილს, უფრო მეტად მგრძნობიარეს. მშვიდობით, კიდევ ერთხელ! თქვენ მომხიბლავი ხართ. ეცადეთ, გრაფინიას არ წამკიდოთ.

მან ხელი ჩამომართვა და ჩვენ ერთმანეთს დაეშორდით.

ჩემს მომლოდინე კარეტაში ჩავჯექი. ვცდილობდი, ამ თავგადასავლის მორალი მეპოვა, მაგრამ... ვერ ვიპოვე.



## მინან ქენდეხა

### აუჩქარებლობა

#### I.

გადანწყვიტეთ, ის სალამო და ლამეც რომელიმე ციხე-დარბაზში გაგვეტარებინა. საფრანგეთში მრავალი მათგანი სასტუმროდ იქცა: უსახურ სივრცეებში მიკარგული და ყველასგან მივიწყებული სიმწვანის ნაგლეჯები. პანანკინტელა ხეივნები, ხეები და ფრინველები გზას გიბნევენ ავტოსტრადების თვალუწვდენელ ქსელში. საჭესთან ვზივარ და სარკეში იმ მანქანას ვუთვალთვალე, კუდში რომ მოგვდევს. მარცხნივ სინათლე ციმციმებს, მძღოლს მოუთმენლობისაგან ლამის ყელში ამოსდის სული და მარჯვე შემთხვევასლა უცდის, გადამისწროს. და ამ წამს, როგორც ქორი ბელურას, ისე ჩასაფრებია.

ჩემი ცოლი, ვერა ამბობს: „ყოველ ორმოცდაათ წუთში საფრანგეთის ავტოსტრადებზე ვიღაც იღუპება. ერთი, ამ ჩერჩეტებს დააკვირდი, ჩვენს ირგვლივ რომ მიდი-მოდინან, განა იგივე ხალხი ძალიან ფხიზლად არ არის, როცა მათ თვალწინ ბნელ შესახვევში მოხუცებულს ძარცვავენ, საჭესთან რად აღარ ემინიათ?“

რა შეიძლება ვუპასუხო? ეს ხომ არა: ადამიანს, რომელმაც მოტოციკლი დაძრა, კონცენტრირება თავისი მარულის მხოლოდ მომდევნო წამს შეუძლია. ის დროის იმ ნაკუნს ებლაუჭება, რომელიც

ერთნაირად მონყვეტილია წარსულისა და მომავლისაგან, ამოგლეჯილია დროის უწყვეტობისაგან, მის მიღმაა. მან არაფერი იცის თავის ასაკზე და არც თავის ცოლ-შვილზე, მზრუნველობაზე. აქედან გამომდინარე, არც არაფრის ეშინია, რადგანაც შიშის სათავე მომავალში დევს, ის კი გათავისუფლებულია მომავლისაგან.

სიჩქარე ტექნიკური რევოლუციის მიერ ადამიანისათვის ნაჩუქარი ექსტაზის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. მოტოციკლისაგან განსხვავებით, მორბენალი ვერასოდეს შეძლებს საკუთარი სხეულისგან მონყვეტას. უნდა თუ არა, თავის კოჟრებზე და ქოშინზე მოუწევს ფიქრი. სირბილისას გრძნობს წონას, ასაკს, განსაკუთრებული სიმწვავით შეიგრძნობს საკუთარ თავსა და ცხოვრებას. ყველაფერი იცვლება, როცა ადამიანი სიჩქარის ფაქტორს მანქანას გადააბარებს. მისი სხეული წამსვე გამოდის თამაშიდან და ის მთლიანად ეძლევა უსხეულო, არამატერიალურ, სუფთა სიჩქარეს, ეგრეთ წოდებულ ექსტაზის სიჩქარეს.

ტექნიკის ცივი უპიროვნობის უცნაური შერწყმა ექსტაზის ცეცხლთან. მაგონდება, ამერიკელი ქალი, ოცდაათი წლის წინათ მკაცრი და აღფრთოვანებული გამომეტყველებით – არც მეტი, არც ნაკლები, იგი აპარატის მუშაკი იყო

ეროტიკის ნაწილში – გვიკითხავდა გაყინულ თეორიულ ლექციას სექსუალურ თავისუფლებაზე. ყველაზე ხშირი სიტყვა მის ლექსიკონში „ორგაზმი“ იყო. მან იგი ორმოცდასამჯერ გაიმეორა. დათვლა არ დამზარებია.

ორგაზმის კულტი: პურიტანული უტილიტარობა, რომელმაც სქესობრივ ცხოვრებაშიც შეჟონა; გარჯილობა განცხრომის ნაცვლად, სქესობრივი აქტის დაყვანა წინააღმდეგობაზე, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადაილახოს ექსტაზური აფეთქების – სიყვარულისა და მთელი სამყაროს ერთადერთი მიზნის მისაღწევად.

რატომ გაქრა აუჩქარებლობის სიამე? სად არიან ახლა ისინი, წარსული დროის უქმადმოხეტიალენი? სად არიან ხალხური სიმღერების ეს ზარმაცი გმირები, ეს მანანალები, წისქვილიდან წისქვილამდე მოყილენი, ღამეებს რომ ღია ცის ქვეშ ათენებდნენ? ნუთუ მინდვრებთან, მდელოებთან, სათიბებთან, ე. ი. ბუნებასთან ერთად გაუჩინარდნენ? ჩეხური ანდაზა მათ საამურ მოცალეობას ასეთი მეტაფორით გამოხატავს: ისინი უფლის ფანჯარას შესცქეროდნენ, ხოლო, ვინც მათ შეაცქერდა, არასოდეს მოიწყენს: ის ბედნიერია. ჩვენს დროში დარდიმანდობა უსაქმურობამ შეცვალა, რაც სულ სხვა რამაა. უსაქმური დათრგუნვილია და განამებული მოძრაობის მუდმივი ძიებით. მოწყენილობისაგან არ იცის, რა ქნას.

სარკეში ვიყურები: იგივე მანქანა, რომელმაც ტრანსპორტის შემხვედრი ნაკადის გამო, ჩემი გადასწრება ვერა და ვერ მოახერხა. მძღოლს გვერდით ქალი უზის. რად არ შეიქცევს მას ლაყბობით ანდა მუხლზე ხელს არ დაადებს? ამის მაგივრად მე მწყევლის, რადგანაც, მისი აზრით, კუსავით მივ-

ლოდავ. ქალი მით უფრო არ ფიქრობს, მამაკაცის მხარს გადაუსვას ხელი, ფიქრში მასთან ერთად მართავს მანქანას და ისიც უკანასკნელი სიტყვებით მთათხავს.

აქვე მახსენდება სრულიად სხვა მგზავრობა პარიზიდან გარეუბნის ციხედარბაზისაკენ. ამ თითქმის ორასი წლის წინანდელი მგზავრობის მონაწილენი ქალბატონი დე T. და მისი ახალგაზრდა კავალერი იყვნენ. ისინი პირველად აღმოჩნდნენ ასე ახლოს ერთმანეთთან და მგრძნობელობის ის ენით აღუწერელი ატმოსფერო, მათ რომ გარემოცავდათ, სწორედ რომ მგზავრობის აუჩქარებლობით დაიბადა. კარეტის მოძრაობის ტაქტზე რომ ირხეოდნენ, მათი სხეულები ერთმანეთს ეხებოდა თავიდან უნებურად, შემდეგ კი განზრახ. ასე დაიწყო მათი დაახლოების ამბავი.

2.

აი, რას მოგვითხრობს მათზე ვივან დენონის ნოველა: მავანი ოცი წლის აზნაური ერთ საღამოს თეატრში აღმოჩნდა (არც სახელია ნახსენები, არც ტიტული, მაგრამ მე იგი აზნაურად წარმომიდგენია). გვერდით ლოჟაში ხედავს ქალს (ნოველა მისი გვარის მხოლოდ პირველ ასოს ასახელებს: მადამ დე T.); ის ახალგაზრდა აზნაურის საყვარლის – გრაფი-



ნიას მეგობარია. ქალბატონი სპექტაკლის შემდეგ მას გაცილებას სთხოვს. მაღამ დე T.-ის გაბედული საქციელით ახალგაზრდა კავალრის გაკვირვებას იმ გარემოებით დაბნეულობაც ემატება, რომ ის იცნობს ქალბატონის ფავორიტს, ვინმე მარკიზს (რომლის სახელსაც ასევე ვერ გავიგებთ, ჩვენ საიდუმლოებათა სამყაროში ჩავყვინთეთ, სადაც სახელები უადგილოა), მოულოდნელად, ისე, რომ ვერ გაუგია, რა ხდება, ყმანვილი კაცი კარეტაში თვალწარმტაცი ქალის გვერდით აღმოჩნდება.

ამ ლამაზი და სასიამოვნო მგზავრობის ბოლოს ეკიპაჟი ციხე-დარბაზის შესასვლელთან ჩერდება, სადაც მათ ქალბატონი დე T.-ის პირქუში მიუღწეველებათ. სამივენი ერთად ვახშობენ მდუმარე და ავის მომასწავებელ ვითარებაში. შემდეგ ქმარი მოიბოდიშებს და მათ მართო ტოვებს.

ამ მომენტიდან იწყება ღამე, რომელიც, ტრიპტიქის მსგავსად, სამი ეტაპისაგან შედგება: თავიდან ისინი პარკში სეირნობენ, შემდეგ ერთ-ერთ პავილიონში სასიყვარულო განცხრომას ეძლევიან და ბოლოს, იმავე საქმიანობას ციხე-დარბაზის სიმყუდროვეში აგრძელებენ.

დილაადრიან იყრებიან. კორიდორთა ლაბირინთებში თავისი საძინებლის ამჟამად ძებნის შემდგომ ახალგაზრდა აზნაური პარკში ბრუნდება, სადაც, მისდა გასაოცრად, მარკიზს ხვდება. სწორედ მას, ვინც ქალბატონი დე T.-ის საყვარლად მიაჩნიათ. ციხე-დარბაზში ეს-ეს არის მისული მარკიზი გულითადად ესალმება და საიდუმლო მოწვევის მიზეზს უხსნის: ქალბატონმა დე T.-მ იგი შირმად გამოიყენა, რათა მარკიზი თავისი ქმრის ეჭვიანობისგან გადაერჩინა. ჩანაფიქრის ხორცშესხმით გახარებული მარკიზი სასაცილოდ იგდება ახალგაზრდა კაცს, რომელიც აიძულეს, ფსევდოსაყვარლის კომიკური როლი ეთამაშა. ის კი, სიყვარულის ღამით დაქანცული, პარიზში მარკიზის ეტლით ბრუნდება.

ეს ნოველა სათაურით „არც ხვალ, არც შემდეგ“ პირველად 1777 წელს გამოქვეყნდა. ავტორის გვარი (ჩვენ საიდუმლოებათა სამყაროში ვიმყოფებით) ხუთი გამოუცნობი საწყისი ასოთი შეცვალეს მ. დ. მ. ს. კ. რომელიც, სურვილისამებრ, შეიძლება ასე წავიკითხოთ: „მურიე დენონი, მეფის სასახლის კავალერი“. შემდეგ, იმავე 1777 წელს, პანანინა ტირაჟითა და სრულიად საიდუმლოდ, ხელახლა გამოიცა, ერთი წლის შემდგომ კი სხვა მწერლის სახელით დაისტამბა. 1802 და 1812 წლების გამოცემებშიც არ ჩანს ნამდვილი ავტორის გვარი. ბოლოს, ნახევარსაუკუნოვანი მივიწყების შემდეგ, 1866 წელს ნოველამ კვლავ იხილა დღის სინათლე. ამ დროიდან მოყოლებული მას ვივან დენონს მიაწერენ. ჩვენი საუკუნის მდინარებაში იგი სულ უფრო მზარდი ინტერესით სარგებლობს. დღესდღეობით ვივან დენონის ნოველა ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის ირიცხება, რომლებიც ყველაზე ნათლად ასახავენ XVIII საუკუნის სულსა და ხელოვნებას.

### 3.

საყოველღეო ენაზე „ჰედონიზმი“ მანკიერი ცხოვრებისადმი ამორალურ მიდრეკილებას გულისხმობს. ეს, რა თქმა უნდა, მცდარია. ეპიკურე – ტკობის პირველი უდიდესი თეორეტიკოსი, ბედნიერ ცხოვრებას უკიდურესი სკეპტიციზმით უყურებდა. ტკობას განიცდის ის, ვინც არ იტანჯება. შესაძლოა, ტანჯვა იყოს ძირეული, რომელიც ჰედონიზმის არსის გაგებაში წაგვადგება; ჩვენ ბედნიერნი ვართ იმდენად, რამდენადაც შევძლებთ ტანჯვისაგან თავის დაღწევას და, რადგანაც განცხრომას, როგორც წესი, სიყვარულზე მეტი მწუხარება მოაქვს, ეპიკურე კეთილგონიერი, თავდაჭერილი სიამოვნების მომხრეა. ეპიკურესეულ სიბრძნეს მელანქოლიური ელფერი დაჰკრავს: ამქვეყნიური უბედურებებით განამებული ადამიანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ერთადერთ აშკარა და ნამდვილ ღირებულებად ტკობა



გვევლინება, როგორი პანანაც უნდა იყოს ის, რისი შეგრძნებაც შეგვიძლია: გრილი წყლის ქავლი, ფანჯრისაკენ მიპყრობილი მზერა (ღვთის ფანჯრისაკენ), ალერსი.

თავდაჭერილია თუ თავაშვებული, სიამოვნებანი მხოლოდ მას ეკუთვნის, ვინც მას განიცდის. რომელიმე ფილოსოფოსს, მკაცრად რომ ვთქვათ, შეეძლო, ჰედონიზმისათვის მისი ეგოისტური საფუძველი ესაყვედურებინა. თუმცა, ამ მოსაზრებით, ჰედონიზმის აქილევსის ქუსლი ეგოიზმში კი არა, მის უიმედოდ უტოპისტურ ხასიათშია (მოხარული ვიქნები, თუკი ვცდები!). სინამდვილეში, მე ძლიერ ვარ დაეჭვებული ჰედონისტური იდეალის მიღწევის შესაძლებლობაში. ვშიშობ, რომ მისგან რეკომენდებული ცხოვრება შეუთავსებელია ადამიანურ ბუნებასთან.

XVIII საუკუნის ხელოვნებამ ტკობა მორალური აკრძალვების ბურუსიდან გამოიყვანა. მან დაბადა თავისუფალი აზროვნების ატმოსფერო, რომელიც მეფობს ფრაგონარისა და ვატოს ტილოებზე, დე სადის, კრებიონ-უმცროსის ან კიდევ დიუკლოს ნაწერებში. აი, რატომ აღმერთებს ჩემი ახალგაზრდა მეგობარი ვენსანი ამ საუკუნეს, აი, რატომ მიიმარებდა იგი, მისი ნება რომ იყოს, პიჯაკის ლაცკანზე მარკიზ დე სადის პროფილს. სავსებით ვიზიარებ მის აღფრთოვანებას, იმ მოსაზრების დამატებით (გაგების ყოველგვარი იმედის გარეშე), რომ ამ ხელოვნების ჭეშმარიტი სიდიადე ჰედონიზმის პროპაგანდაში კი არა, მის ანალიზში მდგომარეობს: სწორედ ამიტომ მივიჩნევ შოდერლო დე ლაკლოს რომანს „სახიფათო კავშირები“ ყველა დროის უდიდეს რომანად.

მისი პერსონაჟები განცხრომის, ტკობის ძიებაში არიან. მკითხველისათვის თანდათან ხდება გასაგები, რომ მათ აინტერესებთ არა იმდენად ტკობა, რამდენადაც მისი ძიება. მთავარ როლს თამაშობს არა განცხრომისადმი ჟინი, არამედ გამარჯვებისაკენ სწრაფვის სურვილი. ის, რაც თავიდან მხიარულ და უსირ-

ცხვილო თამაშად წარმოგვიდგება, შეუმჩნევლად და უცილობლად გადაიზრდება სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მაგრამ ბრძოლას რა საერთო აქვს ჰედონიზმთან? გავიხსენოთ, რას წერს ეპიკურე: „ბრძენი არასოდეს მიისწრაფვის იმისკენ, რაც ბრძოლას უკავშირდება“.

„სახიფათო კავშირების“ ეპისტოლარული ფორმა არ არის უბრალო ტექნიკური ხერხი, რომლის სხვა ნებისმიერით შეცვლა შეიძლება, ეს ფორმა თავისთავად მჭევრმეტყველურია. მისი არსია ის, რომ პერსონაჟების მიერ განცდილი იქცევა მოთხრობად, შეტყობინებად, აღსარებად, ჩანაწერად. მსგავს სამყაროში, სადაც ყველაფერი მოითხრობა, გამომჟღავნება, გამოაშკარავება იქცევა ყველაზე მისანვდომ და მომაკვდინებელ იარაღად. ვალმონი, რომანის გმირი, მის მიერ შეცდენილ ქალს წერილით მათი ურთიერთობის შეწყვეტის გადანყვეტილებას ამცნობს. წერილი ქალისათვის საშინელი დარტყმა აღმოჩნდება. მდგომარეობის მთელი პიკანტურობა იმაშია, რომ ეს უსტარი თავიდან ბოლომდე ვალმონის მეგობარი ქალის, მარკიზა დე მერტის ნაკარნახევია. ოდნავ მოგვიანებით იგივე მარკიზა ვალმონის კონფიდენციალურ წერილს უჩვენებს მის მონინაალმდეგეს, რაც ვალმონის დუელში გამოწვევით და მისი დალუპვით მთავრდება. ვალმონის სიკვდილის შემდეგ, მასსა და მარკიზა დე მერტის შორის ინტიმური მიმონერა სახალხოდ გახმაურდება. მარკიზა თავის სიცოცხლეს მაღალი საზოგადოებიდან გაძევებული, ზიზლით გარემოსილი და სვეგამწარებული ამთავრებს.

რომანში არაფერი რჩება საიდუმლო, მხოლოდ ორ ადამიანთან დაკავშირებული. მთელი სამყარო გამომწყვდეულია უზარმაზარ, ბუბუნა ნიჟარაში, სადაც თითოეული სიტყვა უფრო და უფრო ძალუმად ჟღერს, აურაცხელი და უსასრულო ექოებით ატაცებული. როცა პატარა ვიყავი, მეუბნებოდნენ, რომ ყურთან მიტანილი ნიჟარიდან შესაძლებელია ზღვის

ოდინდელი, უხსოვარი ჩურჩულის მოსმენა. ასევე თითოეული სიტყვაც, ყრუდ დაგმანულ სამყაროში წარმოთქმული – საუკუნოდ ხმიანი რჩება. და ყველაფერი ეს – XVIII საუკუნე? და ყველაფერი ეს – ტკობის პარადიგმა? ან, იქნებ, ადამიანი ისე, რომ თავად არ უწყის ამის შესახებ, უხსოვარი დროიდანვე ასეთ ხმოვან ნიჟარაში ცხოვრობს? ყოველ შემთხვევაში, ბუბუნა ნიჟარას არაფერი საერთო არა აქვს ეპიკურესთან, რომელიც თავის მონაფეებს უბრძანებს: „იცხოვრე საიდუმლოებებში!“

## 4.

დამხვედური თავაზიანია, მეტიმეტადაც კი. იმაზე მეტად, რაც ოტელეებში სტუმრების ჩვეული მიღებისას არის აუცილებელი. იმის გახსენებაზე, რომ ჩვენ უკვე ვიყავით აქ ორი წლის წინათ, გვაფრთხილებს – მას შემდეგ აქ ბევრი რამ შეიცვალა. საკონფერენციო დარბაზი ყოველგვარი ლექცია-სემინარებისთვის გამოიყენეს, გააკეთეს აუზი, რომლის ნახვის სურვილითაც ჩვენ გადავკვეთეთ ნათელი ჰოლი პარკში გამავალი ფანჯრებით. ჰოლის სიღრმეში ფართო კიბე მინის ჭერიან კვადრატულ აუზში ეშვებოდა.

„მაშინ ამ ადგილას ვარდების პატარა ბაღი იყო“, – გამახსენა ვერამ.

დაბინავების შემდეგ ბაღში გავედით. მწვანე საფეხურები ქვევით, სენისკენ ეშვებოდა. მომწუხრელი სანახაობა იყო. ჩვენ ხანგრძლივი სეირნობისთვის გავემზადეთ, მაგრამ რამდენიმე წუთში წავანყდით გზატკეცილს, რომელზედაც მანქანები ირეოდნენ და უკან დაბრუნება მოგვიხდა.

სადილი დახვეწილი აღმოჩნდა. სტუმრები ისე შემოსილიყვნენ, თითქოსდა კუთვნილის მიზღვა სურდათ გარდასული დროისთვის, რომლის ხსოვნაც მკრთალად ციალებდა დარბაზის ჭერქვეშ. ჩვენს გვერდით ცოლ-ქმარი მოეწყო ორ ბავშვთან ერთად. ერთი მათგანი ხმამაღლა რაღაცას გაუჩერებლად მღეროდა.


მიმტანი სინით ხელში დაიხარა მათ მაგიდასთან. დედილომ ისეთი მზერა მიაპყრო, თითქოსდა საკუთარი ნაშიერების საქებრად მოუწოდებდა; ყურადღებით გულმოცემული ბავშვი სკამზე აფორთხდა და ბულბულივით გადმოიღვარა. მამას ბედნიერმა ღიმილმა გაუბადრა სახე.

საუცხოო ბორდოს ღვინოები, იხვი, დესერტი, რომელიც ადგილობრივი სამზარეულოს საიდუმლოს შეადგენდა – ყველაფერი ეს, მაძღრებსა და კმაყოფილებს, უზრუნველი დროსტარებისთვის განგვანყობდა. შემდეგ, ნომერში დაბრუნებისას, წუთით ტელევიზორი ჩავრთე. ეკრანზეც ბავშვები იყვნენ, შავკანიანები და მომაკვდავები. ჩვენი ციხე-დარბაზში ყოფნა იმ დროს დაემთხვა, როცა მთელი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, აფრიკის რომელიღაც ქვეყნის ბავშვებს აჩვენებდნენ, იმ ქვეყნის, რომლის სახელის დავინწყებაც უკვე მოვასწარი (ეს ყველაფერი ორი-სამი წლის წინათ ხდებოდა, როგორ გინდა გონებაში დაიტოვო მთელი ეს ეგზოტიკა!) – სამოქალაქო ომებითა და შიმშილით განამებული ქვეყნის ჩონჩხადქცეულ ბავშვებს, ქანცმიხდილებსა და გამომშრალ-გამოფიტულებს, იმის ძალაც რომ აღარ შესწევდათ, საკუთარ სახეებზე მოსეირნე ბუზებისათვის აექნიათ ხელი.

„ნეტავ, მომაკვდავი მოხუცებულები თუ არიან ამ ქვეყნებში?“ – მეკითხება ვერა.

საქმეც ის გახლავთ, რომ არ არიან. ამ შიმშილის თავისებურება სხვა უწინდელი, უთვალავი შიმშილობისაგან განსხვავებით, რომელიც კი დედამინას ახსოვს, იმაში მდგომარეობს, რომ ის მხოლოდ ბავშვებს ანადგურებს. ჩვენ ერთხელაც კი ვერ დავინახეთ ეკრანზე თუნდაც ერთი დაძაბუნებული მოზრდილი ადამიანი. თუმცა, მიმდინარე მოვლენების ქრონიკას მხოლოდ იმიტომ ვუყურებდით, ამ არნახულ ვითარებაში დავრწმუნებულიყავით.

იქნებ, არც არაფერია უჩვეულო იმაში, რომ დიდები კი არა, ბავშვები აბუნტდნენ უფროსების ულმობელი სისასტიკის წინააღმდეგ და მათთვის დამახასიათებელი უშუალოდ მოაწყვეს ცნობილი კამპანია ლოზუნგით: „დაე, ევროპის ბავშვებმა გამოგიგზავნოთ თუნდაც მცირეოდენი ბრინჯი სომალელ ბავშვებს!“ სომალი! აი ისიც, ეს სიტყვა, დავინყებულები ქვეყნის სახელი! ცნობილი ლოზუნგი დამეხმარა გონებიდან ამოგდებული სახელის გახსენებაში. ეჰ, რა დასანანია, რომ ახლა ყველაფერი ეს ისევ გადაგვაგინცდა! ბავშვებმა ბრინჯით სავსე უთვალავი პაკეტი იყიდეს. მსოფლიო სოლიდარობით ანთებული, ნაშიერთაგან ალორთოვანებული-



მა მშობლებმა დიდძალი ფული შეკრიბეს; საქველმოქმედო ორგანიზაციებმაც გამოიღეს ხელი; სკოლებში მისხლობით შეგროვებული ბრინჯი პორტებში გადაიტანეს, გემებში ჩატვირთეს, ამ უკანასკნელებმა კი კურსი აფრიკისკენ აიღეს. მთელი მსოფლიო ბრინჯის არნახული ეპოპეის მონმე გახდა.

ეკრანი, მომაკვდავი ბავშვების გაქ-

რობისთანავე, ექვსი-რვა წლის გოგუცუნებით აივსო, რომლებიც, უფროსების დარად მორთულ-მოკაზმულნი, ძველი კოკეტების მანერებს განასახიერებდნენ. ისეთი თვალწარმტაცი, გულის ამაჩუყებელი სანახაობა იყო, პირდაპირ მზერას ვერ მოაცილებდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვებმა, გოგონებმა და ბიჭუნებმა, უფროსების ნაბაძვით, ერთმანეთს ტუჩებში დაუნყეს კოცნა; შემდეგ მამაკაცი გამოჩნდა ჩვილი ბავშვით ხელში; სანამ ის გვიხსნიდა, ყველაზე უკეთ როგორ გაგვერეცხა ჩასვრილი ჩვრები, მასთან ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი მინარნარდა და თავისი მეტად მარძნობიარე, გარეთ გამოყოფილი ენა ჩვილბავშვიანი მამაკაცის არაჩვეულებრივად მოსიყვარულე პირში შეარჭო.

„ნავიდეთ, დავიძინოთ“, – თქვა ვერამ და ტელევიზორი გამორთო.

5.

ფრანგმა ბავშვებმა, რომლებმაც თავი არ დაიზოგეს თანატოლი აფრიკელების დასახმარებლად, ჩემში უცვლელად აღადგინეს ინტელექტუალი ბერკის ხსოვნა. მაშინ ის დიდების ზენიტში იყო. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, როცა საქმე დიდებას ეხება, მისი ტრიუმფი მარცხით დაიბადა. გავიხსენოთ: ჩვენი საუკუნის ოთხმოციანი წლების მსოფლიო შიდსის ეპიდემიამ შეძრა. ეპიდემია, რომელიც სასიყვარულო კავშირების მეშვეობით ვრცელდება, თავდაპირ-

ველად, განსაკუთრებული სისასტიკით ჰომოსექსუალთა შორის მძვინვარებდა. აუჯანყდნენ რა ფანატიკოსებს, რომლებიც ამ ეპიდემიაში ღვთის სამართლიან სასჯელს ხედავდნენ და შიდსით დაავადებულებს ჭირიანებივით გაურბოდნენ, მეტ-ნაკლებად ზომიერი ხალხი მათ ძმურად ეპყრობოდა და იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ მათთან კონტაქტის

საშიშროება ყურით მოთრეული იყო. ცხოვრებაში თავისი მრწამსის გასატარებლად ერთხელ დეპუტატმა დიუბერკმა ინტელექტუალ ბერკთან და შიდსით დაავადებულთა კომპანიასთან ერთად სადილის გამართვა გადანიშნა პარიზის ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში, რომელმაც ძალზე მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. სხვებისათვის კეთილი მაგალითის მისაცემად დეპუტატმა დიუბერკმა დესერტზე ფოტორეპორტიორები და კინომანები მიიწვია. ზღურბლზე მათი გამომჩენისთანავე ადგა, ერთ-ერთ შიდსიანთან მივიდა, მაგიდიდან წამოაყენა და გემრიელად აკოცა პირდაპირ ტუჩებში. ამ თამამმა გამოსხდომამ ბერკი საგონებელში ჩააგდო. მაშინვე მოისაზრა, რომ ფოტოზე და კინოფირებზე აღბეჭდილი კოცნით დიუბერკს უკვდავების შანსი ეძლეოდა. ისიც წამოდგა და გამალებით დაიწყო იმის გააზრება, ღირდა თუ არა შიდსიანის ჩალოშვნა. თავიდან უკუაგდო ეს საცდური, რადგანაც სულის სიღრმეში, ბოლომდე არ იყო დარწმუნებული შიდსიანის ლორწოვან გარსთან კონტაქტის უსაფრთხოებაში; შემდეგ ეჭვის დათრგუნვა იმ ვარაუდით გადანიშნა, რომ ასეთი ფოტოსურათის გამო ყოველგვარ რისკზე წასვლა ღირს; ფიქრისა და ყოყმანის მესამე ფაზაში მისი სწრაფვა ზედ შიდსიანის ბაგესთან შეყოვნდა ასეთი იდეით: ავადმყოფის კოცნით ის სრულებით ვერ გაუტოლდება დიუბერკს, პირიქით, მისთვის მზად იქნება მიმდევრის, მიმბაძველის, პაროდისტის როლიც კი, რაც თავისი მოუფიქრებელი, ნაჩქარევი საქციელით დიდებას დამწყებს თუ შემატებს და ის სულელურად მოღიმარი, ასე ბოძივით გახევებული დარჩა. მაგრამ ორჭოფობის ეს რამდენიმე წამიც კი ძვირი დაუჯდა – მასზე დამიზნებული ტელეკამერების წყალობით, სულ მალე მთელი საფრანგეთი უყურებდა მის სახეს, ორჭოფობის სამივე ფაზას და გვერდულად იცინოდა. ბრინჯის პაკეტების შემგროვებელმა ბავშვებმა სულზე მიუსწრეს. მან

თითოეული ჯეროვანი შემთხვევის გამოყენება დაიწყო პუბლიკის გასამტერებლად ღრმავროვანი გამონათქვამებით: „მხოლოდ ბავშვები ცხოვრობენ სიმართლით!“ შემდეგ აფრიკაში გაემგზავრა, სადაც გადაიღეს შავკანიანი, მომაკვდავი გოგონას გვერდით, სახეზე რომ ბუზები ეხვია. ფოტოსურათმა მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, იმ სურათზე მეტადაც კი, რომელზედაც დიუბერკი კოცნის შიდსიანს, რადგან მომაკვდავ ბავშვს მომაკვდავ უფროსზე მეტი ფასი აქვს. ეს უცილობელი ჭეშმარიტება იმ მომენტში გაუსხლტა დიუბერკს. ამის მიუხედავად, თავი დამარცხებულად არ მიაჩნდა და რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდა კიდევ ტელეეკრანებზე, როგორც ეჭვიმუტანელი ქრისტიანი. ბერკის ათეისტობამ შთააგონა მას ტელესტუდიაში სანთლის მიტანა, იარალისა, რომლის წინაშეც ყველაზე მოურჯულებელი უღმერთობიც კი ქედს იდრეკენ. ყურნალისტებს ინტერვიუს რომ აძლევდა, იმ დროს დააძრო ჯიბიდან და აანთო. მზაკვრული სურვილით ატანილი, როგორმე გაეცამტვერებინა ბერკის მზრუნველობა ეგზოტიკურ ქვეყნებზე, სოფლისა და გარეუბნის ფრანგ ბავშვთა ყოფის სიდუხჭირზე ალაპარაკდა და მოუწოდა თანამემამულეებს, სანთლებით ხელში გაეგლოთ პარიზის ქუჩები ბავშვობადაკარგულ პატარებთან სოლიდარობის მიზნით. ამის კვალდაკვალ, დაფარული ღვარძლით, არც მეტი, არც ნაკლები, ბერკს მოუწოდა, გასძლოლოდა დემონსტრაციას. ბერკი არჩევანის წინაშე დადგა: ან მონაწილეობა უნდა მიეღო სანთლებით მსვლელობაში, რომელიც, გარკვეულწილად, დიუბერკისთვის საეკლესიო რიტუალის აღსრულებად გადაიქცეოდა, ანდა, თავის დაძვრენის შემთხვევაში, დაცივნის სამიზნე გამხდარიყო. ოსტატურად დაგებული მახინდან თავის დაღწევა შესაძლებელი იყო რამდენადაც თამამი, იმდენადვე მოულოდნელი საშუალებით: მან ერთ-ერთ აზიურ ქვეყანაში, სადაც ხალხმა რევოლუ-



ცია წამოიწყო, სასწრაფოდ გაფრენა და იქ მთელი ხმით ჩაგრულთათვის თავისი მხარდაჭერის გამოცხადება გადანყვიტა: მაგრამ – აფსუს! – გეოგრაფია ყოველთვის იყო მისი სუსტი ადგილი; მთელი მსოფლიო მისთვის ორად იყოფოდა – საფრანგეთად და არასაფრანგეთად, უამრავი უცნობი პროვინციით, მუდამ რომ თავში ერეოდა; ამიტომ იოლი გამოსაცნობია, რომ სულ სხვა, მონყენილობამდე მშვიდობიან ქვეყანაში მოხვდა, რომლის მთებში მდებარე აეროპორტში ყინულივით ცივი ქარი ქროდა და მომსახურებაც წარმოუდგენლად ცუდი იყო. მთელი კვირა იქ იყურყუტა, სანამ მომდევნო თვითმფრინავმა პარიზში არ ჩაიყვანა. ამ ხნის განმავლობაში დაიშა და გრიპიც აიკიდა.

„ბერკი – მოცეკვავეთა ტანჯული მეფე“ – ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ შემთხვევას პონტევენმა.

„მოცეკვავის“ ცნების მნიშვნელობა მხოლოდ პონტევენის მეგობრების ვიწრო წრეშია ცნობილი. მის უდიდეს გამოგონებად მიაჩნიათ და მხოლოდ იმაზე შეიძლება ნუხილი, რომ პონტევენმა ვერ მოიცალა, განევრცო იგი მთელ წიგნად ან საერთაშორისო კონფერენციაზე თემად გამოეყენებინა. მაგრამ მიუფურთხებია საზოგადოებრივი აზრისათვის, მეგობრებიც საკმარისია, ცოცხალი და შეუნელებელი ინტერესით რომ უსმენენ მის ბოღვას.

6.

პონტევენის თანახმად, ყველა ახლანდელი პოლიტიკური მოღვაწე, გარკვეულწილად, მოცეკვავედ შეიძლება ჩაითვალოს. ყველა მოცეკვავე ერევა პოლიტიკაში, თუმცა, რასაკვირველია, სწორი არ იქნება, ერთი მეორეში ავურიოთ. მოცეკვავეს, საშუალო პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, ძალაუფლება კი არა, დიდება სწყურია, არ ესწრაფვის, მსოფლიოს ესა თუ ის სოციალური წყობა მოახვიოს თავს (მას ეს საკუთარ ჩავარდნაზე ნაკლებ ანუხებს), მოცეკვავეს იმ სცენაზე ბატონობის სურვილი კლავს, სადაც

მთლიანად შეძლებს შემოქმედებაში საკუთარი პიროვნულობის გაშლას.

სცენის დასაუფლებლად ყველა მოწინააღმდეგის იქიდან გაძევებაა საჭირო. ასევე საჭიროა ბრძოლის სპეციალური ტექნიკა. ბრძოლას, რომელსაც მოცეკვავე ეწევა, პონტევენი მორალურ ძიუდოს არქმევს. მოცეკვავე მთელ მსოფლიოს სტყორცნის ხელთათმანს. ვის შეუძლია თავის წარმოჩენა უფრო მორალურად (მამაცად, წესიერად, გულწრფელად, მსხვერპლშენირვისათვის მზადმყოფად), ვიდრე მას? და ისიც სინდისის ქენჯნის გარეშე იყენებს ყველა ნებადართულ თუ აკრძალულ ილეთს მოწინააღმდეგის მორალურად ნამგებიან პოზიციებზე გადასაყვანად.

თუკი მოცეკვავეს პოლიტიკურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა გაუჩნდება, ხაზგასმით ამბობს უარს ყოველგვარ ფარულ მოლაპარაკებაზე (რომელიც უხსოვარი დროიდან ემსახურება ჭეშმარიტი პოლიტიკის სათამაშო მინდვრებს), აცხადებს მას ცრუდ, უსინდისოდ, პირმოთენედ, ჭუჭყიანად; იწყებს საკუთარი წინადადებების შეთავაზებას ესტრადიდან, ცეკვითა და სიმღერით, და სხვებს მოუწოდებს, მის მაგალითს მისდიონ, მე მოვითხოვ; არა თავდაჭერითა და მორიდებით (ოპონენტთათვის გააზრებისა და კონტრწინადადებების ფორმულირებისათვის დროის მისაცემად), არამედ საჯაროდა და უტიფრად: „მზად ხართ თუ არა (ჩემსავით) მსხვერპლად გაიღოთ მარტის თვის ხელფასი სომალის დამშეული ბავშვების დასახმარებლად?“ გაოგნებულ ოპონენტებს მხოლოდ ორი შესაძლებლობა დარჩენიათ: ან უარი თქვან და თავი ბავშვთმოძულებად გამოაცხადონ, ან თქვან „დიახ“ საშინლად დაბნეულებმა, რასაც იქვე აღბეჭდავს მზაკვარი კინოკამერები, როგორაც საწყალი ბერკის ყოყმანი აღბეჭდეს შიდსიანებთან სადლის ბოლოს. „როგორ შეგიძლიათ დუმდეთ, დოქტორო N., თუკი თქვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებები ფეხქვეშ





ითელბა?“ ეს კითხვა დოქტორ N. -ს იმ დროს დაუსვეს, როცა ავადმყოფს ოპერაციას უკეთებდა და პასუხის გაცემის არავითარი საშუალება არ ჰქონდა. მაგრამ გაჭრილ მუცელზე ნაკერების დადებისთანავე საკუთარი დუმისლის გამო ისეთი სირცხვილით განიმსჭვალა, გაუგონარი აბდაუბდის ჩმახვა დაიწყო, ისეთის, როგორის მოსმენაც მისგან ენადათ და უფრო უარესისაც კი, რის შემდეგაც მოცეკვავემ, მას რომ მიმართავდა (ეს კიდე ერთი, განსაკუთრებით სასტიკი ფანდია მორალური ძიუდოსი), გამოცრა: „ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

არის ხოლმე შემთხვევები (მაგალითად, დიქტატორული რეჟიმისას), როცა შენი პოზიციების საჯაროდ განცხადება საშიშია, თუმცა მოცეკვავისთვის ეს საფრთხე იმდენად დიდი არ არის, რამდენადაც სხვებისთვის, რადგანაც პროფექტორების შუქზე ცეკვისას, ყოველი მხრიდან ხილვადი, მთელი მსოფლიოს ყურადღებითაა დაცული, გარდა ამისა, ანონიმთაყვანისმცემელთა მასა ჰყავს, რომელიც ემორჩილება რამდენადაც საქებურ, იმდენადვე მოუფიქრებელ სწრაფებს, ხელს აწერს მონოდებებს, მონანილეობს აკრძალულ კრებებში, აწყობს ქუჩებში დემონსტრაციებს, რომელთაც, უეჭველია, სასტიკი ანგარიშსწორება ელით, მაგრამ მოცეკვავე არასოდეს დათმობს სენტიმენტალურ ცდუნებას, დაიდანაშაულოს თავი მათ უბედურებაში, ბრწყინვალედ იცის, რომ კეთილშობილური მიზანი უფრო წონადია, ვიდრე ასეთი თუ ისეთი ადამიანების სიცოცხლე.

ვენსანი შეედავა პონტევენს: „არავისთვის არის საიდუმლო, რომ შენ ბერკს ვერ იტან, ჩვენ კი შენს მაგალითს მიყვებით. მისი სიტუტუციის მიუხედავად, მომხდარა ხოლმე, იმ მდგომარეობისთვის დაუჭერია მხარი, რომელიც ჩვენც სამართლიანად მიგვაჩნდა. თუ გნებავს, შეგიძლია იფიქრო, რომ მას პატივმოყვარეობა ამოძრავებდა. აი, რა მინდა გკითხო: თუკი საზოგადოებრივ კონფლიქტში

ჩარევა საჭიროდ მიგაჩნია, თუკი გსურს, საყოველთაო ყურადღება მიაპყრო რაიმე უმსგავსობას, დაენმარო ლტოლვილებს, როგორ გინდა, ჩვენს დროში არ იქცე მოცეკვავედ ან თავი არ გაასალო ასეთად?“

რაზედაც იდუმალმა პონტევენმა უპასუხა: „ცდები, როცა ვარაუდობ, თითქოსდა მათი სახელის გატეხვა მინდა. მე მათ მხარეს ვარ, მათ ვიცავ. ის, ვინც მოცეკვავეთა მიმართ ზიზღს განიცდის და მათ შერცხვენას ლამობს, ნიდაგ ეჯახება გადაულახავ წინააღმდეგობას: მათ პირად წესიერებას; რადგანაც პუბლიკის წინაშე მუდმივი დგომისას მოცეკვავე თავს წირავს ნებისმიერ ურთიერთობაში უნაკლო არსების რეპუტაციისთვის; ფაუსტმა ეშმაკთან შეკრა კავშირი, მოცეკვავემ – ანგელოზთან: საკუთარი ცხოვრების ხელოვნების ნაწარმოებად გადაქცევა სურს და ამ საქმეში მას ანგელოზი ეხმარება; ნუ დაგვაგინყდება, ცეკვა – ეს ხელოვნებაა! ამაშია საცდური, რომელიც მოცეკვავეს აიძულებს, საკუთარ ცხოვრებაში ხედავდეს ნედლეულს ხელოვნების ნაწარმოებისათვის. სწორედ ეს შეადგენს მოცეკვავის მთელ არსსა და რაობას, ის მორალს არ ქადაგებს, ის ცეკვავს. ქვეყნიერების აღელვება და დაბრმავება სწადათა თავისი ცხოვრების სილამაზით, საკუთარ ცხოვრებაზე ისეა შეყვარებული, როგორაც მოქანდაკე ქანდაკებაზე, რომელსაც ძერწავს“.

## 7.

ხშირად ვსვამ კითხვას: რატომ არ გამოიტანა პონტევენმა პუბლიკის სამსჯავროზე თავისი აგრევიგად საინტერესო იდეები? მისთვის ხომ – ეროვნული ბიბლიოთეკის კაბინეტში მონყენილობისაგან გულგანვრილებული ისტორიკოსისა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორისათვის – ამის გაკეთება ძალზე იოლი იყო? ცოტაა იმის თქმა, რომ მას მიუფურთხებია თავისი თეორიების გამოქვეყნების წადილისათვის: ამაზე ფიქრიც კი ზიზღსა გვრის. ის, ვისაც თავისი იდეები პუბლი-

კის სამსჯავროზე გამოაქვს, ასე თუ ისე, საკუთარ სიმართლეში სხვების დარწმუნებას, მათზე ზეგავლენას და, ამგვარად, იმათ რიცხვში აღმოჩენას რისკავს, ვინც მსოფლიოს შეცვლას ესწრაფვის. მსოფლიოს შეცვლა! პონტევენის აზრით, ეს საშინელი განზრახვაა! არა იმიტომ, რომ მსოფლიო ისეთი, როგორც არის, ალფრთოვანების ღირსია, არამედ იმიტომ, რომ ყოველგვარი ცვლილება გარდაუვალად უარესობამდე მიგვიყვანს და კიდევ იმიტომაც, უფრო ეგოისტური მოსაზრებით, ყოველი გახმაურებული იდეა, ადრე თუ გვიან, საკუთარი ავტორის წინააღმდეგ შემობრუნდება და იმ სიამოვნებას ართმევს, ამ იდეის გონებით ტარებისას რომ განიცდიდა. რადგანაც პონტევენი ეპიკურეს ყველაზე თვალსაჩინო მოწაფეთა რიცხვს ეკუთვნის: თავის იდეებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის ბადებს და ავითარებს. მას არ ძულს კაცობრიობა, რომელიც მისთვის დაუშრეტელი წყაროა უწყინრად დამცინავი დაკვირვებებისათვის. მაგრამ მასთან უფრო მჭიდრო კონტაქტში შესვლის მცირეოდენ სურვილსაც არ გრძნობს. ის მეგობრების იმ კომპანიით არის გარშემორტყმული, თავს „გასკონურ კაფეში“ რომ იყრიან: კაცობრიობის ეს ერთი ბლუჯა მისთვის სავსებით საკმარისია.

მეგობართა შორის ვენსანი ყველაზე უწყინარი და მგრძნობიარეა. მე მის მიმართ სიმპათიას ვგრძნობ და შემოიძლია ვუსაყვედურო (რასაც, სიმართლე თუ გნებავთ, ეჭვიანობის ელფერი დაკრავს) მხოლოდ ნახევრად ყმანვილური და, ჩემი აზრით, გადამეტებული გაღმერთება პონტევენისა. მაგრამ ასეთ მეგობრობაშიც კი დევს რაღაც სულისშემძვრელი. როცა ისინი მათთვის საინტერესო ამბებზე – ფილოსოფიაზე, პოლიტიკაზე, წიგნებზე საუბრობენ, ვენსანი ბედნიერია მასწავლებელთან განმარტოებით, საინტერესო და მაცდუნებელი იდეები არ აკლია და მათით მოწაფეზე არანაკლებ მონუსხული პონტევენი უსწორებს,

ალანტებს, უწონებს. მაგრამ საკმარისია ვინმე მესამის გამოჩენა, ვენსანი მაშინვე დაძმარდება, რადგან პონტევენი იქვე გადასხვაფერდება. იწყებს მეტისმეტად ხმამაღალ ლაპარაკს, ხდება გავლენიანი, ზედმეტადაც – ვენსანის აზრით.

აი, მაგალითი: ისინი, ორნი, კაფეში სხედან. ვენსანი ეკითხება: „მაინც რას ფიქრობ სომალში მომხდარ ამბებზე?“ პონტევენი მოთმინებით უკითხავს მას მთელ ლექციას აფრიკის მდგომარეობაზე, ვენსანი ედავება. იწყებენ კამათს, ურთიერთქირდვას, არა იმიტომ, ყველაზე საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინონ თავი, არამედ მხოლოდ იმისთვის, ხელიდან არ გაუშვან რამდენიმე მყისიერი განმუხტვა ამ ფრიად სერიოზულ საკითხზე მსჯელობისას.

და უცებ მაშუ გამოჩნდება მშვენიერი უცნობი ქალის თანხლებით. ვენსანი დისკუსიის გაგრძელებას ესწრაფვის: „მაგრამ მითხარი, პონტევენ, ხომ არ ცდები, როცა ამტკიცებ, რომ...“ და ის ბრწყინვალე თეორიებით აღჭურვილი დაეძგერება თავის მეგობარს.

პონტევენი ხანგრძლივ პაუზას აკეთებს. ის ამ საქმის ოსტატია. იცის, მხოლოდ მხდალ, საკუთარ თავში დაურწმუნებელ ადამიანებს ეშინიათ პაუზის. არ იცინა, რა უპასუხონ, უთავბოლო ფრაზებში იხლართებიან და უფრო სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან. რაც შეეხება პონტევენს, მას იმდენად მეფური და მბრძანებლური დუმილი ხელენიფება, ირმის ნახტომსაც კი გააქვავებს პასუხის მოლოდინში. კრინტის დაუძვრელად აშტერდება ვენსანს, რომელიც, თავად არ იცის – რატომ, მორცხვად ხრის მზერას. შემდეგ გაღიმებული ქალს მიაჭყეტს თვალებს და ბოლოს მზერას ისევ ვენსანისკენ მიმართავს, ამასთან, ეს მზერა მაღავს გათამაშებულ თხოვნას: „ქალის თანდასწრებით გადაჭარბებულად ბრწყინვალე აზრების დაჟინების შენი მანერა შენივე ლიბიდოს საგანგაშო მოზღვავებაზე მეტყველებს“.



მაშუს სახეზე ნაცნობი იდიოტური ღიმილი ჩნდება. მოხიბლული ქალი ვენსანს შემწყნარებლურ და ცნობისმოყვარე მზერას შეავლებს. ვენსანი კიბოსავით წითლდება. თავს დაგესლილად გრძნობს: სულ რაღაც წუთის წინათ მისდამი ყურადღებად ქცეული მეგობარი უეცრად, არაფრის გამო, გოვზით ცივ წყალს გადაავლებს მხოლოდ იმიტომ, ვილაც უცნობი ქალი შეიქცეოს.

შემდეგ დანარჩენი მეგობრებიც მოდიან, სხდებიან, ლაყობას იწყებენ; მაშუ ანეკდოტებს თხრის, გუჯარი, რომელიც მოკლე, მშრალ რეპლიკებში ამზეურებს თავის წიგნიერ ერუდიციას, ქალური ხმით იცინის. პონტევენი პირში წყალჩაგუბებულებით დუმს, უცდის, როგორც კი მისი დუმილი საკმარის სიმწიფეს მიაღწევს, წარმოთქვას: „ჩემი პატარა გამუდმებით მოითხოვს ჩემგან ერთგვარ უხემ მოპყრობას“.

ღმერთო ჩემო, როგორი ტონით იცის მსგავსი ფრაზების წარმოთქმა! – მეზობელ მაგიდებზე მსხდომნიც კი ყურდებიან და ყურებს ცქეცენ. ჰაერში მოუთმენელი ხითხითი თრთის. მაინც რა არის სასერიო იმაში, რომ პონტევენის მეგობარი ქალი მისგან უხემ მოპყრობას მოითხოვს? საქმე, როგორც ჩანს, ხმის მაგიაშია და ვენსანიც შურისაგან იტანჯება, იცის, მისი საკუთარი ხმა, პონტევენის ხმასთან შედარებით, იგივეა, რაც უბრალო საყვირისა ვიოლონჩლოსთან. პონტევენი წყნარად ლაპარაკობს. არასდროს აუწევს ხმას, რომელიც ისედაც ავსებს მთელ დარბაზს და ყველა დანარჩენ ბგერას ფარავს.

ის განაგრძობს: „უხეში ქცევა... მაგრამ მე ეს არ შემიძლია! უხეში სრულეობით არ ვარ! მე ხომ ხორცშესხმული სიფაქიზე ვარ!“

ხითხითი კვლავაც თრთის ჰაერში და, რათა ამით სათანადოდ დატკბეს, პონტევენი მორიგ პაუზას აკეთებს.

შემდეგ ამბობს: „დროდადრო ჩემთან შემოირბენს ხოლმე ახალგაზრდა მბეჭ-

დავი ქალი და აი, ერთხელ, კარნახისას თმებში ვეცი, სკამიდან ჩამოვადე და საწოლისკენ რომ მივათრევედი, სიცილისაგან ჩაბყირებულმა შუა გზაზე გავუშვი ხელი: „ოჰ, როგორი გაუგებრობაა! ეს თქვენ კი არ გსურდათ, უხეშად მოგქცეოდით, მაპატიეთ, ქალიშვილო!“

მთელი კაფე ხარხარებს. ვენსანიც კი, რომელმაც ხელახლა შეიყვარა თავისი მასწავლებელი.

8.

და მაინც, მომდევნო დღეს ვენსანმა საყვედურის კილოთი უთხრა: „პონტევენი, შენ არა მარტო მოცეკვავეთა თეორეტიკოსი, არამედ თავადაც უდიდესი მოცეკვავე ხარ“.

პონტევენი (მსუბუქი უხერხულობით): „შენ ერთ გროვაში ჩრი სხვადასხვა ცნებებს“.

ვენსანი: „როდესაც ჩვენ ორნი ერთად ვართ და ვილაც მესამე გვიერთდება, სივრცე, რომელშიც ვიმყოფებით, მაშინვე ორ ნაწილად იყოფა: ახალმოსული და მე პარტერში აღმოვჩნდებით, შენ კი შენს პირუეტებს ამზადებ სცენაზე“.

პონტევენი: „ხომ გეუბნები, ერთ გროვაში აქურებ განსხვავებულ ცნებებს. ტერმინი „მოცეკვავე“ მარტოოდენ საზოგადოებრივი ცხოვრების ექსპიზიციონისტებს მიესადაგება, ეს კი ჩემში ზიზლის გარდა არაფერს იწვევს.“

ვენსანი: „შენ იმ ქალთან ზუსტად ისე გეჭირა თავი, როგორც ბერკს კინოკამერის წინ. გინდოდა, ყველაზე უკეთესი, ყველაზე ჭკვიანი გამოჩენილიყავი. ჩემს მიმართ ექსპიზიციონისტთა ძიუდოს ყველაზე ვულგარული ფანდის გამოყენებაც კი არ იუკადრისე“.

პონტევენი: „შესაძლოა, ეს იყო ექსპიზიციონისტური, მაგრამ არა მორალური ძიუდო! კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ მოცეკვავეებს შეცდომით მიმაკუთვნებ, აკი მოცეკვავეს სწადია, ყველაზე ქედმაღალ მორალისტად გამოიყურებოდეს, მე კი მინდა, შენზე უარესი ვჩანდე“.

პონტევენი (მოულოდნელად ცვლის წინანდელ მაღალფარდოვან ტონს ყველაზე გულწრფელზე): „მაპატიე, ვენსან, თუკი განწყენინე“.

ვენსანი (პონტევენის მობოდიშებით მეყსეულად გულაჩვილებული): საპატივბელიც არაფერია, ვიცი, ყველაფერი ეს ხუმრობა იყო“.

ის, რომ ერთმანეთს „გასკონურ კაფეში“ ხვდებოდნენ, შემთხვევითობა არ იყო. მათ მფარველ წმინდანებს შორის დარტანიანი უდიდესობდა, მეგობრობის – მათთვის ერთადერთი ფასეულობის – მფარველი.

პონტევენი განაგრძობს: „სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით (და აქ შენ უეჭველად მართალი ხარ), მოცეკვავე თითოეულ ჩვენგანში იმალება და არ შემოიძლია არ დაგეთანხმოს: როდესაც ჰორიზონტზე ქალი გამოჩნდება, სხვებზე ათჯერ უფრო თავგამოდებულ მოცეკვავედ ვიქცევი. რას იზამ, ეს ოინი ჩემზე ძლიერია“.

სულის სიღრმემდე შეძრული ვენსანი მეგობრულად იცინის, პონტევენი კი თავისი მომნანიე ტონით აგრძელებს მოკავას: „რამდენადაც, შენი თქმით, მოცეკვავეების დიდი თეორეტიკოსი ვარ, მათსა და ჩემს შორის უნდა არსებობდეს თუნდაც პანანკინტელა საერთო, რომლის გარეშეც მათ გაგებას ვერ შევძლებდი. ამაში გეთანხმები, ვენსან.“

ამ სტადიაზე მომნანიე მეგობარი პონტევენი პირდაპირ თეორეტიკოსად იქცევა: „მაგრამ მხოლოდ მცირეზე მცირე უფრო ზუსტად, იმ გაგებით, რასაც ამ ცნებაში ვდებ, არავითარი საერთო არ მაქვს მოცეკვავესთან. არა მარტო შესაძლებლად, არამედ სარწმუნოდაც კი მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტი მოცეკვავე, რომელიმე ბერკი ან დიუბერკი, ქალის გვერდით რომ აღმოჩნდება, მისი ცდუნების მცირეოდენ სურვილსაც ვერ გრძნობს. აზრადაც არ მოუვა, აბდაუბდა ჩმახოს მბეჭდავი ქალისთვის და ის შეცდომით, თითქოს სხვა ქალის ნაცვლად, თმით შეათრიოს ლოგინში. ის პუბლიკის ცდუნე-

ბის სურვილით იწვის. პუბლიკა ხომ ესა თუ ის ქალი არ არის, სრულიად კონკრეტული და ხილული, არამედ უჩინართა უთვალავი ბრბო. ყური მიგდე, ეს ხომ კიდევ ერთი დაუმუშავებელი თავია მოცეკვავეთა თეორიიდან: პუბლიკა – უჩინარი! მოცეკვავე არა ჩემი და შენი, არამედ მთელი ქვეყნის წინაშე შიშვლდება. მაინც რა არის ეს ყბადაღებული „მთელი ქვეყანა?“ უპიროვნო უსასრულობა, სუფთა აბსტრაქცია!“

გაცხარებული საუბრისას გუჯარი გამოჩნდა მამუს კომპანიით. ეს უკანასკნელი პირდაპირ ზღურბლიდან მიმართავს ვენსანს: „გახსოვს, მითხარი ენტომოლოგთა დიდ კონგრესზე მიმინვიესო. ახალ ამბავს გეტყვი: ბერკიც იქ იქნება“.

პონტევენი: „ისევ ის? ყველგან ეგ უნდა ჩაეკვებოს“.

ვენსანი: „ეშმაკმაც წაიღოს, იქ რა უნდა აკეთოს?“

მამუ: „შენთვის გასაგები უნდა იყოს, ენტომოლოგი შენ ხარ“.

გუჯარი: „სტუდენტობისას სკოლაში მთელი წელი უმაღლეს ენტომოლოგიას სწავლობდა. ახლა, უეჭველია, იმედოვნებს, რომ ამ კონგრესზე დამსახურებული ენტომოლოგის წოდებას მიანიჭებენ“.

„საჭიროა იქ გამოცხადება, – ასკვნის პონტევენი, – და ნამდვილი ბორდელის მონყობა. – ვენსანს მიუბრუნდება: – შენი ამოცანაა ყველა ჩვენგანის იქ შეყვანა, ფარული შესასვლელით!“

9.

ვერას უკვე სძინავს; მე პარკში გამავალ ფანჯრებს ვაღებ და ქალბატონი დე T.-ისა და მისი ახალგაზრდა კავალერის ოდინდელი დაუვინყარი სეირნობის სამ ეტაპზე ვფიქრობ.

პირველი ეტაპი: ისინი ხელიხელჩაჭიდებულნი სეირნობენ, საუბრობენ, შემდეგ პატარა მდელობზე მერხს პოულობენ, ხელიხელგაუხსნელად სხდებიან, საუბარს განაგრძობენ. მთვარიანი ღამეა. ბალი ტერასებით ეშვება სენისკენ, რომ-





ლის ბუტბუტი ხეთა შრიალს ერწყმის. შევეცადოთ მათი საუბრის ნაწყვეტების დაჭერას. კავალერი კოცნას ემუდარება, მაღამ დე T. პასუხობს: „სანინალმდეგო არაფერი მაქვს, უარის შემთხვევაში მეტიმეტად გაამაყდებით. თავმოყვარეობა ჩაგაგონებთ, თითქოს მე თქვენი მეშინია“.

ყველაფერი, რასაც მაღამ დე T. ამბობს, ხელოვნების ნაყოფი, საუბრის ხელოვნებაა – არც ერთი საქციელი უკომენტაროდ და მათ გააზრიანებაზე გამუდმებული ზრუნვა. მაგალითად, ამჯერად მაღამ დე T. კავალერს კოცნით აჯილდოებს, მაგრამ მანამდე თავისი თანხმობის ინტერპრეტაციას გვთავაზობს: ის კოცნის ნებას მხოლოდ იმიტომ რთავს, კავალერის სიამაყე კეთილსინდისიერების საზღვრებში მოაქციოს.

როდესაც გონივრული თამაშის შედეგად კოცნას წინააღმდეგობის აქტში გადაზრდის, ნაგებული არავინ რჩება, ყველაზე ნაკლებ – თვითონ კავალერი: მან ეს პირობები სერიოზულად უნდა

მიიღოს, ვინაიდან ისინი სულიერი დემარშის ნაწილს შეადგენს, რომელზედაც მას სხვა სულიერი დემარშით რეაგირება მართებს. საუბარი ცარიელი დროსტარება კი არ არის, სრულიად პირიქით – სწორედ ის ახდენს დროის ორგანიზებას, მართავს მას და კარნახობს კანონებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა.

მათი ღამე პირველი ეტაპის ბოლოს: კოცნას, რომელიც ქალმა აჩუქა კავალერს, რათა ის მეტისმეტად არ გაამპარტავებულებო, მოჰყვება მეორე: კოცნები „ჩქარობენ, გროვდებიან, ნყვეტენ საუბარს, იკავებენ მის ადგილს...“ მაგრამ, აი, ქალბატონი დგება და ციხე-დარბაზში დაბრუნებას გადაწყვეტს.

მიზანსცენის როგორი ხელოვნებაა! გრძნობათა პირველი შეჩოჩოლებების შემდეგ საჭიროა იმის ჩვენება, რომ სიყვარულით ტკობის ნაყოფი ჯერ კიდევ არ მომნიფებულა; საჭიროა მისთვის ფასის დადება, რათა უფრო სასურველი გახდეს; დაძაბული ვითარებისა და მღელვარე მოლოდინის პერიპეტტიების შექმნაა საჭირო. ციხე-დარბაზში კავალერთან ერთად დაბრუნებული მაღამ დე T. მათი ურთიერთობის ნულოვან წერტილზე დაბრუნებას გაითამაშებს. ბრწყინვალედ იცის, რომ უკანასკნელ მომენტში სიტუაციის შეცვლასა და ურთიერთობის განგრძობას შეძლებს. ამისთვის საკმარისია სულ ერთი ფრაზა, ერთი მოკლე ფორმულა, რომელიც საუბრის საუკუნოვანმა ხელოვნებამ ათეულობით დააგროვა. მაგრამ თითქოს მოულოდნელი შეთქმულების ძალით, შთაგონების გაუთვალისწინებელი უკმარისობით არც ერთის გახსენება არ შეუძლია. იგი იმ მსახიობი ქალის მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომელსაც უცაბედად თავისი როლი დაავიწყდა, საჭირო იყო კი, ზეპირად ცოდნოდა. ის დრო ხომ სრულე-



ბით არ ჰგავს ჩვენსას, როცა საკმარისია ქალიშვილს უთხრა: შენც გინდა და მეც, რა საჭიროა დროის დაკარგვა! მაღამ დე T.-სა და მისი კავალრისათვის ამგვარი გულახდილობა აკძალული ბარიერი იყო, რომლის გადალახვაც, მთელი მათი თავისუფლად აზროვნების მრწამსის მიუხედავად, არ შეეძლოთ. თუკი არც ერთ მათგანს დროულად არ მოუვა თავში არანაირი შესაფერისი აზრი, თუკი სეირნობის გასაგრძელებლად ვერავითარი საბაბის პოვნას ვერ შეძლებენ, უბრალო ლოგიკის ძალით ისლა დარჩებათ, ასე დადუმებულები დაბრუნდნენ ციხე-დარბაზში და თავ-თავიანთ საძინებლებს მიაშურონ. რაც უფრო დაჟინებით ეძებენ საბაბს შესაყოვნებლად და ლაპარაკის გასაბმელად, მით უფრო ძლიერად გრძნობენ, რომ მათი ბაგეები შეკრულია: სიტყვები, რომლებსაც მათი დახმარება შეეძლოთ, სადღაც გადაიკარგნენ და ორთავეს მხოლოდ მათი უიმედო ხვეწნალა დარჩენია. ციხე-დარბაზთან მისულებმა, აი რატომ „შევანელეთ ნაბიჯი, თითქოსდა მდუმარე შეთქმულებას ვემორჩილებოდით.“

საბედნიეროდ, უკანასკნელ მომენტში ქალბატონის ცნობიერებაში შინაგანმა სუფლიორმა გაიღვიძა და გაახსენდა თავისი როლი, თანამგზავრს საყვედურით მიმართა: „მე თქვენით კმაყოფილი არა ვარ...“ ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს! კიდევ ერთი ძლევა და ყველაფერი გადარჩება! ქალბატონი ჯავრობს! მან საბაბად ვითომდა გაღიზიანება გამოძებნა, რომელიც მათი სეირნობის გაგრძელების ნებართვას იძლევა. ის ხომ გულწრფელი იყო მასთან. მაშ, რად არ უთხრა ერთი სიტყვაც კი თავის შეყვარებულ გრაფინიაზე? სასწრაფოდ, სასწრაფოდ უნდა აუხსნას! საჭიროა თუნდაც რაიმე ითქვას! საუბარი ხელახლა იბმება და ისინი ხელახლა შორდებიან ციხე-დარბაზს იმ გზით, რომელიც ამჯერად, ყოველგვარი ხაფანგისა და დაბრკოლების გარეშე, მათ სიყვარულის საუფლოში მიიყვანთ.

10.

საუბრისას მაღამ დე T. ნიადაგს სინჯავს. ამზადებს დიდი ამბის უახლოეს ფაზას, პარტნიორს ქარაგმულად გადაუკრავს, რა იფიქროს და როგორ იმოქმედოს. ყველაფერ ამას ისე ფაქიზად, ისე ელეგანტურად და ისე თავის არიდებით აკეთებს, თითქოსდა საქმე სულ სხვა რამეს ეხებოდეს. იგი კავალერს გრაფინიას ეგოისტურ სიცივეზე ელაპარაკება, რათა იგი ერთგულების მოვალეობისაგან გაათავისუფლოს და რიგიანად შეაჯანჯლაროს მისი წინათგრძნობა ლამის თავგადასავლებისათვის. ის ანესრიგებს არა მარტო უშუალო, უფრო შორეულ მომავალსაც. კავალერს აგებინებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ სურს გრაფინიასთან მეტოქეობა, მისი ყმანვილ კაცთან დაცვილება. შემდეგ სენტიმენტალური აღზრდის მოკლე კურსს უკითხავს, ასწავლის სიყვარულის პრაქტიკულ ფილოსოფიას, სიყვარულისა, რომელიც მორალური კანონების ტირანიას უნდა გაექცეს და გადარჩეს საიდუმლოებების შენახვით, გულდახურულობით, საიდუმლოების, უმაღლესნი რომ არიან ყველა სათნოებათა შორის, და სავსებით ბუნებრივად უხსნის თუ როგორ დაიჭიროს თავი დილით მის ქმართან.

გაგიკვირდებათ: სად არის ამ სივრცეში ესოდენ გონიერი ორგანიზებულობა, ყოველდღიურობა, შემოხაზულობა, გათვლილობა და გაზომილობა, შეიძლება კი იპოვო პანია ადგილი ალტკინებისთვის, სიგიჟისთვის, დამაბრმავებელი ვნებებისთვის, „შეშლილი სიყვარულისთვის“, რომელსაც ასე აღმერთებენ სიურრეალისტები? სად შეიძლება, აქ თავდავინყებისათვის თავშესაფარი მოიძებნოს? სად არის მთელი ეს უგუნურების სათნოება, სიყვარულის ჩვენეული გაგების არსს რომ შეადგენს? აქ მათი ადგილი არაა, რადგანაც მაღამ დე T. გონიერების მეუფეა. არა იმ უწყალო წინდახედულობის, რომლითაც დაჯილდოებულია მარკიზა დე მერტიე, არამედ ნაზი და უწყინარი გონივრულო-

ბის, რომლის უპირველეს დანიშნულებას სიყვარულის მფარველობა შეადგენს.

ვხედავ, როგორ მიჰყავს მას თავისი კავალერი მთვარიან ღამეში. აი, ის ჩერდება და ვაჟს სადგომის მოხაზულობას უჩვენებს, რომელიც მათ წინ ბინდბუნდში მკაფიოდ ჩანს. ოჰ, რამდენი ნეტარი ნუთის მოწმეა ეს თავშესაფარი, ეს პავილიონი. დასანანი, რომ გასაღები თან არა აქვს. კართან მიდიან და, ოი, საკვირველებავ, ოი, მოულოდნელობავ – პავილიონი ღია აღმოჩნდება.

მაშ, რატომ უთხრა, რომ გასაღები თან არა აქვს? რატომ მაშინვე არ შეატყობინა, რომ პავილიონი, უკვე დიდი ხანია, აღარ იკეტება? ყველაფერი წინასწარ არის მომზადებული, დანყოფილი, ინსცენირებული, შეთხზული, აქ უბრალოების ნატამალიც არსადაა, აქ ყველაფერი ხელოვნებით სუნთქავს, ამ შემთხვევაში – დაძაბული მოლოდინის გახანგრძლივების ხელოვნებით ანდა, უფრო ზუსტად, ალგზნების რაც შეიძლება ხანგრძლივად შენარჩუნების ხელოვნებით.

#### 11.

თუმცა დენონი მაღამ დე T.-ის გარეგნობას არ აღწერს, ერთი რამ უეჭველი მგონია: არ შეიძლება, გამხდარი იყოს; ვვარაუდობ, რომ „მკვრივ და მოქნილ ტანს“ ფლობს (სწორედ ამ სიტყვებით ახასიათებს ლაკლო ყველაზე სასურველ ქალურ სხეულს „სახიფათო კავშირებში“) და სხეულებრივი სიმწყობრე მოძრაობებისა და შესტების სიმწყობრესა და აუჩქარებლობას ბადებს. მისგან ტკბილი სიზანტის აურა მოდის. იგი დაყოვნების სიბრძნეს ფლობს და მთელი ოსტატობით მართავს კიდეც ამ დაყოვნებას. ეს ყველაფერი განსაკუთრებულად მკაფიოდ პავილიონში გატარებული ღამის მეორე ეტაპის აღწერისას ჩანს: ისინი შიგ შედიან. ეხვევიან ერთმანეთს, ეცემიან ტახტზე, ეძლევიან სიყვარულს. მაგრამ „ეს ყველაფერი ცოტათი მძაფრი იყო. ჩვენ აქ ჩვენს ბრალს ვგრძნობთ (...) ვინც მე-

ტისმეტად ფიცხობს, შეუძლებელია მისგან გადაჭარბებული დელიკატურობის მოთხოვნა. ჩვენ უმაღლესი განცხრომი-სათვის ვჩქარობთ, მისი წინამძღოლი სიხარულების უგულვებლყოფით“.

აჩქარება, რომლის მიზეზითაც ტკბილი სინელე იკარგება, დასაწყისშივე დაბრკოლებად ან რაღაც დანაშაულად განიცდება, მაგრამ არა მგონია, რომ მაღამ დე T. ამით ძლიერ იყოს გაკვირვებული. წარმომიდგენია, რომ ეს შეცდომა მას საზიზღრად, ფატალურად ეჩვენა, რომ ის ამისთვის შინაგანად მზად იყო და სწორედ ამ მიზეზით გაითვალისწინა ინტერმედია პავილიონში, როგორც *ritardando*.<sup>\*</sup> რათა მესამე ეტაპზე, რომელიც ახალ დეკორაციებში უნდა გათამაშებულიყო, მათ თავგადასავალს მთელი თავისი აუჩქარებელი ფუფუნებით გაფურჩქვნა შეძლებოდა.

ის წყვეტს სიყვარულს პავილიონში. კავალერთან ერთად გამოდის იქიდან, ისევ ხელიხელჩაჭიდებული სეირნობს მასთან, გაზონის შუაგულში სკამზე ჯდება, საუბარს განაახლებს, შემდეგ კი მიჰყავს ყმანვილი კაცი ციხე-დარბაზის საიდუმლო კაბინეტში, რომელიც მის საძინებელს აკრავს და რომელიც ოდესღაც მისმა ქმარმა მიაშენა, როგორც სიყვარულის ტაძარი. ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე კავალერი განცვიფრებისგან შემდგება: სარკეები, რომლებიც მთლიანად ფარავს კედლებს, უამრავ მათ გამოსახულებას ირეკლავს. გეგონება, უთვალავი შეყვარებული წყვილი ეხვევა ერთმანეთს. მაგრამ სიყვარულს ისინი აქ არ მიეცემიან: ყველაფრიდან ჩანს, მაღამ დე T.-ს უნდა, გრძნობების მეტისმეტ აფეთქებას გაექცეს. ალგზნების ნუთების გასახანგრძლივებლად კავალერი მომიჯნავე, გამოქვაბულის მსგავს სათავსოში მიჰყავს. რომელიც ბინდბუნდსა და ამოლაგებულ ბალიშებშია ჩაძირული, სწორედ აქ ეძლევიან სიყვარულს, ეძლევიან დიდხანს და აუჩქარებლად.

\* *ritardando* –

ამ ღამის დინების შენელებამ, მისმა ნაწილებად დაყოფამ, მადამ დე T.-ს შეაძლებინა, წარმოდგენილი დროის მონაკვეთებიდან უმცირესი ციციქნა არქიტექტურულ საოცრებად, რაღაც სრულყოფილ ფორმად ექცია. ფორმის აღბეჭდვა დროში – აი, მთავარი მოთხოვნა როგორც სილამაზის, ასევე მეხსიერებისა, რადგანაც ის, რაც უფორმოა, მოუხელთებელია და მალე დაგავიწყდება. მათი შეხვედრების წარმოდგენა, როგორც ფორმა, ორთავესთვის ძალზე ფასეული იყო, რამდენადაც ამ ღამეს გაგრძელება არ უნდა ჰქონოდა. ის მხოლოდ მოგონებებში შეიძლება განმეორებულიყო.

არის იდუმალი კავშირი შენელებასა და ხსოვნას, აჩქარებასა და დავიწყებას შორის. ყველაზე ბანალური სიტუაცია გავიხსენოთ: ადამიანი ქუჩაში მიდის, რაღაცის გახსენებას ცდილობს, მაგრამ მოგონებები უსახლდება. ამ დროს ის მექანიკურად ანელებს ნაბიჯს და, პირიქით, მავანი ახლახან მომხდარი უსიამოვნების დავიწყებას რომ ესწრაფვის, საკუთარი სურვილის გარეშე აჩქარებს ნაბიჯს, თითქოს იმისგან გაქცევას ცდილობს, რაც მასთან ძალზე ახლოს იმყოფება დროში.

ეგზისტენციალურ მათემატიკაში ეს გამოცდილება ორი ელემენტარული განტოლების ფორმას იღებს: შენელების ხარისხი ხსოვნის ინტენსიურობის პირდაპირპროპორციულია, აჩქარების ხარისხი კი დავიწყების ძალის პირდაპირპროპორციული.

12.

შესაძლოა, ვივან დენონის სიცოცხლეში მხოლოდ განდობილთა ვიწრო წრემ იცოდა, რომ ის ავტორია ნოველისა „არც ხვალ, არც შემდეგ“. საიდუმლოს ფარდა ყველასათვის და (შესაძლოა) ერთხელ და საბოლოოდ, მხოლოდ მისი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდგომ აეხადა. ნოველის ბედი, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჰგავს მასში მოთხრობილ ამბავს: საიდუმლოს წყვილადში ჩაძირულობით,

მიჩქმალვით, მისტიფიკაციით, ანონიმურობით.

გრავიორი, მხატვარი, დიპლომატი, მოგზაური, ხელოვნებათმცოდნე, სალონის ჯადოქარი, თვალსაჩინო ბედის ადამიანი – დენონი არასოდეს პრეტენდენტობდა ნოველაზე, როგორც საკუთარ მხატვრულ ქმნილებაზე. იმიტომ კი არა, დიდებაზე ამბობდა უარს, უბრალოდ, ნოველა იმ დროში სულ სხვა რამეს ნიშნავდა, ვიდრე ახლა: პუბლიკა, რომელიც მისთვის ყურადსაღები იყო და რომლის მოხიბლვაც სურდა, უსახელო ბრბოს კი არ წარმოადგენდა, როგორც სასურველია თანამედროვე მწერლისთვის, არამედ იმ ადამიანთა ვიწრო კომპანიას, რომელთაც, შესაძლოა, პირადად იცნობდა და პატივს სცემდა. მკითხველთა შორის წარმატების სიამოვნება თითქმის არ გამოიჩინებდა იმ სიამოვნებისაგან, რომლის განცდაც მას რომელიმე სალონში შეკრებილ მსმენელთა წრეში შეეძლო, სადაც იგი ბრწყინავდა.

სხვადასხვა რამ არის დიდება ფოტოგრაფიის გამოგონებამდე და მისი გამოგონების შემდგომ. XIV საუკუნის ჩეხეთის მეფე ვაცლავს დუქნების ინკოგნიტოდ მოვლა და უბრალო ხალხთან გამოლაპარაკება უყვარდა. ინგლისის პრინცი ჩარლზი, რომელიც არც ხელისუფლებას, არც თავისუფლებას არ ფლობს, წარმოუდგენელი დიდებით სარგებლობს: არც უღრან ტყეში და არც მინისქვეშა ბუნკერიდან მეჩვიდმეტე საფეხურზე მოწყობილ სააბაზანო ოთახში არ შეუძლია, უცხოთა მზერას დაემალოს. დიდებამ შთანთქა მთელი მისი თავისუფლება და ახლა მან იცის: მხოლოდ ცალტვიინებს შეუძლიათ, საკუთარი ნებით დაეთანხმონ სახელგანთქმულობის წკარუნა თუ ნუქის თრევას.

მეტყვიით: თუკი დიდების ხასიათი ცვლილებას განიცდის, ეს მხოლოდ პრივილეგიურებულ პერსონებს ეხებათ. ცდებით, რადგან დიდებას კავშირი აქვს არა მარტო სახელოვნებასთან, ის ეხება ყვე-

ლას და თითოეულს, დღესდღეობით. სახელმწიფოებმა გადაჭედეს ტელეეკრანები, ილუსტრირებული ჟურნალების ფურცლები, მთელი სამყაროს წარმოსახვას დაეპატრონენ. მთელი სამყარო, თუნდაც მხოლოდ საკუთარ ზმანებებში, ამგვარი დიდების ობიექტად ქცევაზე ოცნებობს (არა ლუდხანებში მოყიალე მეფე ვაცლავის, არამედ მინისქვეშა ბუნკერიდან მეჩვიდმეტე საფეხურზე სააბაზანოში დამალული პრინც ჩარლზის დიდებაზე). ეს შესაძლებლობა ლანდივით სდევს თან თითოეულსა და ყველას, მთლიანად ცვლის ადამიანის ცხოვრებას, რამეთუ (და ეს კიდევ ერთი საზოგადოებრივი განსაზღვრებაა ეგზისტენციალური მათემატიკისა) ყოველგვარი ახალი, თუნდაც ყველაზე ნაკლებ სარწმუნო ეგზისტენციალური შესაძლებლობა, ძირეულად ცვლის არსებობას.

## 13.

პონტევენი, შესაძლოა, ნაკლებად მკაცრი ყოფილიყო ბერკის მიმართ, თუკი ეცოდინებოდა, რამდენი ჭირ-ვარამის გადატანა მოუხდა ახლახან ამ ინტელექტუალს, ყოფილი თანაკლასელის – ვინმე იმაკულატასგან, რომლის გულის მოსაგებად ის, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე, (წარუმატებლად) მეძიებლობდა.

ოცი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, იმაკულატამ ტელეეკრანზე ბერკი დაინახა, შავკანიან გოგონას სახიდან ბუზებს რომ უგერიებდა; ამან ერთგვარად გამაცისკროვნებლად იმოქმედა მასზე, მაშინვე მიხვდა, რომ ყოველთვის ის უყვარდა. იმ დღესვე მისწერა წერილი, რომელშიც მათი იმდროინდელი „უმანკო სიყვარული“ გაიხსენა. მაგრამ ბერკს შესანიშნავად ახსოვდა, რომ მის სიყვარულს არათუ რაიმე საერთო ჰქონდა უმანკოებსა, ჯოჯოხეთურად ავხორცული იყო. იმაკულატას უმოწყალო ხელის კვრით განცდილი დამცირებაც ახსოვდა. სხვათა შორის, ეს უარი გახდა მიზეზი იმისა, რომ, პორტუგალიელი

მოსამსახურის მშობლების რამდენადმე კომიკური სახელების გამოყენებით, თავისი ქალბატონისთვის გულთან ერთად სატირული და მელანქოლიური სახელი „იმაკულატა“, ე.ი. „უმანკო“ ეძღვნა. წერილზე მისი რეაგირება გულგრილობაზე მეტი იყო და არც უპასუხნია (სასაცილოა, რომ ოცი წელიც კი არ ეყო ძველი წყენის გადასახარშად).

მისმა დუმილმა ქალი ძლიერ შეაშფოთა და მორიგ გზავნილში ოდესღაც მიღებული უთვალავი სასიყვარულო ბარათის თაობაზე შეახსენა. ერთ მათგანში ბერკი თავისი „სიზმრების შემშფოთებელ ღამის მგალობელს“ უწოდებდა. კარგა ხნის წინათ დავიწყებული ეს ფრაზა ბერკს ახლა აუტანლად მოეჩვენა და გაიფიქრა თუ როგორი უზრდელობაა ქალის მხრიდან მსგავსი მარგალიტების შეხსენება. მოგვიანებით გაიგო, რომ ყოველთვის, ტელეეკრანებზე გამორჩენისას, ეს ქალი, რომლისთვისაც მას არასოდეს არაფრით გაუტეხავს სახელი, სადილად მიწვეული იწყებს ლაყბობას სახელგანთქმული ბერკის უმანკო სიყვარულზე, რომელიც თავის დროზე უძილობით იტანჯებოდა იმის გამო, რომ მან, იმაკულატამ, შეუშფოთა სიზმრები. ბერკმა თავი დედიშობილად და დაუცველად იგრძნო. თავის სიცოცხლეში პირველად განიცადა ანონიმურობისაკენ უძლიერესი სწრაფვა.

მესამე წერილში ქალმა ერთი სამსახურის განწევა სთხოვა. არა საკუთარი თავისთვის, ცხადია, არამედ საბრალო მეზობელი ქალისთვის, რომელსაც უგულისყუროდ უვლიდნენ საავადმყოფოში და კინალამ დაიღუპა ცუდად გაკეთებული ანესთეზიის გამო. მას უარი ეთქვა ამ დაუდევრობისაგან მიყენებული ზარალის მცირეოდენ ანაზღაურებაზეც კი. თუ ბერკი ასე გულისამაჩუყებლად ზრუნავს აფრიკელ ბავშვებზე, დაე, დაამტკიცოს, რომ მისთვის სულერთი არ არის უბრალო თანამემამულეების ბედი, თუნდაც მათ არ შეეძლოთ, ბერკს ტელეკამერის წინ თავის მოწონების საბაზი მისცენ.



შემდეგ ამ ქალმა, თავს რომ იმაკულატას უწოდებდა, შავით თეთრზე მისწერა: „...თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ჩემო ხელმწიფევ, ის გოგონა, რომელსაც თქვენი „ღამეების შემშფოთებელი უბინო ქალწული“ უწოდებდა“. არა, თქვენ მხოლოდ ისა თქვით, შეიძლება ასეთი რამ? შეიძლება კი? ბერკი თავისი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებოდა, გმინავდა და წყევლა-კრულვას ანთხევდა. წერილი დაფხრინა, ნახევებს დააფურთხა და სანაგვეში ჩაუძახა.

ერთ-ერთი ტელეარხის დირექტორისგან გაიგო, რომ ვიღაც რეჟისორ ქალს მასზე გადაცემის გაკეთება სურს. ძრწოლით გაიხსენა ტელეკამერის წინ თავის მოწონების ირონიული რემარკა. რეჟისორი, მასზე გადაცემის გაკეთება რომ განეზრახა, აღმოჩნდა სხვა არავინ, თუ არა მისი ღამეების მგალობელი იმაკულატა საკუთარი პერსონით. სიტუაცია საკმაოდ უსიამოვნოა: პრინციპში, ბერკი ყოველთვის დახარბებული იყო, მასზე ფილმი გადაეღოთ, რადგან ყოველთვის სურდა, საკუთარი ცხოვრება ხელოვნების ნაწარმოებად ექცია, მაგრამ აქამდე აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს ნაწარმოები შეიძლებოდა კომიკური ყოფილიყო. ამგვარ საფრთხესთან მოულოდნელად პირისპირ აღმოჩენილი იმაკულატასაგან თავის შორს დაჭერას გადაწყვეტს და სთხოვს დირექტორს (რომელიც გაკვირვებული რჩება მისი თავმდაბლობით), გადადოს ეს პროექტი, მეტისმეტად ნაადრევი აგრეირიგად ახალგაზრდა და ნაკლებად მნიშვნელოვანი კაცისთვის.

14.

ეს ამბავი მაგონებს მეორეს, ჩემდა საბედნიეროდ, იმ წიგნის კარადების წყალობით გავეცანი, რომლებითაც გამოვსებულა გუჯარის ოთახი.

ერთხელ, როცა საკუთარ სპლინზე შევჩვილე, მან მიმიყვანა თაროსთან, რომელზედაც გაეკეთებინა წარწერა: „უნებლიე იუმორის შედეგები“ და იქი-

დან ვინმე პარიზელი ჟურნალისტი ქალის 1972 წელს დაწერილი პატარა წიგნი გამოაძრო, რომელშიც იგი ჯვარზეა გაკრული კისინჯერის სიყვარულის გამო. თუ თქვენ ჯერ კიდევ გახსოვთ იმ ეპოქის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, პრეზიდენტ ნიქსონის მრჩევლის, ამერიკასა და ვიეტნამს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის მომგვარებლის სახელი.

აი, ეს ამბავიც: ჟურნალისტი ქალი ვაშინგტონში ჩადის კისინჯერისგან ინტერვიუს ასაღებად – თავიდან ჟურნალის, შემდეგ ტელევიზიისათვის. ისინი არაერთგზის ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ერთხელაც არ აბიჯებენ წმინდა პროფესიული ურთიერთობების ჩარჩოებს. ერთი თუ ორი სადილი ტელეგადაცემის მოსამზადებლად. თეთრ სახლში, კისინჯერის კაბინეტში და მის საკუთარ რეზიდენციაში რამდენიმე ვიზიტი, თავიდან მარტო, შემდეგ კინომანთა ბრიგადის თანხლებით და ასე ამგვარად, ცოტა არ იყოს, თავს აბეზრებს კისინჯერს, რომელიც სულელი არ არის და იცის, არსებითად, რა სურს ქალს. მისგან თავის შორს დასაჭერად მახვილგონივრულ შენიშვნას ურთავს ქალების თვალში ძალაუფლების მაგიურ მიმზიდველობასა და თავის მდგომარეობაზე, პირად ცხოვრებაზე უარის თქმას რომ აიძულებს.

ქალი გულის ამჩვილებელი სინრფელით ამცნობს, ეს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არანაირად არ მირყევს რწმენას, რომ ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილნიო. კისინჯერის სიფრთხილე და უნდობლობა სულაც არ აოცებს: კარგად მოეხსენება, იმ ტარტაროზებზე ფიქრია საჭირო, რომლებთანაც მამაკაცს ადრე ჰქონია საქმე. დარწმუნებულია, როგორც კი მიხვდება, თუ როგორ უყვარს ქალს, მთელი შიში წამსვე გაეფანტება. ოჰ! მერე და როგორაა დარწმუნებული თავისი სიყვარულის სინმინდემი! შეუძლია დაიფიცოს: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ლაპარაკი მისი მხრიდან ეროტიზმის მოზღვავებაზე, „სექსუალურ დამო-



კიდებულებებში გულგრილი დამტოვა“, – წერს იგი და მრავალჯერ იმეორებს (სასაცილო დედური სადიზმით): დაუდევრად იცვამს, უშნოა, ქალებთან მიმართებაში ცუდი გემოვნება აქვს: „როგორი უმაქნისი საყვარელი შეიძლება იყოს ის“, – აცხადებს ქალი და იტყობინება, რომ უფრო და უფრო მეტადაა მასზე შეყვარებული. ორთავეს ორ-ორი შვილი ჰყავს და ქალი მამაკაცის ნებართვის გარეშე გეგმავს ლაჟვარდოვან სანაპიროზე შევბუღების ერთად გატარებას და წინასწარ ხარობს, რომ ორთავე პატარა კისინჯერი ფრანგულის სათანადოდ შესწავლას შეძლებს.

ერთხელ ჟურნალისტი ქალი თავის კინომანებს კისინჯერის რეზიდენციის გადასაღებად აგზავნის, რომელთაც ის თავშეუკავებლად, როგორც თავხედურ ბანდას, ისე გარეკავს. სხვა დროს ქალს თავის კაბინეტში მიიწვევს და ცივი და მკაცრი ტონით შეატყობინებს, რომ მეტად აღარ აპირებს მისი ორაზროვანი საქციელის ატანას. ქალი თავიდან ნამდვილ იმედგაცრუებას გრძნობს, მაგრამ სასწრაფოდ აჰყავს თავი ხელში და ამგვარ განსჯას იწყებს: ის, უეჭველია, პოლიტიკურად არასაიმედოდ მიაჩნიათ და კისინჯერმა კონტრდაზვერვისაგან მასთან ყოველგვარი კონტაქტის შეწყვეტის მითითება მიიღო. კაბინეტი, სადაც ისინი საუბრობენ, მიკროფონებითაა აღჭურვილი და შესაძლოა, დაუფერებლად სასტიკი ფრაზები მისთვის კი არა, იმ უხილავი აგენტებისთვის არის განკუთვნილი. ჟურნალისტი ქალი კისინჯერს გამგები და მელანქოლიური ლიმილით უყურებს. მის თვალში ეს სცენა ტრაგიკული სილამაზის შუქითაა გაცისკროვებული (ამ ზედსართავ სახელს ხშირად იმეორებს): მამაკაცი დარტყმის დარტყმაზე მიყენებას ესწრაფვის და, ამავე დროს, მისი მზერა სიყვარულზე ღაღადებს.

გუჯარი იცინის. მაგრამ მე ვეუბნები: როგორც ეტყობა, სინამდვილე, შეყვარებული ქალის ოცნებებში რომ ჟონავს, სუ-

ლაც არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ჩვენ გვგონია; ეს სინამდვილე წვრილმანია, მიწიერი, გახუნებული, უფრო ამაღლებულის გვერდით, რომელსაც შეუძლია გაუძლოს ჟამთა სვლას – წიგნის სიმართლეს. კერპთან, მისსავე კაბინეტში პირველსავე შეხვედრაზე, ეს წიგნი უჩინრად ბატონობდა, მოცემული მომენტიდან პატარა მაგიდასთან მსხდომ თანამოსაუბრეთა შორის ის იყო ამ თავგადასავლის გამოუთქმელი და გაუცნობიერებელი მიზანი. წიგნი? მაინც რისთვისაა იგი? კისინჯერის პორტრეტის დასახატად? არა, ის აბსოლუტურად არაფერს ამბობს მასზე. მის გულს ერთი საზრუნავი აწუხებს – თავისი სიმართლის გამოთქმა, სიმართლისა საკუთარ თავზე. მას არა აქვს კისინჯერის მიმართ ჟინი, განსაკუთრებით – მისი სხეულისადმი („როგორი უმაქნისი საყვარელი შეიძლება იყოს ის“); ქალი საკუთარი „მე“-ს გაფართოებისკენ ისწრაფვის. საკუთარი ცხოვრების ვინრო ჩარჩოებიდან გამოყვანას, ბრწყინვალეობითა და შარავანდედით შემოსვას, სინათლის სხივით გარდაქმნას ცდილობს.

კისინჯერი მისთვის მხოლოდ მითოლოგიური ზეგარდმო ცხოველი, ფრთოსანი ცხენი იყო, რომლის მეშვეობითაც მის „მე“-ს ზეცაში დიადი გაფრენა უნდა განეხორციელებინა.

„ის, უბრალოდ, სულელი იყო“, – მშრალად ასკვნის გუჯარი, ჩემს კეთილსურნელოვან განმარტებებს რომ დასცინის.

„არამც და არამც, – ვეუბნები, – მონმეები ირწმუნებიან, რომ ის გონიერი ქალი იყო. საქმე სისულელეში სრულიადაც არ გახლავთ. ის საკუთარ გამორჩეულობაში იყო დარწმუნებული.“

## 15.

გამორჩეულობა თეოლოგიური ცნებაა; ნიშნავს – ყოველგვარი დამსახურების გარეშე, ზებუნებრივი გადანყვეტილებით, თავისუფალი ანდა, უფრო ზუსტად, ღვთის ნება-სურვილით, შენ ამოგირჩიეს რაღაც განსაკუთრებულის, არაჩვეულებ-

რვისათვის. წმინდანები მასში პოულობენ ძალას, რომელიც მათ უსასტიკესი ტანჯვის ატანაშიც კი ეხმარებათ. თეოლოგიური გაგება ჩვენი ცხოვრების თვითპაროდიად და ტრივიალობად ირეკლება. ყოველი ჩვენგანი იტანჯება (მეტ-ნაკლებად) თავისი ძალზე საშუალო ცხოვრების სივინოროვისაგან და მისი საზღვრების გარღვევა, მის თავზე ნავარდი სურს. თითოეული ჩვენგანი იკვებება ილუზიით (მეტ-ნაკლებად ურყევით), რომ ის ღირსია ასეთი ნავარდის, რომ ამისთვისაა მოწოდებული და არჩეული.

გამორჩეულობის გრძნობა თან სდევს, მაგალითად, ყველა სასიყვარულო ურთიერთობას, რადგან სიყვარული განისაზღვრება, როგორც დაუმსახურებელი ძღვენი; დაუმსახურებელი სიყვარული – ეს თავადაა მისი ნამდვილობის მტკიცებულება. თუკი ქალი მეუბნება: მიყვარხარ იმიტომ, რომ ჭკვიანი და პატიოსანი ხარ; იმიტომ, რომ ჩემთვის საჩუქრებს ყიდულობ; იმიტომ, რომ სხვებს არ დასდევ; იმიტომ, რომ ჭურჭელს რეცხავ – იმედგაცრუებას ვგრძნობ: ასეთი სიყვარული ანგარებია. უფრო სასიამოვნოა, მოისმინო: მე ვგიჟდები შენთვის, იმის მიუხედავად, რომ უჭკუო და უნესო, ცრუპენტელა, ეგოისტი და არამზადა ხარ.

შესაძლებელია, ადამიანი პირველად გამორჩეულობის ილუზიას ბავშვობიდანვე, დედის მზრუნველობის ნყალობით ეზიაროს, რომელიც არაფრით დაუმსახურებია და ამიტომაც მოითხოვს განსაკუთრებული დაჟინებით. აღზრდა მოწოდებულია, გაათავისუფლოს იგი ამ ილუზიისაგან და გააგებინოს, რომ ცხოვრებაში ყველაფრის ვალი უნდა გადაიხადოს. მაგრამ უმეტესწილად ეს გაკვეთილები მეტისმეტად დაგვიანებულია. ალბათ, გინახავთ ათიოდე წლის გოგონა, სურვილით რომ იწვის, თავისი ნება მოახვიოს ამხანაგებს. უფრო წონადი არგუმენტების უქონლობის გამო, რაც შეიძლება ხმამაღლა და აუხსნელი სიამაყით იმეორებს: „იმიტომ, რომ ამას მე ვამბობ“, ანდა „იმიტომ,

რომ მე ასე მინდა“. ის თავს რჩეულად გრძნობს. მაგრამ დადგება დღე, როცა წამოძახებისას „იმიტომ, რომ მე ასე მინდა“, ირგვლივ მხოლოდ გულიანად გაიცინებენ. რა შეიძლება გააკეთოს მან, ვინც თავს რჩეულად გრძნობს, საკუთარი რჩეულობის დასამტკიცებლად, საკუთარი თავისა და სხვების შთასაგონებლად, რომ ის არ მიეკუთვნება საშუალო უმრავლესობას?

ამ დროს ფოტოგრაფიაზე დაფუძნებული ეპოქა მიდის მასთან დასახმარებლად მთელ თავის კინოვარსკვლავებთან, მოცეკვავეებთან, სხვა დანარჩენ სახელგანთქმულ პიროვნებებთან ერთად, უზარმაზარ ეკრანებზე პროეცირებული, შორიდანაც კი ნაცნობი ვისი სახეებიც საყოველთაო აღტაცებას იწვევენ და ამავე დროს, ყველასათვის მიუწვდომელი რჩებიან. ის, ვინც თავი რჩეულად წარმოიდგინა, ვერ აცილებს აღტაცებულ მზერას ამ ცნობილ ადამიანებს და საჯაროდ აცხადებს ყოველივე არაჩვეულებრივში თავის თანამონაწილეობას და იმავდროულად – გამიჯვნას ყოველდღიურობისგან, რომელიც კონკრეტული სახით განხორციელებულია მათში, ვისთან ერთადაც უხდება ცხოვრება: მეზობლებში, კოლეგებში, პარტნიორებში.

ამგვარად, სახელგანთქმულობა გადაიქცა რაღაც სანიტარული სამსახურის, სოციალური უზრუნველყოფის, სადაზღვეო სააგენტოს ანდა გონებანაკლულთა თავშესაფრის მსგავს საზოგადოებრივ ინსტიტუტად, მაგრამ ეს ინსტიტუტი სასარგებლოა მხოლოდ საკუთარი მიუწვდომლობის პირობებში. როდესაც ვინმეს თავისი გამორჩეულობის დამტკიცება რომელიმე ცნობილ ადამიანთან პირადი კონტაქტის მეშვეობით სურს, რისკავს, ზღურბლს მიღმა ჩარჩეს, იქ, სადაც კისინჯერის ვერშემდგარი საყვარელი აღმოჩნდა. ამ გადაყენებას თეოლოგიის ენაზე დაცემა ჰქვია. აი, რატომ უწოდებს კისინჯერზე შეყვარებული ჟურნალისტი ქალი აშკარად და სრულიად სამართლიანად თავის სიყვარულს ტრაგი-

კულს, რადგანაც დაცემა, როგორც უნდა დასცინოდეს მას გუჯარი, გარკვეულად ტრაგიკულია.

იმ მომენტამდე, სანამ მიხვდებოდა, რომ ბერკზეა შეყვარებული, იმაკულატა ქალთა უმრავლესობის ცხოვრებით ცხოვრობდა: რამდენიმე ქორწინება, რამდენიმე განქორწინება, რამდენიმე საყვარელი, რომელთაც მისთვის რამდენადაც მუდმივი, იმდენად მშვიდობიანი და თითქმის სასიამოვნო იმედგაცრუებები მოჰქონდათ. მათგან უკანასკნელი საყვარელი პირდაპირ აღმერთებდა, ქალიც სხვებზე მეტად იტანდა არა მარტო მისი მორჩილების, არამედ სარგებლიანობის გამოც: ის გამოცდილი კინომანი იყო, რომელიც ძლიერ დაეხმარა ტელევიზიაში მუშაობის დაწყებისას. იმაკულატაზე თუმცა ცოტათი უფროსი იყო, მაინც მასზე ყურებაში შეყვარებულ მარადიულ სტუდენტს ჰგავდა, რომელსაც თავისი რჩეული ყველაზე ლამაზ, ყველაზე ჭკვიან და (განსაკუთრებით) ყველაზე მგრძობიარე ქალად მიაჩნდა ქალთა შორის.

შეყვარებულის მგრძობიარობა მას გერმანელი რომანტიკოს-ფერმწერის პეიზაჟის დარად წარმოედგინა: არაჩვეულებრივად დაკორძილტანიანი ხეები, მათ თავზე შორეული მტრედისფერი ცა, ღმერთების საცხოვრისი; ყოველთვის, როცა ამ პეიზაჟში შედიოდა, მუხლზე დაცემისა და ამ ღვთაებრივი სასწაულის წინაშე პირისპირ დარჩენის გადაუღალბავი სურვილი იპყრობდა.

## 16.

ჰოლი ნელ-ნელა შეივსო, ბევრი ფრანგი ენტომოლოგი მოვიდა, უცხოელებიც იყვნენ. მათ რიცხვში ერთი სამოციოდე წლის ჩეხიც ერია, რომელზედაც ამბობდნენ, რომ ის ახალი რეჟიმის მნიშვნელოვანი პერსონაა, შესაძლოა, მინისტრი ანდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, უკიდურეს შემთხვევაში, ამ აკადემიის სწავლული წევრი მაინც. ასე თუ ისე, თუნდაც უბრალო ცნობისმოყვარეობის

გამო, ის ამ შეკრების ყველაზე საინტერესო პერსონაჟი გახლდათ (კომუნიზმის ნაცვლად მოსულ ახალ ისტორიულ ეპოქას განასახიერებდა, კომუნიზმისა, დროის ნყვდიადმა რომ შთანთქა); ამ მოლაპარაკე ბრბოში სავსებით მარტოკა ჩანდა – მართალი, დიდმაღალი, მოუხეშავი. კონფერენციის თითოეულ მონაწილეს თავის მოვალეობად მიაჩნდა მისთვის ხელის ჩამორთმევა და რამდენიმე კითხვის დასმა. მაგრამ აზრთა გაზიარება იმაზე ადრე წყდებოდა, ვიდრე მოელოდნენ, და სამიოთხი ფრაზის შემდეგ, საერთო თემების უქონლობის გამო, აღარ იცოდნენ, რაზე ესაუბრათ მასთან. ფრანგები საჩქაროდ უბრუნდებოდნენ საკუთარ პრობლემებს, ისიც, ცდილობდა რა, მათი მაგალითისთვის მიეხატა, დროდადრო იმეორებდა: „აი ჩვენთან კი, პირიქით...“ მაგრამ მალე მიხვდა, რომ არავის არაფერი ესაქმება იმასთან, რაც ხდება „ჩვენთან, პირიქით“ და გვერდზე გადას; მის სახეს მელანქოლიის კვამლი გადაეკრა, მაგრამ არა მწარე და მტანჯველი, არამედ ნათელი და შემწყნარებლური.

სანამ სხვები ხმაურით ავსებენ ჰოლს და მასში მოთავსებულ ბარს, ის ცარიელ დარბაზში შედის, სადაც კვადრატულად განლაგებული ოთხი გრძელი მაგიდა ელოდება კონფერენციის გახსნას. კარებთან ახლოს, მოწვეულთა სიით, პატარა მაგიდა დგას, რომელთანაც მოუსვენარი ქალიშვილი წრიალებს. ესაღმება და თავს წარუდგენს. ქალიშვილი სთხოვს, კიდევ ერთხელ გაიმეოროს გვარი. მესამე ცდაზე ალაღბედზე იწყებს სიაში იმ გვარის ძებნას, რომელიც ოდნავ მაინც იქნება მსგავსი მის მიერ მოსმენილი და დამახსოვრებული ბგერების. მამობრივი თავაზიანობით აღვსილი ჩეხი სწავლული სიაზე იხრება, თავის გვარს პოულობს და საჩვენებელ თითს წაჰკრავს:

– ჩეხორჟიპსკი.

– აჰ, ბატონი სემორიპი? – ეკითხება ის.

– უნდა წარმოთქვათ: Tche-kho-rjips-qui.

– ოჰ, ეს არც ისე ადვილია.

– ამაზე ადვილი არაფერია! ამასთანავე, ჩემი გვარი შეცდომით წერია. – მაგიდიდან ავტოკალამს იღებს და „ც“ და „რ“ ასოებს თავზე პატარა ნიშნაკებს მიახატავს, ფეხებით მალლა ამობრუნებულ რალაც აქსან სირკონფლექსის მსგავსს.

ქალიშვილი უყურებს ნიშნაკებს, უყურებს მეცნიერს და ოხრავს:

– ეს ძალიან რთულია.

– პირიქით, ადვილზე ადვილია. იან ჰუსი თუ გსმენიათ?

მდივანი ქალის მზერა სასწრაფოდ გადაურბენს მონვეულთა სიას, ჩეხი მეცნიერი კი იჩქარის, საქმის არსი აუხსნას:

როგორც თქვენთვის ცნობილია, ის XIV საუკუნის ეკლესიის უდიდესი რეფორმატორი, ლუთერის წინამორბედი, კარლოვის – წმინდა რომის იმპერიაში დაარსებული პირველი უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ. მაგრამ, ალბათ, არ გსმენიათ, რომ იან ჰუსი, ამავე დროს, ორთოგრაფიის უდიდესი რეფორმატორიც იყო. მან მოახერხა მისი უაღრესად გამარტივება. იმის დასაწერად, რასაც თქვენ „ჩ“-დ წარმოთქვამთ, სამი ასოს გამოყენება გჭირდებათ: t, c, h. გერმანელებს კი ოთხის: t, s, c, h. იან ჰუსის წყალობით, ჩვენთვის მხოლოდ ერთი ასოა საკმარისი „ც“ თავზე აი, ასეთი პატარა ნიშნაკით.

პროფესორი ხელახლა იხრება მდივანი ქალის მაგიდისკენ და მინდორზე უზარმაზარ „ც“-ს წერს, ამოყირავებული აქსან სირკონფლექსით თავზე: „ც“; შემდეგ ქალიშვილს პირდაპირ თვალეში უყურებს და ხმამაღალი, მკაფიო ხმით წარმოთქვამს:

– Tch!

მდივანიც თვალეში აცქერდება და იმეორებს:

– Tch!

– აი, ასე. დიდებულია!

– დიახ, ეს მართლაც ძალზე პრაქტიკულია. დასაწერია, რომ ლუთერის რეფორმა მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილი.

– იან ჰუსის რეფორმა. – ამბობს მეცნიერი, ისეთ სახეს იღებს, თითქოსდა ფრანგი ქალიშვილის უტაქტობა ვერ შენიშნა, – მთლად უცნობი არ დარჩენილა, არის კიდევ ერთი ქვეყანა, სადაც მან გამოყენება პოვა; თქვენ, ცხადია, იცით, რომელ ქვეყანაზეც ვლაპარაკობ.

– არა.

– ლიტვაზე!

– ლიტვაზე? – იმეორებს მდივანი, გონებას ზედმინვენით დაბავს იმის გასახსენებლად, დედამინის რომელ კუთხეში მდებარეობს ეს ქვეყანა.

– ლატვიაშიც ასევე. ახლა თქვენთვის უკვე გასაგებია, ჩვენ, ჩეხები, თუ რატომ ვამაყობთ ამ პანანინა ნიშნებით (ლიმილით.) ჩვენ მზადა ვართ, გავცეთ ამქვეყნად ყველაფერი, ამ ნიშნაკებისთვის კი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძობ.

ის თავს უკრავს ქალიშვილს და მაგიდებისაგან შექმნილი მართკუთხედისაკენ მიემართება. თითოეული სავარძლის წინ დევს ბარათი, რომელზედაც გვარია აღნიშნული. ჩეხი სწავლული თავისას პოულობს, ყურადღებით ათვალეირებს, შემდეგ ორი თითით იღებს და ნაღვლიანი, მაგრამ მიმტევებელი ღიმილით მიაქვს მდივან ქალთან საჩვენებლად.

ამ დროს მაგიდასთან, კარის ახლოს, მეორე, ენტომოლოგი ჩერდება, უცდის, როდის დასვამს მდივანი მისი გვარის გასწვრივ ჯარს. მისკენ მომავალი ჩეხი სწავლულის დანახვისთანავე ქალიშვილი მობოდიშებას ჩქარობს:

– ერთი წუთით, ბატონო ჩიპიკი!

ისიც დიდსულოვნად უქნევს თავს, თითქოს ამბობს: ნუ შემფოთდებით, ქალიშვილო, არსად მეჩქარებაო. მოთმინებითა და გულის ამაჩუყებელი თავმდაბლობით პატარა მაგიდის შორიახლოს ჩერდება (ამ დროს დარბაზში კიდევ ორი ენტომოლოგი შემოდის) და, როდესაც მდივანი, ბოლოს და ბოლოს, თავისუფლდება, ბარათს უწვდის:

– შეხედეთ, სასაცილოა, არა?



ქალიშვილი ბარათს ათვალერებს, თუმცა ვერაფერს ხვდება:

რას მიეკედლო, როცა დიდი ხე საშიშარია  
– მეხი არ დაეცეს; მინდორ-ველში კი  
მარტოობით სული გეხუთება; გრიგალი  
ქარი მოტაცებას გიპირებს და თვალში  
გაყრის, რაც მიწას ვერ შესისხლხორცე-  
ბია; ზევიდან ბნელად დაგყურებს შავი  
ღრუბელი, ქვევით კოჭებამდის გირტყამს  
ნიაღვარი.

ბრძოლაა სიცოცხლისთვის, ჩქეფს  
სისხლი, გავიწყებს წვრილმან უსიამოვ-  
ნებას, ცდილობ როგორმე სიკვდილს გა-  
დარჩე.

მიყვარს მონმენდილი ცა; ნიავი ოდ-  
ნავ ეკარება შუბლს; ზურმუხტ ცას მზის  
შუქი ალიმებს; მწვანე ბიბინებს დამატ-  
კობელად: ხეები ნაზათ იხრებიან, ვით  
„ჩამოვლის“ დროს მოლეკურე მეგრელის  
ქალი. ჩიტები სხვადასხვა ჰანგზე უმღე-  
რიან თავიანთ სატროფოთ; წყნარათ მი-  
დუღუნებს აცისკროვნებული მდინარე.

გიტაცებს სიამე ქვეყნისა, შენს გულს  
იმედს ჰგვრის ბუნების მეჯლისი; ასწილ  
ნეტარებით გადახდილი მწუხარება ით-  
რგუნება, ქრება!

ოხ, ბედო, რათ მაგდებ მუდამ უღიმ-  
ლამო ბუნებაში! მოღრუბლულა, მხოლოდ  
აქა-იქ დარჩენილა მონმენდილი ცის ნა-  
ჭერი; მიზოზინებს ღრუბელი და ოდ-  
ნავ მანათობელ მთვარეს ისევ ყლაპავს  
თავის წყვედიადში. ვარსკვლავთ გუნდს  
ვერ მოსძებნი. ძირს მიწაც მიჩუმებულა,

## АЕНХЪАЕЛМАЕКАСТ

Уарзын арвы наѣрын, даѣхи дзы куыд  
бахизай, уый куы наѣ фаѣзоныс, каѣм  
балаѣууай, стыр бѣлас даѣр уаѣд таѣссаг  
ваѣйы – арв аѣй ма ныццаѣва; тыгъд бы-  
дыры та иунаѣгаѣй даѣ уд уынгаѣг каѣны;  
тыхдымгаѣ даѣ скъаѣфынмаѣ хъавы амаѣ дын  
даѣ цаѣстытыл аѣрбакалы, сыджыты уაѣле  
азайгаѣ быроны; уაѣлейаѣ даѣм тарაѣй каѣсы  
сау мигъ, бынаѣй фадхъултаѣм даѣ тъаѣп  
каѣны доны лаѣсаѣн.

Тох каѣнын хъаѣуы цаѣраѣнбоны фаѣдыл,  
саѣх-саѣх каѣны туг даѣдзинты, рох дын  
каѣнын каѣны ницаѣйаѣг мастдзинаѣдты, амаѣ  
архайы исты хуызты маѣлаѣтаѣй аирваѣзай.

Уарзын сыгъдаѣг арв; уддзаѣф гаѣзаѣმაѣ  
ныдзаѣвы ныхыл; аѣрттиваг зынаргъ дур ар-  
выл хуры тынты мидбылты худын каѣны;  
цъаѣх наѣу фаѣйлаѣаѣнтаѣ каѣны адджынаѣй;  
ბაѣლაѣსთაѣ უაѣздანაѣй აѣრკъულ ვაѣйынц,  
куыდ лекураგ каѣფაგ მეგრელაგ сылгойმაგ;  
цъиута აѣნდაѣრ ამაѣ აѣნდაѣრ мелодитыл  
зарынц саѣ уარзон зарджыთაѣ; сабыргай  
ხъაѣლ-ხъაѣლგაѣნგაѣ цаѣуы саѣუოუნ цаѣუგაѣდონ.

Аѣлвасы даѣ йаѣхимаѣ саѣрыстыр баѣსთაѣ,  
და ზაѣრდაѣйы дын ныფс тауы აѣრდзы каѣფტ;  
საѣდაѣ ხატты таѣхუდიაგაѣй ფыст мастдзинаდ  
цъыстгонд цаѣუы, мынаѣგ каѣны!

Ех, амонд, цаѣмаѣн маѣ ныппарыс აѣдзუხ  
აѣгуыздаѣგ აѣრდзы мидაѣგ! Асаѣსт у, аѣрмаѣსт  
ма каѣмдаѣრты аѣзადис сыгъდაѣგაѣй арвы  
გაѣппაѣл. Мигъ сындаѣგгаѣй фаѣбыры аმაѣ  
გაѣзаѣმაѣ рухсгаѣნაѣგ მაѣйы аныхъуыры йаѣ  
аууонимаѣ. Стъалыты къорд не ‘ссадзынаѣ  
арвыл. Бынаѣй заѣхх ныссабыр, аѣფთაѣ зыны,  
цыма აѣнкъარდაѣй აѣნхъაѣლმაѣ каѣсы, каѣд

თითქოს უცდის მონყენილი, როდის მოვა განკითხვის დღე და ფიქრობს, როგორ მოვიქცეო; ამღვრეული მდინარეც ვერ ბედავს ნაპირს დაეჯახოს, გვერდს უვლის ბუტბუტით სალს კლდეებს; იგი დროს ელის, ელის ჭექასა და გრიგალს, კოკისპირულს წვიმას, რომ ცით დაიმედებულმა სალი კლდე ქვეშ გათელოს, გზა გაიხსნას.

კრულ იყოს ასეთი დრო მოლოდინისა, დრო ფერმკრთალი სიცოცხლისა!..

дам æрцæудзæнис тæрхоны бон æмæ хуыды кæны, цы бакæндзæн ууыл; змæст цæугæдон дæр йæ ныфс нæ хæссы æмæ быллыл йæхи скъуыра, сæ фæрсты æрзили хуырхуыргæнгæ цыргъ айнагтæн; уый рæстæгмæ æнхæлмæ кæсы, æнхæлмæ кæсы арвы нæрдмæ æмæ тыхдымгæмæ, тæрккъæвдамæ, цæмæй арвæй ныфсджын цыргъ айнаджы бынмæ ныссæнда, фæндаг айгæрда.

Æлгыст уæд ахæм рæстæджы æнхæлмæкаст, рæстæг фæлурс цæрæнбоны!..

თარგმნა  
რაზიათ ქუმარიტოვმა



## ნინო სადლობეაშვილი



### თამაშელი სოხუმი ჩემი ელემი იყო ...

#### საუბარი მწერალ გურამ ოდიშარიასთან

**ნინო სადლობელაშვილი:** – რადგანაც ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, ჩვენც ასე დავიწყეთ: ახლა, დღევანდელი გადმოსახედიდან, შორია თქვენს ბავშვობამდე? სადმე რომ შეგხვდეთ იგი, სიზმარში ან ცხადში – იცნობთ?

**გურამ ოდიშარია:** ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში უბედნიერესი ხანაა ბავშვობა, სადაც ყველაფერი ხდება პირველად. სარკმლიდან პირველად გახედვა, პირველი დაგემოვნება, პირველი მოგზაურობა... მე უფრო დიდი სიამოვნებით ვმეგობრობ მათთან, ვისაც ბავშვობა გაუგრძელდა. ჩემთვის ბავშვობა უმანკოებაა, გულწრფელობაა. კავკასიელებს გვაქვს ასეთი ანდაზა: „თუ გინდა გაიგო, რა ხდება სოფელში, შედი და ჰკითხე რომელიმე ბავშვს ამის შესახებ“. დიდობაში ვმალავთ ხოლმე ბევრ რამეს, ბავშვი კი გულწრფელია და სხვა სინათლე აქვს, ის პირუთვნელი მთხრობელიცაა დანახულისა და განცდილის. ბედნიერები არიან ისინი, ვისაც ბავშვობა ცოცხლად შემორჩებათ. ეს განსაკუთრებით მელნის ხელობის ხალხს – მწერლებს ეტყობათ, რამდენად წრფელები არიან. მე ჩემს ბავშვობასთან ერთად ვცხოვრობ, მასთან ერთად მიწვევს ყოფნა. ის ბავშვობისდროინდელი შეგრძნებებიც არასდროს მატყუებს, პირიქით, ხანდახან ყველაზე დიდ სიმართლეს ზუსტად მათგან ვიგებ.

– ვინ დაგამახსოვრდათ, როგორც მასწავლებელი? თავად თუ ყოფილხართ მას-

წავლებელი (პროფესიულ პრაქტიკას არა, უფრო ამ ცნების ემოციურ და არსობრივ მხარეს ვგულისხმობ, ცხადია)?

ერთ კონკრეტულს ვერ დავასახელებ, ამ მხრივ ახლა გუნდური მასწავლებლის განცდა მაქვს. ასეთი იყო ჩემი ორივე ბებია – თბილი და ღვთისმოსავი – და მათთან ურთიერთობა უკვე იყო ჩემთვის გაკვეთილი. მასწავლებლები იყვნენ იგივე მეზობლებიც, ჩემი მშობლებიც, გარემოც, სუფრასთან მსხდარი ნამდვილი კაცების სადღეგრძელოებიც კი მავსებდა რალაც მდიდარი განცდით; რომ გავიზარდე, ჩემს მასწავლებლებად ხშირ შემთხვევაში იქცა წიგნები; და მათი აღმოჩენა იყო პირველი დიდი გარდატეხა ჩემს ცხოვრებაში.

დღესაც ბევრი ვინმეა ჩემი მასწავლებელი. დღესაც ისე ვიქცევი და ვცხოვრობ, როგორც პირველკურსელი. მუდმივად სწავლის პროცესში ვარ. სოციალურ ქსელში ვხეტილობ ხოლმე ხანდახან და იქაც შეიძლება ნააწყდეს კაცი ბევრ დასაფიქრებელ, გასაანალიზებელ რამეს, გაეცნო ადამიანთა განწყობას. ყველაფერი მეხმარება – ნვიმა, ზღვა, განმარტობა, ხალხმრავლობა. მე არ ვარ ის შემოქმედი, ვისაც მიაჩნია, რომ უკვე რალაც მნიშვნელოვანი გააკეთა. ვინც ასე იგუმანა, ის გაჩერდა კიდეც. შემოქმედებითი მუხტი, დინამიკა აუცილებლად უნდა გახლდეს და ხშირად ვუმეორებ ჩემს თავს, რომ ადამიანი სულ პირველკურსე-

ლი უნდა იყოს, ანუ მუდმივად პროცესში – სწავლის, განათლების. არასდროს მიცდია, ვინმესთვის ჭკუა მესწავლებინა. თუმცა ყოველთვის ვიყავი გულწრფელი და, თუ ვინმე რამეს მკითხავდა, ვცდილობდი, პასუხი მქონოდა. ბოლო დროს განსაკუთრებით აფხაზეზზე მეკითხებიან, ვინ არიან, როგორ არიან, ახალი თაობა განიცდის წყევტას აფხაზეზთან და ოსებთან და უნდა მათი გაცნობა. ერთმა ჟურნალისტმა მითხრა: სულ მაინტერესებდა, ვინაა აფხაზი და მივხვდი, რომ აფხაზი თქვენ ხართო. ეს ჩემთვის კომპლიმენტია. ადამიანურ ურთიერთობებში გამოცდილებაც მნიშვნელოვანია. არ დამავინწყდება, ერთ-ერთ სამსახურში, დაახლოებით 30 წლისა ვიყავი, მყავდა 70 წლის კოლეგა, რომელმაც რაღაც საკითხზე თქვა, არ მეყო გამოცდილება და იმიტომ მომივიდა შეცდომაო. მაშინ ძალიან გამიკვირდა, განა მეტი რაღა უნდა იცხოვროს ადამიანმა, რომ შესაბამისი გამოცდილება დააგროვოს-მეთქი, მაგრამ ახლა სრულიად ვიაზრებ მის გულწრფელობასა და პასუხისმგებლობას და ეს ძალიან დასაფასებელია.

**– რა დაამთავრა თქვენს ცხოვრებაში სამუდამოდ ომმა? (1992-1993 წლების კონფლიქტი.)**

– ჩემთვის ომმა ყველაფრის გულუბრყვილო აღქმა დაამთავრა. როცა ომი თავს დაგვატყვის თუ დავიტყვის (პირველ რიგში, საკუთარ თავს მინდა მოვკითხო, მე ხომ არ დავაკელი რამე, მე ხომ არ ვისროლე პირველი ქვა – ეს ბუნებრივი განცდაა ჩემი და ყოველთვის, როცა მსგავს თემებს ვიაზრებ, განსჯას საკუთარი თავიდან ვინყებ), უფრო ცხადად დავინახე ჩემი თავი. მანამდე, როგორც ნირვანაში, ისე ვიყავი და ეს იყო სამოთხისებური პერიოდი, პირველყოფილი განცდებით აღვიქვამდი ჩემს გარემომცველ სამყაროს და ვწერდი ლექსებს ზღვაზე, ფლორა-ფაუნაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე. ომამდელი სოხუმი ჩემი ედემი იყო და ომმა ის დამატოვებინა, ისევე როგორც მრავალ სხვა ადამიანს... დაახლოებით 40 წლისა ვიყავი, ომი რომ დაიწყო – ჯერ წინათგრძნობა გაჩნდა, რომ რაღაც მოხდება, ბოლოს

კი ომმა ყველაფერი დაანგრია. ამის მერე შევწყვიტე ლექსების წერა. ველარც გავაგრძელე, რადგან პოეზიას მშვიდობის შეგრძნება მკარნახობდა, ხოლო, როცა მშვიდობა დასრულდა, დასრულდა პოეზიაც.

**– აფხაზეთიდან საკენ-ჭუბურის უღელტეხილით გადმოხვედით, მერე კი ეს საშინელი დღეები „დევნილთა უღელტეხილში“ მძაფრად აღწერეთ. ამ წიგნმა მაშინვე მოიპოვა სახელი და ხელიდან ხელში გადადიოდა, ითარგმნა კიდევ რამდენიმე ენაზე... ამ წიგნის შექმნაზე გვიამბეთ, მის მკითხველებზე აფხაზეთში, რადგან ვიცით, რომ მის მიმართ გულგრილნი არც აფხაზები დარჩენილან...**

– ეს ტექსტი – „დევნილთა უღელტეხილი“ – მოგვიანებით ორ რომანში შევიდა, ჯერ „სოხუმში დაბრუნება“ იყო, მერე, ახალი რედაქციით – „შავი ზღვის ოკეანე“. ჩვენმა ოჯახმა კარგად იცოდა, რა იყო ომი. მეორე მსოფლიო ომში ჩემი სამი ბიძა დაიღუპა და მამაჩემი იბრძოდა. მაშინ იყო რწმენა, რომ ამ ომში გაიმარჯვებდნენ და ეს იყო ყველაზე მთავარი. ომობანას ბავშვობაში ვთამაშობდით ხოლმე. მამაჩემი სამხედრო კაცი იყო და 70 წლისამ ახალი სახლის აშენება დაიწყო. 75-სამ დაამთავრა და გარდაიცვალა კიდევ. ამ სახლს ძალიან სქელი და მყარი კედლები ჰქონდა, რადგან მამა სულ ფიქრობდა, რომ ერთ დღესაც ამერიკა და საბჭოთა კავშირი წაეკიდებოდნენ ერთმანეთს და ატომური თავდასხმები იქნებოდა. მამა ომამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა, მის ბუნკერად მომზადებულ სარდაფში კი უკვე ჩვენ და ჩვენი სამეზობლო ვიმალეობდით. მამაჩემი ამ ომს ვერასდროს წარმოიდგენდა, რადგან აფხაზი მეგობრები ჰყავდა, თანამებრძოლები... ეს ომი სადღაც შორს კი არ იყო, ის ჩვენს ეზოებში გადიოდა. უკვე ერთმანეთს ვებრძოდით. მაგრამ, რაც უღელტეხილზე ვნახე, ეს საერთოდ წარმოუდგენელი რამ იყო. ეს თემა დღემდე არ მასვენებს. თავის დროზე გივი ალხაზიშვილმა და როსტომ ჩხეიძემ დამაძალეს – ხომ გადმოიარე ეგ უღელტეხილი, დაწერე აუცილებლადო, 1993-შივე დავინწყე წერა, გივიმ სწრაფად გამოსცა „ლომის-

ში“, მერე მწერლებმა აიტაცეს და წლის ბოლოს მწერალთა კავშირის პრემიაც მიიღო. ახლაც რომ ვკითხულობ ხოლმე, თითქოს სისხლი გადამისხეს, ისე ვლელავ. ალბათ, ასე ემართება ყველას, ვინც გამოიარა ის ჯოჯოხეთი... საქართველოში ბობოქრობდა სამოქალაქო ომიც, ამას ემატებოდა კონფლიქტი თანამოძმეებთან – აფხაზებთან და ოსებთან, გამოუცხადებელი ომი რუსეთთან. უღელტეხილი იყო ყველა ამ უბედურების შედეგი – გზა, რომლითაც სოხუმიდან 80 კმ-ში ენგურამდე სამშვიდობოს გასვლა შეგეძლო, მიზეზთა გამო ჩაიკეტა და ამიტომ მოგვინია ხუთჯერ მეტი გზის გავლა ალპურ ზონაში, თოვლში, ყინვასა და ქარში. ომის შემდეგ უღელტეხილზე ინფორმაცია არ არსებობდა, ამიტომაც მასზე დაწერილ წიგნზე დიდი მოთხოვნა იყო. ხოლო, როცა წიგნი რუსულად ითარგმნა და აფხაზებმაც წაიკითხეს, მაშინ გაიგეს მათაც, რა ჯოჯოხეთი გამოიარეს ქართველებმა. დიახ, აფხაზები კითხულობდნენ, რას ვწერდით ჩვენ! მეც ასე ხარბად ვკითხულობდი ყველაფერს, რასაც ისინი წერდნენ. მახსოვს, ნაცნობი აფხაზი გოგონა ერთ-ერთი შეხვედრის დროს გადამეხვია და მითხრა: „ვკითხულობდი „დევილთა უღელტეხილს“ და ვტიროდიო. ბოლოს კი დააყოლა, ჩემი ძმა ომში დაიღუპაო. აფხაზები ბრაზობდნენ და უკვირდით – სხვების გასაჭირზე რა გატირებს, შენი მკვდარი იტირეო. ალბათ, ესაა ყველა ომის მიზეზიც – სანამ „სხვისი“ იქნება გასაჭირი და არ გაითავისებ, მანამდე გაგრძელდება ეს კონფლიქტი, არ მოგვარდება.

საერთოდ, ქვეყანა უნდა იყოს მზად ნებისმიერი უბედურების დროს, ყველაფრისგან გაკვეთილი უნდა მივიღოთ. იმ ომის დროს სამშობლო ჩემს გვერდით არ იდგა. არ იყო სისტემა, რომელიც თაობებს გადაარჩენდა. ჩემთვის ბევრი სხვა ქვეყანა არის მაგალითი იმისა, როგორ უნდა გაუძლო და გამაგრდე. ისინი, ვინც სხვის შეცდომებზე სწავლობენ. ამდენი წელი გავიდა და ჯერაც არ არსებობს

დასკვნა: რატომ დაიწყო ეს კონფლიქტი, რა ხდებოდა სინამდვილეში ან რამ გამოიწვია შიდა დაპირისპირება – ეს ყველაფერი ჯერ ისევ გამოსაძიებელი და შესაფასებელია.

**– თქვენს აფხაზ კოლეგებთან დღემდე გაქვთ ურთიერთობა. გვიამბეთ მათზე, აფხაზ მწერლებზე, მხატვრებზე – რას ფიქრობენ, რას იმედოვნებენ, რა იციან ჩვენზე? მათთან თუა ეს დისკურსი – გამოსავლის ძიება?**

– ცოტა ხნის წინათ ვიყავი აფხაზეთში. გავიარე ის ადგილები, ქუჩები და ხიდები, სადაც ომი მძვინვარებდა. მოვინახულე



მამაჩემის საფლავი. ვესტუმრე ჩემს უახლოეს აფხაზ მეგობრებს... იქაურ მასმედიას თუ გადახედავ, სულ გამოსავლის ძიებაზე მსჯელობენ, შიდა საზოგადოებაში არის აზრთა სხვადასხვაობა – აფხაზეთის განვითარების გზები სხვადასხვანაირად ესახებათ. არიან ადამიანები, ვინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აფხაზების დაუნერეულ ზნეობრივ კოდექსს „აფსუარას“ და მის სახელმწიფოებრივ კონსტიტუციაში ჩართვას მოითხოვენ. აფსუარა – ეს მათი ძველისძველი კოდექსია, რამაც იდენტობა შეუნარჩუნათ. მათ ჰყავთ ეროვნული გმირი მუშნი ხვარცკია. გზებზე არაერთგან შემხვდა ბანერები, რომლებზეც მისი ფრაზები ეწერა: „ჩვენ უნდა გავხდეთ ბევრად უფრო პატიოსანი, გონიერი და ბრძენი ერი და უნდა აღვსდგეთ. ეს გარდაუვალი პროცესია“. მუშნის ვიცნობდი, მასზე ბევრი რამ მომითხრეს. ამბობდნენ, რომ ერთ-ერთი ბრძოლისას მან დაჭრილი ქართველი მეომარი ზურგით ატარა ჰოსპიტლამდე.

ხომ შეეძლო, მიეტოვებინა, მტერი იყო ის მეომარი, მაგრამ მან ეს არ დაუშვა. აფხაზეთის კულტურული საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო და საინტერესო წარმომადგენელია მწერალი დაურ ნაჭყეა, რომლის რომანი „ღამის ნაპირი“ რამდენიმე წლის წინათ ვთარგმნე და მისი ხელახლა გამოცემა ისევ იგეგმება. ამ რომანში დაური არა მარტო თავის გასაჭირს ხედავს და განიცდის, არამედ ქართულსაც. სახალხო დიპლომატია თავისას აკეთებს, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ჯერ მასშტაბური არაა. პოლიტიკოსებს შორის დიალოგი, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამიტომ, ვისაც ერთმანეთის ნდობა აქვს, მათ უნდა დაიწყონ საუბარი, რომ პოლიტიკოსების დონეზე აიყვანონ ურთიერთობა. ჩვენ დიდი შეცდომები დავუშვით ომის შემდგომი მოლაპარაკებების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რეზერვი გვქონდა, დაგვეძრა ყინული: შერეული ოჯახები, ნათესაობა, ურთიერთთანადგომის ამბები... ამ ყველაფრის ფონზე ჩვენს ლიდერებს გაცილებით ეფექტური გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოახერხეს.

თუკი ოდესმე დიდი გეოპოლიტიკა დალაგდება, ჩვენ მზადყოფნა გვმართებს, – ამიტომ არ უნდა გავწყვიტოთ დიალოგი, რათა საჭირო დროს საჭირო ადგილას მოვხვდეთ. არიან ადამიანები, ვინც შემთხვევით ჩაერთო ამ პროცესში და არ იცის როგორ მოიქცეს. ერთმანეთის ტრადიციების არცოდნამ, სტერეოტიპებმა ბევრი რამ გააფუჭა. ეს ხარვეზი ორივე მხარეს არსებობს.

**– რას თმობს შემოქმედი, როცა ცხოვრების სარბიელად პოლიტიკურ მოღვაწეობას ირჩევს? თქვენი კულტურის მინისტრობიდან უკვე ერთი წელი გავიდა. როგორ აფასებთ განვლილ ეტაპს, ფიქრობთ, რომ ამან რაიმე შეგმატათ?**

– მე მჯერა ბედისწერის. აინტუინი რომ ამბობდა, გარეთ გასულს თუ თავში აგური დაგეცა, არ იფიქრო, რომ ეს შემთხვევითიაო, მჯერა ამ წესრიგის. სამყაროში დიდი კანონზომიერება არსებობს. ამიტომ, ნებისმიერი რამ, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება, კანონზომიერია. სრული-

ად ახალგაზრდა ვიყავი, როცა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში მოვხვდი. ეს ის წლები იყო, როცა ჩემი პირველი წიგნი გამოვიდა – ცოტა ავანგარდული, ცოტა თავისებური პოეზია იყო – ასე აფასებდნენ და რატომღაც თბილისში უფრო ესმოდათ ჩემი, ვიდრე მშობლიურ ქალაქში. ჩინოვნიკური გამოცდილება იქ მივიღე, აფხაზებიც ბევრნი მუშაობდნენ. იქ ვნახე ბევრი რამ კულისებს მიღმა, ვნახე თუ როგორ იმართებოდა აფხაზეთი, რა ხდებოდა პოლიტიკურ სამზარეულოში. „დევნილთა უღელტეხილს“ ვერასდროს დავწერდი, ეს გზა რომ არ გამეველო – ესეც ჩემი ბედისწერა იყო. ჟურნალ „რინის“ მთავარი რედაქტორი ვიყავი, თბილისში რომ ჩამოვედი და რედაქტორობას რომ შემოქმედებით საქმეში ხელი არ შეეშალა, დავთმე ის. სამაგიეროდ, ძალიან მალე დაიბადა „სოხუმში დაბრუნება“. ის გაგრძელებებით გაზეთ „შანსში“ იბეჭდებოდა. აბსოლუტურად თავისუფალი ვიყავი, გულწრფელად ვაკრიტიკებდი, ვინც გასაკრიტიკებელი მიმაჩნდა და გამოვთქვამდი ჩემს აზრებს. როცა მინისტრობა შემომთავაზეს, ვიცოდი, რა ძნელი საქმეა ეს. დაახლოებით 2 წელი ვიყავი კულტურის მინისტრი. მაგრამ მანამდე გამოვიარე 2012 წლის ყველაზე მძაფრი არჩევნები. ახლა ვფიქრობ, რომ მაშინ მე პირადად უნდა შემხებოდა ეს ყველაფერი. მწერლის ერთ-ერთი თვისება რისკის სიყვარულიც უნდა იყოს. ჰემინგუეი ომს ეძებდა, სხვანაირად ვერ დაწერდა „მშვიდობით იარაღ“-ს. თუ ახალგაზრდობისას სოხუმში პოლიტიკური სამზარეულო ვიხილე, როგორც მთავრობის წევრმა, აქ ბევრი რამე პირადად ვნახე და შევეხე სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტისას. ბოლოდროინდელი ჩემი მდგომარეობა ემოციურად უახლოვდება იმას, რაც ომისას განვიცაადე – ექსტრემალური, დაძაბული. იმდენი შთაბეჭდილება მაქვს, იმდენი ემოცია, რომ ახლა ვცდილობ, ეს მხატვრულ ტექსტად ვაქციო – დავიწყე კიდევ რომანის წერა. ეს იქნება ლაპიდარული სტილით შექმნილი რომანი, რომელშიც ჩემი ბოლოდროინდელი გამოცდილება აისახება. მინისტრობის დროს ჩანაწერებს ვაკეთებდი და ახალი არაფე-



რი დამიბეჭდავს. შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ეს დრო დაკარგულია, მაგრამ მერე აღმოაჩენ, რომ პირიქით, უფრო გაძლიერებულხარ. ორი წელი საკმარისია იმისთვის, რომ ახლოს გაიცნო ის ადამიანი, ვინც თუნდაც ტელეეკრანიდან სხვანაირად ჩანს. ის უნდა ნახო სხვა, საინტერესო სიტუაციაში. მაშინ სხვა წარმოდგენა გექმნება, ზოგს უფრო მეტად აფასებ, ზოგს – პირიქით. მინისტრი, უპირველესად, მოვალეა, თავის გუნდთან ერთად განსაზღვროს პრიორიტეტები, წლებზე გათვლილი კულტურის პოლიტიკა, რათა ჩვენზე ბევრად განვითარებული ქვეყნების მუშაობის რიტმს მიუსადაგოს სამინისტროს საქმიანობა. მე ხელს მიშლიდა საბჭოთა წარსული, არაგუნდურობა. ვფიქრობ, ეს წიგნიც კარგი იქნება იმისთვის, ვინც დიდი პოსტის დატოვებას ადვილად ვერ ეგუება, ბორგავს... იყო რომაელი იმპერატორი ცინცინატი, რომელმაც დატოვა ტახტი და მიწასთან მუშაობა არჩია. როცა ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პრეზიდენტს, ჯორჯ ვაშინგტონს უთხრეს, შენ უნდა იყო ისევ პრეზიდენტიო, მან უპასუხა: უკვე ორჯერ ვიყავი პრეზიდენტი და ეს საკმარისია, მაშინ მეფე უნდა გავხდეო, და შექმნა ცინცინატის საზოგადოება, ამის მერე შეიქმნა ქალაქი ცინცინატიც, როგორც თავისუფლებისა და გონიერი გადაწყვეტილებების სიმბოლო. მიწა, ჩემი ხედეა და გამოცდილება წიგნმა მიიტანოს მკითხველამდე.

**– როგორ წარმოგიდგენიათ იდეალური სახელმწიფო?**

– იდეალური სახელმწიფო ჩემთვის მარადგანვითარებადი სახელმწიფოა. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში კაცობრიობა უფრო და უფრო აგრესიული ხდება – იგონებს და ქმნის უახლეს იარაღს, აჩალებს კონფლიქტის კერებს. ამ გლობალურ ფონზე ჩვენ, ქართველებს, ჩვენი ლოკალური პრობლემებიც ბლომად გვაქვს. ერთ-ერთი ასეთია ემიგრაციის პრობლემა – დაახლოებით, მილიონ ნახევარი ვართ საზღვარგარეთ და ის მილიონ ნახევარი ადამიანი კვებავს აქ დარჩენი-

ლებს. სხვანაირ ხალხად ჩამოყალიბდით – მუშაობს ცოტა, მაგრამ მაინც ყველას აქვს საქმელი, მანქანა და, რაც მთავარია, დრო, რომ მუდმივად იყოს სოციალურ ქსელში; მისი მარჩენალი მისივე ოჯახის წევრია, რომელიც უცხოეთიდან უგზავნის სარჩოს. მე ევროპის ქვეყნებში მინისტრობამდე უფრო ხშირად დავდიოდი და ვხედავდი, რომ იქ არა აქვთ ამდენი თავისუფალი დრო...

**– „სოხუმში დაბრუნება“ – ეს თქვენი რომანის სათაურია. როგორ წარმოგიდგენიათ ის, როგორც მოვლენა?**

– ერთმა მითხრა ამას წინათ, ნავიკითხე შენი წიგნიო და სულ ეგრე გინერია, მე კი არ ვბრუნდები, ჩვენ ვბრუნდებითო, სულ მრავლობითში ლაპარაკობო. ასეცაა, გუნდური პრინციპის კაცი ვიყავი ყოველთვის. ისე, მწერალი წიგნზე მუშაობისას მარტოხელა მგელივითაა, მაგრამ ამავე დროს, გუნდური გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ომის ჭრილობებს ვიშუშებთ და აფხაზიც და ოსიც უნდა გრძნობდეს, რომ შენ მისი მწერალიც ხარ, რომ გიყვარს ადამიანი. წიგნები შუქურასავითაა – ამ ცოდნას, ამ გრძნობებს ანათებს. „სოხუმში დაბრუნება“ არ იყო პოლიტიკოსის ტრაქტატი, არც არასდროს მიმანჩნდა თავი პოლიტიკოსად. სოხუმში დაბრუნება მაშინ მოხერხდება, როცა პოლიტიკა გააადამიანურდება. ომი არის პერიოდი, როცა მამები შვილებს ასაფლავენ. მშვიდობის დროს პირიქითაა. სოხუმში დაბრუნება ჩემთვის არის თაობების გადარჩენა და არის დიალოგი – მე ჩემს ტკივილზე გესაუბრები და შენც შენი ტკივილი გამაგებინე! სოხუმში გადის ჩემთვის დედამიწის ღერძი, ეს შეგრძნება იქ მაქვს და ეს არ არის მხოლოდ ფიზიკური დაბრუნება. ეს არის იმ წერტილის ძიება, რომელიც სივრცეში აუცილებლად არსებობს და მისაღებია აფხაზისთვისაც, ოსისთვისაც და ჩვენთვისაც. ადამიანთა გულწრფელი ურთერთობა უნდა გახდეს ის ორიენტირი, რომელიც მიგვიყვანს იმ წერტილამდე. მართალია, ის თვალთვერ არ ჩანს, მაგრამ გული და გონება გრძნობს მის არსებობას.







## ორი სახარება ირაკლი ფარჯიანისაგან

### ნეტარ არიან სვეტაქნი სულითა...

5-20 სექტემბერს, ირაკლი ფარჯიანის 65-ე წლისთავთან დაკავშირებით, მხატვრის ოჯახმა და „ბაია გალერეამ“ თბილისში, კარგარეთელის №6-ში მდებარე ხელოვნების სასახლეში (საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი) მოაწყვეს გამოფენა სახელწოდებით: ირაკლი ფარჯიანი. „მარკოზისა და იოანეს სახარება“. საექსპოზიციო დარბაზებში პირველად გამოიფინა ამ წიგნების ორიგინალები, ფოტორეპროდუქციები, მხატვრის სხვადასხვა პერიოდის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. გამოფენამ ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

„მარკოზისა და იოანეს სახარების“, როგორც თანამედროვე ქართული ხელოვნების ნიმუშის, მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მისი გამოცემის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. ეს გამოფენაც, ერთგვარად, ამ პროცესის ერთ-ერთი შესამზადებელი ეტაპია.

ამბავი, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, ამით არ დაწყებულა და, მით უმეტეს, ამით არ დამთავრდება. იგი ბევრად უფრო შორს, გენეტიკური მეხსიერების სიღრმეებისკენ გვეძახის, არაცნობიერ წარსულში. ესაა სულის სისპეტაკის გამოვლინება, როდესაც მას ცოდვების

ტვირთი ნაკლებად ამძიმებს, ანუ იმდენად მსუბუქია, რომ დროდადრო სურვილისამებრ ტოვებს თავის ხორციელ გარსს, დროებით თავშესაფარს და ეთერულ სივრცეებს ესტუმრება...

ირაკლი ფარჯიანის მამა სვანეთის პარტიული კომიტეტის მდივანი ყოფილა. მათ ოჯახში სტალინის სურათი კედელზე თვალსაჩინოდ ეკიდა, ვითარცა ხატი და სალოცავი. მით უფრო გასაკვირია მხატვრის ასეთი რელიგიურობა. 21 წლისა იყო, როცა დედა გარდაეცვალა. ამ ტკივილმა ის საბოლოოდ ღმერთის, იმქვეყნიური ცხოვრების რწმენასთან მიიყვანა...

1978 წელს 27 წლის ირაკლი ფარჯიანი იოანეს სახარების გადანერასა და დასურათებას მოჰკიდა ხელი. ის კარგად იცნობდა ქართულ, ბიზანტიურ და სპარსულ მინიატიურას. მეტიც, მინიატიურა მისი საყვარელი ჟანრი იყო. „მოგვიანებით სახარების მისეულ მინიატიურულ ილუსტრაციებზე ის იტყვის: ისინი დიდი ფერწერული ტილოების ესკიზები-აო. მხატვარმა „თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში შეისწავლა ძველი ქართული ხელნაწერები, ხვეწდა კალიგრაფიას, იმავდროულად მან რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ემილ ბოკის სახარება, გადანერა ბოკისეული ტექსტი და თან დაურთო ილუსტრაციები, რომლებიც ზეთის



პასტელით არის შესრულებული.“ იმხანად ასეთი პასტელების შოვნა ჭირდა, მხატვართა კავშირის საგანგებო ნებართვა იყო საჭირო. ამიტომ მხატვარმა გადაწყვიტა, თავად დაემზადებინა პასტელები ცვილისგან. სწორედ ამის გამოა ფარჯიანის პალიტრა ასეთი თვითმყოფადი. იოანეს სახარების ილუსტრაციები თვალისმომჭრელია, ფერები თითქოს პირველქმნილ ნათელს ასხივებენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩვენს მოხიბლვაში. ეს სახარება მხატვარს არ აუკინძავს, ცალკეული

გვერდების სახით დატოვა და ის, რაც გამოფენაზე ვიხილეთ, ორიგინალებს წარმოადგენს. ქალაქის ფურცლებს ახლაც ემჩნევა ფანქრით გასმული თარაზული ხაზები. ისინი თითქოს ხარაჩოებია, რაც მშვენიერი მხედრული ხელნაწერით შესრულებული შენობის ასაგებად იყო საჭირო.

„მარკოზის სახარება“, რომელსაც ფარჯიანი 1979-ში, „იოანეს სახარების“ დასრულების შემდეგ ჰკიდებს ხელს, სრულიად განსხვავებული, შერეული ტექნიკითაა შესრულებული. ექსპოზიციაზე ნაჩვენები იყო როგორც მხატვრის მიერ წიგნად აკინძული სახარება, ასევე მისი ხარისხიანი ფოტორეპროდუქციები. მარკოზის სახარება გაცილებით უფრო სადაა, წიგნის ფურცლები თითქოს სიძველისგან გახუნებულა, საგანგებოდაა შეფერილი მოყავისფრო-მომწვანოდ (ხვლიკისფერიო, იტყოდა კონსტანტინე გამსახურდია). ნახატებიც გაცილებით უფრო მშვიდ, მუქ ტონებშია შესრულებული. „ირაკლი ფარჯიანს ოთხივე სახარების გადანერა ჰქონდა ჩაფიქრებული. ლუკას სახარებაზე მუშაობა მან 80-იან წლებში დაიწყო, თუმცა ვერ დაასრულა. ლუკას სახარების ილუსტრაციები მცენარეული საღებავით არის

შესრულებული და ხატწერულ ხასიათს ატარებს. სახარების გადანერვიდან ორიოდე წლის შემდეგ ირაკლის მეგობარმა, ისტორიკოსმა შიო ონიანმა ძველი სვანური წერილობითი ძეგლის ასლი გადასცა. ამ ხელნაწერიდან შეიტყო ირაკლიმ შორეული წინაპრების შესახებ, რომლებიც სახარების გადამწერი იყფილან. ამ უძველეს ისტორიულ ხელნაწერს ექვთიმე თაყაიშვილიც იხსენიებს ნაშრომში „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვა-

ნეთში“ (1938, პარიზი, გვ. 303). ხელნაწერი 1031 წლით არის დათარიღებული.“

„შუა საუკუნეების ხელნაწერი ნიგნების მსგავსად შესრულებული სახარების ფარჯიანისეული ვერსია წარმოადგენს მთლიან, დასრულებულ ხელნაწერ ტექსტს, რომელიც გაფორმებულია ილუსტრაციებით და თავსართებისა და ბოლოსართების მრავალფეროვანი დეკორით. იგი ერთდროულად ტრადიციულიცაა და ნოვატორულიც, მას ხელნაწერი რელიგიური ნიგნის კანონიკური იკონოგრაფიის და საავტორო ინტერპრეტაციის თანაარსებობა ახასიათებს. გარდა თავისი რელიგიური მნიშვნელობისა, ეს ნიგნი ფარჯიანის შემოქმედების საავტორო მოდელიცაა. აქ ფურცლიდან ფურცელზე მონაცვლეობს მისი შემოქმედების ყველა


ფარჯიანს ჩამოართვეს კიდეც ნიგნები, მაგრამ მალევე დაუბრუნეს და ბოდიშიც მოუხადეს. მის საქმეს მსველელობა არ მიეცა.

### ანგელოზები

...საგამოფენო დარბაზში დიდხანს ვრჩები – ფარჯიანისეული ანგელოზების თვალები არ მიშვებენ და უცნაურია, ადრეულ ბავშვობაში ვბრუნდები, რაც ამ მინიატიურების შექმნის წლებს ემთხვევა ზუსტად. ხელოვნებასა და ლიტერატურაზე უკეთესი დროის მანქანა კაცობრიობას ვერ არ მოუგონია.

მე, რომელსაც ოციოდე წლისას ელდა მეცა, „კავკასიურ სახლში“ ირაკლი ფარჯიანის უზარმაზარი ტილოს წინაშე მარტოდ დარჩენილს, კარგად მესმის,

რას განიცდიან ის სრულიად ახალგაზრდა ხელოვნების მოყვარულები, რომელთაც დღეს გამოფენაზე ვხედავ. ყველასათვის ასე ნაცნობი ფარჯიანის ანგელოზები, ალბათ, ყველაზე მეტად ბავშვების პირველ ნახატებს მოგვაგონებს. ტანთან შედარებით ზომამ



მოტივი, თემა, პერსონაჟი თუ სიმბოლოთა სისტემა.“ – ბაია წიქორიძე.

„ეს არის ხელნაწერი სახარების შექმნის და ილუსტრირების ერთადერთი ფაქტი ამ პერიოდის ქართული კულტურის სივრცეში.“ მის უნიკალურობას ისიც განაპირობებს, რომ ეს ნამუშევარი საბჭოთა საქართველოში იქმნებოდა. ირაკლის მეუღლე ასმათ ფარჯიანი იხსენებს, რომ მხატვრის „კეთილისმურველებმა“ სამართალდამცავ ორგანოებს შეატყობინეს ამ სახარებათა არსებობა და ირაკლი

ზე დიდი თავი უზარმაზარი ღია თვალით. ვის, თუ არა ასეთი ნახატების ავტორებს – 2-3 წლის პატარებს შეუძლიათ ანგელოზის „დანახვა“, გულის თვალით მაინც?! ქალბატონი ასმათი ამბობს, რომ ირაკლი ფარჯიანი სიცოცხლის ბოლომდე სულით ბავშვად რჩებოდა. ამიტომაც არიან მისი ქმნილებანი ასეთი უსხეულო, არამინიერი არსებები, თითქოს მხატვარს სიზმრად ანგელოზი გამოეცხადა და მანაც სამუდამოდ დაიმახსოვრა მისი ხატება...



მეორე დარბაზში ირაკლი ფარჯიანის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები იყო გამოფენილი. მის ნატურმორტებში ყვავილები ისეთივე არამინიერია, როგორც ადამიანების გამოსახულებანი, სული, რომელმაც განიძარცვა სხეული.

ხარების ბიბლიური სიუჟეტი მხატვარს გამორჩეულად უყვარდა. მარტო ამ ექსპოზიციზზე ოთხი სხვადასხვა „ხარება“ იყო ნაჩვენები. განსხვავებულია როგორც ინტერპრეტაცია, ასევე გამოყენებული საშუალებები: ზეთი, პასტელი, ფანქარი, შერეული ტექნიკა. სხვათა შორის, ამ თემაზე შესრულებული პირველი ნამუშევარი მხატვარმა მაშინ შექმნა, როდესაც მომავალი მეუღლე გაიცნო. იგი შეიქმნა, როგორც ორი ადამიანის გარდაუვალი, განგების ძალით მოვლენილი შეხვედრის სიმბოლო; შეხვედრისა, რომელმაც სამუდამოდ შეცვალა მათი

ცხოვრება.

ჩემზე განსაკუთრებით იმოქმედა ფანქარში შესრულებულმა „ხარებამ“, რომელიც საკმაოდ დიდი ზომისაა – 99/134 სმ., მით უფრო, რომ ირაკლი ფარჯიანის შავ-თეთრი ნამუშევარი აქამდე არ მენახა. თვალდახუჭული მარიამის მორჩილი მზადყოფნა. ანგელოზის სპეტაკი სახე. შუქ-ჩრდილებსა და კონტრასტებზე აგებული გასაოცარი პლასტიკა. ცხადია, ყურადღებას იმთავითვე ზეციური არსების თვალეები და ხელები იპყრობს. ანგელოზის თითები იმდენად ცოცხალია, რომ თითქოს, სადაცაა მათ შეხებას იგრძნობ და, ამავდროულად, თითქოს აჩრდილია, მოჩვენება, სიზმარი... შემოიძლია, საათობით ვუყურო ამ შედევრს.

საკუთარი ნების წინააღმდეგ ვტოვებ გამოფენას. სამუშაო დღე დასრულდა – დარბაზს კეტავენ.





## არტუზ გამოგონილი რეპორტაჟები

ენრიკე ვილა მატასი – ესპანელი ჟურნალისტი და მწერალი, რომლის წინაშეც ქედს ვიხრი უმთავრესად მისი გულახდილობის გამო (ეს კი ერუდიციასა და მხატვრული სიტყვის ვირტუოზულ ფლობასთან ერთად უკვე ძალიან ბევრია მოკვდავისათვის), ერთ-ერთ წერილში მოგვითხრობს, როგორ დაიწყო კარიერის გარიჟრაჟზე მკითხველის „მოტყუება“.

ახალგაზრდა ჟურნალისტი ბარსელონაში ჩამოსულ წერილს უნდა შეხვედროდა ინტერვიუსთვის. ვილა მატასი წინა ღამეს რომელიღაც დაწესებულებაში სვამს, იქ მუშტი-კრივი გაიმართება და ენრიკეს თვალშიც კარგად მოხვდება, მაგრამ მისი განსაცდელი ამით როდი დასრულდა. აღმოჩნდა, რომ ვაჟბატონი, რომელთანაც წუხელ იჩხუბა, სწორედ რუდოლფ წერიევი იყო, საქვეყნოდ ცნობილი ბალერონი და, რაც მთავარია, მისი რესპონდენტი! ამის შემდეგ დალილავებული თვალით და მჟავე გამომეტყველებით მასთან სასტუმროში მისვლა და გასაუბრება ბალეტის თემაზე ჟურნალისტის არაადამიანურ ძალებსაც კი აღემატებოდა. გენიალური მოცეკვავე მისი დანახვისას წონასწორობას დაკარგავდა... არადა, რედაქციაში ინტერვიუს ელოდნენ! სწორედ იმ დილას დაიბადა იდეა არა მხოლოდ კითხვების, არამედ ყველა პასუხის შეთხზვისა.

ენრიკე ვილა მატასი აღიარებს, რომ ამ ხერხისთვის მომავალშიც არაერთხელ მიუმართავს, რაც, ცხადია, სრულიად რეალური დიალოგების მოძიებასა და შესწავლას მოითხოვდა და შედეგი მუდამ ღირდა ამად – თვით წარმოსახულ რესპონდენტსაც კი გაუჭირდებოდა ყალბის ნამდვილისგან გარჩევა. მატასის „აღსარებით“ წერილსაც ასე ჰქვია: „გამოგონილი ინტერვიუები“.

მოგესხენებათ, რეპორტაჟებს თვითმხილველები წერენ. აგვისტო-სექტემბერში კულტურულმა სიახლეებმა დედა-

ქალაქიდან რეგიონებში გადაინაცვლა. პირველობა არქიტექტურული ლანდშაფტისთვის შეუსაბამო უცნაური შენობებით „დამშვენებულ“ ბათუმს ერგო. სიმართლე გითხრათ, დიდი იყო ცდუნება (ვილა მატასის ინტერვიუებისა არ იყოს,) ფესტივალებზე დაუსწრებლად რეპორტაჟების დაწერისა, თუმცა ავთენტურობის მოთხოვნილებამ, საბოლოოდ, ბათუმის გზაზე დამაყენა. ან რა ჯობს იმას, რომ თუნდაც ორი დღით თბილისის ხვატსა და ხვაშიადს თავი დააღწიო და, ზღაპრის გმირივით, უცაბედად ზღვის ნაპირას აღმოჩნდე?..

### BIAFF – ბათუმის საავტორო ფილმების მეთავე საქრთაშორისო კინოფესტივალი

ოთარ იოსელიანის სიტყვები – წარმოთქმული ბათუმის კინოფესტივალის გახსნაზე: „ბათუმი ძველი ქალაქია... ბათუმი ნაიარევი ქალაქია... ბათუმი დამახინჯებული ქალაქია... ის ახლა ლასვეგასის ვარიანტია. ვიცით, ეს საიდან წამოვიდა. ჩვენ დავრჩით, ბათუმელები. ვიტანთ ამ საზიზღრობას, სხვა რა გვაქვს“?.. უკომენტაროდ...

რა ვიცით კინოფესტივალის შესახებ? მისი დაარსება განაპირობა კინოს სფეროში წარმოქმნილმა პოსტსაბჭოთა ვაკუუმმა – სურვილმა, რომ მაყურებელი კინოდარბაზებს დაუბრუნდეს და ინტერნეტით არ შემოიფარგლოს, აუცილებლობამ ხარისხიანი, შინაარსიანი ფილმების მოძიებისა და წარმოჩენისა...

ბათუმის საავტორო ფილმების მეთავე საქრთაშორისო კინოფესტივალი – BIAFF 13-20 სექტემბერს გაიმართა. 2015 წელს წარმოდგენილი იყო ოცდაათი ქვეყნის ორმოცამდე სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი, ასევე ორმოცი მოკლემეტრაჟიანი კინოსურათი.

ბათუმს ეწვივნენ სტუმრები ევროპიდან, აშშ-იდან, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან და აზიიდან. მათ შორის იყვნენ: ოთარ იოსელიანი, მერაბ ნინიძე, ნასტასია კინსკი, ლანა ლოლობერიძე, ნიკი კარიმი, მაია კომოროვსკა...

პროგრამა შედგებოდა ექვსი სექციისაგან: 1) საერთაშორისო კონკურსი – მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექციები; 2) დიდოსტატთა კოლექცია; 3) ქართული პანორამა; 4) ევროპის კინოაკადემიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კოლექცია; 5) რეტროსპექტივები; 6) მასტერკლასები;

ფესტივალის სიმბოლო ოქროს ცხენ-თევზაა.

იქნებ, ამ მოკლე და მშრალმა ინფორმაციამ ჩემს მონათხრობს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს...

ახლა, როდესაც კინოფესტივალი დიდი ხნის დასრულებულია, გამარჯვებულები – გამოვლენილი და ჯილდოები დარიგებული, გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი...

### რეპორტაჟი ფესტივალის გახსნიდან ...

13 სექტემბერი... ბათუმის ძველი ბულვარი... საზაფხულო თეატრი... სალამოს 7 საათი... ძალიან ვჩქარობ და ველავ, რადგან ფესტივალის გახსნაზე თითქმის დამიგვიანდა. თურმე სულ ტყუილად, რადგან ნახევარ საათზე მეტ ხანს მაინც მოგვინევს მოცდა, ვიდრე დარბაზში შეგვიშვებენ.

ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო ფესტივალის გახსნის ოფიციალური ნაწილი, იმდენად განელილი, რომ დაგვიანების გამო ისედაც გულმოსულ ოთარ იოსელი-

ანს ათქმევინა: აბა, მოვრჩეთ ამ ბაზარს და ვნახოთ ფილმიო – ზუსტად ასე, არც მეტი, არც ნაკლები. მესტროს „ზამთრის სიმღერა“ კონკურსს გარეშე, საგანგებოდ ფესტივალის პირველ დღეს უნდა ეჩვენებინათ.

ოლონდ, ფილმის პრეზენტაციამდე ფესტივალის ორგანიზატორებმა კიდევ ბევრი რამ „მოასწრეს“: ერთგვარად შეაჯამეს განვლილი ცხრა წელიწადი, დიდ ეკრანზე აჩვენეს ჟიურის წევრები და საკონკურსო ფილმების ვიდეორგოლები, ანუ თრეილერები; პატივი მიაგეს წინა დღეს გარდაცვლილი რეზო ჭეიშვილის ხსოვნას და აჩვენეს BIAFF-ის სარეკლამო ვიდეორგოლი მწერლის მონანილეობით; პოლონელი მსახიობი მაია კომოროვსკა მსოფლიო კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისათვის კინოფესტივალის ყოველწლიური პრიზით დააჯილდოვეს, რასაც მოჰყვა სამადლობელი სიტყვა მშობლიურ ენაზე, რომელიც მისმა ვაჟმა თავაზიანად გვითარგმნა ინგლისურად, რაც, თავის მხრივ, ფესტივალის მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა ქართულად გადმოგვცა...

ოთარ იოსელიანი ფესტივალის გახსნაზე ყოველდღიური, სამუშაო ტანსაცმლით მოვიდა. მისთვის ფილმების თრეილერებს იგივე წონა აქვს, როგორც, მაგალითად, კბილის პასტის რეკლამას: მათ არ უნდა ვენდოთ.

აბა, როგორ არ ვირწმუნოთ 13-ის ნავსიანობა? აბა, სხვა რას (ან ვის) უნდა





ული ომი და მშვიდობა, სადაც სიცოცხლე გაუფასურებულია, სიკვდილი კი – გაშარჟებული, ნაშლილია ზღვარი და ნაშაულსა და კანონიერ ქმედებას შორის. რევოლუციები და ომები სადაგლობაა, თითქოს გვეუბნება ავტორი და უნდა ეცადო, რომ სისხლში არ გაისვარო. გროტესკი და კონტრასტი რეჟისორის მიერ გამოყენებული ძირითადი მხატვრული

დავაბრალთ მსგავსი უიღბლობა? ფესტივალის მასპინძლებს? მის ორგანიზატორებს? „ზამთრის სიმღერა“, როგორც იქნა, დაიწყო. მაყურებელმა უკვე ემზებინა შესვლა მოასწრო, რომ... მეტეოროლოგიური პირობების გამო არა მარტო ფილმის ჩვენება შეწყდა, არამედ ლამის მთელი ბათუმი სიბნელეში ჩაეფლო. ჩვენში ხომ კოკისპირული წვიმა სტიქიური უბედურების ტოლფასია. ისევ ლოდინი! იმ საღამოს ჩვენი მთავარი საქმე სწორედ რომ ლოდინი იყო: ჯერ ფესტივალის გახსნას ველოდით, შემდეგ – ცის გახსნას, ბოლოს კი ფილმის ეკრანზე დაბრუნებას – ამჯერად სრულიად უიმედოდ და ძალიან დიდხანს... დარბაზში კანტიკუნტად დარჩენილმა ერთგულმა მაყურებელმა დამარწმუნა, რომ კარგ ფილმსაც შეიძლება ასე დაელოდო... მისი ჩვენება დიდი დაგვიანებით განახლდა და აღარ შეწყვეტილა.

ახლაც არ მესმის, რატომ ჰქვია ფილმს მაინცდამაინც „ზამთრის სიმღერა?“ „ამბავი“ რატომ არა? ან რატომ „ზამთრის“ და არა „შემოდგომის?“ მაგრამ მგონია, ამას ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ფილმისთვის, რომელიც ასახავს აბსურდულ სიტუაციებს, არარსებულს, რომელიც რეალობაზეც უფრო დამაჯერებელია. ესაა ოთარ იოსელიანისე-

ხერხებია; მღვდელი ანაფორას იხდის და სამხედრო ფორმით გვეცხადება; ბუკინისტი მოტანილი წიგნების საზღაურად იარაღს გასცემს; ალკოჰოლიკი ასფალტის დასაგებმა მანქანამ გააბრტყელა. კარს ქვემოდან შემოაცურეთ! – ამბობს ჭირისუფალი. ასე რომ, თავის ქალის სიმბოლო, რომელიც თითქმის მთელ ნამუშევარს გასდევს, უბრალო შემთხვევითობა არავის ეგონოს.

...და, როდესაც მსგავს ფილმს უყურებ, შუქის ჩაქრობაც ძალიან არ უნდა გაგიკვირდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გამოგონილი და ცხოვრებისეული აბსურდი ერთმანეთს ხვდება და თანხმდება.





## მუსიკალური ბათუმი

„მუსიკა უპირველეს ყოვლისა!  
პოლ ვერლენი

კვლავაც ვაგრძელებ ბათუმის ფესტივალების თემას. ოღონდ ამჯერად მშვენიერი ჰანგების სამყაროში გეპატიუებით. ზღვისპირა ქალაქმა ამ წელსაც ორი კლასიკური მუსიკის ფესტივალს უმასპინძლა: პირველი იყო თბილისი-ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი „ლამის სერენადები“, რომელიც 25 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე თბილისსა და ბათუმში გაიმართა, ხოლო მეორე – ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი, 10-დან 15 სექტემბრის ჩათვლით ელოდა მელომანებს.

ამ ფესტივალების არსებობა უცხოეთში მოღვაწე ქართველი მუსიკოსების დამასახურებაა. „ლამის სერენადებს“ ქალბატონმა ლიანა ისაკაძემ შთაბერა სული და მეშვიდე წელია წარმატებით უძღვება მის მიერ შექმნილ „მსოფლიო კამერულ ანსამბლ ვირტუოზებთან“ ერთად, ხოლო „ბათუმის მუსიკალური ფესტივალი“ იუნესკოს მშვიდობის არტისტის ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ ორგანიზებით, უკვე მესამე წელია, ტარდება.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ „ბათუმის მუსიკალური ფესტივალის“ ფარგლებში დაგეგმილი იყო მასტერ-კლასების ჩატარება ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის, ხოლო ფესტივალის მეოთ-

ხე დღეს, 14 სექტემბერს, მათი მონაწილეობით გალაკონცერტიც კი დაიგეგმა, სახელწოდებით: „ახალგაზრდა ტალანტები“.

### შთაბეჭდილება

12 სექტემბერს ბათუმში ჩასულს დილიდანვე დამეუფლა სიხარულის ის ხალასი განცდა, რომელიც, ჩვეულებრივ, თან ახლავს მოგზაურობით, ზღვითა და მზით გამონვეულ შთაბეჭდილებებს. იმდღევანდელი კონცერტის მოლოდინს ვაგემოვნებდი, მაგრამ, რადგან სალამომდე ჯერ კიდევ ბევრი დრო რჩებოდა, პირდაპირ სანაპიროს მივაშურე და ტალღების ხმაურს დავუგდე ყური...

ფესტივალის მესამე დღე, სალამოს 8 საათი, ბათუმის მუსიკალური ცენტრის ჰაეროვანი შენობა. ზღურბლს რომ გადავაბიჯე, თავი მეჯლისზე მისული კონკია მეგონა. გემოვნებით მოწყობილ თანამედროვე ინტერიერში მუსიკის მოსმენას განსაკუთრებული ხიბლი უნდა ჰქონდეს. წითელ სავარძელში მოგკალათდი და პროგრამას ჩავხედე:

შაბათი, 12 სექტემბერი  
ფარად ბადალბელი (ფორტეპიანო).  
აზერბაიჯანი.

დიმიტრი იაბლონსკი (დირიჟორი). აშშ.  
თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი.

კონცერტი დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა და გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო სრული ბედნიერების საათი! კონცერტის დასრულების შემდეგ დიმიტრი იაბლონსკისთან ხუთი წუთით გა-





საუბრების საშუალება მომეცა. „საქართველოში პირველად არ ვარ. 8-9 წლისა მშობლებს აქ ჩამოვყავდი დასასვენებლად. ბათუმშიც ვყოფილვართ, ბიჭვინთაშიც და გაგრაშიც. მიყვარს საქართველო და ქართველები. ახლა 52-ის ვარ, – 42 წლის შემდეგ ხელახლა ჩამოვედი თქვენს ქვეყანაში. 10 წლამდე ოჯახთან ერთად მოსკოვში ვცხოვრობდი, შემდეგ

ტომაც გული დამწყდა, რომ ფესტივალის სხვა დღეებს ვერ დავესწარი. საქართველოს, აშშ-ისა და აზერბაიჯანის გარდა, მრავალფეროვან პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს მუსიკოსებმა საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, ისრაელიდან, იაპონიიდან და თურქეთიდან. შესრულდა კლასიკური მუსიკის შედეგები.

ვცდილობ, წარმოვიდგინო 15 სექტემბერის დასკვნითი საღამო ბათუმის პიაცაზე... ზღვის გრილი სიო იოდის გამაბრუნებელ სუნს აფრქვევს, ბრწყინვალე განათება ჩაქრობის საშუალებას არ აძლევს ფერებს, შემოდის მუსიკა და გავიწყებს ყველაფერს... კონცერტში, რომელიც იუნესკოს 70-ე წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობა უნდა მიეღოთ თავად ელისო ბოლქვაძეს (ისევე, როგორც გახსნის დღეს), ზურაბ სოტკილავას, დავით კინწურაშვილს და ანსამბლ „ქართულ ხმებს“, ოპერისა და ბალეტის სიმფონიურ



ამერიკაში გადავედით საცხოვრებლად...“  
სამწუხაროდ, კონცერტებზე იშვიათად დავდივართ. მუსიკის მოსმენას კომპიუტერისა თუ მობილური ტელეფონის საშუალებით მივეჩვიეთ, რაც ვნებს ჩვენს სმენას. მე რომ მკითხოთ, ფირფიტებს არაფერი მირჩევნია, ოლონდ, ყველა ფირსაკრავი გამიფუჭდა... და მაინც, მუსიკის ცოცხალი შესრულება თითქმის ისევე განსხვავდება ჩანანერისგან, როგორც ადამიანი და მისი ფოტოსურათი! განა შეიძლება მას რამე შეედაროს? ამი-

ორკესტრზე რომ არაფერი ვთქვათ – ფესტივალის მხოლოდ ერთმა დღემ ჩაიარა მათ გარეშე.

P. S. ელისო ბოლქვაძის „ბათუმის მუსიკალური ფესტივალი“ არის პირველი მუსიკალური ფესტივალი საქართველოდან, რომელიც ევროპის ფესტივალების ასოციაციის წევრი გახდა (2015 წლის მაისში).

**ალინა ქადაგიშვილი**

## ბუძას ხანგრძლივი ფერადი სიზმარი...

*თბილისის ბოტანიკური ბაღის საგამოფენო დარბაზში თვითნასწავლი მხატვრის, ნუგზარ (ბუძა) ცხოვრებაშვილის პერსონალური გამოფენა მოეწყო. „შემოდგომა ბუძასთან ერთად“ – ამ სახელწოდებით გაერთიანებული ფერწერა, გრაფიკა, პოპარტი განსაკუთრებულ ხიბლსა და მსუბუქ ეიფორიას მატებდა თბილისურ შემოდგომას ისე, როგორც სვინგის რიტმები ჯაზს.*

დიახ, ეს გახლავთ ფერწერა ჯაზის სტილში, თუმცა მხატვრის ნამუშევრებში ფერსაც და ჯაზსაც თბილისური კოლორიტი და, ამასთან ერთად, თბილისური იუმორიც ახლავს, რაც ლაიტმოტივად გასდევს თითქმის ყველა მის სურათს. შეიძლება ითქვას, რომ „შემოდგომა ბუძასთან ერთად“ ბევრი ჩვენგანისათვის, გამოფენის დამთვალიერებლებისათვის, სასიამოვნო აღმოჩენა იყო.

– მიყვარს ჯაზი და აბსტრაქცია, – მეუბნება მხატვარი და მიყვება, როგორ იქმნებოდა ესა თუ ის ნამუშევარი: აი, ამ სურათს „ლიცენზირებული ბუძა“ ჰქვია, იცით, რატომ?! პასპორტი უნდა ამელო და კარგა ხანს გამიჭიანურდა ეს საქმე, იმ ხანებში დიდად არ მჭირდებოდა და თან, ცოტა არ იყოს, მეზარებოდა კიდევ.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ავიღე და – ძველ პირადობას რა ვუყო-მეთქი, ვეკითხები სიმპათიურ ქალბატონს, რომელმაც ახალი პასპორტი გადმომცა. დახიეთო – გულგრილად მიპასუხა; რა ვიცი, არ დავხიე. ერთხელაც დიქსილენდს ვუსმენ და უცბად იდეა მომივიდა: გავაკეთე პოპარტი, დავაკარი ჩემი ძველი პირადობა და დავუსვი ბეჭედი – ლიცენზირებულია. ასე გაჩნდა „ლიცენზირებული ბუძა“.

**– ეს პოპარტი თავისი შინაარსით, ალბათ, პროტესტს გამოხატავს – სოციალურ პროტესტს ან თუნდაც სტერეოტიპული აზროვნების წინააღმდეგ მიმართულ პროტესტს. რა თქმა უნდა, თავისი ქვეტექსტებით, – ვეუბნები მხატვარს. მისი გამოხედვით ვხვდები, რომ ჩემეული შეფასება**





**სამართლეს მოკლებული არ უნდა იყოს. – ხელოვნება თავისუფლებას განიჭებთ?**

– რა თქმა უნდა. პირადად ჩემთვის ხელოვნება ჩემი ცხოვრების განსაკუთრებული, მე ვიტყვოდი, მთავარი ნაწილია, სადაც ჩემს სამყაროს ვქმნი, ჩემს სულიერ სამყაროს, რომელშიც აბსოლუტური თავისუფლება მაქვს. ყველა ხელოვანი ასეა, გამონაკლისი სულაც არ ვარ.

**– არადა, პროფესიით იურისტი ხართ და თქვენი მოღვაწეობის სფერო მკაცრად განსაზღვრული კანონი და სამართალი იყო. მაგრამ, როგორც კი ფუნჯი აიღეთ ხელში...**

– დიახ, ხატვა დავიწყე და იურისტობას თავი დავანებე. უნივერსიტეტში ვმუშაობდი იურისტად. ალბათ, ყოველ ჩვენგანს ერთხელ მაინც დაუსვამს კითხვა, თუნდაც საკუთარი თავისთვის, კანონების სამართლიანობაზე. ამ თემაზე ბევრი მოაზროვნე, ფილოსოფოსი... ნერდა, მაგრამ ერთმნიშვნელოვანი პასუხი ვერავინ გასცა. მაგალითად, სასა-

მართლო დარბაზში ზის ადამიანი, რომელსაც მკვლელობაში ადანაშაულებენ. არის თვითმხილველი, არის სხვადასხვა ნივთმტკიცებაც, მაგრამ მკვლელობაში ბრალდებულს ამართლებენ და ათავისუფლებენ. რატომ? ან კარგი ადვოკატი დაიქირავა, რომელმაც მოახერხა, სასამართლოზე დამნაშავის უდანაშაულობა დაემტკიცებინა, ან, რაც უარესია, ვილაცამ კანონი დაარღვია. ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათია. თავად კანონი თავის თავში „სამართლიანობას“ გულისხმობს, მაგრამ ადამიანები – რა თქმა უნდა, ყველა არა მაგრამ არცთუ მცირე ნაწილი – ანგარებიანი და არაკეთილსინდისიერები არიან, ამიტომ კანონი ყოველთვის ვერ





იქნება სამართლიანი.

**– ჰოდა, თვითგამოხატვის თავისუფლება ხელოვნებაში იპოვეთ?!**

– ასე გამოდის. იყო ერთი ცნობილი ინგლისელი მწერალი და ღვთისმსახური ჩარლზ ქალებ ქოლთონი, რომელმაც თქვა: „კანონი და სამართლიანობა – ეს ორი რამ ღმერთმა გააერთიანა, ადამიანმა კი განაცალკევა“. ძნელია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო. სხვათა შორის, ქოლთონი ხელოვნების დიდი ტრფიალი იყო – იძენდა მხატვრების ნამუშევრებს და საკმაოდ სერიოზული კოლექციაც ჰქონდა.

ჩემს ყურადღებას დიდი ფერადი ტილო იპყრობს. ერთი შეხედვით ფერების ქაოსია, ფერების ანარქია, თითქოს ყველა წესი და კანონი ირღვევა. ეს თითქოს ერთგვარი განაცხადია: „მე ასე ვხედავ“! სურათი შთამბეჭდავია – ეს ქაოსი და ანარქია გიზიდავს. მაინტერესებს, რა ჰქვია სურათს და წარწერის წაკითხვა მინდა, მაგრამ მხატვარი მასწრებს – „ბუძას ხანგრძლივი ფერადი სიზმარი“ ჰქვიაო, მეუბნება ღიმილით.

**– ხატვა როგორ დაიწყეთ?**

– ჩემი უფროსი ძმა, თემური იყო მხატვარი. კარგი ძმობა გვექონდა, განსაკუთრებული, თითქმის სულ მისი მეგობრების გარემოცვაში ვიყავი. ასე რომ, ყმანვილობიდან მხატვრების გვერდით მიხდებოდა ყოფნა. ჩემს სამეგობროში დღემდე სულ მხატვრები, მწერლები, პოეტები და ჟურნალისტები არიან.

**– და არც ერთი იურისტი?**

– მაგაზე არ მიფიქრია, – დაფიქრდა. – ჰო, მგონი, ასეა. უცნაურია, არა?!

**– მე მგონი, არა. უცნაური ის იქნებოდა, მკვლევლების ადვოკატი რომ ყოფილიყავით და თან „ბუძას ხანგრძლივი ფერადი სიზმარი“ დაგეხატათ ან თუნდაც ასეთი ლამაზი ყვავილები – აი, რამ-**

**დენია და ყველა ნახატს თავისებური მიმზიდველობა აქვს. ამ სურათებსაც საინტერესო სახელებს დაარქმევდით, ალბათ?**

– ამათ ყველას „ბუძას ყვავილები“ ჰქვია, იმ ერთის გარდა, – მოშორებით დაკიდულ სურათს ვუახლოვდებით. – ამ ერთს „ბუძას შავი ვარდი“ დავარქვი. ძალიან მიყვარს.

შავი ვარდი ლარნაკში. ცოტათი შემეჭნარი, ოდნავ „თავდახრილი“, ეკლებიანი... უყურებ და გინდა უთანაგრძნო ამ პატარა შავ ვარდს, გინდა ამოიციო მისი ტკივილი... უცბად გამახსენდა, რომ ჩემს კითხვაზე – თუ როგორ დაიწყო ხატვა, ბოლომდე არ უპასუხია.

**– ნელან გკითხეთ, მაგრამ საუბარი „შავმა ვარდმა“ გაგვანყვეტინა. მიყვებოდით, როგორ დაიწყეთ ხატვა.**

– ჩემი ძმა სულ მეუბნებოდა დაიწყე ხატვა, გასწავლიო, მაგრამ ვერ ვბედავ-







დი. მეგობარი მხატვრებიც მაგულიანებდნენ – ისე გიყვარს ფერწერა, ხატვა უნდა დაიწყო. ერთ დღესაც თემურმა ტილო მომცა და მიდიო, მითხრა. დავიწყე ხატვა, რა თქმა უნდა, ჯაზის აკომპანიმენტის ქვეშ. მე და თემურმა მუსიკალური ათწლედი დავამთავრეთ, ორივეს ძალიან გვიყვარდა ჯაზი. ხატვა 1995 წლიდან დავიწყე. ჩემი პირველი მასწავლებელი თემური იყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა, ადრე დატოვა ეს წუთისოფელი. ხატვა გავაგრძელე და აი, უკვე ოცი წელია, ვხატავ.

**– ყოველთვის ჯაზის აკომპანიმენტის ქვეშ?**

– თითქმის ყოველთვის. ჯაზი თავისუფლებაა, იმპროვიზაციაა. საერთოდ, მუსიკა სახეების ხმოვანი ნაკადი და ასო-

ციაციებია, რაც ხატვის დროს შემოქმედებით იმპულსებს აძლიერებს.

დარბაზს დამთვალელები და ჟურნალისტები შემომემატნენ. მხატვარმა ჩემთვის სულ რაღაც ათიოდე წუთით მოიცალა, თუმცა, „სულ რაღაც ათიოდე წუთშიც“ შეიძლება ჩანვდე ადამიანს, რომელმაც იურისტის კარიერას თავისუფლება – ხელოვნება ამჯობინა. „თეთრი მზე“, „დომინოს სახლები“, „შეხვედრა ვან-გოგთან“, „ბუძას ხანმოკლე სიზმარი“, „ბუძას ხანგრძლივი სიზმარი“... ყველა სურათის სახელწოდებას ვერ ჩამოთვლი, მაგრამ თვით სახელებშიც კი ჩანს მხატვრის ორიგინალური აზროვნება – იუმორი, ამბოხი, ალუზია...

**მარია კახაძე**